მოქალაქეობა

მოსწავლის წიგნი

9

ნინო ტალახაძე ◆ ნინო კაპანაძე
გულნაზ ერქომაიშვილი
მზიური შავაძე ◆ ეკა მურუსიძე

გამომცემლობა
სიდი

საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი
„თავისუფლება“

ლექსი დავით მაღრაძისა

ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე – მთელი ქვეყანა,
განათებული მთა-ბარი,
წილნაყარია ღმერთთანა.
თავისუფლება დღეს ჩვენი
მომავალს უმღერს დიდებას,
ცისკრის ვარსკვლავი ამოდის
და ორ ზღვას შუა ბრწყინდება.
დიდება თავისუფლებას,
თავისუფლებას დიდება.

dont copy

მოქალაქეობა

მოსწავლის წიგნი

Work copy

9

გრიფმინიჭებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ 2021 წელს.

მოქალაქეობა 9
მოსწავლის წიგნი მეცხრეკლასელთათვის
თბილისი, 2021

ავტორები: ნინო ტალახაძე, ნინო კაპანაძე,
გულნაზ ერქომაიშვილი, მზიური შავაძე, ეკა მურუსიძე

რედაქტორი: თეონა ბექიშვილი
დიზაინერი: ია მახათაძე
ტექნიკური დიზაინერი: დავით გოგლიძე

© გამომცემლობა სიდი, 2021
ყველა უფლება დაცულია

შპს „გამომცემლობა სიდი“
ტელეფონი: 599623610
ვებ-გვერდი: www.ceed.ge
ელ-ფოსტა: info@ceed.ge
ceedgeorgia@yahoo.com
https://www.facebook.com/გამომცემლობა სიდი

Citizenship 9
Student's Book
© Ceed Publishing, 2021
all rights reserved.
Tbilisi, Georgia, 2021

don't copy

რეკომენდაციებისა და რჩევებისათვის
ავტორთა ჯგუფი მადლობას უხდის:

თამარ ქალდანს, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ექსპერტს;

ნიკოლოზ მეგრელიშვილს, სამართლისა და პოლიტიკის კვლევის ინსტიტუტის გამგეობის თავმჯდომარეს; ბსუ-ს იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ლექტორს.

ISBN 978-9941-8-1797-7

თქვენ ეს შეგიძლიათ!

ძვირფასო მეცხრეკლასელებო,

„მოქალაქეობის“ შემოთავაზებულ სახელმძღვანელოსთან ერთად სწავლა-სწავლების ძალიან საინტერესო და ამავდროულად, საპასუხისმგებლო პროცესი გელით. ამ პროცესში თქვენ გადამწყვეტი როლი გენიჭებათ. სახელმძღვანელო ისეა აგებული, რომ მოსწავლისგან ითხოვს აქტიურობას, რადგან კეთებითა და აღმოჩენებით ნასწავლი არასდროს დაგავიწყდებათ. მასწავლებელი კი თქვენი საიმედო მეგზური იქნება.

იმსჯელეთ, იფიქრეთ შემოთავაზებულ სიტუაციებზე, ჩაუღრმავდით ცხოვრებისეულ პრობლემებს, ეძებეთ მათი გადაწყვეტის გზები და რასაც შეძლებთ, თავადაც შეეჭიდეთ, რომ კლასში ნასწავლის ცხოვრებაში გამოყენებაც ისწავლოთ. შეცდომების ნუ შეგეშინდებათ, რადგან სწავლის დროს დაშვებული შეცდომები ყველაზე უწყინარი შეცდომებია და საკითხის უკეთ გაგებაში დაგეხმარებათ.

რაც შეეხება სახელმძღვანელოს შინაარსს, მოქალაქეობა რომ ისწავლოთ, ჩვენი სახელმწიფოს ცენტრალური ხელისუფლების ფუნქცია-მოვალეობებში უნდა გაერკვეთ, თქვენი როლი და მნიშვნელობა გაიაზროთ იმ დემოკრატიულ პროცესში, რომელსაც გადაწყვეტილებების მიღებაში მოქალაქის მონაწილეობა ჰქვია. გაეცნოთ სახელმწიფოს როლსა და მოვალეობებს მოქალაქის წინაშე და პირიქით – მოქალაქის უფლებებსა და მოვალეობებს. გაიგოთ, როგორ დგება ქვეყნის ბიუჯეტი და როგორ შეიძლება თვალი ვადევნოთ მის ხარჯვას. პირად ეკონომიკურ საკითხებზეც მოგიწევთ მუშაობა და ახალი უნარების განმტკიცება.

და რადგან თქვენ გლობალური ეპოქის შვილები ხართ, ჩვენი ქვეყნის და პირადად თქვენი ადგილიც უნდა დაინახოთ საერთაშორისო თანამეგობრობაში, გაიგოთ, რა საერთაშორისო პროცესების მონაწილენი ვართ, რა წვლილი შეგვაქვს ამ პროცესებში და რა სარგებელს ვიღებთ. როგორ მივაწვდინოთ ხმა ამ ორგანიზაციებს, როგორ ვითანამშრომლოთ სამშვიდობო პროცესების გასამყარებლად და საფრთხეების შესამცირებლად. მოკლედ, საინტერესო წელიწადი გელით.

სახელმძღვანელო 37 პარაგრაფისგან შედგება, იგი ახალიც არის და ინოვაციურიც, თქვენ ჯერ კომპლექსურ დავალებებს გაეცნობით და შემდეგ იმუშავებთ საკითხზე, რომ სიღრმისეულად გაიაზროთ ყველაფერი, რაც დამოუკიდებელი მუშაობისთვის გამოგადგებათ. წიგნში მრავალ სასარგებლო ინფორმაციას გაეცნობით და პრაქტიკულად გამოიყენებთ სხვადასხვა როლურ თამაშში, დისკუსიებში. უხვი ინფოგრაფიკა კი მასალის აღქმას გაგიადვილებთ. წაიკითხავთ თემასთან დაკავშირებულ საინტერესო ამბებსა და ინფორმაციებს საქართველოს და უცხო ქვეყნების ცხოვრებიდან. სახელმძღვანელოში შემოთავაზებული რუბრიკები კი მუშაობას გაგიადვილებთ.

don't copy

დავალება

გახსოვდეთ

იმუშავეთ ჯგუფებში

იმსჯელეთ

დებატები

იმუშავეთ წყვილებში

გაიხსენეთ

ეს საინტერესოა

სასარგებლო რესურსები

ლექსიკონი

კვლევა

ბლოკნოტი

სასურველია, წიგნს ისე მოუაროთ, რომ შემდეგ წლებში სხვა მოსწავლეებსაც ემსახუროს. გისურვებთ წარმატებას!

ს ა რ ჩ ე ვ ი

I თემა. ცენტრალური ხელისუფლება

კომპლექსური დავალება 8

1. დემოკრატიული სახელმწიფო 9
2. კონსტიტუცია – ფართო საზოგადოებრივი შეთანხმება 14
3. თავისუფლება, თანასწორობა და ადამიანის ღირსება 22

კომპლექსური დავალება 30

4. ხელისუფლების დანაწილება 33
5. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო და მედიაცია 42

კომპლექსური დავალება 47

6. როგორ ვირჩევთ ხელისუფლებას? 48
7. დემოკრატიის ფორმები და ხელისუფლებასთან თანამშრომლობა 57
8. რატომ და როგორ უნდა ვაკონტროლოთ ხელისუფლება? 64

კომპლექსური დავალება 68

9. მედია – „მეოთხე ხელისუფლება“ 69

კომპლექსური დავალება 74

10. მეტი სიცოცხლისთვის 76
11. შენი უფლებები და მოვალეობები საგზაო მოძრაობისას 80

II თემა. ეკონომიკა და სახელმწიფო

კომპლექსური დავალება 86

12. პროფესიები – როგორ ვაკეთებ არჩევანს? 87
13. შრომითი ურთიერთობები 90

კომპლექსური დავალება 94

14. სახელმწიფო ბიუჯეტი 96
15. გადასახადები 101
16. ვის ეკისრება გადასახადის ტვირთი? 106

კომპლექსური დავალება 110

17. ფინანსური ორგანიზაციების მომსახურება 111
18. როგორ შევარჩიო ბანკი? 116

კომპლექსური დავალება 122

19. მომხმარებელთა უფლებები და პასუხისმგებლობები 125

don't copy

კომპლექსური დავალება 130
20. დაზღვევა 132
21. დაზღვევა საქართველოში 138

III თემა. სამშვიდობო პროცესები

კომპლექსური დავალება 142
22. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია 144
23. მდგრადი განვითარების მიზნები 150
კომპლექსური დავალება 156
24. ევროპის კავშირი 157
25. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 164
კომპლექსური დავალება 168
26. საერთაშორისო საფრთხეები 169
27. რა უნდა ვიცოდეთ ადამიანით ვაჭრობის შესახებ 172
კომპლექსური დავალება 180
28. მიგრაციის თანამედროვე გამოწვევები 181
29. იძულებით გადაადგილებული პირები 187
კომპლექსური დავალება 192
30. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი 193
კომპლექსური დავალება 198
31. საქართველო სამშვიდობო და ჰუმანიტარულ მისიებში 199

IV თემა. გარემოს დაცვა

კომპლექსური დავალება 208
32. კლიმატის ცვლილება 209
კომპლექსური დავალება 218
33. ენერგიის ალტერნატიული წყაროები 220
კომპლექსური დავალება 224
34. ენერგოეფექტურობა 225
35. ენერგოეფექტურობა და სახელმწიფო 228
კომპლექსური დავალება 234
36. მწვანეთა მოძრაობა 235
კომპლექსური დავალება 244
37. იუნესკო 245

დანართი 1 256
დანართი2 276

dont copy

I თემა

ცენტრალური ხელისუფლება

dont copy

dont copy

თემა 1. ცენტრალური ხელისუფლება

ყურადღება!

საკითხი: კონსტიტუცია – ფართო საზოგადოებრივი შეთანხმება

კომპლექსური დავალება

კომპლექსური დავალების პირობა

წარმოიდგინე, რომ შენი მეგობარი და თანაკლასელი წარმატებული პიანისტია. მას კონკურსებში მონაწილეობის დროს სკოლის გაცდენა უწევს. ახლაც ევროპაშია და იქიდან აპირებს დისტანციურ გაკვეთილებზე ჩართვას. მანამდე გთხოვა, სასაუბროში (მესინჯერში) აუტვირთო **წერილი** (250 სიტყვა), რომელშიც აუხსნი: რატომ ვუწოდებთ კონსტიტუციას ყველაზე ფართო საზოგადოებრივ შეთანხმებას და როგორ ქმნის კონსტიტუცია გარანტიებს თითოეული ჩვენგანის განვითარებისათვის?
მეგობარი შენგან დახმარებას ელოდება.

ნაშრომში/ნაშრომის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინე:

- როგორ იქმნება კონსტიტუცია? როგორ ერთვებიან ადამიანები, ჯგუფები მის ფართო განხილვაში. როგორ შედის ცვლილებები? (ამ საკითხების ცოდნა თქვენ რაში გამოგადგებათ?)
- რამდენად მნიშვნელოვანია მოქალაქეთა ჩართულობა კონსტიტუციის ცვლილებების განხილვის ღია და საჯარო პროცესში?
- როგორ ქმნის კონსტიტუცია გარანტიას თითოეული ადამიანის მისწრაფებების დაცვისა და პიროვნული განვითარებისთვის? (იმსჯელე მეგობრის მაგალითზე)
- ადამიანის რომელი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების პირობას ქმნის კონსტიტუცია (იმსჯელე შენი და მეგობრების მაგალითებით)?

don't copy

პრეზენტაციის შემდეგ ისაუბრე:

რა სტრატეგიები გამოიყენე/რა ნაბიჯები გადადგი დავალებაზე მუშაობის სხვადასხვა ეტაპზე; რას გააკეთებდი განსხვავებულად, ხელახლა რომ იწყებდე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობას.

რჩევები: კონსტიტუციის მეორე თავში საჭირო არგუმენტებს იპოვი;
კარგად გაეცანი კომპლექსური დავალების პირობას, მასში მოცემულ შეფასების კრიტერიუმებს, შენს ნაშრომს – წერილს ამ კრიტერიუმების მიხედვით შეაფასებენ. დაფიქრდი, რას ითხოვს დავალება შენგან, მის შესასრულებლად ამ ეტაპზე რა ცოდნა და უნარები გაქვს და კიდევ რისი გაგება და გათვალისწინება გჭირდება. მომდევნო გაკვეთილებზე სწორედ საჭირო ცოდნისა და უნარების შევსებისთვის იმუშავებთ. შეეცადე, საკითხზე ახლად მიღებული ინფორმაცია დავალების პირობასთან მიმართებით გაიაზრო. რამდენიმე გაკვეთილის შემდეგ უკვე მზად იქნები, შეასრულო დავალება და კლასში წარადგინო!

„საქართველო არის დემოკრატიული რესპუბლიკა“.

საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 3.1.

დემოკრატია – პოლიტიკური სისტემა, რომლის დროსაც ქვეყანას მართავს ხალხი.

? როგორია დემოკრატიული სახელმწიფო?

თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოში ხალხის როლი გადამწყვეტია ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ზოგიერთ გადაწყვეტილებას მოქალაქეები პირდაპირ და უშუალოდ იღებენ, ზოგიერთს კი – თავიანთი არჩეული წარმომადგენლების მეშვეობით.

ინკლუზია – (ინგლისურად ნიშნავს ჩართვას) გულისხმობს შესაძლებლობების/ჩართულობის თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველასთვის. ინკლუზიური შეიძლება იყოს მთავრობა, ეკონომიკა, განათლება...

დემოკრატიულ სახელმწიფოში აღიარებული და დაცულია ადამიანთა თანასწორობა, თავისუფლება და ძირითადი უფლებები. ყველა ადამიანი კანონის წინაშე თანასწორია და სახელმწიფო მოქალაქეებს უქმნის განვითარების თანაბარ შესაძლებლობებს, ზრუნავს ადამიანის ჯანმრთელობასა და სოციალურ დაცვაზე, პარლამენტი და მთავრობა კანონის საფუძველზე ეფექტურ საქმიანობას ეწევიან, არსებობს ძლიერი ადგილობრივი თვითმმართველობა, ხოლო სასამართლო დამოუკიდებელია და მოქმედებს მხოლოდ სამართლიანობისა და კანონის საფუძველზე.

dont copy

კანონის უზენაესობა – კანონის წინაშე ყველა თანასწორია (კანონი ყველაზე ერთნაირად ვრცელდება); კანონი იცავს როგორც პიროვნების, ისე საზოგადოების ინტერესებს.

ქვემოთ მოცემული ცხოვრებისეული მაგალითები დემოკრატიის პრინციპების აქტუალობას ასახავს.

დედები არაფხიზელი მძღოლების წინააღმდეგ

ამერიკული არასამთავრობო ორგანიზაცია „დედები არაფხიზელი მძღოლების წინააღმდეგ“ (MADD) 1980 წელს სამოქალაქო აქტივისტმა ქენდი ლაითნერმა ჩამოაყალიბა. ქენდის ტყუპისცალი ქალიშვილი, რომელიც ეკლესიაში მიდიოდა, ავტოსაგზაო შემთხვევამ იმსხვერპლა. მძღოლი საჭეს არაფხიზელ მდგომარეობაში მართავდა. ქენდიმ შვილის დაკრძალვის დღეს დაიფიცა, რომ ამ პრობლემის აღსაკვეთად და დამნაშავეთა დასასჯელად იბრძოლებდა. მან დააარსა ორგანიზაცია, რომლის მიზანს მოქალაქეების ცნობიერების ამაღლება და ამ ტიპის სამართალდარღვევათა მიმართ კანონების გამკაცრება წარმოადგენდა.

1982 წელს პრეზიდენტმა რონალდ რეიგანმა ქენდი ეროვნული კომისიის წევრად დანიშნა. კომისია არაფხიზელი მძღოლების მიერ ავტომობილის მართვის საწინააღმდეგოდ შეიქმნა. უმოკლეს დროში ქვეყნის მასშტაბით, ამ საკითხის შესახებ ოთხასამდე საკანონმდებლო აქტი მიიღეს. ორგანიზაცია დღესაც აქტიურად წარმართავს საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებელ, საქველმოქმედო და სხვა აქტივობებს.

„ჩემთვის თეთრკანიანების რასიზმიც ბარბაროსობაა და შავკანიანებისაც“. *ნელსონ მანდელა.*

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში აპარტეიდის რეჟიმი წარმოადგენდა რასობრივი დისკრიმინაციის ყველაზე სასტიკ ფორმას, რაც შავკანიანი მოსახლეობისთვის უფლებების აღკვეთაში გამოიხატებოდა. ქორწინება აკრძალული იყო სხვადასხვა რასის ადამიანთა შორის, გამიჯნული იყო შავკანიანთა და თეთრკანიანთა საავადმყოფოები, სკოლები, პარკები, ავტობუსები და სხვ. ნელსონ მანდელას მთავარ მიზანს თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩატარება წარმოადგენდა, რასაც მან 1994 წლის 27 აპრილს მიაღწია.

ამ დღეს შავკანიან მოქალაქეებს პირველად მიეცათ არჩევნებში მონაწილეობის უფლება. არჩევნების შედეგად აპარტეიდს ბოლო მოეღო. ნელსონ მანდელა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მოქალაქეთა უმრავლესობის მიერ არჩეული პირველი პრეზიდენტი გახდა. ბევრისთვის გასაკვირად, მან თავის კაბინეტში ეროვნული პარტიის (თეთრკანიანების) და მოწინააღმდეგე შავკანიანთა პარტიის წევრებიც დანიშნა. დაიწყო აპარტეიდული კანონების გაუქმება. მანდელა თავის თანამემამულე შავკანიან უმრავლესობას და თეთრკანიან აფრიკელებს მუდამ სიყვარულისა და ურთიერთგაგებისაკენ მოუწოდებდა. კარგი მაგალითია 1995 წლის მსოფლიო თასზე შავკანიანების მიერ თეთრკანიანი რაგბისტების გუნდის გულშემატკივრობა. სიყვარულისა და თანასწორობის ნიშნად მანდელამ გუნდის მაისური ჩაიცვა და კაპიტანს ჯილდო ისე გადასცა.

demo copy

არაგამჭვირვალე მმართველობის შედეგი („არა“ მაგალითი)

პანდემიასთან ბრძოლაში ჩინეთის ხელისუფლებას არ ჰყავს ყველაზე მთავარი მოკავშირე და დასაყრდენი – საკუთარი ხალხი! არსებულ კრიზისში არ მოიძებნა გამამთლიანებელი ძალა ან ინსტიტუცია, მაგალითად, არასამთავრობო სექტორი, ეკლესია, საქველმოქმედო ორგანიზაცია, ბიზნეს ჯგუფები, ზოგადად, სამოქალაქო საზოგადოება, რომელიც თავის წვლილს შეიტანდა სიტუაციის მოგვარებაში. ეს გაუცხოება არის დეზინფორმაციისა და არაგამჭვირვალე მმართველობის შედეგი. პოლიტიკა არ პასუხობს ადამიანების საჭიროებებს, ამგვარ არადემოკრატიულ გარემოში ხალხის მხარდაჭერა შეუძლებელია.

დიქტატორმა შობა მოიპარა

ჩრდილოეთ კორეის ლიდერმა ქრისტიან მოქალაქეებს უბრძანა, შობის ნაცვლად მისი ბებიის დაბადების დღე აღენიშნათ. ბებია კი თავის დროზე პარტიზანი და კომუნისტი აქტივისტი

იყო. მას სამშობლოში რევოლუციის წმინდა დედად მოიხსენიებენ და პატივს საფლავზე მისვლით მიაგებენ. „კორეის ლიდერი გრინჩია, რომელმაც შობა „მოიპარა“ – წერდა „New York Post“-ი. მიუხედავად შობის მიმართ დიქტატორის ზიზღისა, ზოგიერთ რესტორანსა და მაღაზიაში ნაძვის ხეები მაინც დადგეს.

ბოიკოტი უფლებების დამრღვევებს

1920 წელს ცნობილმა შვედურმა კომპანიამ ჩინეთში ეთნიკური უმცირესობის (იუღრების) მიმართ იძულებითი შრომის გამოყენებას ბოიკოტი გამოუცხადა და ჩინეთში წარმოებული ქსოვილის მოხმარება შეწყვეტა. კომპანიის გასაღების ბაზარზე ჩინეთი სიდიდით მე-4 ქვეყანაა, რომლის მიღებული წლიური შემოსავალი 287 მილიონი ევროს შეადგენს. კომპანიის დანაკარგი უკვე ასობით მილიონ ევროს უტოლდება... მაგრამ ასე იქცევა პასუხისმგებლიანი და ეთიკური ღირებულების მქონე ევროპული ბიზნესი.

სკოლაში მიუხარია

მაკო ქართლის ერთ ქალაქში ცხოვრობს. ის ეტლით მოძრაობს. პირველ კლასში წასვლის წინ მისი ოჯახი ძალიან ნერვიულობდა, არ იცოდნენ, გოგონა სასკოლო გარემოს როგორ შეეჩვეოდა. ნერვიულობა უკან დარჩა. მაკო წარმატებული მოსწავლეა. სკოლამ პანდუსი და ადაპტირებული სველი წერტილი მოაწყო. სასკოლო სასადილოს კარიც კი გააფართოვეს, რომ შესვენებაზე გოგონამ თანაკლასელებთან ერთად ისაუზმოს. მაკოს უკვე ბევრი მეგობარი ჰყავს, ერთმანეთს ხშირად ეხმარებიან, ისეთ სიყვარულს გრძნობს კლასელებისგან, რომ სკოლაში მისვლა მიუხარია.

გოგონას მოხუცი მეზობელი თედო პაპა სულ აუგად იხსენიებს ძველ დროს, რადგან მისი უმცროსი ძმა ისე დაბერდა, ვერც წერა ისწავლა და ვერც კითხვა. შეზღუდული შესაძლებლობის გამო ეზოს კარს არ გასცილებია, სკოლაზე, მეგობრებზე და საერთოდ გარეთ გამოჩენაზე ხომ საუბარიც წარმოუდგენელი იყო. ახლა კი ჩვენი სახელმწიფო თავად ზრუნავს, რომ ყველას შეუქმნას განათლებისა და განვითარების თანაბარი პირობები.

dont copy

მრავალფეროვნება პორტრეტებში

მანჰეტენზე ერთ-ერთი საჯარო სკოლის კედელზე შესრულებულ ხუთი იმიგრანტის მონუმენტურ პორტრეტს შორის გურული მხედარი მშვიდობაძეცაა. გურულები აშშ-ში 1893 წელს ჩავიდნენ. იმიგრანტების სახეები 800 კვადრატულ მეტრზეა დახატული. პროექტი „ელის აილენდიზე“ მდებარე იმიგრაციის მუზეუმთან თანამშრომლობით განხორხციელდა. „ელის აილენდი“ არის კუნძული, რომლის გავლითაც აშშ-ში 12 მილიონზე მეტი იმიგრანტი ჩავიდა. ელისის კუნძულზე საიმიგრაციო სამსახური 1892 წელს გაიხსნა და 62 წლის განმავლობაში დღეში საშუალოდ 5 000 იმიგრანტს იღებდა. მათ შორის ქართველებიც იყვნენ.

გურული მოჯირითე მშვიდობაძე

დემოკრატიის ბარომეტრი

დემოკრატიის ნიშნები	დემოკრატიული ქვეყანა	არადემოკრატიული ქვეყანა
ხალხის მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღებაში	• ხალხი უშუალოდ მონაწილეობს ქვეყნის მართვაში; • ან მონაწილეობს წარმომადგენლების/ წარმომადგენლობითი ორგანოს მეშვეობით.	• ხალხი საერთოდ არ მონაწილეობს ქვეყნის მართვაში; • მონაწილეობს მხოლოდ ფორმალურად; • გადაწყვეტილებებს ხელისუფლებაში მყოფი ადამიანები იღებენ.
ხელისუფლების არჩევნები	• არჩევნები ტარდება: ✓ მიუკერძოებლად; ✓ კანონის საფუძველზე; ✓ სამართლიანად; ✓ გამჭვირვალედ.	• არჩევნები საერთოდ არ ტარდება; • თუ ტარდება, ხშირია: ✓ გაყალბება; ✓ არჩევნების დროს მოქალაქეებზე ზეწოლა; ✓ საარჩევნო კანონისა და წესების ცვლილება (ხელისუფლების ნების შესაბამისად).
ხელისუფლების მიზანი	• საზოგადოების ინტერესების დაცვა; • მოქალაქეთა კეთილდღეობაზე ზრუნვა; • ქვეყნის განვითარებაზე ზრუნვა.	• ხელისუფლებაში მყოფი ადამიანების გუნდური ან პირადი ინტერესების გატარება.
ადამიანის უფლებები	• აღიარებული და დაცულია; • ხელისუფლება უზრუნველყოფს მათ განხორციელებას.	• კანონით შეიძლება იყოს აღიარებული, თუმცა არ არის დაცული რეალურად; • არ არსებობს უფლებათა დაცვის რეალური მექანიზმები.
სასამართლო	• დამოუკიდებელი და მიუკერძოებელია; • ეფუძნება მხოლოდ კანონს.	• მიკერძოებული და დამოკიდებულია ხელისუფლებაში მყოფი პირებისა და გუნდის ინტერესებზე.

dont copy

დემოკრატიული და არადემოკრატიული ქვეყნების მაგალითი

არადემოკრატიული ქვეყანის მაგალითია საბჭოთა კავშირი, სადაც ბელადები სახელმწიფოს ძალადობისა და იძულების მეთოდებით მართავდნენ.

საბჭოთა კავშირის კონსტიტუციასთან ერთად არსებობდა ქვეყნის შემადგენლობაში მყოფი რესპუბლიკების კონსტიტუციები, მაგრამ ისინი რეალურად არ მოქმედებდნენ. არჩევნებს ჰქონდა ფორმალური სახე, „ხმათა უმრავლესობით“ ყოველთვის ერთადერთი კანდიდატი იმარჯვებდა. ყველა საუბრობდა სამართლიანობასა და თანასწორობაზე, თუმცა სინამდვილეში ეს პირიქით იყო. ადამიანებს პირადი მიზნებისა და ამბიციების დასაკმაყოფილებლად ასამართლებდნენ, ასახლებდნენ, უსჯიდნენ სიკვდილს. ერთპარტიული ელიტისთვის მოქმედებდა პრივილეგიები (სპეციალური მაღაზიები, ჯანდაცვისა და დასვენების დაწესებულებები). რიგით მოქალაქეებს ყალბი პატრიოტული რიტორიკით კვებავდნენ, თავად კი ფუფუნებაში ცხოვრობდნენ.

სრული დემოკრატიის ქვეყანა. გაერო ყოველწლიურად აქვეყნებს სახემწიფოთა რეიტინგებს ბედნიერების ინდექსთან მიმართებაში. ამ სიის სათავეში უკვე მეოთხე წელია ფინეთი დგას. კოვიდსიტუაციამ ვერ დაძლია ფინელების დადებითი განწყობა. ფინეთი იმ ქვეყნების პირველ ათეულშია, რომლებიც სრული დემოკრატიის ტიტულს ატარებს. ფინეთს განვითარების გზად ეფექტური დემოკრატიის ფორმა – საპარლამენტო მმართველობა აქვს არჩეული. ხელისუფლება დაყოფილია ეფექტურ სახელმწიფო ორგანოებად, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობის კეთილდღეობასა და პრობლემების გადაწყვეტას.

ფინური წარმომადგენლობითი დემოკრატიის საფუძველია ხალხისგან წამოსული ძალაუფლება. ხელისუფლების დაყოფით თავიდან არის აცილებული ძალაუფლების კონცენტრაცია ერთი პირის ხელში; ეს არის სახელმწიფო, რომელშიც არასამთავრობო სექტორი დამოუკიდებელია. გადაწყვეტილებების მიღება ხდება მოლაპარაკებებისა და კონსენსუსის გზით. ამ სისტემამ დაადასტურა, რომ შესაძლებელია სერიოზული პრობლემების მშვიდობიანი გზით მოგვარება. მოკლედ, დიალოგი და კომპრომისი ფინური დემოკრატიის წარმატების გასაღებია.

dont copy

იმუშავეთ ჯგუფებში

I ეტაპი: გადახაზეთ ცხრილი ფურცელზე და ინდივიდუალურად შეავსეთ იგი; ნიმუშის გათვალისწინებით, პირველ სვეტში ჩამოწერეთ ინდივიდის 5 მახასიათებელი, რომლებიც მას აქტიური მოქალაქეობისთვის სჭირდება, მეორე სვეტში კი შესაბამისი მოქალაქეობრივი ქმედებები დააფიქსირეთ.

ინდივიდის მახასიათებლები	მოქალაქის შესაბამისი ქმედებები
ინფორმირებულობა	სწორი გადაწყვეტილებები

II ეტაპი: ჯგუფში გაუზიარეთ ერთმანეთს ნამუშევრები, იმსჯელეთ თემაზე „რა როლი აქვს ინდივიდს/ მოქალაქეს დემოკრატიულ სახელმწიფოში?“ და მოამზადეთ პრეზენტაცია;

> დემოკრატია ხალხის მმართველობაა, რომელიც ხალხიდან გამომდინარეობს და ხალხისთვისაა.
>
> *აბრაამ ლინკოლნი*

ბარომეტრი – ატმოსფერული წნევის საზომი მოწყობილობა. აქ: დემოკრატიის შეფასების გამომხატველი საზომი.

კონსტიტუცია – ქვეყნის ძირითადი კანონი და უმაღლესი იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტი. ყველა სხვა კანონი მას უნდა შეესაბამებოდეს.

კონსტიტუცია მოქალაქეთა ერთგვარი შეთანხმებაა თავიანთი სახელმწიფოს მიზნებზე, მართვის სტილზე, სახელმწიფო ორგანოების არჩევის წესსა და ფუნქციებზე, მოქალაქეთა უფლებებსა და ვალდებულებებზე, სახელმწიფოსა და მოქალაქეთა შორის ურთიერთობებზე.

კონსტიტუცია არის სამართლებრივი დოკუმენტი, რომელიც მიღებულია სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს მიერ ან **რეფერენდუმის** გზით, გააჩნია უმაღლესი იურიდიული ძალა და არეგულირებს სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების ორგანიზაციის საფუძვლებს, მის უმნიშვნელოვანეს მხარეებს, პიროვნებისა და სახელმწიფოს ურთიერთობის ძირითად პრინციპებს.

კონსტიტუცია განსაზღვრავს, რომ საქართველო არის დემოკრატიული, სამართლებრივი და სოციალური სახელმწიფო, სადაც:

- ხელისუფლების წყაროა ხალხი
- სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს
- სახელმწიფო ზრუნავს სოციალურ თანასწორობასა და სამართლიანობაზე
- სახელმწიფო ზრუნავს ადამიანის ჯანმრთელობასა და სოციალურ დაცვაზე

dont copy

? რას ნიშნავს სამართლებრივი სახელმწიფო?

რეფერენდუმი – ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ჩატარებული საერთო-სახალხო კენჭისყრა განსაკუთრებით მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საკითხზე. რეფერენდუმის შედეგს ენიჭება კანონის ძალა.

სამართლებრივი სახელმწიფო ნიშნავს, რომ სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის უფლებებს, სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება კონსტიტუციითა და კანონით დადგენილ ფარგლებში.

საკითხში უკეთ გასარკვევად განვიხილოთ მაგალითი, რომელიც წარმოაჩენს, რომ სამართლებრივ სახელმწიფოში სამართლიანობა ყველას, მათ შორის დამნაშავის მიმართაც დაცულია.

მირანდას უფლებები*

1963 წლის 13 მარტს აშშ-ს ფენიქსის პოლიციის დეპარტამენტმა ადამიანის გატაცების ბრალდებით 23 წლის ერნესტო მირანდა დააკავა. ორსაათიანი დაკითხვის შემდეგ მირანდამ დანაშაული „აღიარა“. ამასთან მან ხელი მოაწერა განცხადებას, რომელიც ადასტურებდა, რომ „ჩვენებას აძლევდა ნებაყოფლობით, ყოველგვარი ძალდატანების გარ-

* წყარო: განმარტებითი იურიდიული ლექსიკონი.

ეშე, საკუთარი უფლებების სრული ცოდნითა და გაცნობიერებით.“ ერნესტო მირანდა სასამართლომ დამნაშავედ ცნო და 20-დან 30-წლამდე პატიმრობა მიუსაჯა. ამ შემთხვევამდე პოლიციაში მიცემული ყველა ჩვენება მიიჩნეოდა ნებაყოფლობითად და გამოიყენებოდა სასამართლოში. როგორც საქმის მასალებიდან გაირკვა, დაკავების პროცესში ეჭვმიტანილს საკუთარი უფლებები არ გააცნეს და არც მისი აღიარება ყოფილა ნებაყოფლობითი. მირანდას ადვოკატებმა გაასაჩივრეს განაჩენი. მოსამართლემ გამოიყენა ადვოკატების მიერ წარმოდგენილი შესწორება და 1966 წელს უზენაესმა სასამართლომ ერნესტო მირანდას დაუნიშნა ახალი მოსმენა.

შედეგად სასამართლომ შეცვალა განაჩენი; მოსამართლემ დაწერა, რომ ერნესტო მირანდას ჩვენებები არ იყო ნებაყოფლობითი – „დამრთგუნველი გარემოება, რომელიც პოლიციაში დაკითხვისას სუფევდა, ქმნიდა დანაშაულის აღიარების პირობას“. აქედან გამომდინარე, მოსამართლემ დაასკვნა, რომ: „თუ არ შეიქმნება ბრალდებულის დამცავი პირობები, არც ერთი აღიარება არ შეიძლება, ჩაითვალოს თავისუფალი ნების გამომხატველად“.

ამ ფაქტის შემდეგ ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩამოყალიბდა პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც პოლიციელებს დაევალათ დაკავებულს/ბრალდებულს დაკავებისთანავე აცნობონ თავისი უფლებების შესახებ (დუმილის უფლება, დამცველის ყოლის უფლება) და თუ ბრალდებული ამ უფლებას გამოიყენებს, დაკითხვა უმალვე შეწყდეს. დღეს მრავალ ქვეყანაში (მათ შორის საქართველოში) ეს არის კანონის მოთხოვნა. უფლებათა ამ ჩამონათვალს კი „მირანდას გაფრთხილების“ სახელით მოიხსენიებენ.

dont copy

სამართლებრივი სახელმწიფო – მჭიდროდაა დაკავშირებული კანონის უზენაესობასთან. რაც გარანტიაა იმისა, რომ სახელმწიფო ხელისუფლება შებოჭილი იქნება მოქმედი კანონებითა და ადამიანის უფლებებით და არ ექნება თვითნებობის, ადამიანის უფლებებში გაუმართლებელი ჩარევის შესაძლებლობა.

? რას ნიშნავს სოციალური სახელმწიფო?

სოციალური სახელმწიფო თავის თავში მოიცავს სოციალურ სამართლიანობას, თანასწორობას და სოციალურ სოლიდარობას. თანასწორობა ნიშნავს, რომ ყველა სოციალურ ჯგუფს ერთნაირი უფლებები უნდა ჰქონდეს და არც ერთი მათგანი არ იყოს დაკნინებული. თანაც, სხვადასხვა სოციალურ ჯგუფში მყოფი ადამიანები სოლიდარულნი უნდა იყვნენ ერთმანეთის მიმართ. მაგალითად: ჩვენ გადასახადებს რომ ვიხდით, სახელმწიფო ამ თანხის ნაწილს სოციალურად დაუცველ და დაბალი შემოსავლის მქონე პირებზე ხარჯავს. სოციალური სახელმწიფო ადამიანებზე ზრუნავს. სოციალური სახელმწიფო ზრუნავს გარემოს და კულტურული მემკვიდრობის დაცვაზე, განათლებაზე, სპორტისა და

სოციალური სახელმწიფო – სახელმწიფო, რომლის მიზანს მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება, მისი სტაბილურად შენარჩუნება, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა და რეალიზება, ჯანდაცვის, განათლების, სოციალური უზრუნველყოფის თანამედროვე სისტემების შექმნა წარმოადგენს.

ჯანსაღი ცხოვრების წესის განვითარებაზე; ასევე, უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კავშირის შენარჩუნებასა და განვითარებაზე.

გრანტი – უსასყიდ-ლოდ გადაცემული მიზნობრივი სახსრები ფულადი ან ნატუ-რალური ფორმით, დაბრუნების გარეშე.

სოციალური სახელმწიფოს ზრუნვის მაგალითია დათოს ოჯახი, რო-მელიც 4 წევრისგან შედგება: უმუშევარი მშობლები, დათო და მისი და. ბიჭი წელს სტუდენტი გახდა, და კი სკოლის მოსწავლეა.

ოჯახი წლებია, სოციალურ დახმარებას იღებს. ამ ტიპის დახმარებას სახელმწიფო გასცემს ისეთ ადამიანებზე/ოჯახებზე, რომლებსაც საარსებო წყარო არ აქვთ. გასულ წელს დათოს ოპერაცია დასჭირდა, მთელი ხარჯები სახელმწიფომ გაიღო. მამას უფასო სასადილოდან მოაქვს საკვები.

დათო კარგად სწავლობს და ერთიან ეროვნულ გამოცდე-ბზე 50%-იანი **გრანტი** მოიპოვა. დარჩენილ 50%-საც სახ-ელმწიფო უხდის, რადგან სოციალურად დაუცველია. დათო საუკეთესო სტუდენტია და კარგი სწავლისთვის სტიპენდია-საც იღებს, რომელსაც ოჯახს ახმარს.

დათოს ოცნებაა, პროფესიას კარგად დაეუფლოს, მუშაობა დაიწყოს და ოჯახის რჩენა სახელმწიფოს დაუხმარებლად შეძლოს. სურვილი აქვს, უკვე თავად შეიტანოს წვლილი სახელმწიფოს ბიუჯეტში.

საკონსტიტუციო ცვლილებები

კონსტიტუცია ნებისმიერი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია, ვინაიდან ის განსაზღვრავს: სახელმწიფოს მოწყობისა და მართვის საკითხებს; ხელისუფ-ლების დანაწილების პრინციპს და თითოეული შტოს დამოუკიდებლობის გარანტიას; ადამიანის უფლებებსა და სახელმწიფოს ვალდებულებებს მო-ქალაქეთა წინაშე.

ქვეყნის მართვის ძირითად საკითხებზე შეთანხმებლობამ შესაძლოა გამოიწვიოს ქაოსი და საფრთხე შეუქმნას სახელმწიფო განვითარებას. სწორედ ამიტომ კონსტიტუცია, როგორც წესი, მყარი დოკუმენტია, მას მარტივად ვერავინ შეცვლის. ამასთან, საზოგადოების ფართო ჩართულობა კონსტიტუციის მიღებისა და მისი გადასინჯვის პროცესში აუცილებელი და ძალიან მნიშვნელოვანია.

don't copy

> კონსტიტუციური კანონის პროექტი წარედგინება პარლამენტს, რო-მელიც აქვეყნებს მას საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის. პარლა-მენტში კანონპროექტის განხილვა იწყება მისი გამოქვეყნებიდან ერთი თვის შემდეგ.
>
> *საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 77, პუნქტი 2.*



კონსტიტუციის გადასასინჯად საჭიროა დეპუტატთა 2/3-ის, ზოგჯერ 3/4-ის მხარდაჭერა.

პარლამენტის მიერ პროექტის განხილვამდე აუცილებლად უნდა ჩატარდეს მისი საყოველთაო სახალხო განხილვა, რათა მოქალაქეებს მიეცეთ შესაძლებლობა, გაეცნონ ცვლილებების პროექტს, გამოხატონ საკუთარი პოზიცია და მოსაზრებები.

მაგალითად გამოდგება საქართველოში ბოლო დროს განვითარებული მოვლენებიდან ერთ-ერთი. 2020 წლის 4 და 13 ივნისს ახალ საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებული **საკონსტიტუციო ცვლილებების საყოველთაო-სახალხო განხილვა** პირდაპირ ტელეეთერის მეშვეობით მოეწყო. მოქალაქეებს შეკითხვების დასმა ინტერნეტის საშუალებით შეეძლოთ. განხილვა ორი ტელევიზიის პირდაპირ ეთერში შედგა. შეკითხვები იგზავნებოდა არხის ოფიციალურ ფეისბუქგვერდსა და ელ-ფოსტაზე – gankhilva2020@parliament.ge. შეკითხვებს პირდაპირ ეთერში პასუხობდნენ კონსტიტუციის საერთო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიის წევრები. ზემოაღნიშნული კონსტიტუციური ნორმის შესაბამისად საპარლამენტო პროცედურები მხოლოდ საყოველთაო-სახალხო განხილვის შემდეგ დაიწყო. პარლამენტში ჯერ 3 საკომიტეტო მოსმენა შედგა და ბოლოს საკონსტიტუციო ცვლილებები პარლამენტის სხდომაზე (ასევე 3 მოსმენით) დამტკიცდა.

dont copy

საქართველოს მოქმედი კონსტიტუცია 1995 წლის 24 აგვისტოს მიიღეს. ის ეფუძნება დამოუკიდებელი საქართველოს პირველი, 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის ძირითად პრინციპებს.

1995 წლის შემდეგ საქართველოს კონსტიტუციაში რამდენჯერმე შევიდა ცვლილებები, თუმცა ბოლო პერიოდის ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილება 2018 წელს კონსტიტუციის ახალი რედაქციის დამტკიცებაა, რითაც

- არსებითად შეიცვალა ქვეყნის მართვის მოდელი და საქართველო საპარლამენტო მმართველობის მოდელზე გადავიდა;
- შეიცვალა საარჩევნო სისტემა;
- დაიხვეწა და გაუმჯობესდა ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული მუხლები.

? რას უკავშირდება ცვლილებები კონსტიტუციაში?

კონსტიტუციაში ცვლილებები უკავშირდება ცვლილებების და განვითარების პროცესს, რომელიც ახასიათებს ცხოვრებას. შესაბამისად, საზოგადოება ხელახლა გადაიაზრებს ღირებულებებს, ფაქტებს, მოვლენებს და დგება საჭიროება, საზოგადოებრივი ცხოვრების უმთავრეს იურიდიულ დოკუმენტში – კონსტიტუციაში აისახოს ეს ცვლილებები.

კონსტიტუციის ერთი მნიშვნელოვანი ცვლილების ისტორიის მაგალითი.*

„საბჭოთა იმპერიის ბატონობის პერიოდში, სიკვდილით დასჯა ხელისუფლებისთვის პოლიტიკური ანგარიშსწორების იარაღადაც იქცა. საბჭოთა საქართველოში სისხლის სამართლის კოდექსის მე-13 მუხლი ითვალისწინებდა სიკვდილით დასჯას სხვადასხვა მძიმე დანაშაულისთვის. უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა პროპაგანდის გავლენით, მაშინ საზოგადოებრივი აზრი სიკვდილით დასჯის მომხრე იყო. 1984 წლის 3 ოქტომბერს სიკვდილით დასჯა მიესაჯა 4 ახალგაზრდას, რომლებმაც სამშობლოდან გაქცევის მიზნით თვითმფრინავის გატაცება სცადეს (საბჭოთა კავშირში მოქალაქეებს აკრძალული ჰქონდათ ქვეყნიდან თავისუფლად გადაადგილება). თვითმფრინავის გატაცება რეჟიმის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულად აღიქმებოდა და ახალგაზრდებს სასტიკად მოექცნენ. ეს შემთხვევა ქართულმა საზოგადოებამ იმთავითვე არაერთგვაროვნად აღიქვა. ბევრი, რა თქმა უნდა, გმობდა ახალგაზრდების საქციელს, რომელმაც მსხვერპლიც მოიყოლა, მაგრამ თანდათან გაჩნდა შეუფარავი პროტესტის გრძნობა, რომ სახელმწიფომ მკაცრად დასაჯა ისინი... სინანულის მიუხედავად, ვეღარაფერი გამოსწორდებოდა. საზოგადოებრივი აზრი სიკვდილით დასჯასთან მიმართებით, თანდათანობით უარყოფისკენ იცვლებოდა. გათვალისწინებული იქნა საერთაშორისო მიდგომებიც და საზოგადოებრივი განხილვების შემდეგ, 1997 წლის 11 ნოემბერს საქართველოს პარლამენტმა საბოლოოდ გააუქმა სიკვდილით დასჯა.“

> ადამიანის სიცოცხლე დაცულია. სიკვდილით დასჯა აკრძალულია.
>
> *საქართველოს კონსტიტუცია, მეორე მუხლი 10.*

don't copy

საქართველოს კონსტიტუცია შედგება პრეამბულისა (შესავალი ნაწილი) და 11 თავისგან. კონსტიტუციის შესავალში გაცხადებულია საქართველოს მოქალაქეთა ურყევი ნება: დამკვიდრდეს დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილება, ეკონომიკური თავისუფლება, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო, უზრუნველყოფილ იქნას ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებანი და თავისუფლებანი, განმტკიცდეს სახელმწიფოე-

* ჟურნალისტ მანანა კარტოზიას სტატიიდან, „დილის გაზეთი“, 2000 წ.

ბრივი დამოუკიდებლობა და სხვა ხალხებთან მშვიდობიანი ურთიერთობა.

კონსტიტუციის პირველ თავში – ზოგადი დებულებები – მოცემულია ძირითადი დებულებები სახელმწიფოს მმართველობისა და მოწყობის მთავარ საკითხებზე. შემდგომ მოდის ადამიანის ძირითადი უფლებების თავი, მერე კი ცალ-ცალკეა განხილული პარლამენტი, პრეზიდენტი, მთავრობა (ანუ მინისტრების ერთობლიობა), სასამართლო სისტემა, ფინანსური და საგადასახადო სისტემა, სახელმწიფოს თავდაცვა, ადგილობრივი თვითმმართველობა.
მე-10 თავი კი ეხება თავად კონსტიტუციას – თუ როგორ უნდა შევიდეს ცვლილებები. ბოლო მე-11 თავი კი ეხება გარდამავალ დებულებებს, კერძოდ, ევროპულ და ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციას.

კონსტიტუციის მე-2 თავში საუბარია როგორც ზოგადად ადამიანის, საქართველოს მოქალაქის, და ასევე უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლებებზე. ამავე თავშია მითითებული გამონაკლისები, თუ როდის და როგორ შეიძლება შეიზღუდოს ადამიანის უფლებები სახელმწიფოს მიერ და რომელ უფლებებს ეხება ეს. საყურადღებოა, რომ **კონსტიტუცია არამარტო ჩამოთვლის უფლებებს, არამედ მათი დაცვის გარანტიებსაც ადგენს:** ყველას აქვს უფლება, რომ თავისი უფლებები სასამართლო წესით დაიცვას, რომ არსებობს სახალხო დამცველის თანამდებობა და სხვა.
თუმცა, რა თქმა უნდა, უფლებების დაცვის ამ გარანტიათა რეალური გამოყენება თავად საზოგადოებაზეა დამოკიდებული, რაზეც სხვა გაკვეთილებზე ვისაუბრებთ.

იმუშავეთ წყვილებში

dont copy

კონსტიტუციის მე-2 თავში ადამიანის უფლებებზე ბრძან საუბარი. შენი მიზანია, აირჩიო კონსტიტუციით გარანტირებული ერთ-ერთი უფლება, რომელზეც მოამზადებ მოკლე პრეზენტაციას. გამოიყენეთ დანართი 1, გვ. 256-262.

- განმარტეთ, რატომ არის ეს უფლება თქვენთვის მნიშვნელოვანი.
- მოიძიეთ ორი სხვა უფლება, რომლებსაც, თქვენი აზრით, კავშირი აქვს თქვენ მიერ მიერ შერჩეულ უფლებასთან. ახსენით ეს კავშირი.
- ადვილი იყო მეწყვილეთა შორის ერთ უფლებაზე შეთანხმება? რატომ?

ეს საინტერესოა

საქართველოს კონსტიტუციონალიზმის მოკლე ისტორიული ექსკურსი

საქართველოს კონსტიტუციონალიზმის ისტორია იწყება მე-20 საუკუნეში, როდესაც 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი მიიღო და დაიწყო კონსტიტუციის შემუშავება. საქართველოს პირველი კონსტიტუცია საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ 1921 წლის 21 თებერვალს მიიღო. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციამ მხოლოდ 4 დღეს იმოქმედა, უდიდესი მნიშვნელობის მქონეა, ვინაიდან მან სახელმწიფოს პოლიტიკური წყობილების ფორმად აღიარა დემოკრატიული რესპუბლიკა, საქართველო გამოაცხადა თავისუფალ, დამოუკიდებელ და განუყოფელ სახელმწიფოდ. კონსტიტუციამ აღიარა ადამიანის უფლებათა უზენაესობა და გააუქმა სიკვდილით დასჯა.
რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ საქართველოში ოთხი კონსტიტუცია მოქმედებდა: 1922 წელს – რიგით პირველი საბჭოთა კონსტიტუცია, 1927 წელს – რიგით მეორე კონსტიტუცია, მესამე საბჭოთა კონსტიტუცია – 1937 წელს, მეოთხე – 1978 წელს.

1990 წლის 28 ოქტომბერს პირველი მრავალპარტიული არჩევნების შედეგად მოსულმა ეროვნულმა ხელისუფლებამ 1978 წლის კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის გზით შეცვალა სახელმწიფო წყობილების ფორმა, ახლებურად განსაზღვრა სახელმწიფო ხელისუფლების სტრუქტურა. კონსტიტუციიდან ამოიღეს სიტყვები „საბჭოთა სოციალისტური“ და მუხლი, რომელიც აღიარებდა კომუნისტური პარტიის წარმმართველ ძალას.

იმუშავეთ ჯგუფებში

dont copy

გაინაწილეთ ქვემოთ მოცემული სიტუაციები და უპასუხეთ კითხვებს. გამოიყენეთ დანართი 1, გვ. 256-262.

სიტუაცია 1

თენგო კარიბის ზღვაში მოცურავე სატვირთო გემის მეზღვაურია. გემს მეკობრეები დაესხნენ თავს და ყველა ტყვედ აიყვანეს. თენგომ მოახერხა და ქობულეთში ოჯახს თავისი ამბავი შეატყობინა. ოჯახმა სახელმწიფოს მიმართა თხოვნით, ჩაერთოს მეზღვაურის გათავისუფლების საქმეში.

- კონსტიტუციის რომელ მუხლზე, პუნქტზე დაყრდნობით ითხოვს ოჯახი სახელმწიფოს ჩარევას?

სიტუაცია 2

სახელმწიფომ კონკრეტულ ტერიტორიაზე გაზსადენი მილის გაყვანა განიზარახა. პროექტის მიხედვით, გაზსადენმა ზოგან გლეხების საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე უნდა გაიაროს. ხელისუფლების წარმომადგენლებმა მესაკუთრეებთან მოლაპარაკებები გამართეს იმ მიწის გამოსასყიდად, სადაც მილს უნდა გაევლო და ორივე მხარისათვის მისაღებ ფასზე შეთანხმდენენ.

- კონსტიტუციის რომელ მუხლზე დაყრდნობით მოქმედებდა სახელმწიფო? გლეხები?

სიტუაცია 3

მოხალისეები გაერთიანდნენ მოქალაქეებისთვის დემოკრატიული ცნობიერების ამაღლების მიზნით. საქმიანობის უფრო ფართოდ გასაშლელად და საამისოდ სახსრების მოსაზიდად მათ ჩამოაყალიბეს არასამთავრობო ორგანიზაციის წესდება, სახელიც – „დემოკრატიის ელჩები“ შეარჩიეს და არასამთავრობო ორგანიზაცია საჯარო რეესტრში დაარეგისტრირეს.

- კონსტიტუციის რომელი მუხლი აძლევს ადამიანებს მოხალისეობის უფლებას? არასამთავრობო ორგანიზაციის შექმნის უფლებას?

სიტუაცია 4

ხელისუფლებისა და ბიზნესის თანამშრომლობის მაგალითი: პანდემიის პირობებში – დისტანციური სწავლებისას, ყველა სკოლის მასწავლებლებსა და მოსწავლეებს საშუალება მიეცათ შეღავათიან ფასად ესარგებლათ მობილური ინტერნეტპაკეტით.

- კონსტიტუციის რომელი მუხლის საფუძელზე მოქმედებდა ხელისუფლება? ბიზნესის წარმომადგენელი?

სიტუაცია 5

დაუშვებულია ნებისმიერი სახის მშენებლობა და რეკონსტრუქცია, თუ ეს ობიექტები და საშუალებები არ მიესადაგება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებებსა და მოთხოვნილებებს.

- კონსტიტუციის რომელი მუხლის საფუძელზე იქნა მიღებული ეს კანონი?

სიტუაცია 6

პანდემიის გამო მთავრობამ კარანტინი გამოაცხადა და სასკოლო გაკვეთილები სასწრაფოდ ჩაანაცვლა ონლაინგაკვეთილებით.

- კონსტიტუციის რომელი მუხლის საფუძელზე იქნა მიღებული ეს გადაწყვეტილება?

dont copy

დავალება

მუშაობა დოკუმენტთან

გაეცანით „საქართველოს კონსტიტუციის“ მეორე თავს „ადამიანის ძირითადი უფლებები“ (იხ. დანართი 1, გვ. 256-262). გამოყავით უფლებები და თავისუფლებები, რომლებიც ყველა ადამიანს აქვს და უფლებები, რომლებიც მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებზე ვრცელდება. გადაიხაზეთ ცხრილი რვეულში და შეავსეთ მაგალითის შესაბამისად.

ადამიანის უფლებები	მოქალაქის უფლებები
სიცოცხლის უფლება	რეფერენდუმსა და არჩევნებში მონაწილეობის უფლება

ცხრილის შევსების შემდეგ იმსჯელეთ: • რატომ განასხვავებს საქართველოს კონსტიტუცია ადამიანისა და მოქალაქის უფლებებს? • როდის იწყება ადამიანის უფლებების ამოქმედება? როდის – მოქალაქის უფლებების? • რომელ დამატებით პასუხისმგებლობასა და ვალდებულებას უკავშირდება მოქალაქეთა უფლებები?

> დემოკრატიის პრინციპი – პიროვნების თავისუფლების, ღირსებისა და თანასწორობის აღიარება პრივილეგირებულ ღირებულებად.

დემოკრატიულ სახელმწიფოებში ყველა თანასწორია. არცერთი მოქალაქის მიმართ არ შეიძლება კანონის ბოროტად გამოყენება, როცა საქმე ეხება მის ქონებას, მის ღირსებას ან მის სიცოცხლეს.

მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლების დაცვის სამართლებრივ საშუალებებს წარმოადგენს **კონსტიტუციური გარანტიები**, ე.ი. იმ ხერხებისა და მეთოდების ერთობლიობა, რომლებიც გათვალისწინებულია კონსტიტუციური ნორმებით. სახელმწიფოს სუვერენული ხელისუფლება მოქალაქეებზე ვრცელდება როგორც იმ სახელმწიფოს ტერიტორიაზე, რომლის მოქალაქეცაა პირი, ისე მის ფარგლებს გარეთ. ინდივიდს უფლება აქვს მოითხოვოს თავისი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა იმ სახელმწიფოსაგან, რომლის მოქალაქეც არის.

საქართველოს კონსტიტუციაში ადამიანისა და ხელისუფლების ურთიერთობა განიხილება იმ ჭრილში, რასაც „ხელისუფლება – ადამიანისათვის“ ეთქმის. კონსტიტუცია აკანონებს სახელმწიფოს ვალდებულებას ადამიანისა და მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველსაყოფად; სწორედ სახელმწიფო უნდა იყოს მათი დაცვისა და რეალიზაციის უმთავრესი გარანტი.

dont copy

იმუშავეთ წყვილებში

ჩამოწერეთ სკოლის დამთავრების შემდეგ თქვენი პირადი გეგმების 3-4 პუნქტი (ჯანმრთელობის, განათლების, პროფესიის, ხელობის, ბიზნესის... მიმართულებით); მოძებნეთ კონსტიტუციის მე-2 თავში (იხ. დანართი 1, გვ. 256-262) თქვენი მიზნების რეალიზებისთვის შესაბამისი პუნქტები და წარმოდგენისას იმსჯელეთ, როგორ გარანტიებს გიქმნით კონსტიტუცია მიზნების განსახორციელებლად.

საქართველოს კონსტიტუცია ცალსახად აღიარებს საქართველოს მოქალაქეთა თანასწორობას სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში; რაც გულისხმობს:

- კანონის წინაშე თანასწორობას
- გადასახადების წინაშე თანასწორობას
- უფლებებისა და თავისუფლებების გამოყენების თანასწორობას

ამა თუ იმ ქვეყნის კონსტიტუციის დემოკრატიულობის დონის შეფასების კრიტერიუმთა შორის ერთ-ერთი უმთავრესი არის ის, თუ როგორ ზრუნავს იგი უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირთა მიმართ. ამ მხრივაც, ჩვენი სახელმწიფო საერთაშორისო დემოკრატიული სტანდარტებისა და ჩვენი საუკუნოვანი ტრადიციების შესაბამის მიდგომებს საკანონმდებლო დონეზე ამკვიდრებს.

რასიზმი – გააზრებული ან გაუაზრებელი რწმენა ერთი რასის აღმატებულობის შესახებ მეორის მიმართ.

ადამიანის ღირსება და პიროვნული ღირსება

თუ ადამიანს არ შეუძლია იმის თქმა, რასაც ფიქრობს, ან მას აიძულებენ თქვას ის, რასაც არ ეთანხმება, ამით შეურაცხყოფენ მის ღირსებას. თუ ადამიანს დაუსაბუთებელ უარს ეუბნებიან გადაადგილების თავისუფლებაზე, ეს ასევე შეურაცხყოფს მის ღირსებას. გაგვიჭირდება ადამიანის ისეთი უფლების დასახელება, რომლის დარღვევა არ შეურაცხყოფს ადამიანურ ღირსებას. აქედან გამომდინარე, ადამიანური ღირსება ადამიანის უფლებების საფუძველთა საფუძველია.

არსებობს პიროვნული და ადამიანური ღირსება. ადამიანური ღირსება თავად კაცობრიობის ბუნებიდან გამომდინარეობს, ის ერთნაირად აქვს როგორც ახალშობილს, ამქვეყნად ჯერ რომ არაფერი გაუკეთებია, ისე თავზეხელაღებულ ბოროტმოქმედს. პიროვნული ღირსება კეთილშობილური საქციელით, ინდივიდის ქცევითა და საქმეებით მიიღწევა.

> დემოკრატიულად ორგანიზებული სახელმწიფო ესწრაფვის აღზარდოს არა მარტო პიროვნება, არამედ, პირველ ყოვლისა, მოქალაქე. უდავოა, რომ დემოკრატია დაინტერესებულია შეგნებულ მოქალაქეთა აღზრდით, რომლებსაც უნარი ექნებათ შემოქმედებითად ჩაერიონ სახელმწიფოს ცხოვრების განვითარების პროცესში...
>
> *დიმიტრი უზნაძე*

იმსჯელეთ

გაეცანით ქვემოთ მოცემულ სიტუაციას და უპასუხეთ კითხვებს:

- დაირღვა თუ არა სიტუაციის გმირის უფლება/უფლებები?
- კონკრეტულად რომელი უფლება დაირღვა?
- ამ შემთხვევაში, შეილახა თუ არა მერის ადამიანური ღირსება? რატომ?
- სწორად მოიქცა მერი, როდესაც რეაგირების გარეშე დატოვა ანას ქცევა? რატომ?
- თქვენ როგორ მოიქცეოდით?

dont copy

სიტუაცია

მერი დილის 9 საათზე უკვე საპენსიო ფონდში იყო. უნდა გაერკვია, ხელფასიდან რატომ უკავებდნენ თანხას დაგროვებითი პენსიისთვის, როცა საამისოდ სურვილი არ გამოუთქვამს. ყველაფერი კარგად აეწყო, რიგმაც დროულად მოუწია, კოვიდწესებიც კარგად იყო დაცული. დამშვიდდა სკოლაში დროულად მივალო. ახალგაზრდა თანაშემწეს თანმიმდევრულად უამბო თავის პრობლემაზე. გოგონამ ტელეფონიდან მხოლოდ მაშინ ამოხედა, როცა მერიმ საუბარი დაასრულა და მოულოდნელად ჰკითხა: „რა საქმეზე მოხვედით, რა გნებავთო?“ „თუ არ მისმენდით, რატომ მალაპარაკებდით?“ – უსაყვედურა მერ-

ხშირად ვფიქრობ, არის თუ არა ჩვენი იმედები დამყარებული კონსტიტუციაზე, კანონებსა და სასამართლოებზე. მერწმუნეთ, ეს ცრუ იმედებია. თავისუფლება მამაკაცთა და ქალთა გულებშია; როდესაც ის იქ მოკვდება, ვერც კონსტიტუცია, ვერც კანონი, ვერც ერთი სასამართლო ვერაფერს გააკეთებს მის დასახმარებლად.

ამერიკელი მოსამართლე ლერნ ჰენდი

იმ, მაგრამ რას იზამდა? ხელახლა დაიწყო ამბის მოყოლა... გოგონამ რაღაც ჩაინიშნა, დამელოდეთო უთხრა და გავიდა. ლოდინი დიდხანს გაგრძელდა. თანაშემწე არ ჩანდა. იქვე მეორე თანამშრომელთან მოქალაქეები ერთმანეთს ენაცვლებოდნენ. ესმოდა როგორ სხარტად და თავაზიანად პასუხობდა თითოეულს. მერი იძულებული გახდა ახლა მისთვის მიემართა. გოგონამ გადარეკა: „ანი, მოქალაქე გელოდებაო..“ ხუთი წუთის შემდეგ ანი დაბრუნდა, „მოთმინება არ გყოფნით? კი არ ვთამაშობ, თქვენს აბდაუბდა საქმეს ვარკვევო...“ – უხეშად უთხრა და ფურცელი გადმოაწოდა, თან ირონიულად დააყოლა „იმ კვირაში მობრძანდით, წინასწარ დამამშვიდებელი დალიეთ, მოუთმენლობამ რომ არ შეგაწუხოთო.“

შეპასუხების დრო აღარ იყო. მერის სკოლაში ეჩქარებოდა და ავტობუსის გაჩერებისკენ სირბილით გაემართა.

იმუშავეთ ჯგუფებში

1. წარმოიდგინეთ, რომ ამზადებთ საგაზეთო სტატიას „ადამიანის ღირსება და პიროვნული ღირსება“, რომელშიც უნდა ჩამოაყალიბოთ თქვენი მოსაზრებები: რა როლი აქვს საზოგადოების ცხოვრებაში ადამიანის ღირსების, პიროვნული ღირსების დაცულობას; რა საშუალებებით უნდა იყოს უზრუნველყოფილი ამ ღირებულებათა დაცვა – რა უნდა გააკეთოს ამისთვის სახელმწიფომ და თავად საზოგადოებამ?
2. წარმოიდგინეთ, რომ ხართ მოხალისე ადამიანის უფლებათა დამცველები და ჯგუფში მოამზადეთ თემატური პოსტი, რა უნდა ვიცოდეთ ადამიანური ღირსების და მისი დაცვის მექანიზმების შესახებ“ (დაიმოწმეთ მაგალითები, თქვენთვის ცნობილი ისტორიები ცხოვრებიდან, ფილმიდან, ნიკო ლორთქიფანიძის მოთხრობიდან „დადიანის ასული და მათხოვარი“). წარუდგინეთ კლასს პოსტის ტექსტი და პასუხი გაეცით თანაკლასელთა კითხვებს.

do not copy

ადამიანის უფლებები საყოველთაოა, ვინაიდან ისინი ეფუძნება თითოეული ადამიანის ღირსებას, მიუხედავად განსხვავებისა. განსხვავებული შეიძლება იყოს:

სახალხო დამცველი

საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანის უფლებების დაცვას ზედამხედველობს საქართველოს **სახალხო დამცველი** (ომბუდსმენი). სახალხო დამცველის მოვალეობა და ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა მოქალაქეების პრობლემის მოსმენა და მასზე რეაგირებაა.

სახალხო დამცველის ძირითადი ფუნქციაა პიროვნების დაცვა ხელისუფლების აღმასრულებელი ორგანოებისა და სახელმწიფო მოხელეების მიერ უფლებამოსილების შეუსაბამო და ბოროტად გამოყენების შემთხვევისაგან. **იგი საქმეში ერევა მაშინ, როცა კანონი ირღვევა.** მისი განხილვის საგანია მოქალაქის ურთიერთობა სახელმწიფო ორგანოებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და არა – სამოქალაქო ურთიერთობის დავები.

სახალხო დამცველი (ომბუდსმენი) – კონსტიტუციური ინსტიტუტი, რომელიც ზედამხედველობას უწევს საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას, ავლენს მათი დარღვევის ფაქტებს, ხელს უწყობს დარღვეული უფლებების აღდგენას.

სახალხო დამცველის საქმიანობის მაგალითი:

ერთ-ერთი გახმაურებული საქმე, რომელიც ბავშვებს ეხებოდა, იყო თბილისის გარეუბანში მდებარე ბავშვთა პანსიონის საქმე. პანსიონის რამდენიმე მოსწავლემ ძალადობრივი მოპყრობის კონკრეტულ ფაქტებზე სახალხო დამცველს შეატყობინა. სახალხო დაცველმა აღნიშნული ინფორმაცია მიაწოდა ხელისუფლების შესაბამის სტრუქტურებს, რომლებმაც გამოძიება დაიწყეს. ფაქტები დადასტურდა, დამნაშავეები საგანმანათლებლო საქმიანობას ჩამოაშორეს.

? რა შემთხვევაში შეგიძლიათ მიმართოთ სახალხო დამცველს?

dont copy

სახალო დამცველს შეგიძლიათ მიმართოთ:

- თქვენი ან სხვისი უფლებების დასაცავად;
- როცა ბავშვის მიმართ ძალადობენ;
- როცა განსხვავებული შეხედულების მქონე ადამიანს დევნიან;
- ხანდაზმულის უფლებებს არღვევენ;
- დასაქმებულს უსამართლოდ ეპყრობიან;
- პატიმარს აწამებენ ან არაადამიანურად ეპყრობიან;
- უმცირესობაში მყოფ მოქალაქეებს ავიწროებენ;
- განსხვავებების გამო უფლებას ართმევენ;
- თავისუფლებას უკანონოდ უზღუდავენ.

სახალხო დამცველს 6 წლის ვადით ირჩევს პარლამენტი (სრული შემადგენლობის არანაკლებ 3/5-ის მხარდაჭერით). მისი საქმიანობისათვის დაბრკოლებათა შექმნა ისჯება კანონით. სახალხო დამცველად ერთი და იმავე პირის ზედიზედ ორჯერ არჩევა დაუშვებელია.

საჭიროების შემთხვევაში დარეკე სახალხო დამცველის ოფისში და მიიღე უფასო კონსულტაცია ტელეფონზე – 1481

კონფიდენციალური – საიდუმლო, რომელიც არ უნდა გამჟღავნდეს.

საქართველოს სახალხო დამცველის მიერ პირისათვის გაწეული სამსახური უფასოა.

? რით დაგეხმარება სახალხო დამცველი?:

- სახალხო დამცველს შეუძლია რეკომენდაციები გაუგზავნოს იმ სახელმწიფო ორგანოს, თანამდებობის ან იურიდიულ პირს, რომელმაც განაპირობა თქვენი უფლებების დარღვევა;
- დანაშაულის ნიშნების გამოვლენის შემთხვევაში მის ხელთ არსებული მასალები გადასცეს საგამოძიებო ორგანოს;
- შეიტანოს წინადადებები შესაბამის ორგანოებში იმ პირთა პასუხისმგებლობის შესახებ, რომელთა მოქმედებამაც გამოიწვია თქვენი უფლებების დარღვევა;
- აცნობოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს ადამიანის უფლებათა დარღვევასთან დაკავშირებით;
- ინფორმაცია ადამიანის უფლებათა დარღვევების შესახებ გამოაქვეყნოს სპეციალურ მოხსენებებსა და ყოველწლიურ ანგარიშებში.

? როგორ შეგიძლიათ განცხადების/საჩივარის შეტანა?

- განცხადება ან/და საჩივარი უნდა იყოს დაწერილი სახალხო დამცველის სახელზე, გარკვევით, ქართულ ენაზე, უნდა მოიცავდეს ძირითადი საკითხის, გარემოებების აღწერას და განმცხადებლის ზუსტ მისამართს. განცხადება ან/და საჩივარი შეიძლება სახალხო დამცველს გამოეგზავნოს ფოსტით ან მოქალაქემ უშუალოდ მიიტანოს სახალხო დამცველის ოფისში.
- განმცხადებელის სურვილის შემთხვევაში მისი ვინაობა **კონფიდენციალური** დარჩება.

dont copy

გახსოვდეთ

ყოველი ადამიანი იბადება თავისუფალი და თანასწორი.

იმსჯელეთ

ქვემოთ წარმოდგენილია ბანერი, რომელიც ადამიანის უფლებების სწავლების პროცესში შესაძლო დარღვევას ასახავს.

- თქვენი აზრით, ხომ არ ხდება მსგავსი დარღვევები თქვენს გარემოში?
- რატომ გამოკვეთს სახალხო დამცველი საგან სამოქალაქო განათლების (მოქალაქეობის) სრულფასოვნად სწავლების საკითხს?
- რა მოლოდინი აქვს საზოგადოებას მოსწავლეებისგან, რომლებიც ამ საგნის კურსს სათანადოდ გაივლიან?
- თქვენ როგორ გამოიყენებთ ცხოვრებაში ადამიანის უფლებების შესახებ ცოდნას?

dont copy

ადამიანის უფლებებისა და ღირსების დაცვის გარანტი არის კონსტიტუცია, ხოლო სახალხო დამცველი სხვა ინსტიტუციებთან ერთად მოქალაქეებს იცავს ადამიანის უფლებების შელახვისაგან.

სასარგებლო რესურსი

- https://bit.ly/2MS3F5G
- https://www.ombudsman.ge/geo/konventsia

მოდელირება

კაზუსი

ერთ-ერთ გაზეთში გამოქვეყნებულ ინტერვიუში ცნობილმა კომპოზიტორმა ზურა კ-მ მომღერალ ნინო ბ-ს უგემოვნო და უპერსპექტივო მომღერალი უწოდა.

ნინო ბ-მ მიიჩნია, რომ ეს ინტერვიუ ლახავდა მის პატივსა და ღირსებას და რომ გაზეთს არ ჰქონდა უფლება, მისი ნებართვის გარეშე გამოექვეყნებინა ამგვარი სტატია, ამიტომ სასამართლოს მიმართა კომპოზიტორისა და გაზეთის წინააღმდეგ.

მოსარჩელემ თავისი მოთხოვნა შემდეგნაირად ჩამოაყალიბა:

- იმავე გაზეთის მეშვეობით გავრცელებული ინტერვიუს უარყოფა და ბოდიშის მოხდა;
- პატივისა და ღირსების შემლახველი ინფორმაციის გავრცელებისა და მორალური ზიანისთვის – ანაზღაურება 50 000 ლარის ოდენობით.

მოპასუხემ პოზიცია ასე დააფიქსირა:

- უარს აცხადებს ინფორმაციის უარყოფაზე, ვინაიდან ეს იყო კომპოზიტორის შეხედ-ულება და ინტერვიუ მიზნად არ ისახავდა პატივისა და ღირსების შელახვას.
- უსაფუძვლოა მოსარჩელის მოთხოვნა მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ.

წაიკითხეთ კაზუსი და მოემზადეთ შემდეგ გაკვეთილზე იმიტირებული სასამართლო პროცესის ჩასატარებლად. ამისათვის:

1. გაეცანით სასამართლო პროცესის მიმდინარეობას:

- დავას იხილავს სასამართლო კოლეგია 3 მოსამართლის მონაწილეობით სასამართ-ლოს თავმჯდომარე ხსნის სხდომას, ამოწმებს მხარეთა დასწრებას სხდომაზე და საზოგადოებას მოკლედ აცნობს განსახილველი საქმის შინაარსს;
- მხარეები გამოდიან სიტყვით; მოსამართლეები მხარეებს უსვამენ შეკითხვებს;
- მხარეებს, მოსამართლის თანხმობით, შეუძლიათ ერთმანეთს დაუსვან კითხვები;
- მხარეები გამოდიან დასკვნითი სიტყვით და აყალიბებენ მოთხოვნას;
- სასამართლო გადის სათათბირო ოთახში გადაწყვეტილების მისაღებად;
- სასამართლოს თავმჯდომარე კითხულობს გადაწყვეტილებას.

do not copy

2. გაინაწილეთ როლები:

- მოსარჩელე;
- მოსარჩელის ადვოკატი;
- პირველი მოპასუხე – გაზეთის რედაქტორი;
- პირველი მოპასუხის ადვოკატი;
- მეორე მოპასუხე კომპოზიტორი ზურა ბ.
- მეორე მოპასუხის ადვოკატი;
- სასამართლოს თავმჯდომარე;
- მოსამართლე;

- მოსამართლე;
- სხდომის მდივანი.

სურვილის შემთხვევაში შესაძლოა გაიზარდოს ადვოკატთა რიცხვი ან დანარჩენი მოსწავლეები უბრალოდ დაესწრონ და დააკვირდნენ განხილვას.

3. როლების მიხედვით მოემზადეთ პროცესისათვის:

- მოსარჩელისა და მოპასუხის მხარეებმა უნდა შეიმუშაონ თავიანთი პოზიცია; ადვოკატებმა უნდა მოამზადონ ახსნა-განმარტებითი სიტყვა, შეკითხვები და უნდა მოემზადონ სასამართლო კამათისთვის;
- მოსარჩელე და მოპასუხე ამზადებენ სასამართლოში წარმოსათქმელ სიტყვას;
- სასამართლოს შემადგენლობა შეისწავლის საქმეს, ამზადებს პროცესს და შეკითხვებს მხარეებისთვის.

მოსარჩელის მხარდამჭერმა გუნდმა (მოსარჩელე, მისი ადვოკატები) უნდა დაამტკიცოს სასარჩელო მოთხოვნა.

მოპასუხის მხარდამჭერთა გუნდმა (მოპასუხე და მისი ადვოკატები) უნდა დაამტკიცოს, რომ მოსარჩელის მოთხოვნა უსაფუძვლოა.

სასამართლო (სასამართლოს სხდომის თავმჯდომარე, მოსამართლეები, სასამართლოს სხდომის მდივანი) – ისმენს მხარეთა პოზიციას, აფასებს მათ არგუმენტებს და ადგენს გადაწყვეტილებას. სასამართლოს განაჩენი უნდა იყოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი.

ქვემოთ მოცემული დამატებითი მასალა დაგეხმარებათ იმიტირებული სასამართლო პროცესის მომზადებაში. გამოიყენეთ საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი: 9, 17, 20, 34 (იხ. დანართი 1, გვ. 256-262).

dont copy

სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 18

1. პირს უფლება აქვს სასამართლოს მეშვეობით მოითხოვოს იმ ცნობების უარყოფა, რომლებიც ლახავს მის პატივს, ღირსებას, პირადი ცხოვრების საიდუმლოებას, პირად ხელშეუხებლობას ან საქმიან რეპუტაციას, თუ ამ ცნობების გამავრცელებელი არ დაამტკიცებს, რომ ისინი სინამდვილეს შეეფერება.

3. თუ პირის პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის ან პირადი ცხოვრების საიდუმლოების შემლახველი ცნობები გავრცელდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებით, მაშინ მათი უარყოფაც უნდა მოხდეს ამავე საშუალებით.

4. პირს, რომლის პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობებიც გამოქვეყნდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, უფლება აქვს გამოაქვეყნოს საპასუხო ცნობა ინფორმაციის იმავე საშუალებით.

6. თუ დარღვევა გამოწვეულია ბრალეული მოქმედებით, პირს შეუძლია მოითხოვოს მატერიალური ან/და მორალური ზიანის (ზარალის) ანაზღაურებაც.

თემა 1. ცენტრალური ხელისუფლება

საკითხი: ხელისუფლების დანაწილება

ყურადღება!

აირჩიე ერთ-ერთი

კომპლექსური დავალება 1

გაეცანი სიტუაციას:

ქალაქ N-ში 15-მდე ქუჩაში მცხოვრები ბავშვია. ისინი ოჯახებს სხვადასხვა მიზეზის (დაობლების, ძალადობისაგან თავის დაღწევის, სიღარიბის, მშობლების პატიმრობის) გამო მოწყდნენ. თავს მათხოვრობით და წვრილ-წვრილი საქმიანობით ირჩენენ. ისინი ღამეს მიტოვებულ ავარიულ შენობაში ათევენ. მათ რამდენჯერმე მიმართეს ადგილობრივ ხელისუფლებას თხოვნით, მოეწყო თავშესაფარი, სადაც ბავშვები დაიძინებდნენ, ჰიგიენურ საჭიროებებს მოიგვარებდნენ და რომელიმე სასწავლო პროგრამაშიც ჩაერთვებოდნენ. ხელისუფლებისგან დაპირება ბევრჯერ მიიღეს, მაგრამ დაპირება დაპირებად დარჩა–ბავშვები ისევ თავშესაფრის გარეშე არიან. ზამთრის მოახლოვება მათ პრობლემას უფრო ამძაფრებს. წარმოიდგინე, რომ შენ ბავშვის უფლებათა დამცველი აქტივისტი ხარ და ამ ბავშვების ჯგუფმა გთხოვა, დაუწერო **წერილი** (200 სიტყვა) საქართველოს სახალხო დამცველის სახელზე.

ნაშრომში /ნაშრომის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინე:

- როგორ ეზღუდებათ ქუჩაში მცხოვრებ ბავშვებს საცხოვრისის ქონისა და განათლების მიღების უფლება და რომელი სამართლებრივი დოკუმენტი/დოკუმენტები იცავს ამ უფლებებს?
- რა საშუალებები, ბერკეტები აქვს ხელისუფლების თითოეულ შტოს ამ ბავშვების უფლებათა განხორციელებისთვის?
- დემოკრატიის რომელი პრინციპი დაარღვია ამ სიტუაციაში ქალაქის ხელისუფლებამ?

dont copy

პრეზენტაციის შემდეგ ისაუბრე:

რა სტრატეგიები გამოიყენეთ/რა ნაბიჯები გადადგით დავალებაზე მუშაობის სხვადასხვა ეტაპზე; რას გააკეთებდით განსხვავებულად ახლიდან რომ იწყებდეთ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობას.

რჩევები:

ნაბიჯი 1. გაეცანი სიტუაციას;

ნაბიჯი 2. დავალების დაწყებამდე გაეცანი ,,ბავშვის უფლებათა კოდექსის“ მუხლი 35; 41; 87; თავი XII https://matsne.gov.ge/ka/document/view/4613854?publication=1

ნაბიჯი 3. განსაზღვრე ხელისუფლების თითოეული შტოს და სამოქალაქო სექტორის როლი (რა უნდა გაეკეთებინა? რა გააკეთა? ერთმანეთი როგორ გააკონტროლეს?) შექმნილ სიტუაციებიაში;

კომპლექსური დავალება 2

წარმოიდგინე, რომ ხარ დემოკრატიის ექსპერტი და განსახილველად გადმოგცეს კონკრეტული სიტუაცია (ქვემოთ იხილე სიტუაცია). მისი შესწავლისა და გაანალიზების საფუძველზე **დაწერე დასკვნა** (200-250 სიტყვა), **რომელშიც ასახავ, როგორ განხორციელდა ხელისუფლების** დანაწილების პრინციპი მოცემული სიტუაციის მაგალითზე.

ანგარიშში/ პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინე:

- რამდენად არის დაცული მოცემულ სიტუაციაში ლ.ი.-ს თავისუფლება/თანასწორობა/ ადამიანის ღირსება?
- ლ.ი.-ის რომელი უფლება/უფლებები დაირღვა და რომელი სამართლებრივი დოკუმენტით არის დაცული ეს უფლება/უფლებები?
- როგორ იცავს (ან არღვევს) ხელისუფლების თითოეული შტო (მისი სტრუქტურა) ლ.ი.-ს უფლებებს?
- როგორ დააბალანსა სასამართლო ხელისუფლებამ აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი სტრუქტურის (ჯანდაცვის) ხარვეზი?

პრეზენტაციის შემდეგ ისაუბრე:

- რა სტრატეგიები გამოიყენე/რა ნაბიჯები გადადგი დავალებაზე მუშაობის სხვადასხვა ეტაპზე; რას გააკეთებდი განსხვავებულად, ხელახლა რომ იწყებდე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობას.

dont copy

რჩევები:

ნაბიჯი1. გაეცანით სიტუაციას

ნაბიჯი2. გაეცანით ,,ბავშვის უფლებათა კოდექსის“ მუხლი 69; 89; 90;

https://matsne.gov.ge/ka/document/view/4613854?publication=1

ნაბიჯი 3. განსაზღვრე ხელისუფლების თითოეული შტოს და სამოქალაქო სექტორის როლი (რა უნდა გაეკეთებინა? რა გააკეთა? ერთმანეთი როგორ გააკონტროლეს?) შექმნილ სიტუაციაში;

რესურსი 1

სიტუაცია

სასამართლომ მთავრობას ბავშვის მხარდაჭერის უზრუნველყოფა დაავალა

ლ.ი. ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრში სამ თვეზე მეტია იმყოფება. მისი გამოკეტვის ერთადერთი მიზეზი მისთვის საჭირო სერვისის სტაციონარის გარეთ არარსებობა გახდა. ამ სარეაბილიტაციო სერვისის გარეშე მოზარდის ოჯახი ვერ იცავდა მის უსაფრთხოებას და სიცოცხლეს. ამიტომ იძულებული გახდა, ბავშვის გადასარჩენად სასწრაფო დახმარება გამოეძახა. სასწრაფომ იგი ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრში გადაიყვანა, რადგან მთელ საქართველოში სხვა ალტერნატიული სერვისი არ მოიძებნა. ლ.ი ცენტრში სრულიად იზოლირებული, ოჯახისგან მოწყვეტილი სტრესულ ვითარებაში იყო და უარს ამბობდა დედის გარეშე კვებაზე.

დედა ყველა უწყებას სთხოვდა ბავშვის გამოყვანაში დახმარებას და უარის მიღების გამო იძულებული გახდა, მიემართა სასამართლოსთვის. სასამართლომ გაითვალისწინა ოჯახის და ამ საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციის ადვოკატების მოთხოვნა: ლ.ი.-სთვის ადეკვატური სარეაბილიტაციო სერვისის შექმნამდე, მთავრობას დაავალა, ოჯახისთვის გამოეყოთ ორი პერსონალური ასისტენტი, თერაპიული კვალიფიკაციით, 12 საათის განმავლობაში, უქმე დღეების ჩათვლით. ამ დახმარების საფუძველზე შეძლო ლ.ი.-მ სამედიცინო დაწესებულების დატოვება და ოჯახში დაბრუნება.

don't copy

სასამართლოს გადაწყვეტილება წარმოადგენს უპრეცედენტო შემთხვევას და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვისთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის, სიცოცხლის, უსაფრთხოების და თანასწორობის უფლების, თემში ცხოვრების შესაძლებლობის დაცვის მაგალითს.

თანამედროვე სახელმწიფოებში დემოკრატიულ და ეფექტურ მმართველობას უზრუნველყოფს ხელისუფლების დანაწილების პრინციპი – ძალაუფლება განაწილებულია 3 შტოს – საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებას შორის. ეს პრინციპი დემოკრატიულ სახელმწიფოებში ძალის დაბალანსებისა და იმისთვის არსებობს, რომ მთელი ძალაუფლება ერთი პირის ან ჯგუფის ხელში არ კონცენტრირდეს.

ადგილობრივი ხელისუფლების ფუნქცია-მოვალეობები ვრცელდება შესაბამის მუნიციპალიტეტში, ხოლო ცენტრალური ხელისუფლების ფუნქციები და მოვალეობები ვრცელდება მთელი ქვეყნის მასშტაბით.

ხელისუფლების თითოეული შტო დამოუკიდებელია, არც ერთ მათგანს არა აქვს უფლება, ჩაერიოს ან მიითვისოს მეორეს ძალაუფლება, თუმცა შესაძლებელია, კანონის შესაბამისად, ხელისუფლების ერთი შტო მონაწილეობდეს მეორეს არჩევაში ან კონტროლს ახორციელებდეს მის საქმიანობაზე.

ხელისუფლების შტოების დამოუკიდებლობა არ ნიშნავს მათ იზოლაციას ერთმანეთისაგან. თითოეულ მათგანს კონსტიტუციით დადგენილი წესით შეუძლია ერთმანეთის კონტროლი მაგ: საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია გააუქმოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონი; საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები კი მონაწილეობენ საკონსტიტუციო სასამართლოების მოსამართლეების არჩევაში. აუცილებელია ერთმანეთისგან განვასხვაოთ **„სახელმწიფოს“** და **„ხელისუფლების“** ცნებები.



სახელმწიფო წარმოადგენს პოლიტიკურ ორგანიზაციას, რომელსაც აქვს სუვერენიტეტი კონკრეტულ ტერტორიასა და მასზე მცხოვრებ ხალხზე.

ხელისუფლება კი წარმოადგენს სამ დამოუკიდებელ შტოს, რომელიც ქმნის და აღასრულებს კანონებს სახელმწიფოს შიგნით, ახორციელებს საშინაო და საგარეო პოლიტიკას და აკონტროლებს სახელმწიფოში კანონებისა და ადამიანის უფლებების განუხრელ დაცვას.

doc copy

? რას გულისხმობს ხელისუფლების დანაწილების პრინციპი?

ხელისუფლების დანაწილების პირობებში, შესაძლებელი ხდება სახელმწიფო გადაწყვეტილებების მაქსიმალურად კვალიფიციურად, ობიექტურად

კორუფცია – საჯარო ხელისუფლების ბოროტად გამოყენება პირადი ან ჯგუფური გამორჩენის მიზნით.

და მიუკერძოებლად მიღება. თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოში ეფექტური და სამართლიანი მართვის წინაპირობად სწორედ ამგვარი მიდგომაა მიჩნეული. ძალაუფლების კონცენტრირება თავისთავად შეიცავს **კორუფციის** რისკებს. როგორ უნდა ჩამოყალიბდეს ხელისუფლება, რომ მის არსში თავიდანვე იყოს ჩადებული ბარიერები კანონსაწინააღმდეგო ქმედებისათვის?

ხელისუფლების დანაწილების პრინციპი გულისხმობს ხელისუფლების 3 შტოს: **საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო,** ერთი მხრივ, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლობას, მათი კომპეტენციების მკვეთრ გამიჯვნას, როგორც უფლებამოსილებების, ისე შესაბამისი პასუხისმგებლობის მკაფიო განაწილებას, მეორე მხრივ – ურთიერთკონტროლსა და გაწონასწორებას.

don't copy

- სახელისუფლებო შტოების დანაწილება და ბალანსი სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობის აუცილებელი პირობაა;
- მედია და არასამთავრობო სექტორი ხელისუფლების სამივე შტოსა და ერთმანეთის დაბალანსებაზე მონიტორინგს ახორციელებს.

საკანონმდებლო ხელისუფლება

საქართველოს პარლამენტი არის ხალხის მიერ არჩეული ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც ახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლებას. პარლამენტის ძირითადი ფუნქცია არის:

- ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის განსაზღვრა;
- კანონების მიღება;
- აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლი;
- და სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.

don't copy

საქართველოს პარლამენტის ფორმირება ხდება საყოველთაო, თავისუფალი, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული **კენჭისყრით**, 4 წლის ვადით ერთიან მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქში პროპორციული სისტემით არჩეული 150 პარლამენტარისაგან.

კენჭისყრა – რაიმე გადაწყვეტილების მისაღებად ხმის მიცემა, რაიმე საკითხთან დაკავშირებით საკუთარი აზრის ოფიციალურად დაფიქსირება.

ეს საინტერესოა

საკანონმდებლო ხელისუფლების სახელწოდება სხვადასხვა ქვეყნებში შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს, მაგალითად: გერმანია – ბუნდესტაგი; აშშ – კონგრესი; ესპანეთი – გენერალური კორტესები; უკრაინა – რადა; პოლონეთი – სეიმი; თურქეთი – მეჯლისი; შვეიცარია – რიგს დაგი; ისრაელი – ქნესეთი. საქართველოში კი ბევრი სხვა ქვეყნის მსგავსად უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოს პარლამენტი ეწოდება.



საქართველოს პარლამენტი ახორციელებს საპარლამენტო კონტროლს მთავრობისა და მის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების საქმიანობაზე. კონტროლი შეიძლება განხორციელდეს შემდეგი სახით:

- პერიოდული ანგარიშის მოსმენა,
- თანამდებობის პირის დაბარება სხდომაზე;
- თანამდებობის პირისთვის შეკითხვით მიმართვა და სხვა.

აღმასრულებელი ხელისუფლება

საქართველოში აღმასრულებელ ხელისუფლებას წამოადგენს პრეზიდენტი და მთავრობა.

dont copy

საქართველოს პრეზიდენტი არის საქართველოს სახელმწიფოს მეთაური, ქვეყნის ერთიანობისა და ეროვნული დამოუკიდებლობის გარანტი. საქართველოს პრეზიდენტი არის საქართველოს სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდალი და ასევე, წარმოადგენს საქართველოს საგარეო ურთიერთობებში.

საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 49.

საქართველოს მთავრობა არის აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანო, რომელიც ახორციელებს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკას. მთავრობა ანგარიშვალდებული და პასუხისმგებელია პარლამენტის წინაშე. მთავრობა შედგება პრემიერ-მინისტრისა და მინისტრებისგან.

საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 54.

მთავრობის სტრუქტურა



მთავრობის მეთაურია პრემიერ-მინისტრი. პრემიერ-მინისტრი განსაზღვრავს მთავრობის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, ორგანიზებას უწევს მთავრობის საქმიანობას, ახორციელებს მინისტრების საქმიანობის კოორდინაციასა და კონტროლს, ხელს აწერს მთავრობის სამართლებრივ აქტებს. პრემიერ-მინისტრი წარმოადგენს საქართველოს საგარეო ურთიერთობებში, დებს საერთაშორისო ხელშეკრულებებს საქართველოს სახელით.

საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 55.

იმპიჩმენტი – კონსტიტუციური კანონმდებლობით გათვალისწინებული უმაღლესი თანამდებობის პირების თანამდებობიდან გადაყენება. კონსტიტუციის დარღვევისა და დანაშაულის ჩადენის ბრალდებით მათი საქმეების პარლამენტში სასამართლო განხილვის განსაკუთრებული წესი – პროცედურა.

იმსჯელეთ

ქვემოთ მოცემულია ურთიერთზეგავლენის ამსახველი სქემა ხელისუფლების 2 შტოს შორის.

- სქემის გამოყენებით აღწერეთ დამოკიდებულება მათ შორის.
- თქვენი აზრით, რას ემსახურება ეს დამოკიდებულება?
- რა დასკვნის გაკეთება შეგიძლიათ ამ სქემებიდან?

dont copy

პარლამენტი და მთავრობა



პარლამენტი და პრეზიდენტი



იმუშავეთ ჯგუფებში

განიხილეთ ქვემოთ მოცემული სიტუაციები.

- თქვენი აზრით, როგორ იმოქმედა პარლამენტის/მთავრობის მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ სიტუაციის გმირებზე?
- გაიხსენეთ მსგავსი შემთხვევა, როცა ხელისუფლების რომელიმე შტოს გადაწყვეტილება უშუალოდ აისახა თქვენ ოჯახზე, ნათესავზე, მეზობელზე.

სიტუაცია 1

ნოდარი გერმანიის უნივერსიტეტის სტუდენტია. როცა ქვეყანაში კორონავირუსი გავრცელდა, მთავრობამ საზღვრების დაკეტვის გადაწყვეტილება მიიღო. ამ გადაწყვეტილებამ ნოდარის ოჯახი ძალიან დაამწუხრა: – „რა უნდა გააკეთოს სტუდენტურ საცხოვრებელში გამომწყვდეულმა ბიჭმა ამდენ ხანს, ასეთ საშიშ დროს, თან მარტომ?“ – დარდობდნენ მშობლები.

მთავრობამ მალევე გამოაცხადა, რომ საზღვრებს გარეთ დარჩენილ მოქალაქეებს თავისი ხარჯით ჩამოიყვანდა საქართველოში. გარკვეული დროის შემდეგ ასეც მოხდა.

სიტუაცია 2

სახელმწიფო პოლიტიკა მიმართულია განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდაზე, სახელმწიფო ენის ცოდნის გაუმჯობესებაზე. კონკრეტული ნაბიჯი ამ მიმართულებით იყო ე.წ. 1+4 პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს მისაღები გამოცდის ჩაბარებას სომხურ, აზერბაიჯანულ, აფხაზურ, ოსურ ენებზე და სათანადო ქულების დაგროვების შემთხვევაში, უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობას. ახალგაზრდები ერთი წლის განმავლობაში გადიან ქართულ ენაში მომზადების კურსს და შემდგომ აგრძელებენ სწავლას მათთვის სასურველ ფაკულტეტზე. შედეგად საგრძნობლად გაიზარდა ეთნიკურ უმცირესობათა სტუდენტების რაოდენობა საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში, რაც ცალსახად ამ პროგრამის დამსახურებაა.

dont copy

> სახელმწიფო ძლიერია, როცა იქ კანონებს იცავენ!
>
> *ევრიპიდე*

სასამართლო ხელისუფლება

სასამართლო ხელისუფლება თვალს ადევნებს, რომ ქვეყანაში ყველა კონსტიტუციისა და კანონების მიხედვით მოქმედებდეს. საკონსტიტუციო კონტროლს ახორციელებს საკონსტიტუციო სასამართლო, ხოლო მართლმსაჯულებას – საერთო სასამართლოები. **მართლმსაჯულება ხორციელდება მხოლოდ სასამართლოს გზით.**

სასამართლო ხელისუფლება ხასიათდება სამი ძირითადი ნიშნით:

I – დამოუკიდებლობა ხელისუფლების დანარჩენი შტოებისგან;

II – კანონდებლობის, მათ შორის კონსტიტუციური ნორმების, დაცვა;

III – აღმასრულებელი ხელისუფლების გადაწყვეტილებებზე და მოქმედებებზე ზედამხედველობა და კონტროლი.

საქართველოში, როგორც დემოკრატიული მმართველობის სხვა ქვეყნებში, საერთო სასამართლოს სამი ინსტანცია არსებობს:

I – **საქალაქო**/რაიონული სასამართლები;

II – **სააპელაციო** სასამართლოები თბილისსა და ქუთაისში;

III – **საკასაციო** (უზენაესი) სასამართლო.

აპელაცია – გასაჩივრება. აპელაციას მიმართავენ, როდესაც მხარეს ან მხარეებს არ აკმაყოფილებთ პირველი ინსტანციის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლოს აქვს უფლება არსებითად გადასინჯოს საქმე და გამოიტანოს თავისი გადაწყვეტილება.

სასამართლო ხელისუფლება

საკონსტიტუციო კონტროლით (საკონსტიტუციო სასამართლო)

მართლმსაჯულებით (საერთო სასამართლოები)

საკონსტიტუციო სასამართლო იხილავს კონსტიტუციურ დარღვევებს

3 წევრს ნიშნავს პრეზიდენტი	3 წევრს ნიშნავს უზენაესი სასამართლო
შედგება 9 წევრისგან, რომლებიც ირჩევენ თავმჯდომარეს 5 წლის ვადით	
3 წევრს ირჩევს პარლამენტი (არანაკლებ 3/5)	მოსამართლის განწესება ხდება 10 წლის ვადით

საერთო სასამართლო



dont copy

პირველი ინსტანცია – სასამართლოს ყველაზე ქვედა რგოლი, სადაც იწყება დავის განხილვა.

მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელი და მიუკერძოებელია; იღებს სამართლიან და კანონიერ გადაწყვეტილებებს; ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციასა და კანონს.

სასამართლო ხელისუფლება დამოუკიდებელია და მას ახორციელებს მხოლოდ სასამართლოები.

ყველა მოქალაქეს აქვს შესაძლებლობა საკუთარი უფლებების დასაცავად მიმართოს სასამართლოს.



კონკრეტული სიტუაციის მაგალითზე გავაანალიზოთ როგორ მოქმედებს ხელისუფლების დანაწილების პრინციპი და ავსახოთ იგი სქემაში.

15 წლის გოგონა, რომელიც კარგად სწავლობდა, სტუდენტობაზე ოცნებობდა და გათხოვების წინააღმდეგი იყო, მისი და „საქმროს“ ოჯახების გარიგების საფუძველზე მოიტაცეს. სკოლამ მომხდარის შესახებ შესაბამის ორგანოებს აცნობა, აღიძრა საქმე, სასამართლომ გამოიტანა განაჩენი. მანამდე გოგონას უფროსი და იმავე წესით გაათხოვეს, თუმცა ნაძალადევი ოჯახის შენარჩუნებისთვის ტრადიციები საკმარისი არ აღმოჩნდა. ოჯახი დაინგრა, მაგრამ ახალგაზრდას დიდი ტრავმა და არასრულფასოვნების განცდა დაუტოვა.

კვლევები ადასტურებს, რომ საქართველოში ჯერ კიდევ ხშირია არასრულწლოვანთა ქორწინების შემთხვევები, თუმცა ამ ქორწინებების მიჩუმათება ხდება და ზოგჯერ დამნაშავე დაუსჯელი რჩება.

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ქორწინების ასაკად განსაზღვრულია 18 წელი. ადრეული ქორწინება მიიჩნევა ადამიანის უფლებებისა და, კერძოდ, ბავშვთა უფლებების დარღვევად, რადგან ბავშვს არ შეუძლია მისცეს გააზრებული თანხმობა ქორწინებაზე.



dont copy

ხელისუფლების სამი შტო და ურთიერთმიმართებები

იმუშავეთ ჯგუფებში

დაიყავით 3 ან მეტ ჯგუფად. გაინაწილეთ ხელისუფლების სამი შტოდან ერთ-ერთი. მოცემული სქემის ტექსტით შესავსებად მოამზადეთ მცირე პრეზენტაცია: თქვენი საპრეზენტაციო შტოს მიმართებაზე სხვა შტოებთან. პრეზენტაციის შემდეგ საკლასო სქემაზე გააკეთეთ თქვენი ჩანაწერი.

დავალება

აირჩიე ერთ-ერთი

1 „შექმენი მატიანე!“

შენ ძალიან მნიშვნელოვანი და სერიოზული გამოწვევის – პანდემიის თვითმხილველი ხარ. წარმოიდგინე, რომ მემატიანე ხარ და მომავალი თაობისთვის **პანდემიის მატიანე** (250-300 სიტყვა) უნდა შექმნა.

- მასში უნდა აღწერო, როგორ მუშაობს ხელისუფლების სხვადასხვა შტო, მათი სტრუქტურები ახალი კორონავირუსის პანდემიის გამო შექმნილ ვითარებაში.
- აღწერე გადაწყვეტილებები, მათ განხორციელებაზე მონიტორინგი, სანქციები, მოქალაქეთა ქცევები და რეაქციები. შეგიძლია გამოიყენო სხვა ადამიანების გამონათქვამები, ფოტოები, ნახატები...

2 მოიძიე ინფორმაცია საქართველოს საკანონმდებლო ან აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობაზე და მოამზადე ესე ან პრეზენტაცია;

- ხელისუფლების ამ შტოს სტრუქტურისა და საქმიანობის შესახებ;
- იმ აქტუალურ საკითხებზე, რომელზეც ამჟამად მუშაობს ხელისუფლების ეს შტო.
- რა არის მათ საქმიანობაში შენთვის საინტერესო?

3 იხილეთ ვიდეორგოლი და მომავალი გაკვეთილისთვის იმსჯელეთ, რამდენად მნიშვნელოვანია მოსამართლის საქმიანობა თითოეული მოქალაქისთვის. აშშ-ის უზენაესი სასამართლოს მოსამართლე რუთ ბეიდერ გინსბურგმა განსაკუთრებული როლი შეასრულა ადამიანის, უფლებებისა და ქალთა და მამაკაცთა თანასწორობისთვის ბრძოლაში. გინსბურგის განვლილი გზა: https://bit.ly/37bfk6u

dont copy

სასარგებლო რესურსი

- მართლმსაჯულება და ბავშვის უფლებები – https://bit.ly/3aemcBI

სამოქალაქო განათლების დამხმარე მოსწავლეებისთვის (სახელმძღვანელო).

ნაფიცი მსაჯული – სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვის ერთ-ერთი მონაწილე, რომელსაც სხდომის სხვა მონაწილეთ აგან (პროკურორი, ადვოკატი, მოსამართლე)განსხვავებით, არ აქვს იურიდიული განათლება და მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას პირის გამართლების ან დამნაშავედ ცნობის შესახებ, გამოაქვს გამამართლებელი ან გამამტყუნებელი ვერდიქტი.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო მიიჩნევა დემოკრატიულობის გარანტიად და ჰუმანურ ინსტიტუტად, ვინაიდან საკითხის გადაწყვეტაში უბრალო ადამიანები მონაწილეობენ.

მსაჯულებს არაპროფესიონალ მოსამართლეებსაც უწოდებენ. განსასჯელის ბრალეულობის თუ უდანაშაულობის საკითხის დადგენა მოითხოვს გარკვეულ პროფესიულ ცოდნას და პრაქტიკულ გამოცდილებას, რომლებიც ბუნებრივია, მსაჯულებს არ აქვთ. სწორედ ამიტომ პრობლემების თავიდან ასაცილებლად, სამართლებრივ საკითხებზე მათ ინსტრუქტაჟს პროფესიონალი მოსამართლე უწევს, ხოლო მსაჯულები აფასებენ მხოლოდ ფაქტებს.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ხანგრძლივი ისტორია აქვს. ამერიკის შეერთებულ შტატებში ნაფიცი მსაჯულები არა მხოლოდ სისხლის სამართლის საქმეებზე, არამედ სამოქალაქო დავებზეც იღებენ გადაწყვეტილებას.

ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი საქართველოში

საქართველოში 2010 წლიდან მკვლელობაში, ძალადობაში ან სხვა მძიმე დანაშაულისთვის ბრალდებული პირის ბრალეულობა ან უდანაშაულობა, პროფესიონალი მოსამართლის ნაცვლად, ნაფიცი მსაჯულების მიერ შეიძლება დადგინდეს. ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობით საქმის განხილვა ამ ეტაპზე ბრალდებულის არჩევანია. ჩვეულებისამებრ, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო 12 ძირითადი და ორი სათადარიგო მსაჯულისგან შედგება.

სამართლიანი გადაწყვეტილების უზრუნველსაყოფად ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობა განისაზღვრება სამართლიანი და მიუკერძოებელი ადამიანებით. მხარეებს აქვთ აცილების უფლება, რაც გულისხმობს იმას, რომ ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობიდან გამოირიცხება (აცილებული იქნება) პირი, რომლის მიუკერძოებლობა მისი წარსულის, მის მიერ გამოხატული მოსაზრებების და სხვა გარემოებათა გამო მხარეებში ეჭვს იწვევს.

don't copy

მსაჯულზე დიდი გავლენა შეიძლება მოახდინოს შემთხვევითმა გარემოებებმა (არაიურიდიულმა ასპექტებმა) – ბრალდებულისა და მსხვერ-



პლის პიროვნულმა მახასიათებლებმა: ასაკმა, სქესმა, გარეგნობამ, ინტელექტმა, ოჯახურმა, სოციალურმა მდგომარეობამ.

ნაფიცი მსაჯულები გადაწყვეტილებას კენჭისყრის საფუძველზე იღებენ. პირს კანონი ვალდებულებას აკისრებს, სასამართლოს მიერ გამოძახების შემთხვევაში, მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში. პირს უარის თქმის უფლება აქვს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში: თუ უკანასკნელი წლის განმავლობაში იყო ნაფიცი მსაჯული; თუ ასრულებს ისეთ სამუშაოს, რომელშიც მისი შეცვლა გამოიწვევს მნიშვნელოვან ზიანს; ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო; თუ ხანგრძლივად იმყოფება ან მიემგზავრება საქართველოს ფარგლებს გარეთ; 70 წელს გადაცილებულია.

? რატომ არის მნიშვნელოვანი ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი?

ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი წარმოადგენს დემოკრატიის ერთ-ერთ ფორმას, რომლის ფარგლებშიც საზოგადოება კი არ ახდენს მართლმსაჯულების ფუნქციის დელეგირებას სახელმწიფოზე, არამედ თავად იღებს პასუხისმგებლობას და წყვეტს პირის დამნაშავეობისა თუ უდანაშაულობის საკითხს. ეს უზრუნველყოფს მოქალაქეთა პირდაპირ ჩართულობას პროცესში და ზრდის მათ ნდობას მართლმსაჯულების სისტემის მიმართ.

ეს საინტერესოა

- საქართველოშიც ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობა საქართველოს ერთიანი საარჩევნო სიიდან კომპლექტდება. კერძოდ, სასამართლო ირჩევს 50 ნაფიც მსაჯულს, რომელთაგან საქმის განხილვაში მონაწილეობის მისაღებად, მას შემდეგ, რაც სასამართლო და პროცესზე მონაწილე მხარეები (პროკურორი, დამცველი, ბრალდებული) განიხილავენ ნაფიც მსაჯულთა აცილების საკითხს, აირჩევა 12 ნაფიცი მსაჯული. ისინი დანიშვნის შემდეგ დებენ ფიცს: „ვფიცავ, პატიოსნად და მიუკერძოებლად აღვასრულო ნაფიცი მსაჯულის მოვალეობა, გავითვალისწინო ყველა კანონიერი მტკიცებულება, გადაწყვეტილება მივიღო შინაგანი რწმენის საფუძველზე, როგორც შეეფერება სამართლიან ადამიანს".
- მოქალაქეს, რომელმაც მონაწილეობა უნდა მიიღოს ნაფიც მსაჯულად საქმის განხილვაში, საქართველოს კანონმდებლობა გარკვეულ მოთხოვნებს უყენებს, კერძოდ, პირი შესაძლოა იყოს ნაფიცი მსაჯული თუ: საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ შეყვანილია ამომრჩეველთა ერთიან სიაში; იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა (ქართული); ცხოვრობს ტერიტორიაზე, რომელიც შედის იმ სასამართლო განსჯადობაში, სადაც მიმდინარეობს პროცესი; შეზღუდული არ აქვს ფიზიკური და ფსიქიკური შესაძლებლობები, რაც ხელს შეუშლის მის მიერ ნაფიცი მსაჯულის მოვალეობის შესრულებას.

don't copy

? ვინ არ შეიძლება იყოს ნაფიცი მსაჯული?

საქართველოს კანონმდებლობით სისხლის სამართლის საქმის განხილვასა და გადაწყვეტაში ნაფიც მსაჯულად მონაწილეობას ვერ მიიღებს:

- გამომძიებელი, პოლიციელი;
- სასულიერო პირი;
- სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის მქონე პირი;
- პირი, რომელიც ირიცხება საქართველოს შეიარაღებულ ძალებში;
- ნარკოტიკული საშუალების მცირე ოდენობით მოხმარებისათვის ადმინისტრაციულსახდელ დადებული პირი;
- ფსიქოლოგი, ფსიქიატრი;
- ბრალდებული;
- იურისტი;
- პირი, რომლის მონაწილეობა საქმეში უსამართლო იქნება მის მიერ გამოხატული მოსაზრებებისა და პირადი გამოცდილების გამო;
- პირი, რომელიც განსახილველ საქმეში პროცესის მონაწილეა;
- შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი.

მედიაცია – დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ინსტრუმენტი*

ადამიანებს შორის ურთიერთობებს ახასიათებს დავა და კონფლიქტი. თანამედროვე საზოგადოება განსაკუთრებით მიდრეკილია დავებისადმი. ეს ავტომატურად იწვევს სასამართლოს გადატვირთვას სარჩელებით, რაც განაპირობებს დროში გაჭიანურებულ მართლმსაჯულების პროცესს და მოდავე მხარეების ფინანსურ დანახარჯებს. სწორედ ამ საჭიროებამ განაპირობა დავის გადაწყვეტის უფრო მოქნილი, მარტივი, ეფექტური, სწრაფი და ხელმისაწვდომი ფორმების არსებობა.

მედიაცია – პროცესი, რომელიც ხელს უწყობს კონფლიქტის მონაწილე მხარეებს თავად აღმოფხვრან სადავო საკითხები.

ბოლო წლებში თითქმის ყველა სახელმწიფოში მკვიდრდება მედიაცია, როგორც დავის გადაწყვეტის ყველაზე ეფექტური ალტერნატიული ინსტრუმენტი. აღნიშნული თვალსაზრისით, არც საქართველო წარმოადგენს გამონაკლისს. 2020 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა საქართველოს კანონი „მედიაციის შესახებ“, რომლის თანახმად, კონფლიქტის მხარეებს ეძლევათ საშუალება:

1. შეაჩერონ მიმდინარე სასამართლო დავა და შეეცადონ სასამართლო მედიაციის ფორმატში, პროფესიონალი მომლაპარაკებლის – მედიატორის ჩართულობით, მიაღწიონ შეთანხმებას და მიიღონ გადაწყვეტილება, რომელიც ორივე მხარისთვის მისაღები იქნება.

2. მხარეებს, რომელთაც ჯერ სასამართლოსთვის არ მიუმართავთ, ეძლევათ საშუალება პირდაპირ მედიატორს მიმართონ და მედიატორის ჩართულობით, სასამართლოში სარჩელის აღძვრის გარეშე, ნაკლები დანახარჯის ფონზე შეეცადონ და მიაღწიონ შეთანხმებას.

don't copy

* წყარო: ირაკლი ყანდაშვილი, „მედიაცია“, თბილისი 2020.



მედიაციის ორივე ფორმის ფარგლებში მიღწეული შეთანხმება მხარეთა ნების არსებობის შემთხვევაში ექვემდებარება სასამართლოს მხრიდან დადასტურებას და იქცევა საქართველოს სახელით გამოტანილ სასამართლო გადაწყვეტილებად, თუ სასამართლო დარწმუნდება, რომ მის წინაშე წარდგენილი მხარეთა შორის მიღწეული სამედიაციო მორიგების ტექსტი პასუხობს კანონიერების სტანდარტებს და არის აღსრულებადი.

მედიაციის პრინციპების გამოყენება ყოველდღიურ ცხოვრებაში ძალზე სასარგებლო და შედეგის მომტანია. ეს დამატებითი წინაპირობაა საზოგადოებაში მისი პოპულარიზაციისა და ფართოდ გავრცელებისათვის.

იმუშავეთ ჯგუფებში

გაინაწილეთ და განიხილეთ ქვემოთ მოცემული სიტუაციები, რომლებიც რეალურად მედიაციის გზით გადაწყდა. თქვენ რას გადაწყვეტდით, მედიატორის როლში რომ იყოთ? გაითვალისწინეთ წინარე ცოდნა ადამიანის უფლებების შესახებ.

სიტუაცია 1

dont copy

გიორგი და ანა ტყუპები არიან, მათ ერთმანეთთან განსაკუთრებული ურთიერთობა აქვთ. მშობლების გარდაცვალების შემდეგ წლების განმავლობაში ერთად ცხოვრობდნენ და ზრუნავდნენ ერთმანეთზე. მშობლებმა შვილებს მემკვიდრეობით საერთო სახლი და 8 ჰექტარი მიწა დაუტოვეს.

გიორგი დაოჯახდა. მისმა მეუღლემ აღარ ისურვა ანასთან ერთად ცხოვრება და ქმარს დანატოვარი სახლის გაყიდვა და ცალკე გადასვლა სთხოვა. გიორგი დათანხმდა. ანამ ამ გადაწყვეტილების შესახებ მეზობლისგან შემთხვევით გაიგო. განაწყენებულმა გოგონამ სახლის გაყიდვაზე უარი განაცხადა. გიორგიმ გადაწყვიტა, საკითხის მოსაგვარებლად მედიაციისთვის მიემართა, რათა:

- სადავო საკითხის განხილვა კონფიდენციალურად მოხდეს;
- ყველამ არ შეიტყოს ტყუპების დავის შესახებ;
- პროცესი უმოკლეს დროში და შეთანხმებით დასრულდეს;
- გაუფრთხილდნენ და შეინარჩუნონ და-ძმის ურთიერთობა;
- დაზოგონ დრო და ფინანსები.

- **მედიაცია დაეხმარა** ანას გიორგისგან მოესმინა, თუ რამ განაპირობა მისი გადაწყვეტილება. და-ძმა უკეთ გაერკვა ერთმანეთის საჭიროებებსა და ინტერესებში; ორივემ დააზუსტა, რომ საკუთრების თანაბარი უფლება კანონითაა დაცული და მშობლების მემკვიდრეობის მიღების უფლება შვილებს სქესის მიუხედავად თანაბრად აქვთ. შეთანხმდნენ, რომ 1) ანას ინტერესის შესაბამისად სახლი დარჩებოდა მის საკუთრებაში; 2) მშობლების დანატოვარი 8 ჰა მიწის ნაკვეთზე გოგონა აღარ განაცხადებდა პრეტენზიას და მიწა გადაეცემოდა ძმას; 3) გიორგი გაყიდიდა მიწის ნაკვეთს და მიღებული თანხით თავისი ინტერესის შესაბამისად, შეიძენდა ცალკე ბინას.

სიტუაცია 2

თამარი ორ მცირეწლოვან შვილთან ერთად ცხოვრობს. ბავშვების გამო თამარი სახლიდან მუშაობს, თან მხოლოდ მაშინ, როცა მათ სძინავთ. სხვა დროს ეს ფიზიკურად შეუძლებელია. მათი სახლის წინ ბარი მდებარეობს. მას შემდეგ, რაც ბარი სხვამ იქირავა, მეპატრონეს მუსიკა დღე და ღამე იმდენად მაღალ ხმაზე აქვთ ჩართული, რომ ბავშვების დაძინება შეუძლებელია. შედეგად თამარი ვეღარ მუშაობს, რაც მას დიდ ფინანსურ პრობლემას უქმნის. ამას ისიც დაემატა, რომ ხმაურისგან თამარს ხშირი თავის ტკივილი დაეწყო და დიდი რაოდენობით მედიკამენტის შეძენა ესაჭიროება, რაც საკმაოდ უჭირს უსახსრობის გამო. თამარის მრავალგზისი თხოვნის მიუხედავად, ხმა დაეწიათ მუსიკისათვის, ბარის მეპატრონეს არაფერი შეუცვლია.

თამარმა გადაწყვიტა, დავის მოსაგვარებლად მედიაციას მიმართოს, რადგან მას გრძელვადიანი სასამართლო წარმოების გზით დავის გადაწყვეტისთვის ფინანსური რესურსი არ გააჩნია და მეორეც, თამარს პრობლემის შეთანხმების, ურთიერთმოლაპარაკების გზით გადაწყვეტა უნდა, რათა შეინარჩუნოს კეთილმეზობლური ურთიერთობა ბარის მეპატრონესთან, რომლისგანაც ბევრი სიკეთე ახსოვს.

don't copy

> მედიაციის დადებითი მხარეა ის, რომ პროცესში შეუთანხმებლობის შემთხვევაში, მხარეებს ყოველთვის რჩებათ შესაძლებლობა დავის გადასაწყვეტად მიმართონ სასამართლოს.

- **მედიაციის გამოყენების შემთხვევაში** ბარის მეპატრონე ახალ მოიჯარეებს დაუდგენს მუსიკის მაღალ ხმაზე ჩართვის კონკრეტულ საათებს დღის მანძილზე; (ღამის 12 საათის შემდეგ ხმამაღალი მუსიკის ჩართვა კანონით დასჯადია). შედეგად, 1) ბარის მეპატრონე აირიდებს მეზობელთან ხანგრძლივ სასამართლო დავას, რაც ბარის საქმიანობისა და შემოსავლის მიღების პერსპექტივისათვის რისკის შემცველია; 2) შეუნარჩუნებს ბარს მომხმარებლებს, რომელთაც სურთ დღისით ხმამაღალი მუსიკის მოსმენა; 3) შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში თამარი აირიდებს დანახარჯს, რომელიც სასამართლოს გზით საკითხის გადაწყვეტას ახლავს. და, რაც მთავარია, უზრუნველყოფს შვილების ნორმალურ ძილს და მშვიდი სამუშაო გარემოს შექმნას.

ყურადღება!

საკითხი:

სამოქალაქო მონაწილეობის ფორმები – არჩევნები

კომპლექსური დავალება

კომპლექსური დავალების პირობა

თქვენი მიზანია, მოიკვლიოთ, როგორია მოქალაქეთა ცნობიერება საარჩევნო პროცესებთან დაკავშირებით, რათა დანახულ საჭიროებებზე მორგებით იზრუნოთ მათი ცნობიერების ამაღლებაზე. მოამზადეთ კითხვარი (მაქსიმუმ, 10 კითხვით) და გამოკითხეთ 5-7 ამომრჩეველი (ოჯახის წევრი, მეზობელი, ახლობელი).

გააანალიზეთ რესპონდენტების პასუხები და გამოკვეთილი საჭიროებების მიხედვით მოამზადეთ **პრეზენტაცია/ ბუკლეტი/ფლაერი** თემაზე „არჩევნები – სამოქალაქო მონაწილეობის პირდაპირი ფორმა;“

ნაშრომში/ ნაშრომის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინეთ:

- როგორ მოქმედებენ საარჩევნო პროცესში აქტიური მოქალაქეები? რატომ?
- რატომ წარმოადგენს არჩევნებში მონაწილეობა სამოქალაქო მონაწილეობის გამორჩეულ ფორმას და ქვეყანაზე და საზოგადოების საჭიროებებზე ზრუნვის გამოხატულებას?
- რა მსგავსება-განსხვავებაა სამოქალაქო მონაწილეობის ფორმებს შორის – არჩევნებსა (როგორც სამოქალაქო მონაწილეობის პირდაპირ ფორმასა) და მოხალისეობას (საარჩევნო ცნობიერების ასამაღლებლად) შორის? ვისთან და რატომ თანამშრომლობთ არჩევნებში მონაწილეობის/ მოხალისეობის დროს?
- რატომ არის აუცილებელი სამოქალაქო მონაწილეობის ნებისმიერ ფორმაში, მათ შორის არჩევნებში, მოქალაქეთა ნებაყოფლობითი მონაწილეობა?

dont copy

პრეზენტაციის შემდეგ ისაუბრე:

რა სტრატეგიები გამოიყენე/რა ნაბიჯები გადადგი დავალებაზე მუშაობის სხვადასხვა ეტაპზე; რას გააკეთებდი განსხვავებულად, ხელახლა რომ იწყებდე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობას.

როგორ ვირჩევთ ხელისუფლებას?

არჩევნები – მოქალაქეთა შესაძლებლობა გარკვეული ვადით მათი წარმომადგენლობის უფლება მიანიჭონ ისეთ ადამიანებსა და პოლიტიკურ პარტიებს, რომლებიც უკეთ გამოხატავენ ხალხის ნებას და უკეთ შეძლებენ მოქალაქეთა უსაფრთხოების, კეთილდღეობისა და ქვეყნის განვითარების უზრუნველყოფას.

„სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი“. მოქალაქეები დაინტერესებულნი არიან მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში, თავად განსაზღვრონ, ვინ იქნება ხელისუფლებაში მათი წარმომადგენელი. ასეთი გამოთქმაც კი არსებობს – „ცუდ ხელისუფლებას ირჩევს ის ხალხი, ვინც არჩევნებზე არ მიდის!“, ამიტომ მნიშვნელოვანია მოქალაქეებმა მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში და აირჩიონ ისეთი წარმომადგენლები, რომლებიც მათ ინტერესებს უკეთ წარმოაჩენენ და განახორციელებენ ქვეყნის დემოკრატიული და ეკონომიკური განვითარებისთვის მნიშვნელოვან რეფორმებს.

საკუთარი არჩევანის უფლების რეალიზებისათვის მონაწილეობა უნდა მივიღოთ არჩევნებში. ხმის მიცემის დროს ჩვენ **ამომრჩევლები ვართ.** ყველა ამომრჩეველს ერთად **ელექტორატს** (ლათ.elector – ამომრჩეველი) უწოდებენ. არჩევნებზე საკუთარი კანდიდატურის წამოყენებით ჩვენ ვხდებით **კანდიდატი**.

> ... 18 წლის ასაკიდან აქვს რეფერენდუმში, სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისარჩევნებში მონაწილეობის უფლება. უზრუნველყოფილია ამომრჩევლის ნების თავისუფალი გამოვლენა.
>
> *საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 24*

do not copy

? ვის ირჩევენ პირდაპირი არჩევნების გზით?

საქართველოს პარლამენტის წევრების არჩევისას საარჩევნო უფლების მქონე მოქალაქეები 18 წლის ასაკიდან პირდაპირ და უშუალოდ აძლევენ თავიანთ ხმას მათთვის სასურველ პარტიასა და მის მიერ წარმოდგენილ კანდიდატთა სიას.

4 წლის ვადით არჩეულ პარლამენტში პარტიები წარმოდგენილი იქნება მიღებული ხმების შესაბამისი რაოდენობის დეპუტატებით.

რაც შეეხება პარლამენტის წევრობის კანდიდატს, ის უნდა იყოს:

- საარჩევნო უფლების მქონე **მოქალაქე 25 წლის ასაკიდან,** რომელსაც

> არჩევნები წარმომადგენლობითი დემოკრატიის ფორმაა, არჩევნების მეშვეობით მოქალაქეები ირჩევენ ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს.

საქართველოში უცხოვრია 10 წელს მაინც.

- პარლამენტის წევრად პირი ვერ იქნება არჩეული, თუ მას სასამართლომ თავისუფლების აღკვეთა (პატიმრობა) შეუფარდა.

? ვის ირჩევენ არაპირდაპირი გზით?

საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, პრეზიდენტი უკვე აირჩევა არაპირდაპირი (ირიბი) გზით 300-წევრიანი საარჩევნო კოლეგიის მიერ. კოლეგიის შემადგენლობაში შედიან:

- საქართველოს მოქალაქეების მიერ პირდაპირი გზით არჩეული საქართველოს პარლამენტის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების წევრები;
- ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების (საკრებულოს) წევრები.

საქართველოს პრეზიდენტი შეიძლება გახდეს საქართველოს მოქალაქე 40 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში უცხოვრია ყველაზე მცირე 15 წელი.

? ვის ირჩევენ არაპირდაპირი გზით?

უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინებით უვადოდ, 65 წლის ასაკის მიღწევამდე, უმრავლესობით **ირჩევს პარლამენტი,** ხოლო **სააპელაციო და საქალაქო/რაიონული სასამართლოს მოსამართლეებს – იუსტიციის უმაღლესი საბჭო.**

don't copy

მოსამართლე შეიძლება იყოს **საქართველოს მოქალაქე 30 წლის ასაკიდან,** თუ მას აქვს შესაბამისი უმაღლესი იურიდიული განათლება და სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება. მოსამართლეები 65 წლის ასაკის მიღწევამდე უვადოდ იკავებენ თანამდებობას.

? როგორ იღებს არჩევნებში მონაწილეობას პარტია?

იმისთვის, რომ პარტიამ არჩევნებში მიიღოს მონაწილეობა, მას ან წინა პარლამენტში უნდა ჰყავდეს თავისივე წარდგენით არჩეული წევრები ან მისი მხარდაჭერა მინიმუმ 25000 მოქალაქის ხელმოწერით უნდა იყოს დადასტურებული. იმისთვის, რომ პარტიამ საკუთარი კანდიდატებისთვის დეპუტატობის მანდატები მიიღოს, მან არჩევნებში კანონით განსაზღვრული ბარიერი უნდა გადალახოს.

რაც შეეხება აღმასრულებელი ხელისუფლების – **მთავრობის დაკომპლექტებას,** პარლამენტი ნდობას უცხადებს პარლამენტის არჩევნებში საუკეთესო შედეგის მქონე პოლიტიკური პარტიის პრემიერ-მინისტრობის კანდიდატსა და მის მიერ წარდგენილ მთავრობას, რის შემდეგაც საქართველოს პრეზიდენტი თანამდებობაზე ნიშნავს პრემიერ-მინისტრს, ხოლო პრემიერ-მინისტრი კი უკვე – მინისტრებს.

იმუშავეთ ჯგუფებში

გაეცით წერილობითი პასუხი კითხვებს:

- სავალდებულო უნდა იყოს თუ არა მოქალაქეთა მონაწილეობა არჩევნებში? დაასაბუთეთ, რატომ.
- რატომ უნდა მიიღონ მოქალაქეებმა მონაწილეობა არჩევნებში?

? რატომ იმართება არჩევნები პერიოდულად?

არჩევნები პერიოდულად 3 ძირითადი მიზეზის გამო იმართება:

1. საზოგადოების აზრი სხვადასხვა საკითხის შესახებ იცვლება და ეს უნდა აისახოს ხელისუფლების შემადგენლობაზე;
2. ერთი და იმავე ადამიანების ხელისუფლებაში დიდხანს ყოფნა ზრდის იმის საფრთხეს, რომ მათი გაკონტროლება საზოგადოების მხრიდან შეუძლებელი გახდება;
3. სხვა ადამიანებსაც მიეცეთ ხელისუფლებაში ყოფნის შესაძლებლობა.

dont copy

მიზანშეწონილი არ არის არჩევნების ძალიან ხშირად ჩატარებაც, რადგან არჩეულს უნდა მიეცეს დრო საკუთარი შესაძლებლობების გამოსავლენად, ხოლო საზოგადოებას – შედეგების შესაფასებლად.

ლეგიტიმური ხელისუფლება – ხელისუფლება, რომელსაც საზოგადოება თავისუფალ არჩევნებზე უცხადებს ნდობას, აღიარებს და მხარს უჭერს.

თუ ხალხს არ ექნება არჩევისა და გადარჩევის შესაძლებლობა, არჩეული არ იზრუნებს საზოგადოების ინტერესებზე და შეიძლება ბოროტადაც გამოიყენოს საკუთარი უფლებები.

ლეგიტიმურმა ხელისუფლებამ იცის, რომ მისი ხელისუფლებაში ყოფნა ხალხის ნებაზეა დამოკიდებული. ცდილობს, არ დაკარგოს ეს მხარდაჭერა და პასუხისმგებლობით ეკიდება საქმეს.

დემოკრატიულ და სამართლებრივ სახელმწიფოში ხელისუფლება ემსახურება ხალხს, იცავს მათ უფლებებს და ხელს უწყობს **მოქალაქეთა მონაწილეობას** სახელმწიფოსთვის მნიშნელოვანი საკითხების გადაწყვეტაში.

არჩევნებსა და რეფერენ-
დუმში მონაწილეობა საქართ-
ველოს თითოეული მოქალაქ-
ის ვალია.

საქართველოს კანონმდე-
ბლობის თანახმად, ქალებისა
და კაცებს (როგორც ამომ-
რჩევლებს, ისე კანდიდატებს)
აქვთ თანაბარი უფლებები.

იმსჯელეთ

განიხილეთ სიტუაციური ამოცანა

სიტუაციური ამოცანა

წარმოიდგინეთ, რომ მაღაზიის კონსულტანტს სურს მოგყიდოთ მუსიკალური ცენტრი. ამ მიზნით ის სახლში გეწვიათ და მოგიტანათ ბროშურა, რომელშიც მოცემულია ინფორმაცია ერთი კონკრეტული მუსიკალური ცენტრის შესახებ. ის, ერთი შეხედვით, კარგია, მაგრამ აქამდე არასდროს გინახავთ და არც გსმენიათ მასზე. კონსულტანტი ძალიან იაფად მოგყიდით ცენტრს იმ პირობით, რომ დადებთ გრძელვადიან კონტრაქტს ამ მაღაზიასთან და არასდროს შეიძენთ მუსიკალურ ტექნიკასა და დისკებს სხვაგან, აგრეთვე, არ გექნებათ უფლება შეიძინიოთ სხვა ფირმის მუსიკალური ცენტრი ამავე მაღაზიაში.

- მიიღებთ თუ არა ამ წინადადებას? რატომ?
- თუ კი, რა დამატებითი კითხვები გაგიჩნდებათ?
- რატომ არის მნიშვნელოვანი, ადამიანს ჰქონდეს არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა რამდენიმე ვარიანტს შორის?
- რატომ არის მნიშვნელოვანი, რომ ერთხელ გაკეთებული არჩევანი არ იყოს სამუდამო და პიროვნებას ჰქონდეს გარკვეული დროის შემდეგ ახალი არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა?
- რატომ არის მნიშვნელოვანი, რომ ადამიანს არ შეეძლოს საკუთარი არჩევანის ხშირად შეცვლა?
- თუ მუსიკალური ცენტრის წარმომადგენელი თავს მოგახვევთ საკუთარ გადაწყვეტილებას და არ მოგცემთ არჩევანის გაკეთების შესაძლებლობას არც დღეს და არც მომავალში, დიდია იმის ალბათობაც, რომ ის მომავალში უხარისხო ტექნიკას მოგყიდით, უარს გეტყვით მის დაბრუნებაზე (თუ უვარგისი აღმოჩნდა), ან არ შეგიკეთებთ მას უფასოდ საგარანტიო ვადის ამოწურვამდე.
- ანალოგიური სიტუაცია შეიძლება შეიქმნას ბევრად უფრო მასშტაბურ და მნიშვნელოვან ურთიერთდამოკიდებულებაში, ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის, თუ საზოგადოებას არ ექნება ხელისუფლების არჩევისა და გადარჩევის შესაძლებლობა, ხელისუფლება არ იზრუნებს საზოგადოების ინტერესებზე, იზარმაცებს და შეიძლება, ბოროტადაც გამოიყენოს საკუთარი უფლებები.

don't copy

ხალხი ხშირად საყვედურობს ხოლმე ხელისუფლებას, რომ არ შესრულდა წინასაარჩევნო დაპირებები და ქვეყანაში ცხოვრების დონე არ გაუმჯობესდა.

ზოგჯერ ამის მიზეზი მხოლოდ ხელისუფლების უმოქმედობა კი არა, საარჩევნო პერიოდში ხალხის პასიურობა ან ხალხის მიერ არასწორად გაკეთებული არჩევანია.

ხალხის არჩევანზე სხვადასხვა ფაქტორი ახდენს გავლენას და თითოეული ადამიანი არჩევანის გაკეთების დროს სხვადასხვა კრიტერიუმით ხელმძღვანელობს.

იმუშავეთ წყვილებში

რომელი კრიტერიუმი მიგაჩნიათ სწორად და რომელი არასწორად? შერჩეული კრიტერიუმების გამოყენებით შექმენით წინასაარჩევნო პლაკატი, რომლის მიზანია, ამომრჩეველს სწორი არჩევანისაკენ მოუწოდოს.

არჩევანის კრიტერიუმები:

1. პარტიის ან კანდიდატის პროგრამა რეალურია, ასახავს მნიშვნელოვან საკითხებს, კარგად არის განსაზღვრული სამოქმედო გეგმა;
2. კანდიდატი თქვენი ნათესავი ან მეზობელია;
3. პარტიის ან კანდიდატის პროგრამა საზოგადოებისთვის საკმაოდ მწვავე პრობლემების გადაჭრის დაპირებებს იძლევა, მაგალითად: ერთ წელიწადში უმუშევრობის დონის შემცირება 80%-ით. თუმცა ეს პროგრამა არ შეიცავს იმ მეთოდებსა და გზებს, რომელთა მეშვეობითაც დარწმუნდებოდით ამ შედეგების მიღწევის შესაძლებლობაში;
4. კანდიდატი ან პარტია წინასაარჩევნო პერიოდში მოსახლეობას ურიგებს კვების პროდუქტებსა და საჩუქრებს;
5. კანდიდატს აქვს კარგი რეპუტაცია;
6. პროგრამაში ასახულია ნაკლებად პოპულარული, მაგრამ მნიშვნელოვანი საკითხები;
7. კანდიდატი გპირდება, რომ არჩევის შემდეგ პირადად გაგიკეთებს ან მოგცემს რაიმეს;
8. „ვისაც ჩემი მეგობარი, ოჯახის წევრი ან სხვა მისცემს ხმას, მეც იმას ავირჩევ“.

don't copy

არჩევნები ძალიან ძვირადღირებული პროცედურაა. მის ჩასატარებლად მილიონობით ლარი იხარჯება. ისიც ხდება, რომ ამომრჩეველთა დაბალი ჩართულობის გამო მეორე ტურის ჩატარებაა საჭირო. მოქალაქე ვალდებულია, დაზოგოს სახელმწიფო ფული და გამოიყენოს საკუთარი უფლებები.

იმსჯელეთ

გაეცანით ქვემოთ მოცემულ ინფორმაციას. უპასუხეთ კითხვებს:

- რატომ არის მნიშვნელოვანი ქალების მონაწილეობის გაზრდა არჩევნებში?
- რა უშლის ქალებს წარმოდგენილნი იყვნენ გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე და როგორ შეიძლება ხელისშემშლელი გარემოებების დაძლევა?
- რა შეიძლება გაკეთდეს იმისთვის, რომ ქალები მეტად იყვნენ წარმოდგენილნი საკანონმდებლო და თვითმმართველობის ორგანოებში?

ქალთა მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა ქვეყნის განვითარების მნიშვნელოვანი ინდიკატორია. ქვეყანაში კვლავ გამოწვევად რჩება ქალთა მონაწილეობა გადაწყვეტილების მიმღებ დონეზე.

კრიტიკულად დაბალია ქალთა მონაწილეობის მაჩვენებელი გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე, მათ შორის, აღმასრულებელ, საკანონმდებლო და ადგილობრივი თვითმმართველობების ორგანოებში. 2019 წელს სამინისტროებში დასაქმებულია 5.707 ქალი და 21.804 კაცი. ხელმძღვანელ პოზიციებზე დასაქმებულთა გენდერული განაწილება კი შემდეგია:

- 294 ქალი, 1004 კაცი.
- 11 მინისტრიდან 5 ქალია, 2 მათგანი კი ვიცე-პრემიერია.
- საქართველოს პარლამენტში 21 ქალი პარლამენტარია (2020 წლის 5 მარტის მდგომარეობით).

dont copy





წყარო: სახალხო დამცველის ანგარიში – საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2019 წელი

წინასაარჩევნო პერიოდი

არჩევნების დღე

მასმედია
აშუქებს წინასაარჩევნო პროცესებს, მოვლენებს

პარტიები, კანდიდატები და მათი საარჩევნო შტაბები
აწარმოებენ საარჩევნო კამპანიას, აკვირდებიან, აფასებენ ვითარებას

საარჩევნო ადმინისტრაცია ემზადება და უზრუნველყოფს არჩევნების ხარისხიანად ჩატარებას

ამომრჩეველი ფიქრობს არჩევანზე, აფასებს კანდიდატებს

ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციები აკვირდებიან და აფასებენ წინასაარჩევნო პერიოდის მოვლენებს

საარჩევნო პროცესი

აშუქებს პროცესს

სამართალდამცავები უზრუნველყოფენ წესრიგს

dont copy

გახსოვდეს!

- არჩევნებზე ხმის მიცემის პროცესი აუცილებლად ფარული უნდა იყოს. ამომრჩეველი შედის კაბინაში და ვერავინ უნდა ხედავდეს, თუ ვის აძლევს ამომრჩეველი ხმას.
- თითოეულ ამომრჩეველს მხოლოდ ერთი ხმის მიცემის უფლება აქვს – დაუშვებელია ერთსა და იმავე არჩევნებზე განმეორებით ხმის მიცემა.
- არჩევნები სამართლიან გარემოში უნდა ჩატარდეს, დაუშვებელია ამომრჩეველზე ზეწოლა, მისი მოსყიდვა.

	შედეგების შეჯამება გამოცხადების პროცესი	იწყება ახლადარჩეული ორგანოს / პირის მუშაობა
	აშუქებს პროცესს	აშუქებს პროცესს
	მონაწილეობენ, აკვირდებიან, აფასებენ პროცესს და შედეგს	იწყებენ მუშაობას
	აჯამებს შედეგებს და აცხადებს მას	წყვეტს აქტიურ საქმიანობას, იწყებს მზადებას შემდეგისათვის
	ელოდება შედეგებს, აფასებს შედეგებს	აკვირდება რჩეულებს, აკეთებს დასკვნებს სამომავლოდ
	აკვირდებიან და აფასებენ პროცესს	აკვირდებიან რჩეულებს

dont copy

- არჩევნებზე მისვლისას აუცილებლად თან უნდა გქონდეთ პირადობის დამადასტურებელი მოწმობა ან პასპორტი.
- ყველა მოქალაქეს უფლება აქვს, მიიღოს სრული ინფორმაცია ყველა კანდიდატის შესახებ. რომელიმე კანდიდატის, ხელისუფლების ან ვინმე სხვისი მცდელობა – მოსახლეობას დაუმალონ ან დამახინჯებულად მიაწოდონ ინფორმაცია ამა თუ იმ კანდიდატის შესახებ, არის კანონის უხეში დარღვევა.

იმუშავეთ ჯგუფებში

გაინაწილეთ და გაანალიზეთ მოცემული სიტუაციები

- თქვენი აზრით, არღვევენ თუ არა საარჩევნო კანონს სიტუაციის გმირები. პასუხი დაასაბუთეთ.

სიტუაცია 1

ერთ ქვეყანაში გამოვიდა კანონი, რომლის მიხედვითაც არჩევნებში მონაწილეობის უფლება არ ჰქონდათ ქალებს, 25 წლამდე ასაკის პირებს, სამხედრო მოსამსახურეებს.

სიტუაცია 2

მოქალაქე ნ.ტ.-მ წარმოადგინა 2 პირადობის მოწმობა და სთხოვა საარჩევნო კომისიას, მიეცათ უფლება, მეუღლის სახელითაც მიეცა ხმა. ნ.ტ.-მ განმარტა, რომ მეუღლე საავადმყოფოში იყო და საარჩევნო უბანზე მოსვლა არ შეეძლო. მოქალაქეს საარჩევნო კომისიამ 2 ბიულეტენი არ მისცა.

სიტუაცია 3

საარჩევნო უბნის დარბაზში ხმის მიცემის მსურველთა დიდი რაოდენობა შეგროვდა. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ამომრჩევლებს შესთავაზა საარჩევნო კაბინაში მთელი ოჯახი ერთად შესულიყო, რადგან ისინი ნათესავები იყვნენ და დასამალიც არაფერი ჰქონდათ.

სიტუაცია 4

მოქალაქე ი. კ.-ს დაეზარა ხმის მისაცემად წასვლა. 18 საათზე საარჩევნო კომისიის ერთ-ერთმა წევრმა მას ხმის მისაცემად სახლში გადასატანი ყუთი მოუტანა, უსაყვედურა მოქალაქეობრივი პასიურობისათვის და ხმის მიცემა მოსთხოვა.

დავალება

dont copy

თქვენი მიზანია გაარკვიოთ: რამდენად აქტიურად მონაწილეობს ხალხი არჩევნებში? რა ფაქტორები ახდენენ მათ არჩევანზე გავლენას? რა კრიტერიუმებით ხელმძღვანელობენ ადამიანები ხელისუფლების არჩევისას? რატომ არის მნიშვნელოვანი, რომ ყველა მოქალაქემ მიიღოს მონაწილეობა არჩევნებში?

მოამზადეთ პრეზენტაცია და წარუდგინეთ თანაკლასელებს.

7

დემოკრატიის ფორმები და ხელისუფლებასთან თანამშრომლობა

ხალხი ძალაუფლებას ახორციელებს თავისი წარმომადგენლების, აგრეთვე რეფერენდუმისა და უშუალო დემოკრატიის სხვა ფორმების მეშვეობით.

საქართველოს კონსტიტუციის მე-3 მუხლი.

ხალხი ქვეყნის მართვაში არა მხოლოდ წარმომადგენლების საშუალებით მონაწილეობს, არამედ უშუალოდაც. უშუალო დემოკრატიის ფორმებს განეკუთვნება:

- რეფერენდუმი
- პლებისციტი
- თვითმმართველობა
- არანაკლებ 25 000 ამომრჩევლის მიერ კანონპროექტის წარდგენა პარლამენტში განსახილველად
- ნაფიც მსაჯულთა სასამართლო
- და სხვა

პლებისციტს ნიშნავს საქართველოს პრემიერ-მინისტრი. პლებისციტის შედეგები ხელისუფლების ორგანოებისათვის სარეკომენდაციო ხასიათისაა.

რეფერენდუმს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი პარლამენტის, მთავრობის ან არანაკლებ 200 000 ამომრჩევლის მოთხოვნით. რეფერენდუმის შედეგების გათვალისწინება სავალდებულოა და რეფერენდუმის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების შეცვლა ან გაუქმება შეიძლება მხოლოდ რეფერენდუმით.

dont copy

საქართველოს უახლეს ისტორიაში ორი რეფერენდუმი ჩატარდა:

1) 1991 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხზე. *რეფერენდუმმა მხარი დაუჭირა ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას, რაც იმავე წლის 9 აპრილს მიღებული შესაბამისი საკანონმდებლო აქტით გაფორმდა.*

2) 2003 წელს პარლამენტის წევრთა რაოდენობის 150-მდე შემცირების თაობაზე. *რეფერენდუმის მონაწილეთა უმრავლესობამ დადებითად უპასუხა შეკითხვას.*

რაც შეეხება პლებისციტს, 2008 წლის 5 იანვარს პლებისციტზე გამოტანილი იქნა 2 საკითხი:

1) საქართველოს პარლამენტის მორიგი არჩევნები ჩატარდეს საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად 2008 წლის 1 ოქტომბრიდან 2008 წლის 31 დეკემბრამდე, თუ 2008 წლის გაზაფხულზე. *ხმათა უმრავლესობით 2008 წლის საპარლამენტო არჩევნები დაინიშნა 21 მაისს.*

2) უჭერენ თუ არა საქართველოს მოქალაქეები მხარს საქართველოს გაწევრიანებას ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში (ნატო). *პლებისციტში მონაწილეთა 77%-მა მხარი დაუჭირა ნატოში გაწევრიანებას.*

პლებისციტი – განსაკუთრებული მნიშვნელობის სახელმწიფოებრივ საკითხზე მოქალაქეთა გამოკითხვა. პლებისციტის შედეგები სარეკომენდაციო ხასიათისაა.

პეტიცია – წერილობითი კოლექტიური თხოვნა ხელისუფლების უმაღლესი ორგანოებისადმი; მთავრობის მეთაურისადმი; კოლექტიური შუამდგომლობით.

პეტიციებით მიმართვის სისტემა*

პეტიცია ხელისუფლების საქმიანობაში მოქალაქეთა ჩართულობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მექანიზმს წარმოადგენს.

პეტიცია არის მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმა. ის უნდა შეიცავდეს კონკრეტულად ჩამოყალიბებულ იდეას, წინადადებასა და შესაბამის დასაბუთებას.

პეტიცია უნდა შეიცავდეს: განცხადების ტექსტს; პეტიციის წარმდგენი პირების (არაუმეტეს 3 პირისა) სახელს, გვარს, მისამართს, საკონტაქტო ტელეფონის ნომერს (არსებობის შემთხვევაში); საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლს; პეტიციის წარდგენის თარიღს; პეტიციის წარმდგენი ამომრჩევლების სიას. შესაბამისი გადაწყვეტილების პროექტს.

დემოკრატიულ სახელმწიფოებში, როგორც წესი, ხელისუფლების ორგანოები მნიშვნელოვან საკითხებზე საჯარო განხილვას აწყობენ, რაც ეხმარება ხელისუფლებას გაითვალისწინოს საზოგადოების აზრი. ინტერნეტმა მნიშვნელოვნად გაზარდა და გააადვილა პეტიციაზე ხელმოწერა. არსებობს პეტიციებით მიმართვის ელექტრონული სისტემა.

საქართველოს მთავრობამ ელექტრონული პეტიციების პორტალი აამოქმედა (ichange.gov.ge). პორტალის გამოყენებით ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია ელექტრონული პეტიციის შექმნა, ხოლო საკმარისი ონლაინ ხელმოწერის მოგროვების შემთხვევაში საქართველოს მთავრობა ვალდებული იქნება, უპასუხოს პეტიციას და ეს პასუხი საჯაროდ ხელმისაწვდომი გახადოს პორტალზე.

თუ პეტიცია 30 კალენდარული დღის განმავლობაში მინიმუმ 10 000 ხელმოწერას მოაგროვებს, იგი უნდა განიხილოს მთავრობის ადმინისტრაციაში შექმნილმა კომისიამ. კომისიის ინიციატივით ელექტრონული პეტიცია შესაძლოა საქართველოს მთავრობის სხდომაზეც განიხილონ. საქართ-

dont copy

ონლაინ პეტიცია

მოაწერეთ ხელი დ შემოგვიერთდით!

სახელი		
	სახელი	გვარი
იმეილის მისამართი	ex: myname@example.com saxeli@magaliti.com	
ხელმოწერა	Sign Here	
კომენტარები	Type here...	

ონლაინ პეტიციის ფორმა



ის ეგ ზავნება _____

პეტიციის განხილვის თაობაზე განცხადების წარმდგენთა

სახელი, გვარი _____

განცხადება პეტიციის წარდგენის (განხილვის) თაობაზე

გთხოვთ, განიხილოთ ჩვენი პეტიცია _____ შესახებ,

კერძოდ, ჩვენი წინადადება გულისხმობს: _____

ხელმოწერა:

პეტიციის წარდგენის თარიღი:

პეტიციის განცხადების ფორმა

* წყარო: https://ichange.gov.ge/

ველოს მთავრობა ვალდებულია 3 კალენდარული თვის ვადაში უპასუხოს პეტიციის ავტორს. დადგენილების მიხედვით, **„ოფიციალური წერილობითი პასუხი მკაფიოდ, დასაბუთებული ახსნა-განმარტებით უნდა გამოხატავდეს საქართველოს მთავრობის პოზიციას საკითხთან დაკავშირებით.“** პასუხი უნდა განთავსდეს ელექტრონულ პორტალზეც.

ichange.gov.ge

ელექტრონული პეტიციების პორ-ტალი

პორტალის შექმნით საქართველოში დაინერგა მონაწილეობის მნიშვნელოვანი ელექტრონული მექანიზმი. პორტალის წარმატებული ფუნქციონირების შემთხვევაში საქართველო შეუერთდება იმ ქვეყნებს, სადაც მოქალაქეებს ელექტრონულად შეუძლიათ წარადგინონ საკუთარი ინიციატივები მთავრობის წინაშე, ხოლო ხელისუფლება ვალდებულია არგუმენტირებულად და საჯაროდ მოიწონოს ან უარყოს 10 000 ხელმომწერის პეტიცია.

ეს საინტერესოა

პეტიციის გახმაურებული მაგალითები, რომლებიც ხელმომწერთა მოთხოვნის შესრულებით დასრულდა.

პეტიცია გოგონების სწავლისათვის

„მოსწავლე, მასწავლებელი, წიგნი და კალამი, აი, რა შეცვლის მსოფლიოს. განათლება ერთადერთი გამოსავალია. განათლება – უპირველესია. ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ, რომ ქალები და კაცები გახდნენ თანასწორნი, რომ ქალებმა მიიღონ უფლებები და განათლება, რომ ქალებს შეეძლოთ მუშაობა და თავად შექმნან საკუთარი მომავალი. სამყარო უკეთეს ადგილად უნდა ვაქციოთ, ხოლო იმისთვის, რომ სამყარო უკეთესი გახდეს, გოგონებისათვის სწავლა ხელმისაწვდომი უნდა იყოს.“ – ეს სიტყვები მალალა იუსუფზაის ეკუთვნის, ნობელის პრემიის ყველაზე პატარა მფლობელს. პაკისტანელმა ახალგაზრდა უფლებადამცველმა მალალა იუსუფზაიმ თავისი სიცოცხლის და ჯანმრთელობის ფასად გააპროტესტა გოგონებისათვის სწავლის უფლების შეზღუდვა. მალალას სიმამაცემ მსოფლიოს სხვადასხვა სახელმწიფოს მოქალაქეების უპრეცედენტო მხარდაჭერა მოიპოვა. ინტერნეტ-პეტიციამ ქალთა უფასო სასკოლო განათლების შესახებ 1 108101 ხელმოწერა მოაგროვა. მალალა იუსუფზაი გოგონათა განათლებისთვის მებრძოლი ადამიანის სიმბოლოდ იქცა და მშვიდობის დარგში ნობელის პრემია მიიღო.

პეტიცია ცდების განახლებისთვის



გრანადის უნივერსიტეტის მეცნიერებმა (ესპანეთი) დაასაბუთეს ახალი პრეპარატის ეფექტურობა სიმსივნურ უჯრედებთან ბრძოლაში. მეცნიერებს ცდების დასასრულებლად სახსრები არ გააჩნდათ. პეტიციას მილიონმა ადამიანმა დაუჭირა მხარი. მეცნიერებმა პეტიციათა ვებგვერდის გამომწერებისგან (Change.org) 43 000 ევრო მიიღეს, ხოლო ანდალუსიის (ესპანეთის ავტონომიური გაერთიანება) საბჭომ ცდების გასაგრძელებლად დამატებით 200 000 ევრო გამოყო.

do not copy

იმუშავეთ ჯგუფებში

ჯგუფთან ერთად მოიფიქრეთ და შეარჩიეთ ერთი იდეა ან წინადადება, რომლის განხილვასაც პეტიციით მოითხოვდით. თქვენი იდეის/წინადადების პარლამენტის/მთავრობის სხდომაზე განხილვამდე გადაიტანეთ პეტიციის ნიმუში ფურცელზე. შეავსეთ და შემდეგ კლასის წინაშე წარმოადგინეთ დასაბუთებული პრეზენტაცია.

? რა შემთხვევაში არ გამოქვეყნდება პეტიცია?

თუ პეტიცია შეიცავს რომელიმეს ქვემოთ ჩამოთვლილი პუნქტებიდან, იგი არ გამოჩნდება ichange.gov.ge-ზე.

პეტიცია შეიცავს მოსაზრებას ან წინადადებას, რომელთა თემატიკაც არ შედის საქართველოს მთავრობის კომპეტენციაში. მაგალითად: „შეიღებოს თბილისის ყველა ავტობუსის გაჩერება მწვანედ“ ასეთი პეტიციით წარმდგენმა თბილისის მერიას უნდა მიმართოს.

- პეტიციები, რომლებიც გარკვევით და ნათლად არ გადმოსცემენ მოსაზრებას, იდეას ან შემოთავაზებას;
- კომერციული ხასიათის პეტიციები. მაგალითად: „შეიძინეთ მხოლოდ ჩემს მიერ წარმოებული პროდუქცია“;
- პეტიციები, რომლებიც შეიცავენ შეურაცხმყოფელ, უხამს, გამომწვევი შინაარსის მქონე განცხადებებს;
- სიძულვილის, დისკრიმინაციის, ძალადობის საფრთხის, ინდივიდის ან რომელიმე ჯგუფისთვის ზიანის მომტანი მოწოდებების შემცველი პეტიციები და სხვა.

dont copy

თქვენი როლი დემოკრატიულ სახელმწიფოში

მხოლოდ არჩევნებში მონაწილეობა არ არის საკმარისი დემოკრატიისთვის. ნებისმიერ ხელისუფლებას, განსაკუთრებით კი ე.წ „ახალი დემოკრატიის“ ქვეყნებში, მუდმივი მეთვალყურეობა და კონტროლი სჭირდება, რათა არ გაზარმაცდეს ან ბოროტად არ გამოიყენოს ძალაუფლება.

ხალხს საშუალება აქვს არჩევნებს შორის პერიოდშიც მოახდინოს გავლენა ხელისუფლების საქმიანობაზე და აქტიურად მონაწილეობდეს გადაწყვეტილებების მიღებაში, რისთვისაც არაერთი ფორმა და საშუალება არსებობს, მაგალითად: ინფორმაციის მოთხოვნა, კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით ხელისუფლების ორგანოებისთვის რეკომენდაციით მიმართვა და ა.შ.

იმსჯელეთ

- მონაწილეობის რომელი ფორმა მიგაჩნიათ ყველაზე მისაღებად და ეფექტურად? რატომ?
- **წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული მაგალითები.** მონაწილეობის რომელ ფორმას/ხერხს აირჩევდით ჩამოთვლილი პრობლემების მოგვარებისათვის?
- დაამატეთ პუნქტები მონაწილეობის ფორმებისა და პრობლემების ჩამონათვალს.

1) 80 წლის ნუნუ ბებომ სიამოვნებით მიიღო მონაწილეობა პლებისციტში. მას მიაჩნია, რომ ამით ქვეყნის უკეთეს მომავალს დაუჭირა მხარი;
2) დათომ წელს პირველად მიიღო არჩევნებში მონაწილეობა. მან იმ კანდიდატს დაუჭირა მხარი, რომელიც სამუშაო ადგილების შექმნას დაჰპირდა;
3) თამარი იმ არასამთავრობო ორგანიზაციაში გაწევრიანდა, რომელიც გენდერულ საკითხებზე მუშაობს;
4) გიორგი საპროტესტო აქციას შეუერთდა. აქციის მონაწილეები მათი სოფლის გასწვრივ გამავალ მაგისტრალზე გამაფრთხილებელი საგზაო ნიშნების დამონტაჟებას მოითხოვენ;
5) ნოდარმა და ნინომ სამართალდამცავ ორგანოებთან ითანამშრომლეს. მათ სურთ, რომ უბანში კრიმინალური დაჯგუფება აღარ არსებობდეს;
6) ვანიკო პოლიტიკურ პარტიაში გაწევრიანდა. მას სურს ხმამაღლა ისაუბროს საზოგადოებრივ პრობლემებზე;
7) ლელა გადასახადებს ყოველთვის დროულად იხდის. ფიქრობს, რომ ამით არც თვითონ ზარალდება (დაჯარიმდება), მისი თანხით კი სახელმწიფო შესაძლოა სოციალურად დაუცველ ადამიანს დაეხმაროს;
8) ინგამ საგაზეთო სტატია მოამზადა, რომელშიც ადგილობრივი ბიუჯეტის განაწილების წესი გააკრიტიკა. სტატიას ადგილობრივი ხელისუფლება გამოეხმაურა;
9) გივიკომ ხელმოწერები შეაგროვა პეტიციისთვის. მისი ინიციატივა აზარტული თამაშების წინააღმდეგაა მიმართული;
10) ლუკამ სოციალურ გამოკითხვაში მიიღო მონაწილეობა. გამოკითხვა ერთ-ერთი კანონის შესახებ საზოგადოებრივი აზრის გარკვევას ემსახურებოდა;
11) ბაია ინტერნეტ ფორუმში (დისკუსიაში) მონაწილეობდა; ის მხარს უჭერს იმ ადამიანთა მიმართ ტოლერანტულ დამოკიდებულებას, რომლებსაც განსხვავებული სექსუალური ორიენტაცია აქვთ;
12) იმედამ მუნიციპალიტეტს მიმართა და სამუშაო ადგილების შექმნის მიზნით კონკრეტული პროექტი შესთავაზა;
13) თამთამ მედიის წარმომადგენლები თავის სოფელში მიიწვია, სადაც ადგილობრივ მოსახლეობაში რელიგიურ ნიადაგზე დაწყებული კამათი შესაძლოა კონფლიქტში გადაზრდილიყო. პრობლემაზე მრავალი სიუჟეტი მოამზადდა, ჩაერია ხელისუფლება და მხარეები შეთანხმდნენ.

don't copy

საზოგადოებრივ ცხოვრებაში ეფექტური და აქტიური მონაწილეობისთვის საჭიროა ვიცოდეთ:

- საზოგადოების წინაშე მდგარი აქტუალური პრობლემები;
- ინფორმაცია მათ გადასაჭრელად გადადგმული ნაბიჯების შესახებ;
- ამ პრობლემათა გადაჭრაზე პასუხისმგებელი უწყებები და ინსტიტუტები;
- პრობლემათა გადაჭრის შესაძლო გზები.

ზემოთთქმულის მაგალითად გამოდგება სიტუაცია, რომლის შემსწრენიც თავად გავხდით უახლოეს პერიოდში.

1. მოქალაქის უფლება ხელმისაწვდომ და ხარისხიან ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებაზე უზრუნველყოფილია კანონით.
2. სახელმწიფო აკონტროლებს ჯანმრთელობის დაცვის ყველა დაწესებულებას და სამედიცინო მომსახურების ხარისხს, არეგულირებს ფარმაცევტულ წარმოებას და ფარმაცევტული საშუალებების მიმოქცევას.

საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 28

ჯანმრთელობის დაცვა სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. სახელმწიფო ვალდებულია იმოქმედოს და გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები მოქალაქეთა უფლებების დასაცავად. 2020 წლის 21 მარტს პრემიერ-მინისტრმა მიმართა პრეზიდენტს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ერთი თვით საგანგებო მდგომარეობის შემოღების შესახებ. საგანგებო მდგომარეობა მთავრობას შესაძლებლობას აძლევდა, იზოლაციის ან კარანტინის წესების დამრღვევი პირები შესაბამის დაწესებულებებში იძულებით გადაეყვანა ან გამოეყენებინა მათ მიმართ კანონმდებლობით გათვალისწინებული სანქციები. გარდა ზემოაღნიშნულისა, კანონმდებლობა ითვალისწინებს შემდეგი სახის შეზღუდვების დაწესების შესაძლებლობას: მოსახლეობის დროებით გასახლებას საცხოვრებლად საშიში ზონებიდან; სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის შეზღუდვას; კომენდატის საათის შემოღებას და სხვა. **დადგენილი წესების დაცვაზე კონტროლის განმახორციელებელი ძირითადი ორგანოები** იყვნენ: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო. **საქართველოს მოქალაქეებს ეთხოვათ გამოეჩინათ მაღალი სამოქალაქო პასუხისმგებლობა** და დამორჩილებოდნენ საგანგებო მდგომარეობის დროს შემოღებულ შეზღუდვებს. მოქალაქეთა დიდი ნაწილი პასუხისმგებლობით მოეკიდა შეზღუდვებს, რითაც საკუთარ უსაფრთხოებაზეც იზრუნა და მოქალაქის მოვალეობაც შეასრულა. შეზღუდვები 2020 წელთან შედარებით შემსუბუქდა. 2021 წლის პირველ ნახევარში ძალაში დარჩა პირბადის ტარების ვალდებულება და რიგი შეზღუდვები. ამ ეტაპისთვის **მოქალაქეებმა უნდა გამოიჩინონ პასუხისმგებლობა და ჩაერთონ ვაქცინაციის პროცესში**, რათა პანდემია დასრულდეს.

do not copy

მოქალაქის მონაწილეობა ძირითადად ნებაყოფლობითია, მაგრამ არსებობს გამონაკლისებიც: მაგალითად, ნაფიც მსაჯულად შერჩევის შემთხვევაში მოქალაქე ვალდებულია, შეასრულოს ნაფიცი მსაჯულის ფუნქციები, თუ მას კანონით გათვალისწინებული კონკრეტული საპატიო მიზეზი არა აქვს.

ჩვენ ვისაუბრეთ, რა უფლებები და მოვალეობები აქვს პარლამენტს, მთავრობას, პრეზიდენტს ქვეყნისა და ხალხის წინაშე, მაშ, რა უფლება-მოვალეობები აქვს საქართველოს მოქალაქეს? გაეცანით ქვემოთ მოცემულ ცხრილს და დარწუნდებით, რამდენად მეტი უფლება აქვს საქართველოს მოქალაქეს, რამდენად ნაკლებ მოვალეობას აკისრებს მას თავისი ქვეყანა.

მოქალაქის უფლებები	მოქალაქის მოვალეობები
სიცოცხლის უფლება	ბუნებისა და გარემოს დაცვა
პატივისა და ღირსების უფლება	სამშობლოს დაცვა
ხელშეუხებლობის უფლება	კანონის დაცვა
საცხოვრებლისა და მისი ხელშეუხებლობის უფლება	გადასახადების გადახდა
თავისუფალი გადაადგილების უფლება	
სარწმუნოებისა და სინდისის თავისუფლება	
სიტყვისა და აზრის თავისუფლება	
ამომრჩევლობის უფლება და არჩევის უფლება	
შრომის უფლება	
დასვენების უფლება	
სოციალური დახმარების უფლება	
ჯანმრთელობის დაცვისა და სამედიცინო დახმარების უფლება	
განათლების უფლება	
იურიდიული დახმარების მიღების უფლება	
ინფორმაციის თავისუფლება	
შემოქმედების თავისუფლება	

dont copy

დავალება (აირჩიე ერთ-ერთი)

1 ამოირჩიე პეტიციის ელექტრონულ პორტალზე გამოქვეყნებული ერთ-ერთი ღია პეტიცია, წარუდგინე კლასს მისი ძირითადი შინაარსი, გამოთქვი მოსაზრება პეტიციის მოთხოვნებთან დაკავშირებით და განმარტე: რა შეიძლება გააკეთოს დაინტერესებულმა მოქალაქემ/ მოქალაქეების ჯგუფმა პეტიციაზე ხელმომწერთა შემოსაკრებად.

2 აირჩიე ერთი ვადაგასული პეტიცია, შენი აზრით, რატომ ვერ მოგროვდა ვადაგადასულ პეტიციებზე ხელმოწერები? მაგალითად, რუსთავში ჰაერის დაბინძურების საკითხზე ან სხვა საკითხზე შექმნილი ინიციატივისათვის? თვითონ როგორ მოახერხებდი მხარდამჭერთა შეგროვებას?

ქვეყანაში დემოკრატიის განვითარება პირდაპირ კავშირშია მოქალაქეების აქტიურობასთან. რაც უფრო მეტად არიან მოქალაქეები ჩართულნი გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში, მით მეტია დემოკრატიულობის ხარისხი და ხელისუფლებაც გაზრდილი პასუხისმგებლობით ეკიდება მისი ფუნქციების შესრულებას.

იმუშავეთ წყვილებში

გაეცანით ქვემოთ მოცემულ ტექსტს.

- თქვენი აზრით, რისი თქმა სურდა ავტორს?
- როგორ ეხმიანება მისი სათქმელი დემოკრატიის პრინციპებს?
- საჭიროა თუ არა ხელისუფლების კონტროლი? რატომ?

„წარმოიდგინეთ ისეთი საზოგადოება, რომელიც ბრმად ემორჩილება ავტორიტეტს. ავტორიტეტმა რომ თქვას თოვლისა შავიაო, იმანაც უნდა დაიძახოს, ნამდვილიაო და თანაც „ბრავო“ დაატანოს, მეტისმეტი გამჭრიახობის ძღვნად. რას მაგონებს ამნაირი საზოგადოება? – ცხვრის ფარას!... ამისთანა შემთხვევაში, თუმც არ ანგარიშობენ ხოლმე, მაგრამ არაფერი უშავს, მათემათიკურად დავამტკიცებ... ცხვრის ფარა შეიძლება ათასი ერთეულიდან იყოს შემდგარი და ათიათასიდამაც, მაგრამ საქმე იმაშია, ათი ათასის ჭკვა-გამოცდილება რომ შეაგროვო ერთად, ერთი ცხვრის ჭკვაზე და გამოცდილებაზე მეტი არ გამოვა. რო იცოდეთ, რა კარგია ამნაირ საზოგადოებაში ცხოვრება, ერთს კაცს შეუძლიან სუყველანი კლდეზე გადაყაროს.

მგელმა რომ გამოთხაროს სასხვარე და შეძვრეს, ათიათას ცხვარს ეგრევე დასჭრის თავებს, როგორც ერთს. კარგი სანახავია, არა, რომ ათიათასს ერთი ჰკლავდეს?! ამაზე მეტი პოეზია აღარ შეიძლება. მაშასადამე 10.000=1., 1=10.000.... ამისთანა ანგარიშებს ბევრს გამოვიყვანდი, მაგრამ ცოტა საზოგადოებისა მეხათრება“.

ვაჟა-ფშაველა. 1886წ.

don't copy

საზოგადოებრივი კონტროლის კიდევ ერთი საშუალებაა საჯარო განხილვაში მონაწილეობა და პარლამენტის კომიტეტებზე ან საკრებულოს სხდომებზე დასწრება და აზრის გამოთქმა.

გარდა ამისა, საზოგადოებრივი კონტროლის თვალსაზრისით მნიშვნელოვან როლს თამაშობენ **საზოგადოებრივი ორგანიზაციები** და **მედია,** რომლებიც მოიპოვებენ და საზოგადოებას აცნობენ მნიშვნელოვან ინფორმაციას, აწყობენ დებატებსა და საჯარო განხილვებს, ამზადებენ კვლევებს.

იმუშავეთ ჯგუფებში

მოტივაცია მნიშვნელოვანი ფაქტორია სამოქალაქო მონაწილეობისთვის. ხშირად მოქალაქეთა პასიურობა გამოწვეული იმით, რომ ისინი ვერ აცნობიერებენ სარგებელს ან არ იციან, თუ როგორ შეუძლიათ მონაწილეობა ან შესაძლოა ეჭვიც შეიტანონ საკუთარ შესაძლებლობებში ან მიაჩნდეთ, რომ ამას სხვა გააკეთებს.

- მოიფიქრეთ, როგორ შეიძლება მოქალაქეთა გააქტიურება საზოგადოებრივ კონტროლის საქმეში;
- როგორ დაარწმუნებდით მათ, რომ უფრო მეტად დაინტერესდნენ ხელისუფლების საქმიანობით?
- თქვენი მოსაზრებები ჩამოაყალიბეთ პრეზენტაციის ან პლაკატის სახით.

გამჭვირვალობა – საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

სამოქალაქო საზოგადოებაში მოქმედებენ ცალკეული ადამიანები (ინდივიდები), სოციალური ჯგუფები, სპეციალური ინტერესების ჯგუფები, არასამთავრობო ორგანიზაციები, ერთობაზე დაფუძნებული ორგანიზაციები, მედია და სხვა ჯგუფები, რომლებსაც აქვთ უნარი და საშუალება, გავლენა მოახდინონ როგორც საზოგადოებაზე, ასევე ხელისუფლებაზე.

ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისთვის აუცილებელია მოქალაქეებსაც ჰქონდეთ სურვილი და შესაძლებლობა აკონტროლონ მათ მიერ არჩეული ხელისუფლება

- რამდენად სრულყოფილად და დროულად ასრულებს დაპირებებს, პროგრამას;
- რამდენად სწორად და ეფექტიანად განკარგავს ხალხის მიერ გადახდილი გადასახადებით შედგენილ ბიუჯეტს.

არბიტრი – არასასამართლო სახის დავებში შუამავალი, მომრიგებელი მოსამართლე.

საზოგადოებრივი კონტროლის ეფექტურობისთვის აუცილებელია საზოგადოება ინფორმირებული იყოს სახელმწიფო ორგანოების საქმიანობის შესახებ, სწორედ ამიტომ **საჯარო დაწესებულებებში** არსებული საჯარო ინფორმაცია (გარდა, სახელმწიფო, კომერციული და პროფესიული საიდუმლოების შემცველი დოკუმენტებისა) და მათი საქმიანობის ანგარიშები ხელმისაწვდომი უნდა იყოს მოქალაქეებისთვის.

საზოგადოებრივი კონტროლის კიდევ ერთი საშუალებაა **საჯარო განხილვაში მონაწილეობა და პარლამენტის კომიტეტებზე ან საკრებულოს სხდომებზე დასწრება** და აზრის გამოთქმა.

dont copy

მოქალაქეს ნებისმიერი საჯარო დაწესებულებიდან შეუძლია მოითხოვოს მისთვის საინტერესო ინფორმაცია ელექტრონული პორტალის – www.my.gov.ge-ს მეშვეობით ან უშუალოდ კონკრეტულ ორგანიზაციას მიმართოს წერილობით ან ელექტრონულად.

სახელმწიფო საიდუმლოება – ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებამ ან დაკარგვამ შეიძლება ზიანი მიაყენოს საქართველოს ან საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების ან შეთანხმების მონაწილე მხარის სუვერენიტეტს.

მოდელირება – დავის განხილვა

კაზუსი

მოქალაქემ განცხადებით მიმართა გარემოს დაცვის სამინისტროს და მოითხოვა ინფორმაცია მის ქალაქში გარემოს მდგომარეობის შესახებ. მას უარი ეთქვა ამ ინფორმაციის გაცემაზე იმ მოტივით, რომ იგი წარმოადგენდა **სახელმწიფო საიდუმლოებას** და ამ ინფორმაციის გაცემა საზოგადოებაში გამოიწვევდა გაურკვევლობას. გამოიყენეთ კონსტიტუციის მეორე თავში (იხ. დანართი 1, გვ. 256-262) ინფორმაციასთან დაკავშირებული მუხლები.

განიხილეთ კაზუსი და დაადგინეთ ფაქტები:

1. როგორ ფიქრობთ, დაირღვა თუ არა მოქალაქის უფლება?
2. არის თუ არა აღნიშნული ინფორმაცია სახელმწიფო საიდუმლოება?;
3. ჩამოაყალიბეთ არგუმენტები და დააბუთეთ არჩეული პოზიცია;
4. დაიცავით თამაშის წესები.

don't copy

თამაშის წესები: დაიყავით სამ ჯგუფად (მხარეები: მოქალაქე და სამინისტრო, არბიტრები);

- მხარეები წარმოადგენენ არგუმენტებს და ასაბუთებენ საკუთარ პოზიციას; მხარეებს შეუძლიათ დაუსვან ერთმანეთს კითხვები;
- არბიტრები მსჯელობენ და აყალიბებენ თავიანთ პოზიციას.

გამჭვირვალობა და საჯაროობა

საჯაროა ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც დაცულია საჯარო დაწესებულებაში (მაგ: სამინისტრო, ადმინისტრაცია, მუნიციპალიტეტი) აუცილებელი არ არის, რომ იგი მხოლოდ ქაღალდზე იყოს გამოსახული, ეს შეიძლება იყოს ნახაზი, მაკეტი, სქემა, გეგმა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო და აუდიო ჩანაწერები.

საჯარო დაწესებულებებში არსებული ინფორმაცია ავტომატურად არ გულისხმობს საჯაროობას. ინფორმაცია შეიძლება იყოს **ღია** ან **დახურული**.

ღია ინფორმაცია – ინფორმაცია, რომელიც კანონით გათვალისწინებული წესით არ არის გასაიდუმლოებული.

დახურული ინფორმაცია – ინფორმაცია, რომელიც შეიცავს სახელმწიფო, კომერციულ ან პირად საიდუმლოებას.

საჯარო დაწესებულებას შეუძლია ინფორმაციის გამჭვირვალობა უზრუნველყოს ვებგვერდის, საინფორმაციო სტენდის მეშვეობით. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ ასევე წერილობითი ფორმით მიმართონ დაწესებულებებს და მოითხოვონ კონკრეტული ინფორმაცია.

საჯარო ინფორმაციას კანონი ასე განმარტავს: საჯარო დაწესებულებაში არსებული ნებისმიერი ინფორმაცია განეკუთვნება საჯარო ინფორმაციას, გარდა სახელმწიფო ან კომერციული საიდუმლოებისა და პერსონალური მონაცემებისა (სახელი, გვარი, პირადობის ნომერი, საბანკო ანგარიში, ინფორმაცია ჯანმრთელობის შესახებ და სხვა)

საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის განცხადების ნიმუში

საჯაროობის პრინციპი მოქმედებს სასამართლოსთან მიმართებითაც. **სასამართლო პროცესის საჯაროობა** ნიშნავს იმას, რომ სასამართლო დარბაზი ყველასთვის ღიაა და დამსწრეთათვის განკუთვნილი ადგილების გათვალისწინებით, სხდომაზე დასწრება შესაძლებელია.

ბუნებრივია, სასამართლოშიც, საკრებულოშიც, სამინისტროშიც დამსწრე პირთა ადგილები განუსაზღვრელი რაოდენობის ვერ იქნება და დასწრების მსურველთა სიმრავლის გამო, შესაძლოა ყველა დაინტერესებული ვერ დაუშვან სხდომაზე.

საჯაროობის პრინციპი აბსოლუტური არ არის და ის შეიძლება შეიზღუდოს კანონით დადგენილი წესით.

dont copy

მაგალითად, თუკი არსებობს საიდუმლო ინფორმაციის გამჟღავნების საფრთხე, სხდომა შეიძლება სრულად ან ნაწილობრივ დაიხუროს. მოქალაქეთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით სასამართლო სხდომები დაიხურა, აგრეთვე, პანდემიის პერიოდში.



ყურადღება!

საკითხი:

მედია – „მეოთხე ხელისუფლება“

კომპლექსური დავალება

კომპლექსური დავალების პირობა

წარმოიდგინე, რომ ჟურნალისტს, რომელმაც თქვენს ქალაქში/დაბაში/სოფელში სოციალურად დაუცველთა მდგომარეობის შესახებ ვიდეორეპორტაჟი მოამზადა, საზოგადოებრივი ტელევიზიის საინფორმაციო გადაცემაში სიუჟეტის გაშვებაზე უარი უთხრეს იმ მიზეზით, რომ ეს ხელისუფლებას არ მოეწონებოდა. დაწერეთ წერილი ამ მაუწყებლობის ხელმძღვანელობის მისამართით, რომელშიც დაუსაბუთებთ მათი გადაწყვეტილების არაკანონიერებას და გადაწყვეტილების არშეცვლის შემთხვევაში მოქალაქეთა საპროტესტო მზაობაზეც შეატყობინებთ.

წერილში/ წერილის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინეთ:

- ადამიანის რომელი უფლება დაირღვა/შეიზღუდა? რომელი უფლების დარღვევის საფრთხე შეიქმნა?
- რა მიზანს ისახავდა რეპორტაჟის გამოქვეყნება და რა სარგებელს მოუტანდა ქალაქს/სოფელს? რა საფუძვლები და ბერკეტები არსებობს ამ პრობ;ლემის მოსაგვარებლად და ჟურნალისტის უფლების დასაცავად (დოკუმენტები, ინსტიტუციები)
- საჭიროების შემთხვევაში, რა მოქმედებებს გეგმავს თქვენი საინიციატივო ჯგუფი სოციალურად დაუცველებისა და ჟურნალისტის მხარდასაჭერად, რა რესურსები გაგაჩნიათ.
- დემოკრატიის იმ კონკრეტული პრინციპების არსი და მნიშვნელობა, რომელიც ამ სიტუაციაში დაირღვა;

dont copy

პრეზენტაციის შემდეგ ისაუბრე:

- რა სტრატეგიები გამოიყენე/რა ნაბიჯები გადადგი დავალებაზე მუშაობის სხვადასხვა ეტაპზე; რას გააკეთებდი განსხვავებულად, ხელახლა რომ იწყებდე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობას.

მედია – „მეოთხე ხელისუფლება“

მედია – (ლათ. medium) კომუნიკაციის არხი, რომლის მეშვეობითაც საზოგადოებაში სხვადასხვა ტიპის ინფორმაცია ვრცელდება.

მასმედია წარმოადგენს მასობრივი კომუნიკაციის საშუალებას, რომელიც გავლენას ახდენს საზოგადოებაზე. მედიით შესაძლებელია ადამიანების **ინფორმირება** მიმდინარე პროცესებზე, **აგრეთვე, განათლება, სოციალიზაცია და გართობა.** მედია დღესდღეობით საზოგადოების ხმად იქცა, რადგან ერთი მხრივ, **პროფესიული მედია** ასახავს საზოგადოებაში არსებულ აქტუალურ საკითხებს, პრობლემებს თუ ზოგად მდგომარეობას, მეორე მხრივ, სოციალური მედიის განვითარების პირობებში ასპარეზი გაიხსნა **სამოქალაქო ჟურნალისტიკისთვისაც**. თავად მოქალაქეები მათთვის და საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან სიახლეებზე, მოვლენებსა და პრობლემებზე მყისიერად ქმნიან და ავრცელებენ ინფორმაციას.

? რატომ და როგორ ითავსებს მედია „მეოთხე ხელისუფლების“ წოდებას?

მედიის ძირითადი ფუნქციებიდან იმ ფუქციებს შევეხებით, რომლითაც მედია გავლენას ახდენს ხელისუფლებაზე:

ინფორმირება. მედიის მთავარი ფუნქციაა მოქალაქეების უზრუნველყოფა ინფორმაციით. დემოკრატიულ საზოგადოებაში ადამიანები გადაწყვეტილებებს ინფორმაციის საფუძველზე იღებენ, ამდენად ინფორმირებული მოქალაქე დემოკრატიული პროცესის მნიშვნელოვანი მონაწილეა. ინფორმირებულობა მას საშუალებას აძლევს, აქტიურად ჩაერთოს საზოგადოებრივ სამოქალაქო ცხოვრებაში, მიიღოს სწორი გადაწყვეტილებები, აიღოს პასუხისმგებლობა. ამიტომაც მედიას, საზოგადოების მრავალფეროვანი, სანდო და ზუსტი ინფორმაციით უზრუნველყოფის თვალსაზრისით, საკვანძო ფუნქცია აკისრია.

> სიტყვის ძალა იმდენად დიდია, რომ შეუძლია უდიდესი აქციოს უმცირესად, მცირე კი გამოხატოს უდიდესად, ყველასთვის უკვე ცნობილი – სხვაგვარად გამოხატოს, ახალი საქმეები კი ძველ ყაიდაზე წარმოადგინოს.
>
> *სოკრატე*

მედია საზოგადოებას არა მხოლოდ ინფორმაციას უნდა აწვდიდეს, არამედ უხსნიდეს კონტექსტს და აძლევდეს **ცოდნას**, თუ რა გავლენა აქვს პოლიტიკის ამა თუ იმ გადაწყვეტილებას თუ რეგულაციას მის ცხოვრებაზე.

dont copy

მეთვალყურეობა. მედიას **„მეოთხე ხელისუფლებას“** (Watchdog ინგლისურად „მოდარაჯე ძაღლი“) ამ ფუნქციის გამო უწოდებენ, რომელიც ხელისუფლების სამი შტოს საქმიანობისა და მათ შორის დამაბალანსებელი პროცესების მეთვალყურეობას და კონტროლს გულისხმობს. მედია ხელისუფლების საქმიანობას და გზავნილებს სკეპტიკური პოზიციიდან უნდა აფასებდეს და მის ანგარიშვალდებულებასა და გამჭვირვალობას უზრუნველყოფდეს.

სახალხო ფორუმი. მედია საზოგადოებას საჯარო კრიტიკისა და მსჯელობის პლატფორმას სთავაზობს, რომელიც მოსაზრებათა მრავალფეროვნებას უნდა უზრუნველყოფდეს და პლურალიზმს უწყობდეს

მოდერატორი – ფოკუს-ჯგუფის წამყვანი, რომელიც შეიძლება იყოს როგორც თავად მკვლევარი, ასევე მოწვეული პირი.

ხელს. საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე საჯარო დებატები ფაქტებს უნდა ეფუძნებოდეს და მედია ამ პროცესში შუამავლის ანუ **მოდერატორის** როლს უნდა ასრულებდეს.

მედიაადვოკატირება მედიის მეშვეობით გადაწყვეტილების მიღების პროცესზე ზეგავლენას გულისხმობს. აქვე მაგალითად მოყვანილი მედიაპროდუქტები ამ გავლენას ადასტურებს. ამ გავლენის გამოც უწოდებენ მედიას „მეოთხე ხელისუფლებას“.

? როგორია სანდო მედიაპროდუქტი?

ფაქტი – ის, რისი გადამოწმებაც შეიძლება. შესაძლებელია ფაქტის უტყუარობა ან მცდარობა მტკიცებულებებზე დაყრდნობით გადამოწმდეს.

მას უამრავი მახასიათებელი აქვს, მაგრამ ამჯერად ერთ ასპექტზე შევჩერდებით: ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს სიმართლეს და საზოგადოების უფლებას – მიიღოს ზუსტი ინფორმაცია (საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია, პრინციპი 1). მნიშვნელოვანია, რომ ჟურნალისტურ პროდუქტში მკვეთრად გაიმიჯნოს ერთმანეთისგან **ფაქტი** და **მოსაზრება**.

მოსაზრება შესაძლოა ემყარებოდეს ფაქტებს, მაგრამ იმის დამტკიცება, თავად მოსაზრება სწორია თუ მცდარი, შეუძლებელია. თუმცა, ზოგჯერ ფაქტების და მოსაზრებების ერთმანეთისგან გარჩევა ძნელია, რადგან მედიასაშუალებები მათ ისე მკაფიოდ არ მიჯნავენ, როგორც საჭიროა.

მედია ინფორმაციის საფუძველზე მოქალაქეთა აქტიურობის მაგალითი.

ეს ქალაქი შენია!*

dont copy

თბილისის ერთ-ერთი უძველესი ისტორიული ძეგლი, გუდიაშვილის სკვერი, რომელიც ქალაქის კულტურული მემკვიდრეობის სიაშია შეყვანილი, 2011 წელს ხელისუფლებამ რეაბილიტაციისა და რეკონსტრუქციის მიზნით უცხოური კომპანიას გადასცა. როგორც გაირკვა, ამ კომპანიის გეგმები სკვერის ისტორიული იერ-სახის შენარჩუნებას არ ითვალისწინებდა.

არასამთავრობო ორგანიზაციამ სოციალური ქსელის მეშვეობით დაგეგმა საპროტესტო აქცია „დაიცავი გუდიაშვილი“. 2011 წლის 24 დეკემბერს გამართულ აქციაში აქტიურად ჩაერთნენ რიგითი მოქალაქეები. გუდიაშვილის სკვერის დასაცავად აქციები

* თამარ ამაშუკელი, ჟურნალი „ინდიგო“; დეკემბერი, 2015

გარკვეული პერიოდულობით იმართებოდა. საბოლოოდ, სამოქალაქო სექტორის ინიციატივით დაწყებული კამპანია წარმატებით დასრულდა. გუდიაშვილის სკვერსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე ჩატარდა კომპლექსური რეაბილიტაცია.

პრობლემის შესახებ მოქალაქეები ინფორმაციას მედიის საშუალებით იღებდნენ, შემდეგ კრიტიკულად იაზრებდნენ და იღებდნენ გადაწყვეტილებას სამოქალაქო აქტივობებში ჩართვის შესახებ. მედიიდან მიღებული ინფორმაციის გარეშე ამ ინიციატივას გაუჭირდებოდა ქცეულიყო სამოქალაქო მოძრაობად. აქციების ერთერთმა მონაწილემ შეფასება მისცა განვითარებულ მოვლენებს:

„...ჩვენ შევქმენით ღია პლატფორმა, სადაც ყველას ჰქონდა საშუალება, ეთქვა სათქმელი იმ ფორმით, რაც მისთვის იყო მისაღები – სიმღერით, გამოფენით, ცეკვით თუ პოეზიით... ჩვენ შევძელით ჩვენი ქალაქის დასაცავად დაწყებული საპროტესტო აქცია ფესტივალად გვექცია. და ეს იყო პროტესტის ფესტივალი.

ხშირად ვსაუბრობთ დემოკრატიული სახელმწიფოს შენებაზე, მოქალაქეობრივ ვალსა და სამოქალაქო განათლებაზე. მე კი, ერთი რამ ვიცი: ზუსტად ასეთი აქციები და აქციებით მოპოვებული გამარჯვებები არის ის, რაც მოქალაქეს უჩენს განცდას, რომ ქალაქი მისია; მას მისი შეცვლა შეუძლია; ის არის ყველაზე მნიშვნელოვანი და მის წინაშე ანგარიშვალდებულია ქალაქისა და სახელმწიფოს მთავრობა.“

dont copy

სოციალური მედია

საზოგადოების დიდი ნაწილი ახალ ინფორმაციას მიმდინარე პროცესების შესახებ ძირითადად სოციალური მედიის საშუალებით იღებს.

სოციალური მედიის როლი ყოველდღიურად იზრდება. მედიასაშუალებების ძირითად ნაკლად მისი ცალმხრივობა მიიჩნეოდა. დაგვიანებული ან შეუმდგარი უკუკავშირი საზოგადოებასთან ურთიერთობის შესაძლებლობას ამცირებს. თანამედროვე ტექნოლოგიის დახმარებით კი სოციალურმა მედიამ მასობრივი კომუნიკაცია ონლაინ რეჟიმში გადაიყვანა, რითაც ტრადიციული მედიაც სარგებლობს.

ჩვენს ქვეყანაში მედიის როლი განსაზღვრულია საქართველოს კონსტიტუციით.

სოციალური მედია – ინფორმაცია, რომელიც გადაიცემა სოციალური ქსელების საშუალებით.

თქვენ წინაშეა მედიაში გაშუქებული რამდენიმე თემა. მედიასაშუალების როლი და გავლენა საზოგადოებრივ პროცესებზე ამ მცირე ჩამონათვალითაც ნათელია.

„აგოთაში მოსახლეობა გზის შეკეთებას ითხოვს“

ამ სათაურით სიუჟეტი სოფელ აგოთაში არსებულ გზის პრობლემაზე მოვამზადეთ. სიუჟეტიდან რამდენიმე დღის შემდეგ უწყებამ გზის შეკეთება დაიწყო.

„დედა გადაარჩინა“

ხონის სკოლის მოსწავლემ ჟურნალისტს გაუზიარა თავისი გასაჭირი – ის დედისთვის ოპერაციის ფულს აგროვებდა. სახელმწიფო დახმარება კი საკმარისი არ იყო. ჟურნალისტმა გოგონა გადაცემაში მიიწვია და მოქალაქეებს მისი მხარდაჭერისკენ მოუწოდა. თანხა იმაზე მეტი შეგროვდა, ვიდრე საჭირო იყო. გოგონას ბიზნესმენებიც გამოეხმაურნენ და მას საყვარელი პროფესიის დაუფლების შესაძლებლობაც მიეცა.

„გარე სამყაროსთან დამაკავშირებელი ერთადერთი გზა, რომელიც ტყეში გადის“

ამ სიუჟეტის გასვლის შემდეგ აღნიშნული ოჯახი ხელისუფლებამ **ეკომიგრანტთა** ბაზაში დაარეგისტრირა. ჩვენი ინფორმაციით, სამუშაოები მიმდინარეობს, რომ ოჯახმა ეკომიგრანტებისთვის გათვალისწინებული სახელმწიფო სერვისით ისარგებლოს.

ეკომიგრანტი – სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ადამიანი.

„ცხრა თვე კომპენსაციის მოლოდინში“

თემა ეხებოდა სოფელ ზესოფელში სტიქიით დაზარალებულ ფერმერებს, რომლებიც კომპენსაციას ცხრა თვის განმავლობაში ელოდებოდნენ. სიუჟეტის გასვლიდან რამდენიმე კვირაში მერიამ გვაცნობა, რომ დაზარალებულებს კომპენსაცია მისცეს.

don't copy

„საეჭვო მოზარდი“

პატრულის თანამშრომელმა „საეჭვო“ არასრულწლოვანი მოზარდი განყოფილებაში მიიყვანა ისე, რომ არც მის მშობელს შეატყობინა და არც ადვოკატს. მოზარდი მეორე დღეს გაათავისუფლეს. სიუჟეტის გასვლის შემდეგ, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადაჭარბების გამო პოლიციელი სამსახურიდან გაათავისუფლეს.

იმსჯელეთ

- თუ გსმენიათ, ადგილობრივ მედიასაშუალებებში საკითხის გაშუქების შემდეგ როგორ გადაიჭრა კონკრეტული პრობლემა?
- თქვენ თუ მოისურვებდით მოხალისეობისა და ადვოკატირების ფარგლებში მედიასთან თანამშრომლობას კონკრეტული საკითხის გასაშუქებლად/გადასაჭრელად? როგორ?

მოდელირება – ბრიფინგი

იქმნება 4 ჯგუფი: **„პარლამენტარები“, „მთავრობა“, „მოსამართლეები“, „ჟურნალისტები“.**

I ეტაპი. ჯგუფები ეცნობით სიტუაციას:

სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა ეტლით მოსარგებლე მოზარდების ჯგუფმა. განცხადებაში აღნიშნულია, რომ ირღვევა მათი უფლება თავისუფალი გადაადგილებისა და განათლების მიღების შესახებ. შესაბამისი ინფრასტრუქტურის (ადაპტირებული ტრანსპორტის, პანდუსების, სველი წერტილების...) არქონის გამო მათ არ შეუძლიათ განათლების უფლებით შეუფერხებლად სარგებლობა. სახალხო დამცველმა გამოაქვეყნა ეს ინფორმაცია და ხელისუფლების სხვადასხვა შტოებს რეაგირებისკენ მოუწოდა.

ხელისუფლების სამივე შტოს წარმომადგენლებმა დაგეგმეს ბრიფინგი მედიისათვის.

კლასში შექმნილმა თითოეულმა ჯგუფმა ბრიფინგისათვის უნდა მოამზადოს ინფორმაცია მოცემული კითხვების გათვალისწინებით:

- როგორია თქვენი შტოს პასუხისმგებლობა ამ საკითხზე?
- თქვენი რომელი სტრუქტურაა ამ პრობლემაზე პასუხისმგებელი?
- რა აქვს გაკეთებული ამ სტრუქტურას პრობლემის მოსაგვარებლად?
- სხვა რომელი შტოს ბრალეულობას ხედავთ ამ სიტუაციაში? (არგუმენტები, მაგალითები)
- რას გეგმავთ ამ პრობლემის მოსაგვარებლად?

(თითოეულ ჯგუფს ექნება 3 წთ პოზიციების გამოსახატად).

don't copy

„ჟურნალისტების“ ჯგუფი ამზადებს კითხვებს, რომელთა მოდიფიცირებასაც ახდენენ წინა სამი ჯგუფის მიერ ბრიფინგზე წარმოდგენილი ინფორმაციების შესაბამისად. სულ აქვთ 3-4 კითხვის დასმის უფლება.

II ეტაპი. იმართება ბრიფინგი.

პირველი სამი ჯგუფი რიგრიგობით წარადგენს თავის ინფორმაციას. „ჟურნალისტები“ სვამენ კითხვებს.

დაიცავით დროის ლიმიტი.

დასასრულ, ყველა ჯგუფს გეძლევათ დრო 2-3 წინადადებიანი დასკვნისათვის.

ყურადღება!

საკითხი: საგზაო უსაფრთხოება

აირჩიე დავალება

კომპლექსური დავალება 1

კომპლექსური დავალების პირობა

შენს ქალაქში/დაბაში/სოფელში გამავალი საერთაშორისო მაგისტრალი საფრთხეს უქმნის ფეხით მოსიარულეებსა და მძღოლებს, ასევე ამ გზაზე მოძრავ სატრანზიტო მანქანებს. იმის გამო, რომ დასახლებულ პუნქტში არ არის მოწყობილი მიწისქვეშა გასასვლელი და მოსახლეობას მაგისტრალის გადაკვეთა უწევს, იქმნება რეალური საფრთხე, ხშირია ავტოსაგზაო შემთხვევები, ფერხდება მოძრაობა.

მოამზადე **წერილი** ცენტრალური ხელისუფლების სახელზე მიწისქვეშა/მიწისზედა გადასასვლელის მოწყობის თაობაზე.

ნაშრომში/ნაშრომის წარდგენისას ხაზგასმით წარმოაჩინე:

- რატომ გადაწყვიტეთ მოქალაქეებმა პრობლემის ადვოკატირებაში ჩართვა და რამდენად არის გათვალისწინებული, როგორც ადგილ ბრივი მოსახლეობის, ისე მძღოლების და ტვირთმზიდავი კომპანიების ინტერესები;
- ვის საჭიროებაზე ზრუნვის გამოხატულებაა თქვენი აქტივობა და რა პრობლემის მოგვარება გაქვთ განზრახული?
- რატომ მიიჩნიეთ ცენტრალური ხელისუფლებისთვის წერილით მიმართვა (ადვოკატირება) პრობლემის მოგვარების რაციონალურ გზად;
- რამდენად განაპირობებს მიწისქვეშა გადასასვლელის მოწყობა ადამიანების ჯანმრთელობისა და სიცოცხლის უსაფრთხოებას; რამდენად აამაღლებს ამ მაგისტრალისადმი მომხმარებლების ნდობას.
- პრეზენტაციის შემდეგ ისაუბრე:

don't copy

პრეზენტაციის შემდეგ ისაუბრე:

რა სტრატეგიები გამოიყენე/რა ნაბიჯები გადადგი დავალებაზე მუშაობის სხვადასხვა ეტაპზე; რას გააკეთებდი განსხვავებულად, ხელახლა რომ იწყებდე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობას.

კომპლექსური დავალება 2

კომპლექსური დავალების პირობა

წარმოიდგინეთ, რომ ხართ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს თანამშრომელი, თქვენმა სამინისტრომ გამოსცა ბრძანება, რომელიც საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივ გზებზე უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფას ეხება. ადგილობრივად იმავე პრობლემის შესწავლისთვის თქვენ დაგევალათ, ადილობრივი შსს სტრუქტურებიდან და მოსახლეობიდან მოიძიოთ ინფორმაცია და მის საფუძველზე მოამზადოთ თქვენივე ქალაქის/დაბის/სოფლის საგზაო ქსელში არსებული ე.წ. ,,შავი წერტილების" (,,შავ წერტილად" მიჩნევისთვის კმარა 3-4 შემთხვევაც, თუ დასახლებაში მოძრაობა ინტენსიური არ არის) **აღწერილობა** (სასურველია დაურთოთ რუკაც) და ამ მონაკვეთის ინფრასტრუქტურის **მოწესრიგების გეგმა** (თქვენეული).

ნაშრომში ხაზგასმით წარმოაჩინეთ:

- რამდენად მნიშვნელოვანია რეგულაციების მომზადება ,,შავი წერტილების" ადგილობრივ საგზაო ქსელშიც მოწესრიგებისთვის? ამ გზებით მოსარგებლე მძღოლებისა და მგზავრების ინტერესებისა და კეთილდღეობისათვის?
- რა მნიშვნელობა აქვს ცალკეული რეგიონების ,,შავი წერტილების" გაუვნებლობას, მთელი საქართველოს მასშტაბით, მგზავრთა შემდგომი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

dont copy

პრეზენტაციის შემდეგ ისაუბრე:

რა სტრატეგიები გამოიყენე/რა ნაბიჯები გადადგი დავალებაზე მუშაობის სხვადასხვა ეტაპზე; რას გააკეთებდი განსხვავებულად, ხელახლა რომ იწყებდე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობას.

პრაქტიკული რჩევები:

გაეცანით ბრძანების ,,საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე ,,შავი წერტილების" აღმოფხვრისა და ამ გზებზე უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ" დანართი N1;

https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5058264?publication=0

გაეცანით ვებგვერდს: „საქართველოს ალიანსი უსაფრთხო გზებისთვის"

იმსჯელეთ

ქვემოთ მოცემულ ფოტოებზე გამოსახულია ქვეითი, ველოსიპედისტი და მძღოლი. იმსჯელეთ:

- რომელი მათგანი არღვევს საგზაო მოძრაობის წესებს?
- დღეს რომელი მათგანის ქმედება ისჯება კანონით?
- რას ურჩევდით მთავრობას ამ ქმედების პრევენციისათვის?



შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, საქართველოში საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების შედეგად

- ბოლო 10 წელში 6608 ადამიანი დაიღუპა;
- 2020 წლის პირველ 3 თვეში 16 წლამდე 8 მოზარდი დაიღუპა, ხოლო 142 დაშავდა;
- გარდაცვლილია 33 ქვეითად მოსიარულე და დაშავებულია – 349 ქვეითი.

dont copy

საგზაო უსაფრთხოების ეროვნული სტრატეგია

საგზაო უსაფრთხოების ეროვნული სტრატეგია განსაზღვრავს იმ ძირითად მიმართულებებს, რომელთა შესრულებაც გაუმჯობესებს ქვეყანაში შექმნილ მდგომარეობას საგზაო უსაფრთხოების მიმართულებით. სამოქმედო გეგმა შესაბამისობაშია გაეროს საგზაო უსაფრთხოების სამოქმედო გეგმასთან და ევროკავშირის სტანდარტებთან. პრიორიტეტებად განისაზღვრა ხუთი ძირითადი მიმართულება:

1. ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მდგომარეობის ხარისხის გაუმჯობესება;
2. საგზაო მოძრაობის მონაწილეების უსაფრთხოების დონის გაუმჯობესება;
3. საგზაო მოძრაობის წესების აღსრულების ეფექტურობის გაუმჯობესება;

4. საგზაო ინფრასტრუქტურის უსაფრთხოების დონის გაუმჯობესება;
5. საგზაო შემთხვევის შემდგომ რეაგირების ეფექტურობის გაუმჯობესება.

„შავი წერტილები“

საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების პრევენციის მიზნით, საქართველოს საგზაო ქსელში განისაზღვრება ე.წ. „შავი წერტილები“ და მათ აღმოსაფხვრელად სახელმწიფო ქმნის საკანონმდებლო საფუძველს.

„შავ წერტილად“ განისაზღვრება საავტომობილო გზის არაუმეტეს 300 მეტრიანი მონაკვეთი, რომელზეც 3 წლის განმავლობაში დაფიქსირებულია ადამიანის გარდაცვალებით დასრულებული არანაკლებ ოთხი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა ან ადამიანის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებით და გარდაცვალებით დასრულებული არანაკლებ ათი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა. სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, მიწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, განახორციელებენ შესაბამის ღონისძიებებს „შავი წერტილის“ აღმოფხვრის და მასზე უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფის მიზნით.

100-ქულიანი სისტემა საგზაო უსაფრთხოებისთვის

2017 წელს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა ცვლილებები „საგზაო მოძრაობის შესახებ“ კანონში. საუბარია 100-ქულიან სისტემაზე, რომლის ამოქმედების შემდეგაც დარღვევების სწორედ ამ ქულების შემცირებას იწვევს. ცვლილებების თანახმად, მინიჭებული ქულების ნულამდე დაყვანის შემთხვევაში მძღოლს მართვის უფლება შეუწყდება. მოწმობის ხელახლა ასაღებად, მძღოლმა გამოცდა თავიდან უნდა ჩააბაროს ან დაელოდოს 12 თვის გასვლას. ამ პერიოდის შემდეგ მისი მოწმობა ავტომატურად შევა ძალაში.

dont copy

კიდევ უფრო გამკაცრდა კანონმდებლობა ნასვამი მძღოლების მიმართ. თუ მძღოლი საკუთარ მანქანას ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ მყოფ სხვა ადამიანს ათხოვებს, მას 30 ქულა ჩამოეჭრება. ხოლო თუ თავად მართავს მანქანას ნასვამ მდგომარეობაში, მართვის მოწმობა ავტომატურად ჩამოერთმევა.

ქულათა სისტემის ამოქმედებასთან ერთად ამოქმედდა **უკონტაქტო პატრულიც**. სპეციალური ვიდეოკამერების მიერ აღმოჩენილი დარღვევების გამო მძღოლს ქულები არ ეჭრება, თუმცა მას ფინანსური სანქციების შესახებ ინფორმაცია სახლში მისდის.

უკონტაქტო პატრული – საგზაო მოძრაობის რეგულირების ერთ-ერთი თანამედროვე საშუალება, რომლის დროსაც მძღოლის შეჩერების გარეშე ხდება დარღვევის დაფიქსირება და დაჯარიმება.

ჭკვიანი კამერები

საქართველოში ათასობით კამერა ზრუნავს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებაზე. მათი ნაწილი ნომრის ამომცნობი ე.წ ჭკვიანი კამერაა, ხოლო ნაწილი – ზოგადი ხედვის ვიდეოკამერა. რადარები (დანადგარები, რომლებიც იყენებენ რადიო ტალღებს ობიექტების მოსაძებნად) საავტომობილო გზების დაახლოებით 700 კილომეტრს ფარავს.

თბილისის ვიწრო ქუჩებში გადაადგილება საკმაოდ რთულია როგორც ქვეითთათვის, ასევე მძღოლებისათვის. ვიწრო შესახვევებში და გზაჯვარედინებზე, შესაძლოა კარგად არ ჩანდეს საპირისპირო მიმართულებით მოძრავი ავტომობილი. ასეთ დროს მნიშვნელოვანია ყურადღება მივაქციოთ საგზაო ნიშნებს. ისინი დაგეხმარებათ მოსალოდნელი რისკების თავიდან აცილებაში.

ტექნიკური ინსპექტირება

2018 წლიდან საქართველოში სავალდებული გახდა ავტოსატრანსპორტო საშუალებისათვის ტექნიკური ინსპექტირების პროცედურების გავლა. აღნიშნული რეგულაციის შემოღების ძირითადი მიზანია: საავტომობილო გზებზე ავტომობილის ტექნიკურ გაუმართაობით გამოწვეული ავარიების რაოდენობის შემცირება. ინსპექტირების გავლას საქართველოში რეგისტრირებული (ქართული ნომრების მქონე) ყველა ავტოსატრანსპორტო საშუალება ექვემდებარება. მძღოლი, რომელიც არ გაივლის ინსპექტირებას, დაჯარიმდება 50 ლარით და მართვის მოწმობაზე მოაკლდება 15 ქულა. იურიდიული პირი კი – 200 ლარით და -15 ქულით.

dont copy

იმსჯელეთ

განიხილეთ სიტუაცია და უპასუხეთ კითხვებს.

სიტუაცია

მე და ჩემი ძმები დედას სკოლაში მივყავდით. დილით გზა სრულიად თავისუფალი იყო. მოულოდნელად ჩიხიდან ავტომობილი გამოვარდა და ზუსტად ჩემ მხარეს ჩვენს მანქანას დაეჯახა. დედამ ჯერ ჩვენ შეგვამოწმა, დაგვამშვიდა. ნიკაპი და ხელები ისე უკანკალებდა, მივხვდი, რომ „მშვიდად“ ჩვენ გვაჩვენებდა თავს. ამ მოჩვენებითი სიმშვიდით გადავიდა დამჯახებელთან და ოც წლამდე ასაკის გოგო და ბიჭი შერჩა ხელში. დედას ისინიც შეეცოდა, ფერი არ გადევთო, უთხრა, მაგრამ ნუ გეშინიათ, გადავრჩითო. ეს როგორ მოგვიდათო, ხომ იცით, ჩიხიდან ასე გამოვარდნა არ შეიძლება, ჯერ უნდა გაგეხედათო.

ისინი ბოდიშობდნენ: დილას არავინ მოძრაობს ხოლმე და იმედიანად ვიყავითო. ისინი დედას შეეხვეწნენ, პოლიციაში არ განაცხადოთ, მანქანას ისე შეგიკეთებთ, ვერც კი იპოვით დაზიანებას, შეგვიცოდეო.

დედამ ტელეფონი გათიშა და დაუყვავა. მერე შეთანხმდენენ, რომ დედა სკოლაში დაგვტოვებდა და 2 საათში სახელოსნოში შეხვდებოდნენ. ზუსტად 2 საათში ერთმა მათგანმა დედას დაურეკა და დამცინავად უთხრა: გინდაც პატრულში განაცხადე, გინდ სასამართლოში, გინდა ექპერიმენტი ჩაატარე, პოლიცია 250 ლარით შენ დაგაჯარიმებს შეუტყობინებლობისთვის, ჩვენ ვერც ვერაფერს დაგვიმტკიცებ და არაფრის შეკეთებასაც არ ვაპირებთ, ეგ როგორ დაიჯერეო. გაოგნებული დედა დიდხანს ვერ გამოვიდა მდგომარეობიდან, ის ახალგაზრდების სახეცვლილმა ქცევამ გააოგნა.

- ვინ იყო დამნაშავე ავტოსაგზაო შემთხვევაში?
- თქვენი აზრით, რა მოხდა 2 საათში ისეთი, რომ ახალგაზრდებს აღარც პოლიციისთვის შეტყობინება ადარდებდათ და აღარც სასამართლოსთვის მიმართვა?
- რატომ არის მნიშვნელოვანი ქუჩებში ჭკვიანი კამერებისა და უკონტაქტო პატრულის არსებობა?
- რას ურჩევდით სიტუაციის გმირებს მომავალში გასათვალისწინებლად?
- როგორ განვითარდებოდა მოვლენები ეს ამბავი, მძიმე შედეგით რომ დასრულებულიყო?
- თქვენი აზრით, იჩენენ თუ არა საგზაო მოძრაობის მონაწილეები (მძღოლები, ქვეითები და მგზავრები) მეტ სიფრთხილეს და პასუხისმგებლობას, როცა იციან, რომ მათ კამერები აფიქსირებს?

dont copy

კამპანია # მეტი სიცოცხლისთვის

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარდა საინფორმაციო კამპანია # მეტი სიცოცხლისთვის. მისი მიზანია – ქვეყანაში ავტოსაგზაო შემთხვევებისა და მის შედეგად დაზარალებული ადამიანების რაოდენობის შემცირება, საზოგადოების ცნობიერების ამაღლება. კამპანიის ფარგლებში თბილისსა და რეგიონებში დროებითი ინსტალაციები დამონტაჟდა, შეიქმნა ბანერები და დამზადდა შესაბამისი ვიდეორგოლები. **იხილეთ ბმული:** ნუ ამოატრიალებ საკუთარ ცხოვრებას https://bit.ly/3ihrAZf

დავალება

შევუერთდეთ კამპანიას „მეტი სიცოცხლისთვის“.

- გაგვიზიარეთ, რა არის თქვენთვის „სიცოცხლე ერთ ფოტოში“. გააცანით თანაკლასელებს თქვენი ფოტო, რომელსაც ასე აღიქვამთ;
- ჩაატარეთ სასკოლო კამპანია # მეტი სიცოცხლისთვის.
- გადაღებული ფოტოები ატვირთეთ სკოლის ფეისბუქ-გვერდზე ან გამოფინეთ საკლასო ოთახში.

ᲩᲔᲜᲘ ᲣᲤᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲕᲐᲚᲔᲝᲑᲔᲑᲘ ᲡᲐᲒᲖᲐᲝ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲘᲡᲐᲡ



მოქალაქეები იშვიათად ვაცნობიერებთ, რომ როგორც ქვეითებს/მგზავრებს, გვაქვს ჩვენი უფლებები.

ქვეითის უფლებები ირღვევა:

- ტროტუარზე ავტომობილის უკანონო პარკირების დროს;
- „ზებრაზე“ ავტომობილის დგომის გამო;
- მძღოლის მიერ „ზებრაზე“ ქვეითისთვის გზის არდათმობის გამო;
- ეტლით მოსარგებლე პირისთვის ქუჩაზე გადასასავლელის (ავტომობილის პარკირებით) ჩაკეტვის გამო;
- საცხოვრებელ ზონაში ავტომობილის სპეციალური ზონის მიღმა დგომის გამო;
- საცხოვრებელ ზონაში ავტომობილის 20კმ/სთ-ზე მეტი სიჩქარით მოძრაობის გამო;
- საცხოვრებელ ზონაში ავტომობილის სასწავლო სვლის გამო;
- ავტოტრანსპორტის გამონაბოლქვის გამო;
- სამშენებლო სამუშაოების მიზეზით, ქვეითთა სივრცის წართმევის გამო;
- დაზიანებული/არარსებული ინფრასტრუქტურის გამო.
- საზოგადოებრივ ტრანსპორტში შშმ პირის საჭიროებისათვის არაადაპტირებული გარემოს გამო.

ირღვევა შშმ მძღოლის უფლება, როცა მისი ავტომობილისთვის განკუთვნილი პარკირების ადგილი დაკავებულია სხვა პირის მიერ. აღნიშნული ქმედება ისჯება ჯარიმით.

ქვეითი SOS!

ქვეითთა უფლებების მხარდასაჭერად და პრობლემების გადასაწყვეტად შეიქმნა მობილური აპლიკაცია – ქვეითი SOS! პროექტი ხელისუფლებასა და მოქალაქეებს შორის ურთიერთობის კარგი მაგალითის ჩვენებასა და ქვეითთა პრობლემების წინ წამოწევას ემსახურება.

dont copy

იხილეთ: ქვეითი SOS! – https://bit.ly/3tMmis6. აპლიკაციის მომხმარებელი იღებს ქვეითთა უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილების შემაფერხებელი ფაქტორების ამსახველ ფოტო/ვიდეო-ს (ან ტელეფონის მეხსიერებიდან ირჩევს უკვე გადაღებულ ფაილს). აღნიშნული ფოტო/ვიდეო იტვირთება ინტერნეტ სერვერზე, რომელსაც უმოკლეს დროში ნახავენ შესაბამისი უწყების თანამშრომლები. რასაც ბუნებრივია მოჰყვება შესაბამისი რეაგირება.

იმსჯელეთ

გაეცანით ქვემოთ მოცემულ ამონარიდს და უპასუხეთ კითხვებს:

- რამდენად დროულია მსგავსი რეგულაციის შემოღება?
- რამდენად იცავს თქვენს უფლებებს ეს რეგულაცია?
- თქვენი აზრით, უნდა სარგებლობდეს თუ არა ყველა მგზავრი უსაფრთხოების ღვედით?
- რატომ გახდა საჭირო 500კმ-ზე მეტ მანძილზე ავტომობილის მართვისას მძღოლის თანმხლები პირის საჭიროება, რომელიც ჩაენაცვლება მას?
- წარმოიდგინეთ თავი მშობლის, სკოლის დირექტორის, ექსკურსიის ხელმძღვანელის, მძღოლის პოზიციაზე და შეაფასეთ აღნიშნული კანონის საჭიროება.

საქართველოს კანონი საგზაო მოძრაობის შესახებ (მუხლი 46-1) ექსკურსიის დროს მგზავრთა გადაყვანის წესები:

3. ექსკურსიის ფარგლებში ავტოსატრანსპორტო საშუალების მძღოლი ვალდებულია თან იქონიოს:

ა) ბოლო 6 თვის განმავლობაში გაცემული ავტოსატრანსპორტო საშუალების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების გავლის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ბ) ბოლო 1 თვის განმავლობაში გაცემული ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ ცნობა,

5. ექსკურსიის ფარგლებში მგზავრთა რაოდენობა ამ ავტოსატრანსპორტო საშუალების ქარხანა-დამამზადებლის მიერ მისთვის დადგენილი სავარძლების რაოდენობას არ უნდა აღემატებოდეს.
6. ექსკურსიის ფარგლებში ავტოსატრანსპორტო საშუალების მოძრაობისას ყველა მგზავრი უსაფრთხოების ღვედით უნდა სარგებლობდეს.
7. ექსკურსიის ფარგლებში იმ მგზავრის გადაყვანისას, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირია, გათვალისწინებული უნდა იქნეს მისი საჭიროება.
9. თუ ექსკურსიის ფარგლებში გასავლელი მიახლოებითი მანძილი 500 კმ-ზე მეტია, ავტოსატრანსპორტო საშუალების მძღოლს უნდა ახლდეს პირი, რომელიც აკმაყოფილებს ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტითა და მე-4 პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს.
10. ექსკურსიის ფარგლებში ავტოსატრანსპორტო საშუალებაში უნდა ინახებოდეს ცეცხლსაქრობი და პირველადი სამედიცინო დახმარების ჩანთა სათანადო შიგთავსით. პირველადი სამედიცინო დახმარების ჩანთის შიგთავსი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.
11. ექსკურსიის ორგანიზების/მოწყობის წესი მტკიცდება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

dont copy

ზემოთ განხილული სტრატეგიის, კანონების, რეგულაციების ინიციატორი და აღმასრულებელი არის ხელისუფლება, რომელიც თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ცდილობს ჩვენი ქვეყნის საგზაო უსაფრთხოება შეუსაბამოს ევროსტანდარტებს. ამ საქმიანობაში თავისი წვლილი შეაქვთ შესაბამის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებსაც. საგზაო უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საზოგადოების ჩართულობა და ცნობიერების ამაღლება. ჩაერთე შენც!

? რა შეგიძლია გააკეთო იმისათვის, რომ არ შეუქმნა საფრთხე საკუთარ თავს და საგზაო მოძრაობის სხვა მონაწილეებს?

საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებისათვის შენ შეგიძლია:

- დაიცვა საგზაო მოძრაობის წესები;
- არ ისარგებლო მობილურითა და ყურსასმენებით გზის სავალი ნაწილის გადაკვეთისას;
- სავალი ნაწილის გადაკვეთისას გამოიყენო მხოლოდ „ზებრა“ ან მიწისქვეშა/მიწისზედა გადასასვლელი;
- ვალდებული ხარ თავი შეიკავო სავალ ნაწილზე გადასვლისაგან იმ სატრანსპორტო საშუალების მოახლოებისას, რომელსაც ჩართული აქვს ლურჯი ფერის შუქურა და სპეციალური ხმოვანი სიგნალი, ხოლო თუ სავალ ნაწილზე იმყოფები, უნდა დაუთმო გზა ან დაუყოვნებლივ გადახვიდე სავალი ნაწილიდან;
- ავტომობილით მგზავრობისას შეიკარი ღვედი;
- სკეიტბორდით ისეირნო მხოლოდ სპეციალურად გამოყოფილ ადგილას;

dont copy

- თუ ტროტუარი არ არის, იარე მოძრაობის საწინააღმდეგო მიმართულებით, გზის უკიდურეს მარჯვენა ნაპირად.



ყურადღებაა გასამახვილებელი ველოსიპედისტის როლში მყოფ მოზარდზე. 14 წლიდან მოზარდს, სპეციალურად გამოყოფილი ადგილების გარდა, სხვაგანაც ეძლევა ველოსიპედის ტარების უფლება.

მოპედი და მსუბუქი კვადროციკლი მიეკუთვნება მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებას, რაც მათ საგზაო მოძრაობის ჩვეულებრივ მონაწილეებად აქცევს. შესაბამისად, მათზე ვრცელდება სხვა სატრანსპორტო საშუალებების მიმართ არსებული რეგულაციები. მოპედის მართვის უფლება მოზარდებს აქვთ16 წლის ასაკიდან. საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების გაზრდის მიზნით, საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, მოპედებს მინიჭებული აქვს სახელმწიფო ნომერი და მათ გადაადგილებას აღიქვამს „ჭკვიანი“კამერები.

დისკუსია

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, 17 წლის სრულწლოვან მოქალაქეს უფლება აქვს მიიღოს მართვის მოწმობა (თეორიული და პრაქტიკული გამოცდის საფუძველზე).

- მიგაჩნიათ თუ არა, რომ 17 წელს მიღწეულ პირს შეუძლია საკუთარ თავზე აიღოს პასუხისმგებლობა: ერთდროულად მართოს ავტომობილი, აკონტროლოს საგზაო მონაკვეთი, მიაქციოს ქვეითის მოძრაობას ყურადღება?
- რა იცით ამ საკითხის სტატისტიკის შესახებ? საკუთარი გამოცდილებით? რას ურჩევდით მთავრობას?
- თქვენი აზრით, რატომ გადაიტანეს მართვის მოწმობის გამოცდა ბუნებრივ გარემოში?
- რამდენად დაცულია თქვენი, როგორც ქვეითის, მგზავრისა და მძღოლის უფლებები?

dont copy

დავალება

მოამზადეთ ველოსიპედისტის ან მოპედის მძღოლისთვის საგზაო მოძრაობის წესების შესახებ პრეზენტაცია.

კარგი იქნება, თუ ამ წესების ვიზუალური მასალის შესაქმნელად ელექტრონულ რესურსს „ვსწავლობთ თამაშით“ გამოიყენებთ.

II თემა

ეკონომიკა და სახელმწიფო

dont copy



dont copy

ყურადღება!

საკითხი: პროფესიები – როგორ ვაკეთებ არჩევანს?

აირჩიე დავალება

კომპლექსური დავალება

კომპლექსური დავალების პირობა

წარმოიდგინე, რომ უკვე ზრდასრული ადამიანი ხარ და 10 წელია კონკრეტული პროფესიით/ხელობით მუშაობ. მოამზადე შენი ,,**დღიურის“ 3-4 დღის ამონარიდი**, რომელშიც აღწერ: შენს ვინაობას, პროფესიას, თანამდებობას, სამუშაო ადგილს, სამუშაოს მისამართს;

რჩევა: გარდა პირობაში მოცემული ინფორმაციისა, დღიურშივე ასახე კრიტერიუმების შესაბამისი ინფორმაციაც;

ნაშრომში/ ნაშრომის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინე:

- რატომ აირჩიე აღნიშნული პროფესია/ხელობა და რა გზის (სწავლა, მუშაობა) გავლა მოგიხდა მის დასაუფლებლად; როგორ გაამართლა შენმა მოლოდინმა; რა ცვლილებებს გეგმავ და რატომ?
- პიროვნული თვისებები და მახასიათებლები, რომელიც სჭირდება ამ საქმეს პროფესიონალიზმის მისაღწევად.
- როგორ მოგცა პროფესიამ/ხელობამ შენი მოთხოვნილებებისა და საჭიროებების დაკმაყოფილების საშუალება (დაასახელე მაგალითი/ები)?
- ურთიერთობები კოლეგებთან, მომხმარებლებთან, ხელმძღვანელებთან, ხელქვეითებთან (დაასახელეთ მაგალითები);

dont copy

პრეზენტაციის შემდეგ ისაუბრე:

რა სტრატეგიები გამოიყენე/რა ნაბიჯები გადადგი დავალებაზე მუშაობის სხვადასხვა ეტაპზე; რას გააკეთებდი განსხვავებულად, ხელახლა რომ იწყებდე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობას.

პროფესიები – როგორ ვაკეთებ არჩევანს?

იმსჯელეთ

- ჩამოთვალეთ თქვენთვის ნაცნობი საქმიანობები, რომლებსაც ადამიანები შემოსავლის მისაღებად ასრულებენ.
- რომელი მათგანია პრიორიტეტული, რომელი – არა? რატომ?

მოხალისე – ადამიანი, რომელიც ანაზღაურების გარეშე ასრულებს სასარგებლო შრომას.

? რა უნდა გაითვალისწინოთ პროფესიის არჩევისას?

ადამიანები თავიანთი გემოვნებისა და უნარის შესაბამის სამუშაოს პოულობენ. ყველა სამუშაო ადგილი მათთვის ერთნაირად ხელსაყრელი არ არის. საბაზრო ეკონომიკის პირობებში სამუშაო ადგილებზე მწვავე კონკურენციაა (მეტოქეობა). სამუშაოს ის იღებს, ვისაც მოცემულ სფეროში ყველაზე მაღალი კვალიფიკაცია აქვს. მაღალი პროფესიული უნარის მქონე მუშაკებზე მოთხოვნა ყოველთვის არსებობს, შესაბამისად, მათი ანაზღაურებაც მაღალია.

გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ბაკალავრებს დასაქმების 3-ჯერ მეტი შანსი აქვთ; მაგისტრებს კი – 5-ჯერ მეტი. ასევე, იოლად და წარმატებულად საქმდებიან შესაბამის სფეროებში პროფესიული განათლების მქონე ადამიანები, მაგალითად, მზარეულები, ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალიტები, მშენებლები, ავტოშემკეთებლები და სხვა.

მნიშვნელოვანია, რომ პროფესიის არჩევისას გავეცნოთ, რომელი პროფესიებია ამჟამად მოთხოვნადი და რომელი – მომავლისთვის პერსპექტიული.

მეწარმეები, რომლებიც მუდმივად ინოვაციების ძიებაში არიან და ახალ ტექნოლოგიებს ნერგავენ, ცხადია, ასაქმებენ კვალიფიციურ ადამიანებს, რომელთა შრომის ნაყოფიერებაც მაღალია და ხარისხიც გარანტირებული. შრომის ბაზარზე არის პროფესიები, რომელთა შესატყვისი კვალიფიკაციის მქონე ადამიანების მოძებნა რთულია ან სრულიად შეუძლებელი. ზოგ ადამიანს კი თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ცოდნა არ გააჩნია: უჭირს ან საერთოდ ვერ საუბრობს უცხო ენაზე, არ ფლობს კომპიუტერულ პროგრამებს, თანამედროვე ტექნოლოგიებს.

don't copy

ბევრ ქვეყანაში არსებობს ე.წ. „ზრდასრულთა განათლების პროგრამები“, რომლებიც ზრდასრულებს პროფესიულ გადამზადებაში, ან ახალი პროფესიის შეძენაში ეხმარება. სიახლეების მიმღებლობა ეს კარიერული წინსვლის საწინდარია.

პროფესიული განათლების დაწესებულებებში ამ თვალსაზრისით დიდ შესაძლებლობას ქმნის მოკლევადიანი და **დუალური** პროგრამები (ელექტროობა, შედუღება, წყალმომარაგების სისტემები, ზეინკალ-სანტექნიკოსი). დუალური პროგრამა/სწავლება – პროფესიული საგანმანათლებლო მიდგომა, რომლის მიხედვითაც სწავლის შედეგების ნახევარი ან მეტი რეალურ სამუშაო გარემოში (საწარმოში) წარიმართება. თეორიულ ცოდნას სტუდენტი იღებს კოლეჯში, ხოლო პროფესიულ უნარ-ჩვევებს რეალურ სამუშაო ადგილზე. სტუდენტური ხარჯებისთვის მას ხელფასის სახით – მცირე ანაზღაურება ენიშნება, ხოლო კარგი შედეგის შემთხვევაში – ადგილზე სამუშაოდ დარჩენის დიდი შანსი ეძლევა.

დუალური პროგრამის მაგალითია გიორგის ისტორია.
გიორგის ძალიან უყვარდა ცხოველები და ვეტერინარის პროფესიაზე ოცნებობდა. ის კოლეჯის შესაბამისი მიმართულების დუალური პროგრამის სტუდენტი გახდა და თეორიული ლექციების პარალელურად მეცხოველეობის ფერმაში გადიოდა პრაქტიკულ სწავლებას. მესამე კურსიდან გიორგი ფერმაშივე დაასაქმეს. დღეს ის წარმატებული ვეტერინარია და გარდა ძირითადი სამსახურისა, საკუთარ და მიმდებარე სოფლებში კერძო პრაქტიკაც აქვს. მეტი ინფორმაცია დუალური განათლების შესახებ იხილეთ:
https://www.youtube.com/watch?v=fPMFON5j7QI

? პროფესიის არჩევა უცვლელი გადაწყვეტილებაა?

ა) პროფესიის არჩევა უცვლელი გადაწყვეტილება არ არის. პროფესიული საქმიანობის ყველა სფეროში ხდება ცვლილებები (მაგ., ადამიანი იცვლის თანამდებობას კვალიფიკაციის დონის ამაღლებასთან ერთად);

ბ) პროფესია არ უნდა შეარჩიოთ მხოლოდ სხვათა აზრის საფუძველზე. სხვათა „გემოვნებამ“ არ უნდა მოახდინოს გადამწყვეტი გავლენა თქვენს არჩევანზე;

გ) რომელიმე პროფესიის გარკვეული წარმომადგენლის მიმართ ჩვენმა სიმპათიამ/ანტიპათიამ არ უნდა მოახდინოს გავლენა ჩვენს დამოკიდებულებაზე ამ პროცესის მიმართ.

დ) პროფესიის არჩევისას ყურადღება უნდა გაამახვილოთ არა ამ პროფესიის ადამიანის თვისებებზე, არამედ თავად პროფესიის დამახასიათებელ დადებით და უარყოფით ასპექტებზე;

ე) ზედაპირულმა შთაბეჭდილებამ შეიძლება შეცდომაში შეგვიყვანოს. მაგალითად, რაც არ უნდა იოლად და მსუბუქად ასრულებდეს მსახიობი სცენაზე როლს, უნდა გვახსოვდეს, რომ ამას წინ ყოველდღიური რეპეტიციები და მძიმე შრომა უძღვის;

ვ) არ გააიგივოთ სასწავლო საგანი მომავალ პროფესიასთან – არსებობს საგანი „უცხო ენა“ და უამრავი პროფესია, რომელიც უცხო ენის ცოდნას მოითხოვს;

ზ) კარგად შეაფასეთ საკუთარი თვისებები და შესაძლებლობები, რაშიც შეიძლება დაგეხმარონ სპეციალისტები, თანატოლები, მშობლები, ნათესავები, მასწავლებლები;

don't copy

სტაჟირება – გამოცდილების მიღების მიზნით აკადემიური ცოდნის გამოყენება პრაქტიკაში ანაზრაურების გარეშე.

? განათლების გარდა, რა შეიძლება დაგვეხმაროს სამსახურის მოძებნაში?

განათლების გარდა სამსახურის მოძებნაში დაგეხმარება **მოხალისეობა** და **სტაჟირება**. მოხალისეობა საშუალებას იძლევა, ადამიანმა გამოავლინოს ინიციატივა, გამოსცადოს საკუთარი შესაძლებლობები, მიიღოს ახალი გამოცდილება, ჩამოუყალიბდეს ახალი ურთიერთობები. ყველა აღნიშნული კი, ერთად შეიძლება ახალი სამუშაოს პოვნის ან საკუთარი შესაძლებლობების შეფასების საშუალება გახდეს.

რაც შეეხება სტაჟირებას, აქ ადამიანს შეუძლია წარმოაჩინოს გუნდური მუშაობის უნარი, საბაზისო ცოდნა და უნარები, კარგი კომუნიკაციის უნარი, პრობლემების გადაწყვეტის უნარი. უამრავი ახალგაზრდა სწორედ სტაჟირების დროს გამოჩენილი უნარ-ჩვევების გამო დაასაქმეს იმ ორგანიზაციაში, სადაც სტაჟირებას გადიოდა.

დავალება

გადაიტანეთ ქვემოთ მოცემული სქემა დიდ ფურცელზე და მოამზადეთ პრეზენტაცია თქვენი მომავალი პროფესიის შესახებ, რომელსაც წარუდგენთ მასწავლებელსა და თანაკლასელებს.

- სქემის შესავსებად დაიხმარეთ ინტერნეტი, ვაკანსიების საიტები და მოიძიეთ ისეთი სამსახური, რომელიც გაინტერესებთ;
- შეისწავლეთ, რა ფუნქცია-მოვალეობებს მოიცავს აღნიშნული ვაკანსია, რა განათლება გჭირდებათ ამისთვის და რამდენს შეადგენს საშუალო ხელფასი.
- არ იცით, რომელი სფერო აირჩიოთ? დაფიქრდით თქვენს ინტერესებსა და უნარებზე:

პროფესიის დასახელება	სამუშაოს აღწერა	საჭირო განათლება/სასკოლო საგნების ჩამონათვალი	საჭირო თვისებები/ უნარ-ჩვევები	რატომ გადაწყვიტეთ ამ პროფესიის არჩევა	ინფორმაციის წყაროები

სასარგებლო რესურსები

- პროფესიებისა და თქვენი მომავალი არჩევანის შესახებ საინტერესო ინფორმაციების გაცნობა შეგიძლიათ სპეციალურ ვებ გვერდზე http://myprofession.gov.ge/
- განათლება გრძელვადიანი ეკონომიკური ინვესტიციაა https://bit.ly/2ZbsFaq
- განათლება და ეკონომიკა https://bit.ly/377TKjh
- https://www.hr.gov.ge/
- https://www.geostat.ge

dont copy

შრომითი ურთიერთობები

შრომითი ურთიერთობა – დასაქმებულისა და დამსაქმებლის ურთიერთობა.

კეთილდღეობა – მდგომარეობა, როცა ადამიანს აქვს მოთხოვნილებები, რომელთა დასაკმაყოფილებლად ხელი მიუწვდება რესურსებზე, აქვს არჩევანი, იღებს გადაწყვეტილებას, იღებს სარგებელს, რითაც კმაყოფილია. კეთილდღეობის მიღწევის წინაპირობებს ქმნის საკუთრება, შრომის დანაწილება და გაცვლა.

> შრომის თავისუფლება უზრუნველყოფილია. ყველას აქვს სამუშაოს თავისუფალი არჩევის უფლება.
> უფლება შრომის უსაფრთხო პირობებზე და სხვა შრომითი უფლებები დაცულია ორგანული კანონით.
>
> ***საქართველოს კონსტიტუცია მუხლი 26***

> 1. ყოველ ადამიანს აქვს შრომის, სამუშაოს თავისუფალი არჩევის, შრომის სამართლიანი და ხელსაყრელი პირობებისა და უმუშევრობისაგან დაცვის უფლება.
> 2. ყოველ ადამიანს აქვს თანაბარი შრომის თანაბრად ანაზღაურების უფლება ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე.
> 3. ყოველ მუშაკს აქვს უფლება იღებდეს სამართლიანსა და დამაკმაყოფილებელ გასამრჯელოს, რომელიც უზრუნველყოფს ღირსეულ ადამიანურ არსებობას თვითონ მისთვის და მისი ოჯახისათვის და რომელსაც, როცა აუცილებელია, ემატება სოციალური უზრუნველყოფის სხვა სახსრები.
> 4. ყოველ ადამიანს აქვს უფლება შექმნას პროფესიული კავშირები და შევიდეს პროფესიულ კავშირებში თავისი ინტერესების დასაცავად.
>
> ***ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, მუხლი 23***

დასაქმების, ანუ შრომის ბაზარი, სპეციფიკურია. დამქირავებლებს და სამუშაო ძალის გამწოდველებს (დაქირავებულებს) შორის ურთიერთობის საფუძველი პროფესიონალიზმია. დამსაქმებელი პროფესიონალებს ანიჭებს უპირატესობას. თითოეულ ადამიანს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს, რომ სწორედ მისი განათლება, კვალიფიკაცია, პროფესიონალიზმი, მონდომება და დაუზარელი შრომაა კეთილდღეობის მიღწევის მთავარი გარანტი.

dont copy

დამსაქმებელი შეიძლება იყოს სახელმწიფო დაწესებულება, კერძო კომპანია ან უბრალოდ ცალკეული ადამიანი. შრომით ურთიერთობებს საქართველოში აწესრიგებს:

- **შრომის კოდექსი** (მისი დაცვა სავალდებულოა ნებისმიერი დასაქმებულისა და დამსაქმებლისათვის);
- **კანონი** საჯარო სამსახურის შესახებ, რომლითაც რეგულირდება სახელმწიფო სამსახურებში მუშაობის წესი;
- შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება **დროებითი შრომისუუნარობის გამო დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესის შესახებ;**
- **საგადასახადო კოდექსი** (ასახულია ხელფასის გადახდასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი).

ყველა ეს სამართლებრივი აქტი, რა თქმა უნდა, ზოგადია. ყოველ კონკრეტულ შრომით ურთიერთობას კი დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის დადებული **შრომითი ხელშეკრულება** აწესრიგებს, რომელიც შესაბამის კანონმდებლობას უნდა შეესაბამებოდეს.

შრომითი ხელშეკრულება – შეთანხმება დამსაქმებელს და დასაქმებულს შორის, რომლის მიხედვითაც, დასაქმებელი კისრულობს სამუშაოს შესრულების ვალდებულებას, ხოლო დამსაქმებელი შეთანხმებული ანაზღაურების გადახდის ვალდებულებას.

იმუშავეთ წყვილებში

1) განიხილეთ ამონარიდი „საქართველოს კონსტიტუციის“ მე-6 და 26-ე მუხლებიდან, რომლებიც ქმნიან გარანტიებს მეწარმეებისთვის (იხ. დანართი 1, გვ. 256).
   - თქვენი აზრით, რამდენად სჭირდებათ მეწარმეებს თავისუფლება?
   - როგორ წარმოგიდგენიათ ქვეყანა, სადაც მეწარმეები ვერ წყვეტენ: რა აწარმოონ, ვინ აირჩიონ პარტნიორად, ვინ დაიქირაონ და სხვა?
2) მოძებნეთ „საქართველოს კონსტიტუციის“ მე-2 თავში (იხ. დანართი 1, გვ. 256) შრომით ურთიერთობებთან დაკავშირებული მუხლები და იმსჯელეთ თანაკლასელებთან ერთად, როგორ გესმით პრაქტიკულად მათი მნიშვნელობა და როგორ შეგიძლიათ ცხოვრებაში მათი გამოყენება?

დასაქმებულთა ინტერესების დაცვის მიზნით შესაძლებელია **პროფესიული კავშირების** შექმნა. ეს არის ერთი და იმავე ან მსგავსი პროფესიების ადამიანთა გაერთიანებები, რომლებიც სხვადასხვა ღონისძიებას ახორციელებენ თავიანთი პროფესიით დასაქმებული ადამიანების შრომითი ხასიათის პრობლემების მოსაგვარებლად. მაგალითად, საქართველოში ჩამოყალიბდა რკინიგზელთა ახალი პროფკავშირი. მათი საქმიანობა მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან თემებს, როგორიცაა იურიდიული კონსულტაციების გაწევა დასაქმებულებისთვის, სხვადასხვა კანონდარღვევის შემთხვევებზე რეაგირება და მათი წევრებისთვის უკეთესი შრომითი პირობების უზრუნველყოფა. გარდა ამისა, სამსახურიდან გათავისუფლებულ ადამიანებს უწევენ იურიდიულ მომსახურებას სასამართლო სესიებზე და ყოფილი დამსაქმებლების გარკვეულ მოთხოვნებს უყენებენ, ხოლო სამსახურეობრივი საქმიანობის დროს დაშავების შემთხვევაში – კომპენსაციის გამოყოფას აიძულებენ.

don't copy

გახსოვდეს

სამსახურის ძიებისას, გრძელვადიანი იქნება ის თუ მოკლევადიანი, ძალზე მნიშვნელოვანია შრომითი ხელშეკრულების გაფორმება. მისი პირობების დეტალურად გაცნობა და გააზრება, საკუთარ ვალდებულებებში, სამუშაო პირობებში ზუსტად გარკვევა და სხვა დეტალებით დაინტერესება. რადგან იმ შემთხვევაში, თუ თქვენი უფლებები დაირღვევა ან დამსაქმებელი უსაფუძვლოდ დაგითხოვთ, ხელშეკრულების გარეშე ვერავინ დაგეხმარებათ საკუთარი უფლებების დაცვაში.

სახელმწიფო ბაჟი – შენატანი სახელმწიფო ბიუჯეტში, რომელსაც კერძო პირები და ფირმები იხდიან სახელმწიფოს მიერ მათი ინტერესების შესაბამისი მოქმედებების შესრულებისათვის და სათანადო საბუთების გაცემისათვის.

იმსჯელეთ

- გაინაწილეთ და განიხილეთ ქვემოთ მოცემული სიტუაციები;
- რამდენად იცავს კონტრაქტი დასაქმებულს უკანონო დამოკიდებულებისაგან?
- თქვენი აზრით, რისთვის ვსწავლობთ სკოლაში შრომითი ურთიერთობების მარეგულირებელ კანონებს?
- თქვენ როგორ გამოიყენებთ ამ ინფორმაციას (ან რას ურჩევთ სხვას) საჭიროების შემთხვევაში?

სიტუაცია 1

„სამსახურიდან მოულოდნელად გამათავისუფლეს. კონტრაქტის მიხედვით, კომპანიას ჰქონდა დარჩენილი სახელფასო დავალიანება. ვინაიდან ის უარს აცხადებდა თანამშრომლობაზე, მივმართეთ მოხალისეთა მიერ შექმნილ ორგანიზაციას, რომელიც შრომითი ურთიერთობების საკითხებზე მუშაობს. მათი იურისტების დახმარებით პროცესი ჩემი გამარჯვებით დასრულდა! კომპანიას დაეკისრა ჩემთვის 2 თვის კომპენსაციის და დარჩენილი, სახელფასო დავალიანების გადახდა. ამასთანავე სახელფასო დავალიანების ყოველ გადაცილებულ დღეზე 0.07% და სახელმწიფო ხაზინის სასარგებლოდ **სახელმწიფო ბაჟი**“.

სიტუაცია 2

„სკოლა რომ დავამთავრე, ვიფიქრე, უნივერსიტეტში წასვლამდე პირველი ხელფასის გემოს გავიგებ-მეთქი. შემხვდა მენეჯერი, რომელიც თუ კონსულტანტს შეეჯობდა, რომ წასასვლელი სხვაგან არ ჰქონდა, ანუ იძულებული იყო ემუშავა, უყვიროდა, ეუხეშებოდა, ამცირებდა. მისგან ხშირად მოსმენილით ფრაზებს: „კონსულტანტი ხარ, ბოლოს და ბოლოს!“, „რა ჯამური ხელები გაქვს!“ და ეს ხდებოდა დარბაზში, მომხმარებლის წინ... მივმართე არასამთავრობო ორგანიზაციას, რომელმაც გამიწია უფასო იურიდიული დახმარება. სასამართლო დასრულდა! ჩვენ გავიმარჯვეთ!“

do not copy

მოდელირება – შრომითი ხელშეკრულება

მოდელირების მიზანია ისეთი შრომითი ხელშეკრულების შედგენა, რომელშიც შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული როგორც **დასაქმებულის**, ისე **დამსაქმებლის** ინტერესები.

ამისთვის საჭიროა, ჩამოიწეროს რამდენიმე ძირითადი თემა, რომელიც გათვალისწინებული უნდა იყოს ხელშეკრულებაში. ესენია:

- ხელშეკრულების საგანი;
- დასაქმებულის მიერ შესასრულებელი სამუშაოები;
- რისი უფლება და ვალდებულება უნდა ჰქონდეს დამსაქმებელს და რისი – დასაქმებულს;
- რა ხდება, როცა რომელიმე მხარე თავის რომელიმე ვალდებულებას არ ასრულებს;
- შრომის ანაზღაურება;
- სამუშაო დრო, შესვენების დრო, შვებულება;
- შრომითი ხელშეკრულების მოქმედების შეჩერება და შეწყვეტა;
- როგორ უნდა მოაგვარონ მხარეებმა ერთმანეთს შორის წარმოშობილი გაუგებრობები.

შესაძლოა, თქვენი ნამუშევარი არ იყოს ზუსტად ისეთი, როგორიც შრომითი ხელშეკრულებაა რეალობაში. მაგალითად, ვერ მოიფიქროთ რაიმე მოვლენის გამომხატველი ტერმინი, ტექსტი დაწერილი იყოს ჩვეულებრივი და არა იურიდიული ენით, მაგრამ ეს ნუ დაგაბრკოლებთ – მოდელირების მიზნისათვის მთავარია თქვენი ნამუშევრის შინაარსი.

დავალების პირველი ეტაპი

dont copy

ზემოთ ჩამოთვლილი საკითხების მიმართ დასაქმებულებს და დამსაქმებლებს სხვადასხვანაირი დამოკიდებულება აქვთ. ამიტომ გაიყავით ორ ჯგუფად ერთმა ჯგუფმა თავი წარმოიდგინოს დამსაქმებლად და მოამზადოს ზემოთ ჩამოთვლილი საკითხების ხედვა დამსაქმებლის პოზიციიდან, ხოლო მეორე ჯგუფმა პირიქით – დასაქმებულის პოზიციიდან.

მუშაობის დასრულების შემდეგ ორივე ჯგუფმა წარმოადგინეთ თქვენი ნამუშევრები.

დავალების მეორე ეტაპი

დავალების მეორე ეტაპი გულისხმობს ერთიანი ხელშეკრულების შედგენას. ორივე მხარემ – როგორც „დამსაქმებლებმა“, ისე „დასაქმებულებმა“ ურთიერთშეთანხმებით შეაერთეთ თქვენი ნამუშევრები და შეადგინეთ ერთიანი შრომითი ხელშეკრულება, რომელშიც ორივე მხარის ინტერესი იქნება გათვალისწინებული.

ყურადღება!

საკითხი: სახელმწიფო ბიუჯეტი და გადასახადები

აირჩიე დავალება

კომპლექსური დავალება 1

კომპლექსური დავალების პირობა

წარმოიდგინე, რომ შენ და შენი თანამოაზრეები გაერთიანდით საინიციატივო ჯგუფში, რომელმაც შექმნა თემატური ბლოგი; ბლოგი მიზნად ისახავს, აამაღლოს საზოგადოების ცნობიერების დონე სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირებასთან და მასში მოქალაქეთა ჩართულობის შესაძლებლობებთან დაკავშირებით. თქვენ გადაწყვიტეთ გაუწიოთ ლობირება ბიუჯეტში ქუჩაში მცხოვრებ ბავშვებზე ორიენტირებული პროექტების მხარდაჭერას;

შენ დაგევალა ბლოგზე გამოსაქვეყნებლად მოამზადო ბავშვთა თავშესაფრის მოწყობის სამოქმედო გეგმა (100-150 სიტყვა), რომელიც ბიუჯეტის დაგეგმვაში ჩართვის დროს თქვენი პოზიციის გასამყარებლად გამოგადგებათ.

ნაშრომში/ ნაშრომის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინე:

- რატომ არის საჭირო მოქალაქეთა ჩართულობა ბიუჯეტის დაგეგმვის, მისი პრიორიტეტების განსაზღვრის პროცესში? (ინიციატ.-მკვ.წ.1.2.; სამოქ. მონაწ.-მკვ.წ. 1)
- რაში მდგომარეობს თქვენი სფეროს (თავშესაფარი) პრიორიტეტულობა (რომელი სფეროების დაფინანსების შემცირების ხარჯზე ვარაუდობთ თანხის გამოთავისუფლებას) და რა ქმედებებს მოიცავს თქვენი ინიციატივა? (ინიციატ.-მკვ.წ.2; სამოქ. მონაწ.-მკვ.წ.3)
- რა მიზანი აქვს თავშესაფრის მოწყობის პროექტებს, როგორია ქმედებების, რესურსებისა დ ა დროის გადანაწილების გეგმა?(ინიციატ.-3;)
- რა შედეგების მოლოდინი გაქვთ და ბავშვების რომელ საჭიროებას მოაგვარებს მათი მიღწევა? რა რისკები შეიძლება ახლდეს პროექტის მსვლელობას და როგორია მათი თავიდან აცილების გზები? (ინიციატ.-მკვ.წ.4; სამოქ. მონაწ.-მკვ.წ.4)

do not copy

რჩევები:

მუშაობის დაწყებამდე:

ნაბიჯი 1. 99 გვერდზე გაეცანი,,რაში ხარჯავს მთავრობა სახელმწიფო ბიუჯეტის ფულს?“ ,,ბიუჯეტის პრიორიტეტული მიმართულებებს;“

ნაბიჯი 2. ეწვიე ,,ბიუჯეტის გამჭვირვალობისა და ჩართულობის სისტემის“ ვებგვერდის აპლიკაციას ,,მოქალაქეთა გამოკითხვის შედეგები პრიორიტეტების მიხედვით“ https://ebtps.mof.ge/ka/BudgetGraphics

ნაბიჯი 3. გაიხსენე წინა თემაში შესრულებულ დავალებაში (გვ 30) აღწერილი ქუჩაში მცხოვრები ბავშვების პრობლემები და ასახე გეგმაში მოქმედებები, რომელიც საჭირო იქნება მათთვის თავშესაფრის მოსაწყობად.

შენიშვნა: ბლოგი – რეგულარულად განახლებადი საიტი, რომელსაც მართავს ერთი ან რამდენიმე ადამიანი; ბლოგზე ქვეყნდება პოსტები (მოკლე ტექსტები), რომელიც არაფორმალური ხასიათისაა. ქვეყნდება ვიზუალური მასალა (ფოტოები, სქემები და ასე შემდეგ), გამოკითხვები, აქვს უკუკავშირის ფუნქცია, შესაძლებელია მისი მიბმა ფბ-გვერდზე. ბლოგის შექმნის უფასო შესაძლებლობას იძლევა რამდენიმე პლატფორმა; დეტალურად იხილეთ სასწავლო ვიდეო შემდეგ ბმულზე:

კომპლექსური დავალება 2

კომპლექსური დავალების პირობა

წარმოიდგინე, რომ შენ, როგორც მოხალისეს, გსურს მოქალაქეებს აუმაღლო ცნობიერება გადასახადების კეთილსინდისიერად გადახდის მნიშვნელობაზე, დაეხმარო მათ გაიაზრონ, რომ ეს გადასახადები ჩვენი და ჩვენივე თანამოქალაქეების კეთილდღეობაზე ზრუნვას ემსახურება. ამ მიზნით, შენ გადასახადის რომელიმე, ერთ სახეობაზე უნდა შექმნა **პოსტერი** (ხელნაკეთი ან ელექტრონული) /**ვიდეორგოლი**.

don't copy

ნაშრომში/ნაშრომის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინე:

- საზოგადოების რომელი საჭიროების მოგვარებაზეა ორიენტირებული პოსტერი/ ვიდეო და რა მიზანს ისახავს შენი მოხალისეობრივი აქტივობა?
- რატომ არის პირდაპირი კავშირი გადასახადების კეთილსინდისიერ გადახდასა და ჩვენი საზოგადოების საჭიროებების დაკმაყოფილებას შორის?
- როგორ აისახება ურჩი გადამხდელის ქცევა სხვა ადამიანების ინტერესებზე?
- რატომ არის გადასახადების შესახებ მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლებაზე ზრუნვა სამოქალაქო ჩართულობა, ხოლო გადასახადების გადახდა – მოქალაქის მოვალეობა?

პრეზენტაციის შემდეგ ისაუბრე:

რა სტრატეგიები გამოიყენეთ/რა ნაბიჯები გადადგით დავალებაზე მუშაობის სხვადასხვა ეტაპზე; რას გააკეთებდით განსხვავებულად, ხელახლა რომ იწყებდეთ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობას.

შენიშვნა: ვიდეოადვოკატირება–აქტიური მოქალაქის სახელმძღვანელო

https://civics.ge/social-media/ თავი მე-3; გვ. 52-57; 73-78;

სახელმწიფო ბიუჯეტი

ბიუჯეტი – მომავალ პერიოდში მოსალოდნელი შემოსავლებისა და სავარაუდო ხარჯების დაგეგმვა. ბიუჯეტი შემოსავლებისა და გასავლების ფინანსური გეგმაა.

ჩვეულებრივ, ადამიანები წინასწარ გეგმავენ მომავალს: საქმიანობას, დასვენებას, მოგზაურობას, საჭირო ნივთების ყიდვას, წამლებს, გადასახადებს და ა.შ. აკეთებენ შესაძენი ნივთების/მომსახურების ჩამონათვალს, ყველა მათგანს სავარაუდო ფასს მიაწერენ და მოსალოდნელი დანახარჯების ჯამს ითვლიან. შემდეგ, მიღებულ შედეგს მოსალოდნელ შემოსავლებს შეადარებენ და ხარჯვის გადაწყვეტილებას იმგვარად იღებენ, რომ სავარაუდო შემოსავალი სავარაუდო ხარჯებს გაწვდეს.

გაიხსენეთ

- როგორ ვგეგმავთ პირად ან ოჯახის ბიუჯეტს?
- როგორ იქცევიან ოჯახის წევრები, როცა ბიუჯეტის თანხა საკმარისი არ არის?

ოჯახის ბიუჯეტის შედგენისას განიხილება შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობა ისეთ საკითხებზე, როგორიცაა კომუნალური მომსახურება, ტრანსპორტირება, დასვენება. ასევე, ბინის, მანქანის ხარჯები, ბანკიდან აღებული კრედიტის მომსახურებისა და დაფარვის თანხა და სხვა.

ბიუჯეტი აქვს პიროვნებას, ოჯახს, ორგანიზაციას, სახელმწიფოს, მუნიციპალიტეტს, სკოლას და ა.შ.

dont copy

სახელმწიფო ბიუჯეტი – ერთი წლის განმავლობაში სახელმწიფოს ყველა შემოსავლისა და ხარჯის ერთობლიობა. სხვაგვარად, ფულადი სახსრების მობილიზაციისა და გამოყენების ძირითადი ფინანსური გეგმა.

სახელმწიფო ბიუჯეტი სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი ფინანსური დოკუმენტია. იგი წარმოადგენს ყველა უწყების, სახელმწიფო სამსახურების, სამთავრობო პროგრამების, ყველა ფინანსური ინფორმაციის ჩამონათვლის ერთობლიობას. საქართველოს საბიუჯეტო სისტემა მოიცავს შემდეგ ბიუჯეტებს:

- სახელმწიფო ბიუჯეტი;
- ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტი;
- მუნიციპალური (ადგილობრივი) ბიუჯეტი.

აღნიშნული ბიუჯეტები ერთმანეთისგან დამოუკიდებელია.

საიდან იღებს და რაში ხარჯავს სახელმწიფო ფულს?

გადასახადები – ბიუჯეტში აუცილებელი გადარიცხვები, რომელსაც იხდიან როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირები იმისათვის, რომ სახელმწიფომ შეძლოს თავისი ფუნქციების შესრულება.

სახელმწიფო ბიუჯეტის შევსების ძირითადი წყარო არის **გადასახადები**. გადასახადების გარეშე სახელმწიფოს არც საკუთარი თავის შენახვა შეუძლია და არც რაიმე სხვა საქმიანობის განხორციელება. ამიტომ სახელმწიფო კერძო პირებს და ორგანიზაციებს გადასახადებით ბეგრავს.

საგადასახადო ურთიერთობებში სახელმწიფო წარმოადგენს მთავარ პირს, ხოლო გადასახადის გადამხდელი კერძო პირები და ფირმები სახელმწიფოს მიერ კანონით დადგენილი გადასახადების გადამხდელები არიან.

dont copy

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს შეიმუშავებს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტს ამტკიცებს საქართველოს პარლამენტი

თუ ბიუჯეტის შემოსავლები და ხარჯები ტოლია, მაშინ გვაქვს **დაბალანსებული ბიუჯეტი**. თუ შემოსავლები მეტია ხარჯებზე, გვაქვს ბიუჯეტის **სიჭარბე**, ხოლო თუ შემოსავლები ნაკლებია ხარჯებზე, გვაქვს არასაკმარისი ბიუჯეტი (**დეფიციტი**).



ბიუჯეტის დეფიციტის შემთხვევაში პარლამენტი მთავრობის წინადადების საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას – აამოქმედოს კანონით გათვალისწინებული მექანიზმი, რომელიც შეამცირებს ხარჯებს. ზოგ შემთხვევაში კი სახელმწიფო ფულს ვალად იღებს.

დაბალანსებული ბიუჯეტი
შემოსავალი=ხარჯს

ჭარბი ბიუჯეტი
შემოსავალი მეტია ხარჯზე

დეფიციტური ბიუჯეტი
შემოსავალი ნაკლებია ხარჯზე

საზოგადოებრივი საქონელი/მომსახურება – საერთო მოხმარების საქონელი/მომსახურება.

საზოგადოებრივი საქონელი და მომსახურება

თუ გადახედავთ საკუთარ ნივთებს ისინი ან ნაყიდია ან ნაჩუქარი (თავის დროზე ვიღაცამ იყიდა). ასეთ ნივთებს ეკონომიკაში კერძო საქონელს უწოდებენ. ისინი მწარმოებელმა გაყიდვის მიზნით დაამზადა. მაგრამ არის ზოგიერთი რამ, რასაც მოვიხმართ, მაგრამ არაფერს ვიხდით. მაგალითად, სრულიად უსასყიდლოდ შეგიძლიათ ამინდის პროგნოზის გაგება, ტროტუარითა და შუქნიშნებით, ღამის განათებით სარგებლობა, არც „ზებრა“ გადასასვლელის შეღებვაში დაგიხარჯავთ ფული. იგივე ითქმის მომსახურების შემთხვევაშიც, მაგალითად: არავინ მოგიწესრიგებთ ვარცხნილობა სალონში საფასურის გარეშე, მაგრამ სამაშველო სამსახური საჭიროების შემთხვევაში სრულიად უფასოდ მოგემსახურებათ.

ასეთ საქონელსა და მომსახურებას საზოგადოებრივი საქონელი და მომსახურება ეწოდება. ადამიანები ხშირად ფიქრობენ, რომ ეს საქონელი „უფასოა“. მაგრამ ეს საქონელი და მომსახურება არ არის უფასო. მის ფასს სახელმწიფო იხდის. სახელმწიფო იყენებს საგადასახადო შემოსავლებს, რათა ქვეყანაში საზოგადოებრივი საქონელი და მომსახურება არსებობდეს.

don't copy

საზოგადოებრივი საქონლის და მომსახურების მაგალითებია: გზები, ტროტუარები, შუქნიშნები, ქუჩის განათება, საგზაო ნიშნები, სკვერები, საჯარო ბიბლიოთეკები, საჯარო სკოლებში სწავლა; წყალდიდობის საწინააღმდეგო ჯებირები, პოლიციის, ეროვნული თავდაცვის, სამაშველო სამსახურის მომსახურება, ავტომაგისტრალების მშენებლობა და შეკეთება; კვების პროდუქტების ხარისხის შემოწმება; ეროვნული ნაკრძალებისა და ტყე-პარკების დაცვა; დაბინძურებული მდინარის გაწმენდა; უფასო სასწრაფო დახმარება; ვაქცინაცია...

> უფასო სადილი
> არ არსებობს.
> *რუდიარდ კიპლინგი*

? რატომ იხდის სახელმწიფო ფულს საზოგადოებრივი საქონლის/მომსახურების წარმოებისათვის?

საზოგადოებრივი საქონელი/მომსახურება საზიაროა, ანუ ერთობლივ მოხმარებას გულისხმობს, მაგალითად: თქვენთან ერთად სხვებსაც შეუ-

ძლიათ უფასოდ იარონ სახელმწიფოს მიერ აშენებულ ხიდზე ან ისარგებლონ საგზაო ნიშნებით. ძნელია აიძულო მომხმარებლებელი მასში ფული გადაიხადოს, ასეთ შემთხვევაში, სახელმწიფო უზრუნველყოფს ამ საქონლისა და მომსახურების წარმოებას. წარმოიდგინეთ რომ დასახელებულ საზოგადოებრივ საქონელსა და მომსახურებას სახელმწიფო არ უზრუნველყოფდეს. მოინახებოდა სახელმწიფოს ფუნქციის შემცვლელი? რა მოხდება, დასახელებული საზოგადოებრივი საქონელი ფასიანი რომ იყოს?

მიგრანტი – პირი, რომელიც ტოვებს თავის მუდმივ საცხოვრებელ ადგილს, ქვეყანას, რომლის მოქალაქეც არის იგი და საცხოვრებლად სხვა ქვეყანაში მიემგზავრება.

რაში ხარჯავს მთავრობა სახელმწიფო ბიუჯეტის ფულს?

სახელმწიფო, გადასახადების გზით მიღებულ ფულს, ბიუჯეტში საგადასახადო შემოსავლების სახით აგროვებს, შემდეგ კი ამ შემოსავლის გარკვეულ ნაწილს ხარჯავს სოციალური, კულტურული და სხვა სახელმწიფო ღონისძიებებისათვის, ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის, პოლიტიკური მოწყობისათვის, ეროვნული თავდაცვისათვის, წესრიგის დამყარებისათვის.

სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტები

ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	თავდაცვა და უზრუნველყოფა	ტურიზმი და ინფრასტრუქტურა	განათლება და მეცნიერება
საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება	ინსტიტუციონალური განვითარება	მიგრანტთა მხარდაჭერა	კულტურა, რელიგია, სპორტი
ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაცია	სოფლის მეურნეობა	სასამართლო სისტემა	გარემოს დაცვა

dont copy

იმსჯელეთ

ქვემოთ მოცემულია ერთი ოჯახის სახელმწიფო ბიუჯეტთან კავშირის მაგალითი. თქვენი აზრით:

- რამდენად მნიშვნელოვანია თითოეული მოქალაქისთვის დაბალანსებული ბიუჯეტის არსებობა?.
- თქვენ როგორ დაუკავშირებდით საკუთარ ოჯახსა და სახელმწიფო ბიუჯეტს ერთმანეთთან?

სოფელ შემოქმედში ცხოვრობს ბატონი ანზორის დიდი ოჯახი: დედამამა, 5 შვილი და ბებია.

ვინც გადასახადებს ეწინააღმდეგება, ალბათ, არ იცის, რომ ბიუჯეტში შეტანილ თითოეულ ლარს უამრავი ადამიანი ელოდება.

- ✓ ოჯახის უფროსი შვილი სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტია. მას სწავლის საფასურის 70%-ს სახელმწიფო ბიუჯეტიდან უხდის;
- ✓ 2 შვილი საჯარო სკოლაში სწავლობს, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება;
- ✓ 2 უმცროსი შვილი კი საბავშვო ბაღის აღსაზრდელია, რომელიც მუნიციპალური ბიუჯეტიდან ფინანსდება;
- ✓ ბებია პენსიას სახელმწიფო ბიუჯეტიდან იღებს;
- ✓ მეუღლე საბავშვო ბაღში მუშაობს და ხელფასს მუნიციპალური ბიუჯეტიდან იღებს;
- ✓ ბატონი ანზორი ცნობილი მეფუტკრეა, თაფლის გარდა ფუტკრის რძეს, სანთელს და სანთლის არაყს ამზადებს. ის ხელფასს სახელმწიფო ბიუჯეტიდან კი არ იღებს, თვითდასაქმებულია და თავისი შემოსავალი აქვს, თუმცა სახელმწიფო ბიუჯეტის ფული მასაც ერგო. საკუთარი სახსრები მეფუტკრეს მოკლევადიანი მიზნებისთვის კი ჰყოფნიდა, მაგრამ მან გრძელვადიანი გეგმა შეიმუშავა, რომელიც ბიზნესის გაფართოებას გულისხმობდა. ბატონმა ანზორმა განცხადებით მიმართა სახელმწიფო პროგრამას „აწარმოე საქართველოში“* (რომელიც ასევე ბიუჯეტიდან ფინანსდება) და მიიღო საჭირო დაფინანსება (შეღავათიანი სესხის სახით). სესხის ნაწილი დროულად (2 წელიწადში) დაფარა, ნაწილი კი – სახელმწიფომ გადაიხადა. ახლა ბ-ნი ანზორი თვითონ იხდის სახელმწიფო ბიუჯეტში ფულს გადასახადების სახით.

მოცემული სიტუაცია კარგად აჩვენებს, სად და როგორ იხარჯება სახელმწიფო ბიუჯეტის ფული. თუმცა არის კიდევ ბევრი სარგებელი, რომელსაც ბატონი ანზორის ოჯახი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან იღებს: გარე განათება, გზები და ხიდები (საგზაო ნიშნებითა და შუქნიშნებით); საპატრულო პოლიციის შენობა; სოფლის ამბულატორია; სასწრაფო დახმარება; მუნიციპალური ტრანსპორტი; სკვერები და სპორტული მოედნები; დასუფთავება; გარემოს დაცვა; ბიბლიოთეკა და სხვა.

don't copy

სასარგებლო რესურსები

- https://bit.ly/378qbhA
- https://bit.ly/3rLz7RI
- https://bit.ly/3rOXSfW
- https://bit.ly/3acQIMw
- https://bit.ly/2N3gDxp

* პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ დაფინანსების წყაროა სახელმწიფო ბიუჯეტი. შესაძლოა, საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციების სახსრებით დაფინანსებათ.

საქართველოში მოქმედებს საერთო-სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გადასახადები. გადასახადის სახეებს და მოცულობას არეგულირებს საგადასახადო კოდექსი. ამჟამად საქართველოში 6 სახის გადასახადი არსებობს. საქართველოში გადასახადს ანგარიშობენ ფულად გამოსახულებაში და იხდიან ეროვნულ ვალუტაში (ლარებში).

გადასახადების სახეები



Dont copy

საშემოსავლო გადასახადი

20%

საშემოსავლო გადასახადი ხელფასიდან გვეჭრება (ხელფასის 20%). საშემოსავლო გადასახადს ის ადამიანები იხდიან, რომლებიც საქართველოში იღებენ შემოსავალს (მიუხედავად იმისა, საქართველოს მოქალაქეა თუ არა). საშემოსავლო გადასახადს ბიუჯეტში ჩარიცხულ თანხებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია და იგი წარმოადგენს მოსახლეობის ძირითად გადასახადს დაქირავებით მუშაობიდან.

მოგების გადასახადი

15%

მოგების გადასახადის გადამხდელია საქართველოს საწარმო (ფირმა) ან უცხოური საწარმო (ფირმა), რომელიც საქმიანობს და შემოსავალს იღებს საქართველოში (მისი განაკვეთი 15%-ია). მოგება განისაზღვრება, როგორც სხვაობა გადასახადის გადამხდელის შემოსავალსა და ხარჯებს შორის. როდესაც მეწარმე საქონელსა და მომსახურებას ყიდის, მან მოგების შესაბამისი მოგების გადასახადი უნდა გადაიხადოს. მაგალითად,

თუ ველოსიპედის მწარმოებელმა მიიღო მოგება 100 ლარის ოდენობით და მოგების გადასახადის განაკვეთია 15%, მეწარმე გადაიხდის 15 ლარს – მოგების გადასახადს.

მთლიანი შემოსავალი	–	**ხარჯი**	=	**მოგება**

იმუშავეთ წყვილებში

ა) სქემაში დაიანგარიშეთ მოგების გადასახადი, ხოლო მომდევნო ბ) სქემაში – საშემოსავლო გადასახადი.

ფოტოალბომი	თმის შეჭრა	ტელევიზორი
მწარმოებელის მოგება 400 ლარს	სალონის მოგება 600 ლარს	მწარმოებლის მოგება 2000 ლარს

სქემა ა

მასწავლებელი	სკოლის დარაჯი	ავტობუსის მძღოლი
ხელფასი შეადგენს 1200 ლარს	ხელფასი შეადგენს 500 ლარს	ხელფასი შეადგენს 700 ლარს

სქემა ბ

dont copy

დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ)

18%

ლუკამ მაღაზიაში სპორტულ ფეხსაცმელში 100 ლარი გადაიხადა. ამ თანხიდან მაღაზიას 82 ლარი დარჩება, 18 ლარი კი ბიუჯეტში გადასახადის სახით უნდა ჩარიცხოს. ამ გადასახადს დამატებული ღირებულების გადასახადი - დღგ ჰქვია, სხვანაირად ფასზე დანამატი შეიძლება ვუწოდოთ. დღგ-ს განაკვეთი 18%-ს შეადგენს.

ყოველი ჩვენგანი ნებისმიერი შენაძენის შემთხვევაში იხდის დღგ-ს. თუმცა არის გამონაკლისი: დღგ-ს არ იხდის ის კომპანია, რომლის შემოსავალიც 12 თვის განმავლობაში (უწყვეტად)100 000 ლარს არ აჭარბებს. მაგალითად, თუ ლუკა წიგნს პატარა ჯიხურში იყიდის, რომლის შემოსავალი წელიწადში 100 000 ლარს არ აღემატება, არც ლუკა და არც ჯიხური დღგ-ს არ იხდის.

აქციზი

სხვადასხვა %

დღევანდელ მსოფლიოში აქციზით იბეგრება საზოგადოებისათვის „მომეტებული საფრთხის“ შემცველი პროდუქტი. აქციზის გადასახადის

გადამხდელად ითვლება პირი, რომელიც აწარმოებს აქციზურ საქონელს (თამბაქო, ალკოჰოლური სასმელები, მსუბუქი ავტომობილები, ნავთობ-პროდუქტები) ან ახდენს აქციზური საქონლის **იმპორტსა** და **ექსპორტს**. რაც შეეხება განაკვეთებს, აქციზის გადასახადი სხვადასხვა საქონელზე განსხვავებულია იგი განისაზღვრება საქართველოს საგადასახადო კოდ-ექსის მიხედვით.

იმპორტის გადასახადი

5%
12%

იმპორტის გადასახადს იხდის პირი, რომელსაც საქართველოს საბაჟო საზღვარზე შემოაქვს საქონელი. სხვადასხვა საქონელი იბეგრება სხვა-დასხვა პროცენტით, მაგალითად:

ა) 12%-იანი განაკვეთით იბეგრება: შინაური ფრინველი, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, ბოსტნეული, ხილი, ხორცეული, თევზეული, თამ-ბაქო, ჩაი, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და სხვა;

ბ) 5%-იანი განაკვეთით იბეგრება ღორის ხორცი გაყინული ან დამ-არილებული, ყველი, ხაჭო, ჰიგიენის საშუალებები, ფეხსაცმლის საცხები, პლასტმასის ფილები, კარი, ფანჯრები და სხვა (იხ. საქართ-ველოს საგადასახადო კოდექსი).

ქონების გადასახადი

1%

ქონების გადასახადს იხდის კერძო (ფიზიკური) პირიც და საწარმოც. იბეგრება: შენობები, ნაგებობები, მოწყობილობები და სხვა ქონება.

ოჯახი, რომლის შემოსავალი წელიწადში 40 000 ლარს არ აღემატება, ქონების გადასახადისაგან გათავისუფლებულია. 40 000 ლარზე მეტი შემოსავლის მქონე ოჯახები კი ქონების გადასახადს იხდიან საქართ-ველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისამად.

dont copy

საქართველოს ბიუჯეტის შემოსულობების უმეტესი წილი სწორედ გა-დასახადებისგან შედგება.



2019 წელს საქართველოს ბიუჯეტში მობილიზებული გადასახადები*

ექსპორტი – ქვეყანაში წარმოე-ბული საქონელი ან მომსახურება, რო-მელიც გაიყიდება სხვა ქვეყანაში.

იმპორტი – სხვა ქვეყანაში წარმოე-ბული საქონელის ან მომსახურების ქვეყანაში გასაყი-დად შემოტანა.

* წყარო: საქართველოს სახელმწიფო ხაზინა http://treasury.ge/5629

> გადასახადი არის ფასი, რომელსაც ცივილიზებული საზოგადოებისთვის ვიხდით.
> *ოლივერ ჰოლმსი*

როგორც აღვნიშნეთ, გადასახდების გადახდა სავალდებულოა. **დემოკრატიულ სახელმწიფოში გადასახადები არის საყოველთაო და ყველასათვის თანაბარი**. თუმცა, ზოგჯერ სახელმწიფო მოსახლეობის გარკვეულ ჯგუფებს გადასახადებს არ ახდევინებს ან შეღავათს უწესებს. ეს ეხება სოციალურად დაუცველ და გაჭირვებაში მყოფ ადამიანებს და ასევე მათ, ვისაც განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის სახელმწიფოსა და საზოგადოების წინაშე მაგალითად (გმირებს, ომის ვეტერანებს და სხვა).

იმსჯელეთ

- როგორ ფიქრობთ, სამართლიანია ქვემოთ მოყვანილი გადასახადების დაწესება?

სიტუაცია 1

შვეიცარია მსოფლიო მნიშვნელობის სამთო-სათხილამურო კურორტებით არის განთქმული. ტურისტები იქ მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან ჩადიან. შვეიცარიის მცხოვრებნი ყოველნაირად ცდილობენ სპორტის ამ სახეობის განვითარებას. ქვეყანაში არსებობს სპეციალური გადასახადი მოთხილამურეებისათვის. ამ გადასახადებიდან მიღებული თანხა მოთხილამურეების სპორტული ტრავმების მკურნალობას და სპორტის ამ სახეობის განვითარებას ხმარდება.

სიტუაცია 2

სიგარეტის მავნებლობის შესახებ ყველას სმენია. ამაზე მეტყველებს სამწუხარო ფაქტებიც: მსოფლიოში ყოველწლიურად გულ-სისხლძარღვთა დაავადებებით გარდაცვლილ ადამიანთა რიცხვი იზრდება. ამერიკული სიგარეტის მწარმოებელი კომპანიები იხდიან გადასახადს, რომლიდანაც მიღებული თანხა გულ-სისხლძარღვთა დაავადების მქონე ადამიანების მკურნალობისთვის იხარჯება.

სიტუაცია 3

თემოს ოჯახი სოფელ ტბაზე ცხოვრობს. ტურისტები ამბობენ, რომ ტბა შვეიცარიის ულამაზეს კურორტებს უკან ჩამოიტოვებს. ამიტომ დამსვენებლები არ აკლიათ. თემოს ოჯახში არის დედ-მამა, 2 შვილი და ბებია. თემო მეწარმეა, საოჯახო სასტუმრო აქვს. ზამთარ-ზაფხულ მას ერთდროულად 8 ოჯახის მასპინძლობა შეუძლია. თავისი ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლიდან თემო იხდის მოგების გადასახადს, მისი წლიური შემოსავალი 40000 ლარზე მეტია, ამიტომ იხდის ქონების გადასახადსაც. მეუღლე მაღაზიის კონსულტანტია და ხელფასიდან საშემოსავლო გადასახადი ეჭრება. ის საპენსიო ფონდშიც იხდის საპენსიო გადასახადს. ბებია პედაგოგია. მას ხელფასიც ეძლევა და პენსიაც. ხელფასიდან საშემოსავლო გადასახადს იხდის. პენსია კი სახელმწიფო ბიუჯეტიდან ერიცხება.

do not copy

> როცა მეკითხებიან, თუ რომელ საგანს დავამატებდი სასკოლო პროგრამაში, თუ განათლების სისტემას ვუხელმძღვანელებდი, ვპასუხობ: ისეთ საგანს დავამატებდი, რომელიც მოსწავლეებს გადასახადების, ვალებისა და ინფლაციის (ფულის გაუფასურება) ურთიერთკავშირში გაარკვევდა, რადგან თუ ამაში გაერკვევიან, მათ საიმედო მომავალი ექნებათ. თქვენ მდიდრებად ოქრო, ვერცხლი და უძრავი ქონება კი არ გაქცევთ, არამედ ის, რაც ოქროზე, ვერცხლზე და უძრავ ქონებაზე იცით.
> *რობერტ კიიოსაკი, ამერიკელი მეწარმე, ინვესტორი, მწერალი და მასწავლებელი*

ეს საინტერესოა

როდიდან იხდიდნენ გადასახადებს?

ისტორიულმა წყაროებმა ზოგი რამ შემოინახა საქართველოში არსებული გადასახადებისა და დაბეგვრის სისტემის შესახებ.

XI საუკუნის საქართველოში მეტად გავრცელებული იყო **პატრონის ხლება** და **ლაშქრობით სამსახური**.

გლეხს ქალიშვილის გათხოვებისას **საჩექმე** გადასახადი უნდა გადაეხადა, ხოლო მებატონის სიკვდილის შემთხვევაში **შესაწირავი** გაეღო.

მე-18 საუკუნის დასასრულისათვის გავრცელდა ისეთი გადასახადები, როგორიცაა: **სურსათის გადასახადი** – იკრიბებოდა ომების დროს ჯარის გამოსაკვებად.

კოდის პური – წელიწადში კომლზე დადგენილი იყო 4 კოდი (10 ლ. მოცულობის) პურის გადახდა. აღნიშნულ გადასახადზე დაწესებული იყო შეღავათები იმ ტერიტორიის მოსახლეობისათვის, სადაც ხორბლის მოყვანა შეუძლებელი იყო (მაგალითად თუშეთში, ფშავ-ხევსურეთში და სხვ.)

კულუხი – მას ღვინის სახით იხდიდნენ იმ მიწის სარგებლობისათვის, სადაც ვენახი იყო გაშენებული. გადასახადის სიდიდე დამოკიდებული იყო მოსავლიანობაზე.

საბალახე გადასახადი – იკრიბებოდა ხაზინის შესავსებად. მისი გადამხდელი იყო ის, ვინც საძოვარს იყენებდა. იბეგრებოდა საქონლის მეპატრონე. საქონლის რაოდენობა აღირიცხებოდა სპეციალურ დავთარში და გადასახადის გადამხდელი ვალდებული იყო ყოველ 100 ცხვარზე გადაეხადა 2 ცხვარი და ერთი ბატკანი.

მალი – შემოიღეს საქართველოში მონღოლთა ბატონობის პერიოდიდან და ამ გადასახადით იბეგრებოდა თბილისისა და გორის მაზრის მამრობითი სქესის მოსახლეობა 15 წლის ასაკის ზემოთ.

შევარდენი – სოფელს მიბარებული ჰქონდა მეფის შევარდნების ბუდეები და გლეხს მათი მოვლა, ხოლო ზოგიერთ სოფელს – მეფისათვის შევარდნების მირთმევა ევალებოდა.

dont copy

დავალება

აირჩიეთ ერთ-ერთი

1. მოიძიეთ ინფორმაცია – რომელი სახის გადასახადებს იხდიან თქვენი ოჯახის წევრები და რა სარგებელს იღებს თქვენი ოჯახი სახელმწიფო ბიუჯეტიდან. რატომ უნდა გადაიხადოს მოქალაქემ გადასახადები?
2. გაისეირნეთ (გნებავთ ვირტუალურად) ქალაქის/მუნიციპალიტეტის ცენტრში. დაასახელეთ, რა შეგხვდათ ისეთი, რაც თქვენი მშობლების მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილი ფულით არის გაკეთებული? თქვენი აზრით, რატომ უნდა გადაიხადოს მოქალაქემ გადასახადები?

სასარგებლო რესურსები

- ჩემი ფინანსური მეგზური: https://bit.ly/377Xxgv
- როგორია კარგი გადასახადი? https://bit.ly/2Oprlys
- საშემოსავლო გადასახადი: https://bit.ly/3acYVjB
- აქციზი: https://bit.ly/3af8ezL
- დღგ: https://bit.ly/2NlG2Ca
- საპენსიო ფონდი: https://bit.ly/3aSXfuI
- მთავრობა და ეკონომიკა https://bit.ly/2N4e129

„როდესაც თქვენი შვილი პირველად იშოვის ფულს და იყიდის, მაგალითად, ნაყინს, ჭამის დაწყებამდე გამოართვით ნაყინი, მოაცილეთ 20% და დაუბრუნეთ დარჩენილი ნაწილი უკან. სანამ ის გაოგნებული გიყურებთ, აუხსენით, რომ ასე ექცევა სახელმწიფო ხალხის ნაშოვნ ფულს და ასე მოექცევა მის მიერ ნაყიდ ნაყინსაც. ასევე აუხსენით ისიც, რომ მას შეუძლია ნაყინის წამრთმევს ხელი წაავლოს და მოსთხოვოს, თუ რატომ ართმევს მას მაინცდამაინც 20%-ს და სად მიდის მისი ნაყინის მეხუთედი ნაწილი.

თუ ყველა მშობელი ასე მოიქცევა, ამ შემთხვევაში იქნება შანსი, რომ ქვეყანაში გაიზრდება თაობა, რომელსაც ეცოდინება – სახელმწიფოს არ აქვს საკუთარი ფული. არის მხოლოდ გადასახადების გადამხდელების ფული, რომელიც ეკუთვნით მათ და მხოლოდ მათ!

და ასევე ის, რომ გადამხდელები ვალდებულნი არიან, აკონტროლონ სახელმწიფო და საჯარო მოხელეები თავიანთი ფულის ხარჯვისას!“

მარგარეტ ტეტჩერი, დიდი ბრიტანეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი

იმსჯელეთ

- რა საქონელი/მომსახურება შეიძინეთ ბოლო დღეების განმავლობაში?
- რომელიმე საქონლის შეძენისას გადასახადი გადაიხადეთ?
- როგორ ფიქრობთ, ვინ იხდის გადასახადს – მყიდველი თუ გამყიდველი?
- შესაძლებელია, ვინმემ სხვისი გადასახადის ტვირთი თქვენ დაგაკისროთ?
- განმარტეთ მოსაზრება: „ამ სამყაროში არაფერია გარდაუვალი სიკვდილისა და გადასახადების გარდა“.

dont copy

იმუშავეთ ჯგუფებში

წაიკითხეთ სიტუაცია და უპასუხეთ კითხვებს

გადასახადები: შეიძლება თუ არა მისი სხვისთვის დაკისრება?

ლაშა უნივერსიტეტის III კურსის სტუდენტია. იგი ფინანსურ მენეჯმენტს სწავლობს. ლაშას მიაჩნია, რომ საკმაოდ დიდია და შეუძლია დამოუკიდებლად ცხოვრება. ერთი კვირის წინ მას 20 წელი შეუსრულდა.

ერთ დღეს, უნივერსიტეტში წასვლის წინ, მან მშობლებს ამაყად გამოუცხადა:

– „უკვე დიდი ვარ და მინდა დამოუკიდებლად ვიცხოვრო. ამაზე დიდი ხანია ვფიქრობ და გუშინ ბინაც კი შევარჩიე. დღესვე გადავდივარ“.

– „კარგია, რომ დამოუკიდებლობა გინდა, – უთხრა მამამ. – „მგონი, სწორი არჩევანია... არ გაგიჭირდება იმის გათვლა, თუ რამდენად გაიზრდება

შენი ხარჯები დამოუკიდებლად ცხოვრების შემთხვევაში. შენ ხომ ფინანსურ მენეჯმენტს სწავლობ. ამრიგად, წინასწარ მოფიქრებული და გაანგარიშებული გექნება ყველაფერი“, – თქვა მამამ და დედას გადახედა. ლაშას მოეჩვენა, რომ ამ გამოხედვაში ირონია იმალებოდა.

... როდესაც ახალ ბინაში ყველა საჭირო ნივთი ამოალაგა და ის იყო, დასვენებას აპირებდა, ტელეფონზე ზარის ხმა გაისმა. ლაშამ ყურმილი აიღო. ხაზზე ბინის მეპატრონე, ქალბატონი ნანა იყო.

– „ლაშა, მთელი დილაა გირეკავ, მინდოდა ეს ამბავი ბინაში გადმოსვლამდე მეთქვა, მაგრამ ვერ დაგიკავშირდი.“... – „საქმე ისაა, რომ იძულებული ვარ, ბინის ქირა 50 ლარით გავზარდო, რადგან, ახალი კანონის თანახმად, ქონების გადასახადი გაიზარდა ისევე, როგორც ბევრი სხვა ხარჯი. ამას ძალიან განვიცდი, მაგრამ სხვა გზა არ მაქვს. ყველამ გაზარდა ქირის ღირებულება, ასე რომ, ნუ დამემდურები, მეც ცუდ დღეში ვარ. ამ თვეში ბინის შეკეთებისა და შეღებვის დაწყებას ვაპირებდი, რასაც ველარ შევძლებ, მებაღეც უნდა გავუშვა, მისი ხარჯების დასაფარად ფული აღარ მეყოფა. რა ეშველება ჩემს ყვავილებს, ეზოს, აღარ ვიცი, რა ვქნა....“

ლაშა საწოლზე ჩამოჯდა... ქალბატონი ნანას საუბარი აღარ ესმოდა. ის საკუთარ თავზე ფიქრობდა. გაძვირებული ქირის საფასურის გადახდა მისთვის შეუძლებელი იყო.

– „რა მოვახერხო? – ფიქრობდა ლაშა. – სახლში ხომ არ მივბრუნდები, თან დღესვე... რაო, რაო, რა გადასახადი გაიზარდა? ჰო, ქონების გადასახადი. უნივერსიტეტში ხომ ვისწავლე გადასახადები და მისი სახეები. თუმცა ვერ ვხვდები, თუ გადასახადი ქონების მესაკუთრეს დაუწესეს, მე რა შუაში ვარ? დაე, ქალბატონმა ნანამ თვითონ გადაიხადოს ეს საზიზღარი გადასახადები. ჰმ, მახსენდება ბენჯამინ ფრანკლინის სიტყვები: „არაფერია ცხოვრებაში გარდაუვალი სიკვდილისა და გადასახადების გარდა“. რას ნიშნავდა ეს სიტყვები, მაშინ არც კი დავფიქრებულვარ.

dont copy

მეორე დღეს დაღონებული ლაშა ლექციების შემდეგ სამუშაოზე წავიდა. იგი არასრული სამუშაო დღით მეგობრის მამის, ბატონი გიორგის მაღაზიაში მუშაობდა კონსულტანტად. ლაშამ გადაწყვიტა ბატონი გიორგისთვის სამუშაო დროის გაზრდა და, შესაბამისად, ხელფასის მომატება ეთხოვა.

– „ო, ლაშა, ხომ იცი, ქონების გადასახადი გაიზარდა, რამაც ჩემი ხარჯები გაზარდა. ცალკე სახლი, ცალკე მაღაზია... დღეს მთელი დღე ვანგარიშობ, როგორ მოვახერხო ამ ხარჯების დაფარვა ისე, რომ თანამშრომლები არ გავათავისუფლო და ფასები არ გავზარდო. ხომ იცი, ამ პირობებში ჩემი მოგებაც შემცირდება.“ – შესჩივლა ბატონმა გიორგიმ ლაშას.

ლაშა ჩაფიქრდა, მიხვდა, რომ მომხმარებლები და გამყიდველები გადასახადს არაპირდაპირ იხდიან, ე.ი. ასეთი გადასახადი, რომლითაც ფირმა ან ქონების მესაკუთრე იბეგრება, არაპირდაპირი გადასახადია. რა ხდება? ფირმისათვის დაკისრებული საგადასახადო ტვირთი მომხმარებლებმა ან მომუშავეებმა უნდა ზიდონ. ლაშას გაახსენდა, რომ ისეთი გადასახადების, როგორებიცაა საშემოსავლო გადასახადისა და ქონების გადასახადის სხვაზე გადაკისრება არ შეიძლება. მეორე დღეს ლაშამ ლექტორს სწორედ ამ საკითხების კიდევ ერთხელ განხილვა სთხოვა. საღამოს კი

სახლში მისვლა და მამისთვის დახმარების თხოვნა გადაწყვიტა. მისთვის საკმაოდ მძიმე დღე იყო.

- რით ამართლებს ქალბატონი ნანა ბინის ქირის გაზრდის გადაწყვეტილებას?
- რა გავლენა მოახდინა გადასახადის გაზრდამ ბატონი გიორგის კეთილდღეობაზე?
- რა დაასკვნა გააკეთა ლაშამ – ვის უწევს გადასახადის გადახდა?
- მიუხედავად იმისა, რომ ლაშას არ ჰქონდა ქონება და შესაბამისად მასზე გადასახადიც არ უნდა გადაეხადა, რა გავლენა მოახდინა ამ გადასახადის დაწესებამ მის კეთილდღეობაზე?
- რა მოხდება, თუ ქონებაზე გადასახადი გაუქმდება?

გადასახადების სახეობები

dont copy

პირდაპირ გადასახადებს სხვას ვერ გადავახდევინებთ. მაგ. საშემოსავლო გადასახადი, მოგების გადასახადი, ქონების გადასახადი.

არაპირდაპირი გადასახადები შეიძლება სხვას გადავახდევინოთ. არაპირდაპირი გადასახადი შედის მიწოდებული საქონლის/მომსახურების ფასში, ზრდის ფასს და მას იხდის საბოლოო მომხმარებელი გადასახადით გაზრდილი ფასით საქონლის/მომსახურების შეძენისას. მაგ.: დღგ, აქციზი, იმპორტის (საბაჟო) გადასახადი

საბოლოო ჯამში, ყველა გადასახადს კერძო პირები იხდიან, რამდენადაც საგადასახადო ტვირთს მეწარმეები და კომპანიები მომხმარებლებს, კლიენტებს, პაციენტებს, დაქირავებულ მუშაკებს და აქციონერებს აკისრებენ.

იმუშავეთ წყვილებში

ქვემოთ მოცემულია სტატია: გადასახადები – ნებაყოფლობითი საზღაური.

- გაეცანით მას და დაწერეთ თქვენი მოსაზრება გამოთქმული შეხედ-ულების შესახებ.

„გადასახადი ადამიანზე და მის საკუთრებაზე „თავდასხმის“ ფორმაა. იმის მიუხედავად, რომ ამ აზრს მსოფლიოში პრაქტიკულად ყველა ეთანხმება, გადასახადების გადახდის მთავარ მიზეზად პოლიტიკური მიზნებისათვის ფულის მოგროვების აუცილებლობა სახელდება. ამ „აუცილებლობის“ უკან სახელმწიფოს არსებობის იდეა დგას. სინამდვილეში, სახელმწიფო იმათ სჭირდებათ, ვინც სხვის ხარჯზე აპირებს ცხოვრებას. ასეთი ადამიანები ყოველთვის თანახმანი არიან არსებობდეს გადასახადები, რომლებსაც სხ-ვები გადაიხდიან, თვითონ კი მისი სიკეთეებით ისარგებლებენ.

გადასახადების გადახდა ნებაყოფლობითი უნდა იყოს! ასეთია ჩვენი ლო-ზუნგი!“

? რა ბერკეტებს იყენებს სახელმწიფო ურჩი გადამხდელებისათ-ვის?

> გადასახადი არის სავალდებულო, უპირობო ფულადი შენატანი ბიუჯეტში, რომელსაც იხდის გადასახადის გადამხდელი.
>
> *საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხლი 6.*

საქართველოში გადასახადების შეგროვებასა და გადახდაზე კონტროლს ახორციელებს საგადასახადო ინსპექცია. რომელიც საგადასახადო ვალ-დებულების არშესრულების ან დაგვიანების შემთხვევაში აჯარიმებს ურჩ გადამხდელებს ყოველ დაგვიანებულ დღეზე საჯარიმო პროცენტის დარ-იცხვით.

don't copy

დავალება

დაწერეთ ესე: რატომ უნდა გადავიხადო გადასახადები?

ყურადღება!

საკითხი:
ფინანსური ორგანიზაციები და მომსახურებები

კომპლექსური დავალება

კომპლექსური დავალების პირობა

გამოკითხე შენ გარშემო 5-6 ზრდასრული ადამიანი იმის დასადგენად, თუ რამდენად ერკვევა ფინანსური ორგანიზაციების (ბანკების, მიკროსაფინანსოების) პროდუქტებში და მათი შერჩევის წესებში, რისკებში, რომელიც ახლავს ფინანსური ვალდებულებების აღებას. გააანალიზე მათი პასუხები და გამოკვეთილი საჭიროებების გათვალისწინებით, მოამზადე და გაავრცელე **საინფორმაციო ბუკლეტი**.

ნაშრომში/ნაშრომის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინე:

- რომელი საზოგადოებრივი პრობლემის მოგვარებას ესახავს მიზნად ფინანსური ორგანიზაციების პროდუქტებზე და მათ თანამდევ რისკებზე საინფორმაციო ბუკლეტის მომზადება?
- ვისთან და რატომ ითანამშრომლეთ მოხალისეობრივი აქტივობების (გამოკითხვის, ბუკლეტის მომზადება-გავრცელების) დროს?
- რა გავლენას იქონიებს ბუკლეტის გაცნობა გარშემომყოფთა ფინანსური რისკების არიდებაზე/შემცირებაზე?
- ხომ არ შეიცავს ბუკლეტის შინაარსი საფინანსო ორგანიზაციების, მათი პროდუქტების ანტირეკლამას?

dont copy

პრეზენტაციის შემდეგ ისაუბრე:

რა სტრატეგიები გამოიყენე/რა ნაბიჯები გადადგი დავალებაზე მუშაობის სხვადასხვა ეტაპზე; რას გააკეთებდი განსხვავებულად, ხელახლა რომ იწყებდე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობას.

იმუშავეთ წყვილებში

განიხილეთ, როგორ ემზადება სიხარულიძეებისა და ვარდიაშვილების 4-4 წევრიანი ოჯახი საზაფხულო არდადეგებზე დასასვენებლად. თქვენი აზრით, რომელი გადაწყვეტილებაა უკეთესი: დაზოგვა, დაგროვება თუ ფულის ვალად აღება?

სიტუაციური ამოცანა

დილით თეა სიხარულიძე და კატო ვარდიაშვილი სკოლისაკენ მიმავალ გზაზე შეხვდნენ ერთმანეთს. თეამ მეგობარს უამბო, რომ მათმა ოჯახმა ერთად დაგეგმა დასვენება და სავარაუდო ხარჯებიც (მატარებლის ბილეთები, დაზღვევა, სასტუმროში ცხოვრება, კვება და სხვა) გამოთვალეს. გოგონამ ისიც დასძინა, რომ მშობლებმა დასასვენებელი თანხის მოსაგროვებლად ჯერ კიდევ სექტემბერში გახსნეს ბანკში სპეციალური **შეგროვებადი ანაბარი**, რომელზეც ყოველთვიურად შეაქვთ გარკვეული თანხა.

კატოს ეს ამბავი ძალიან გაუკვირდა, რადგან მის ოჯახში დასვენებაზე ფიქრი გამგზავრების წინა კვირას იწყება. გოგონამ აღნიშნა, რომ უკვე 3 წელია, მამა ბანკიდან **კრედიტს** იღებს და ასე მიყავს ოჯახი დასასვენებლად. მერე კი მთელი წელი მშობლები კრედიტს ფარავენ. შემდეგ ისევ ზაფხული დგება და ისევ ახალ კრედიტს იღებენ. დასვენების საუკეთესო საშუალებად ვარდიაშვილებმა ეს გზა მოძებნეს.

ბანკი – ფინანსური ორგანიზაცია, რომელიც ინახავს მომხმარებლების ფულს, გასცემს სესხებს, ახორციელებს გადახდებს, ფულად გადარიცხვებს და გზავნილებს, ახდენს ვალუტის კონვერტაციას და ასრულებს სხვა ფინანსურ მომსახურებებს.

? დაზოგვა თუ სესხება?

სესხებას გაკვეული უპირატესობები აქვს: თანხა შეგიძლიათ მაშინვე მიიღოთ, იმოგზაუროთ და სესხი მერე გადაიხადოთ, დანაზოგით თანხის მოგროვებას კი დრო ჭირდება. სესხება განსაკუთრებით მაშინაა ხელსაყრელი, თუ მაგალითად სასტუმრომ განახევრებული ფასები გამოაცხადა და ამ შანსის ხელიდან გაშვება არ ღირს.

dont copy

სესხებას უარყოფითი მხარეებიც აქვს: უფრო გიძვირდებათ მოგზაურობა, რადგან გემატებათ სესხთან დაკავშირებული საპროცენტო თუ სხვა სახის ხარჯები. რაც არ უნდა დამსახურებული იყოს თქვენი მოგზაურობა, მის დასაფინანსებლად სესხის აღებით შეიძლება, სახიფათო ფინანსური ქცევებიც ჩამოგიყალიბდეთ. მაგალითად, არც მომავალში თქვენთ უარი ისეთი სურვილების ასრულებაზე, რისი ფინანსური საშუალებაც არ გაქვთ და სესხებას უფრო ხშირად მიმართოთ. ეს კი, გრძელვადიან პერიოდში, არც ისე კარგად აისახება თქვენს ფინანსურ მდგომარეობასა და სტაბილურობაზე.

შეგროვებადი ანაბარი – ბანკში გახსნილი ანაბარი, რომელზეც ნებისმიერ დროს შეიძლება თანხის დამატება.



ყოველთვის არსებობენ ადამიანები, რომლებიც ფულს აგროვებენ ანუ დანაზოგს აკეთებენ და მეორე მხრივ – ადამიანები, რომლებიც ფულს სესხულობენ. დანაზოგი მაშინ კეთდება, როცა ცალკეული ადამიანები, ფირმები და ქვეყნები მთლიანად არ იყენებენ მიმდინარე შემოსავლებს. რა თქმა უნდა, საუკეთესო მდგომარეობაა, როცა ადამიანი, ოჯახი საკუთარი დანაზოგით იყიდის, რაც სურს, მაგრამ არის შემთხვევები, როცა ბანკიდან სესხის გამოტანა ერთადერთი გამოსავალია. როცა არსებული თანხა/შემოსავალი საკმარისი არ არის, როცა ადამიანებს ახალი საქმიანობის დაწყება სურთ, ესაჭიროებათ ფული მშენებლობის დაფინანსებისათვის, მოწყობილობების, საქონლისა და მომსახურების ყიდვისათვის, ისინი ბანკიდან სესხს იღებენ.

სარგებელი – გადასახადი სხვისი ფულით სარგებლობისათვის (ხშირად მას პროცენტს უწოდებენ).



dont copy

დანაზოგი – შემოსავლების ნაწილი, რომელიც არ იქნა დახარჯული გადასახადებისა და საყიდლებისათვის.

ბანკი მოგების მიღების მიზნით მუშაობს. ფულს, რომელსაც მომხმარებლები **დეპოზიტზე** ინახავენ, ბანკი სხვადასხვა საქმიანობაში დებს, ან სესხის სახით გასცემს სხვა ადამიანებსა და ბიზნესკომპანიებზე. ეს ადამიანები და ბიზნესკომპანიები ამ ფულს საკუთარი მიზნებისთვის იყენებენ – როგორიცაა, სახლის შეძენა, ახალი საცხობის გახსნა და ა.შ. თუმცა, გარკვეული დროის შემდეგ, მათ არამხოლოდ ბანკისგან აღებული თანხა უნდა დააბრუნონ, არამედ ბანკს ასევე უნდა გადაუხადონ შესაბამისი საფასური, ანუ პროცენტი. თავის მხრივ, ბანკი **სარგებელს** უხდის იმ მომხმარებლებს, რომლებიც ბანკში დეპოზიტზე ფულს ინახავენ. ამრიგად, მათი ფული ბანკში მუდმივად „დასაქმებულია“ იმისთვის, რომ მეტი და მეტი სარგებელი შექმნას.

მეანაბრე – ადამიანი, რომელიც ბანკში დანაზოგს ინახავს.

სესხის სახეები

- **იპოთეკური სესხი** – სესხი, რომლითაც მომხმარებლებს შეუძლიათ სახლის (ან მიწის ნაკვეთის) შეძენა, აშენება და გარემონტება. იშ-

ვიათად შეხვდებით ადამიანს, რომელსაც ახალი სახლის საფასურის ერთიანად გადახდის შესაძლებლობა აქვს – სწორედ ამიტომაც იპოთეკური სესხები საკმაოდ გავრცელებულია. იპოთეკური სესხი, ჩვეულებრივ, გრძელვადიანია. ის, უმეტეს შემთხვევაში, იმ ქონებით არის უზრუნველყოფილი, რომლის შესაძენად ან ასაშენებლადაც გაიცა. უზრუნველყოფა ნიშნავს, რომ თუ მომხმარებელი ვეღარ შეძლებს სესხის გადახდას, ბანკს უფლება აქვს გაყიდოს უზრუნველყოფაში არსებული ქონება (სახლი, ბინა, ან ნაკვეთი) – ანუ, მოახდინოს ქონების რეალიზაცია და ამ გზით დაიბრუნოს საკუთარი თანხა.

- **სამომხმარებლო სესხი** – სესხი, რომელსაც მომხმარებელი პირადი მოხმარებისთვის იღებს. სამომხმარებლო სესხები ხშირად გამოიყენება საყოფაცხოვრებო ნივთების შესაძენად, სამოგზაუროდ, მიმდინარე ხარჯების დასაფარად.
- **განვადება** – განვადებაც სესხია, რომელსაც რაიმე საქონლის (მაგ., ლეპტოპი) ან მომსახურების (მაგ., მოგზაურობა) შესაძენად ვიღებთ. ხშირად, სასწრაფოდ გვჭირდება ესა თუ ის ნივთი, მაგრამ იმ მომენტში არ გვაქვს საკმარისი თანხა. ამ შემთხვევაში, შეგვიძლია ეს ნივთი შევიძინოთ განვადებით. ეს ნიშნავს, რომ სასურველ ნივთს იმ დღესვე მივიღებთ, ხოლო სესხი გარკვეული დროის განმავლობაში უნდა დავფაროთ. განვადება, როგორც წესი, მოკლევადიანია, და მისი საშუალო ვადა ერთი ან ორი წელია. დაიმახსოვრეთ, რომ ძირითად შემთხვევაში, განვადებით შეძენილი ნივთის ფასი აღემატება საკუთარი სახსრებით შეძენილი ნივთის ფასს. რადგან განვადებაც სესხია, ბანკები, სანამ განვადებით ნივთს გადმოგცემდნენ, შეაფასებენ, თუ რამდენად შეძლებთ მის გადახდას.

დეპოზიტი – თანხა, რომელსაც ბანკში გარკვეული პერიოდით ვინახავთ და რომელზეც ბანკი საპროცენტო სარგებელს გვიხდის.

სესხი – თანხა, რომელსაც ვიღებთ ვალის სახით.

dont copy



ვალუტა – ფულადი ერთეული, რომელიც კონკრეტულ ქვეყანაში ან კონკრეტულ ტერიტორიაზე გამოიყენება. მაგალითად, როგორც საქართველოში გამოიყენება ლარი.

ვალუტის კონვერტაცია – ერთი ვალუტის (მაგ., ლარის) სხვა ქვეყნის ვალუტაში (მაგ., აშშ დოლარში) გადაცვლა.

საკომისიო – თანხა, რომელსაც ვუხდით ბანკს ამა თუ იმ პროდუქტითა და მომსახურებით სარგებლობის სანაცვლოდ.

ბანკომატი – ბანკის სალარო-ავტომატი, საიდანაც, პინ-კოდის სწორად მითითების შემთხვევაში შესაძლებელია ანგარიშიდან სასურველი თანხის გამოტანა ანუ განაღდება.

ყველაზე პოპულარული საბანკო პროდუქტები	
ძირითადი საბანკო პროდუქტებია	საბანკო ბარათებით შესაძლებელია:
საბანკო ანგარიში	თანხის განაღდება
თანხის შეტანა	სავაჭრო მომსახურების ობიექტებში გადახდა
თანხის გატანა	ინეტრნეტით შესყიდვა
თანხის გადარიცხვა	
კონვერტაცია	
გადახდა	

ასევე პოპულარულია საბავშვო დეპოზიტი, რომელიც ბავშვისთვის მის სრულწლოვანებამდე, ანუ 18 წლამდე იხსნება. საბავშვო ანაბრის გახსნა და მასზე თანხის შეტანა შეუძლია მშობელს, მეურვეს, ან ნებისმიერ სხვა პირს. საბავშვო დეპოზიტზე თანხის შეტანა შეიძლება ნებისმიერ დროს ნებისმიერი მოცულობით, თუმცა ზოგიერთმა ბანკმა შეიძლება დააწესოს შესატანი თანხის მინიმალური ოდენობა (მაგ., 10 ლარი). საბავშვო დეპოზიტი კარგი საშუალებაა იმისთვის, რომ მშობელმა თავისი შვილის მომავლისთვის დროულად დაიწყოს თანხის დაგროვებაზე ზრუნვა.

don't copy

მომხმარებლები აქტიურად იყენებენ **ბანკომატსა** და **ონლაინ ბანკს** საბანკო ოპერაციების შესასრულებლად. ბანკომატები 24 საათის განმავლობაში მუშაობენ. ინგლისურად ბანკომატი, ანუ ATM, იშიფრება, როგორც „ავტომატურად მოსაუბრე მანქანა“.

ბანკომატი



ონლაინ ბანკი

ეს საინტერესოა

ტფილისის ქართული საადგილმამულო ბანკი

საქართველოში ბატონყმობის გადავარდნისთანავე ქართველმა საზოგადო მოღვაწემ დიმიტრი ყიფიანმა, რომელიც იმ დროს აღმოსავლეთ საქართველოს თავად-აზნაურობის წინამძღოლი იყო, წამოაყენა ბანკის დაარსების იდეა. ილია ჭავჭავაძე აქტიურ მონაწილეობას იღებდა ბანკის წესდების შემმუშავებელ სხდომებში. 1873 წლის მაისში იგი ბანკის წესდების დამტკიცების დასაჩქარებლად და საბანკო საქმეების შესასწავლად დავით ყიფიანთან და დიმიტრი ყაზბეგთან ერთად რუსეთს გაემგზავრა. 1874 წლის 28 მაისს ფინანსთა მინისტრმა რეიტერნმა ბოლოსდაბოლოს დაამტკიცა თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის წესდება. 1875 წლის თებერვლიდან ამოქმედდა თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკი, რომელსაც მთელი 30 წლის მანძილზე, 1905 წლის 23 ივნისამდე, სათავეში ედგა ილია ჭავჭავაძე.

ბანკი იყო პირველი ეროვნული ორგანიზაცია, რომელიც ქართველთა აქტიურობით და მონდომებით შეიქმნა. ილიამ განმარტა საადგილმამულო კრედიტის მნიშვნელობა „მიწის და მიწათმოქმედების განკარგებისა და გაძლიერებისათვის“. „დანიშნულება საადგილმამულო კრედიტისა განკარგებაა მამულ-დედულისა, გაძლიერება მიწათმოქმედთა ღონისა და მომცემლობისა“. „ჩვენი ქვეყანა მიწათმოქმედი ქვეყანაა და ერთადერთი წარმოება, რომელსაც იგი ამოქმედებს, სასოფლო მეურნეობაა. ამიტომ საადგილმამულო კრედიტს, როგორც კრედიტს, საგნად მარტო ის უნდა ჰქონდეს, რომ გააძლიეროს სოფლის მეურნეობის წარმოება და რადგან ეს წარმოება განუყოფლად შეერთებულია მიწასთან და მიწათ-მოქმედებასთან, ამიტომაც საადგილმამულო კრედიტი ირჩევა ყოველ სხვა კრედიტისაგან იმ განსაკუთრებული თვისებებით, რომლებიც წარმოსდგებიან თითონ მიწათმოქმედების და მიწის ეკონომიური ბუნებისაგან“. „საადგილმამულო ბანკის არსის გამოსახატავად ნ. ნიკოლაძე მეტად ტევად ცნებას ხმარობს – განახლების ბანკი. თუ ადრე იგი თავადაზნაურობის კეთილდღეობის შესანარჩუნებლად იყო ჩაფიქრებული, თერგდალეულთა ხელში ეროვნული ცხოვრების განახლების იარაღად გადაიქცა“ (აკ. ბაქრაძე).

don't copy



შენობაში, რომელშიც ბანკი მდებარეობდა, ამჟამად საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის I კორპუსია განთავსებული (ლ. გუდიაშვილის 3).

სასარგებლო რესურსები

- როგორ იქმნება ფული: ბანკები https://bit.ly/3rNtrqf
- თინეიჯერები და ფული https://bit.ly/2ZbDcSV

როგორ შევარჩიო ბანკი?

ბანკის შერჩევის კრიტერიუმები			
ბანკის რეპუტაციის/ სანდოობის დადგენა	საპროცენტო განაკვეთი	საკომისიოები და ჯარიმები	პრეტენზიის დაფიქსირების ფორმები
კითხვები რომელიც შეიძლება დაისვას ბანკის შესახებ: „იცნობთ სანდო ადამიანს, რომელსაც ამ ბანკში ანგარიში აქვს?“, „კმაყოფილია ეს ადამიანი ამ ბანკის მომსახურებით?“, „რაიმე უარყოფითი რეკლამა ან ახალი ამბავი ხომ არ გავრცელებულა ამ ბანკთან დაკავშირებით?“ და ა.შ.	რა სარგებელს მიიღებთ ბანკში ფულის დაზოგვისას და რა თანხის გადახდა მოგიწევთ ბანკისგან ფულის სესხების შემთხვევაში.	რა ჯარიმები და საკომისიოები უკავშირდება თქვენს არჩეულ პროდუქტს? მაგალითად, რა გადასახადს დაგაკის რებთ ბანკი თუ დეპოზიტს დაარღვევთ? თუ გადააცილებთ სესხის შენატანის თარიღს? და ა.შ.	რა ფორმით შეგიძლიათ დააფიქსიროთ პრეტენზია

> ჩვენი უბედურება ის არის, რომ სესხით სარგებლობა არ ვიცით. ბანკმა ყველა ჩვენთაგანი უნდა შეაჩვიოს ვალის პირნათლად გადახდას.
>
> *ი. ჭავჭავაძე, გაზ. „ივერია“, 1891 წ.*

სანამ სესხს აიღებდეთ, კარგად უნდა დაფიქრდეთ, რამდენად შეძლებთ მის გადახდას. სესხის გაცემამდე ბანკიც ამოწმებს სესხის მსურველის გადახდისუნარიანობას, ანუ იმას, თუ რამდენად შეძლებს მსესხებელი სესხის გადახდას, თავისი შემოსავლებიდან და ხარჯებიდან გამომდინარე. ასევე, ამოწმებს, რამდენად დროულად იხდიდა მსესხებელი წარსულში სესხებს და ახლაც აქვს თუ არა მას სხვა სესხი.

dont copy

თუ ბანკში დეპოზიტს ვხსნით, მაშინ საპროცენტო განაკვეთი ის სარგებელია, რომელსაც ბანკი დეპოზიტზე ფულის შენახვის სანაცვლოდ გვიხდის. საპროცენტო სარგებელი ერთგვარი წახალისებაა. ბანკი ჩვენს დეპოზიტზე არსებულ ფულს სხვადასხვა მიზნისთვის იყენებს – შესაბამისად, ბანკისთვისაც მომგებიანია, თუ ჩვენ ფულს დეპოზიტზე შევინახავთ.

> სესხის პირობები ხელშეკრულებაში იწერება, რომელსაც გამსესხებელი და მსესხებელი აწერენ ხელს. ხელშეკრულების ყურადღებით წაკითხვა აუცილებელია გაუგებრობების თავიდან ასაცილებლად!

იმსჯელეთ

- განიხილეთ სიტუაცია. თქვენი აზრით, რა შეცდომა დაუშვა მამაცაშვილების ოჯახმა ამ სიტუაციაში? რა გააკეთა სწორად? რა კრიტერიუმებით შეარჩიეს ბანკი შვილებმა? მშობლებმა? რას ურჩევდით მათ იპოთეკური სესხის აღების შესახებ?

სიტუაცია

მამაცაშვილების ოჯახმა სახლის ყიდვა გადაწყვიტა. ბავშვები დაიზარდნენ და პატარა ბინა ოჯახს აღარ ჰყოფნიდა. მშობლებმა გარკვეული დანაზოგიც მოაგროვეს. ახლა კი ოჯახის წევრები ერთად განიხილავენ იპოთეკური კრედიტის აღების საკითხს. რადგან მშობლები ძალიან დაკავებული არიან, ინფორმაციის მოგროვება ბანკების შესახებ ბაიას და დაჩის სთხოვეს. ბავშვებმა ფინანსური საკითხები სკოლაში ისწავლეს და სიხარულით დათანხმდენენ მშობლების თხოვნას.

და-ძმა ესტუმრა რამდენიმე ბანკის ვებგვერდს, ბანკებშიც მივიდნენ, იქიდან ბროშურები წამოიღეს, კონსულტანტსაც გაესაუბრნენ და შემდეგ სახლში მოპოვებული ინფორმაცია ერთმანეთს შეადარეს. ამ პატარა კვლევის შედეგად ისინი გაეცნენ ბანკის ყველა პირობას: საპროცენტო განაკვეთის შესახებ, საკომისიოებისა და ჯარიმების შესახებ. ბავშვებმა მშობლებს ის ბანკი ურჩიეს, რომელსაც ყველაზე კარგი პროცენტი ჰქონდა, სადაც გულისყურითა და პატივისცემით მოეკიდნენ მათ კითხვებს, რომლის შესახებაც ნაცნობებმა მხოლოდ დადებითი გამოცდილება გაუზიარეს.

შემდეგ მშობლებმა დათვალეს ყველაფერი – რამდენი წელი უნდა ეხადათ კრედიტი და პროცენტი, რა თანხის სესხებას ეყოფოდა მათი შემოსავლები. ისეთი ბანკიც აღმოაჩინეს, რომელიც სხვა კარგ სერვისებსაც სთავაზობდა მომხმარებელს. მაგალითად, საკრედიტო ბარათს უფასოდ და უკეთესი პროცენტით სთავაზობდა, ბანკს ჰქონდა ინტერნეტ-ბანკი და ბანკომატი სახლთან ახლოს, მშობლებმა შვილების ინფორმაციაზე დაყრდნობით საუკეთესო პირობების მქონე ბანკი შეარჩიეს.

dont copy

თავდები – პირი, რომელიც საკუთარ თავზე იღებს ვალდებულებას დაფაროს სესხი იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელი ვეღარ ფარავს მას.

შერჩეული ბანკი დაინტერესდა განმცხადებლის საკრედიტო ისტორიით, შეამოწმა, სხვა სესხი ხომ არ ჰქონდა პარალელურად აღებული. შეეძლებოდა თუ არა ის კრედიტის გადახდას ყოველ თვეს 10 წლის მანძილზე არსებული ხელფასის პირობებში. თითქოს ყველაფერი კარგად იყო, რომ არა ერთი ამბავი: წინა წელს ბავშვების მამას მეზობელმა **თავდებობა** სთხოვა. მამამ ისე დაეთანხმა მეგობარს, რომ კითხვაც არ დაუსვამს. ბოლო მომენტში კი გაირკვა, რომ მეგობარი ფულს ვეღარ იხდიდა და მამას, როგორც თავდებს, ხელფასიდან ავტომატურად მოაჭრიდნენ თანხას, სანამ პრობლემა არ გადაიჭრებოდა. ძალიან შეწუხდა ოჯახი. მამამ თავის მართლება დაიწყო: მე თავდებობა ზეპირი დასტური მეგონა და მეგობარს უარს ხომ ვერ ვეტყოდიო.

მევახშე – კერძო პირი, რომელიც გაასესხებს საკუთარ ფულს კონკრეტული პირობით.

რადგან სასურველი ბინა უკვე მოძებნილი ჰქონდა, ბანკისგან კი უარი მიიღო, ოჯახმა კერძო **მევახშეს** მიაკითხა. მევახშემ ახალი ნაყიდი ბინა იპოთეკით დატვირთა და ბანკზე მკაცრი პირობებით მამაცაშვილებმა სახლი

იყიდეს. გარკვეული დროის შემდეგ ოჯახს კრედიტის გადახდა გაუჭირდა (რაც მოსალოდნელი იყო თავდების გადასახადის გამო). მევახშემ ახალი სახლის მითვისება განიზრახა. საქმე სასამართლომდე მივიდა, რომელიც 1 წელი გაგრძელდა. დიდი ფინანსური ზარალის, მრავალწლიანი წვალების, ნათესავების დახმარებითა და ახალი ვალების აღების ფასად მამაცაშვილებმა ბინა შეინარჩუნეს.

იმისთვის, რომ სესხი გასცენ, ბანკები ზოგჯერ მოითხოვენ თავდების წარმოდგენას. ამ გზით ბანკი ამცირებს გადაუხდელობის რისკებს. ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა და კარგად უნდა დაფიქრდეთ, სანამ თავდებობას დათანხმდებოდეთ! თავდებობის ხელშეკრულებაზე ხელმოწერით თქვენ უბრალოდ კი არ უჭერთ მხარს მსესხებელს, არამედ პირდაპირ იღებთ ვალდებულებას, რომ თქვენი ჯიბიდან დაფაროთ მისი სესხი, თუ ის თავად ვეღარ შეძლებს სესხის დაფარვას. ხელმოწერამდე ყურადღებით უნდა წაიკითხოთ თავდებობის ხელშეკრულებაც.

დღეს ქვეყანაში იპოთეკით დატვირთული რეგისტრირებული ქონების დაახლოებით 70% პრობლემურია, ანუ ადამიანები ვერ იხდიან აღებულ ფინანსურ ვალდებულებას და ემუქრებათ საფრთხე, რომ გარანტიად ჩადებული ქონება დაკარგონ. ეს კი ნიშნავს, რომ მოსახლეობის დაახლოებით 25% დღეს მძიმე ფინანსურ მდგომარეობაშია.

don't copy

როდესაც მომხმარებელი იღებს სესხს, ინფორმაცია მსესხებლის და სესხის შესახებ გადაეცემა ორგანიზაციას, რომელსაც **საკრედიტო-საინფორმაციო ბიურო** ეწოდება. სანამ ბანკი გადაწყვეტს, გასცეს თუ არა სესხი, ის აუცილებლად ამოწმებს მსესხებლის შესახებ ინფორმაციას ბიუროში, რათა გაარკვიოს, რამდენად დროულად ფარავს მსესხებელი ფინანსურ ვალდებულებებს. თუ ბანკმა აღმოაჩინა, რომ სესხის მსურველს ისედაც ბევრი ან დიდი ოდენობით სესხი აქვს, ან დროულად არ ფარავს მათ, მაშინ ბანკმა შეიძლება მას ახალი სესხი არ მისცეს!

18 წლამდე ასაკის ახალგაზრდას არ აქვს უფლება დამოუკიდებლად აიღოს სესხი ან იყოს თავდები სხვის სესხზე.

ბანკებს დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ეკონომიკისათვის



კომერციული ბანკები იღებენ დეპოზიტებს მოსახლეობისა და კომპანიებისაგან, შემდეგ კი ამ თანხას გაასესხებენ სხვა ადამიანებსა და საწარმოებზე.

ამ გზით ფინანსდება ბევრი ახალი ბიზნეს-ინიციატივა, იქმნება ახალი და უმჯობესდება არსებული პროდუქტები, იქმნება ახალი სამუშაო ადგილები და. ა.შ.

სესხის აღებამდე კარგად უნდა ავწონ-დავწონოთ ჩვენი სურვილები და მიზნები, გონივრულად შევაფასოთ ჩვენი ფინანსური შესაძლებლობები.

გონივრულად აღებულ სესხს მოსახლეობის ფინანსური კეთილდღეობის მნიშვნელოვნად გაუმჯობესება შეუძლია. თუმცა გაითვალისწინეთ, რომ სესხება ძალიან საპასუხისმგებლო გადაწყვეტილებაა.

იმუშავეთ ჯგუფებში

ყურადღებით წაიკითხეთ ილია ჭავჭავაძის წარმოთქმული სიტყვა თბილისის თავადაზნაურობის კრებაზე. უპასუხეთ კითხვებს:

- რა საკითხებს განიხილავს ავტორი წერილში?
- რა არის, მისი აზრით, ბანკის დანიშნულება? რატომ არის სესხის გაცემა „საქვეყნო საქმე?“
- რატომ ადანაშაულებს ბანკის ზოგიერთ მომხმარებელს მწერალი?
- რა გენიშნათ დღევანდელ ცხოვრებაში აქ მოყვანილი ამბებიდან?
- თქვენი აზრით, დღევანდელობაზეც იმავეს დაწერდა ილია ჭავჭავაძე ბანკების შესახებ?
- რას იზიარებთ და რას – არა აღნიშნულ წერილში?

dont copy



„ეს წუთის სოფელი ისეთია, რომ ვინც თვითონ არ მხნეობს, ვინც თვითონ არ იბრძვის დღიურის ლუკმისათვის, იმისი ბედი გადაწყვეტილია. იმას შეიძლება ერთს დღეს, ან რამოდენიმე ხანს კაცმა კაცთმოყვარეობით უშველოს, მაგრამ მას მერმედ ისევ მშიერია, ისევ გასაძღომია – და ერთი გკითხავთ: როდემდის უნდა ვაძღოთ ჩვენ? მე დარწმუნებული ვარ, რომ რაც დღეს ბანკში ფულია, სულ რომ დღესვე დავურიგოთ მცონარე მშივრებს, ხვალ უფრო ბევრი მშიერი მოგვადგება, – ხვალ რითღა გავცე პასუხი? რაც დღეს ბანკს ფული აქვს, ათჯერ იმაზედ მეტი ფული შეგვძინა ჩვენ ყმების განთავისუფლებამ, – განა მაგან მოჰსპო ივანეს და პეტრეს შიმშილი?

ვინც თვითონ არ ჭირნახულობს, ვინც თვითონ თავის მარჯვენით არ ცდილობს თავის სტომაქის ავსებას, ის, ბატონებო, ცხრილია, რომელიც

მაინც არ აივსება, თუნდა მთელი მტკვარი გაუწყვეტლივ ზედ მიუშვათ. რა თანხა გაუძლებს მშიერს მცონარეობას? მარტო იმისთანა თანხა, რომელმაც იმოდენი უნდა იმატოს, რამოდენსაც დააკლებთ. თუ ჩვენგანი ვინმე ამისთანა გრძნეულს თანხას შეადგენს, ჩვენ იმისათვის დიდის სიხარულით გზა დაგვიცლია. ვიმეორებ: ერთხელ და ორჯელ რომ გააძღოთ მცონარე მშიერი, ეგ კაცმოყვა-რეობაა, მაგრამ მაინცადამაინც ამით სამუდამოდ წყლულს ვერ გავიმთელებთ, იმიტომ რომ თავის თავის წყლული თვითონ მცონარე მშიერი არის. ან რად გვინდა, რომ ამგვარ კაცთათვის ეგრე ვწუხვართ და ჩვენი მწუხარება იქამდინ მიგვყავს, რომ გვინდა ბანკი მაგ მწუხარებას ვანაცვალოთ. მცონარეობას რომ საზრდო მივსცეთ, ეგ მცონარეობის წაქეზებასა და გამრავლებას მოასწავებს. წაქეზება, ხელის გამართვა გაჭირვებულს ბეჯითობას უნდა, იმიტომ რომ მარტო ბეჯითობაა ჩვენი მხსნელი და ქვეყნისათვის ნაყოფიერი, – და არა მშიერს მცონარეობას, რომელიც იმოდენად დიდს პირს აღებს, რამოდენადაც დიდს ლუკმას აწვდით და რომელიც რამოდენად ძლიერია, იმოდენად აღარიბებს ქვეყანასა. ჩვენის ქვეყნის იარა მცონარეობაა. რაც ადრე მოვიშორებთ მაგ იარას, მით უფრო მალე მოვიპოვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას და კეთილდღეობასა.

უწინაც მითქვამს და ეხლაც მოგახსენებთ, რომ ბანკი ამ მხრით, ესე იგი, იმით, რომ ფულს ასესხებს, კაცის ამშენებელიც არის და დამღუპავიცა. ვინც ბეჯითია და მხნე, ვისაც გონება აქვს, გულმოდგინე შრომის სურვილი და მხოლოდ ფული აკლია, რომ თავისი საქმე წარიმართოს, ღვთის წყალობა თქვენა გაქვთ, რომ იმისათვის ბანკი ყოვლად მხსნელი სახსარი იყოს. მაგისთანა კაცს არა სასტიკი კანონი, ბანკის სიმკვიდრის ქვაკუთხედად დადებული, ვერ დააბრკოლებს, ვერ დააფთხობს, გულს წინადვე ვერ გაუხეთქს, იმიტომ, რომ მხნე და ბეჯითია. ბეჯითობა კიდევ თითქმის ყოვლად შემძლებელია, ანგარიშიანია, იცის, რომ ფულს წინდაუხედავათ არავინ არ გაასესხებს, თუ ფულის დაღუპვა არ უნდა. ამისთანა კაცს იმ ბეჯითობასთან, იმ მხნეობასთან, იმ შეუწყვეტელ შრომის სურვილთან ოღონდ ფულის შოვნის გზაც მიეცით და რაც უნდა ძნელი გზა იყოს, იგი იმ გზას უსათუოდ გადალახავს. მარტო ამისთანა კაცი უნდა შეჰხაროდეს ჩვენს ბანკსა და ჩვენც, მოწყალენო ხელმწიფენო, მარტო მაგისთანა კაცს უნდა წავხაროდეთ. კაცი ბეჯითი, მხნე, შრომის მოყვარე რამოდენსაც თავის თავს შეჰმატებს ჩვენის ბანკის შემწეობით, იმოდენს შეჰმატებს ჩვენს ქვეყანასაცა: თავის შემოსავალს ოცი კოდიც რომ მოუმატოს, ჩვენი ქვეყანა უწინდელზედ ოცის კოდით უფრო მდიდარი შეიქმნება იმის მეოხრებით და ჩვენის ბანკის შემწეობით.

dont copy

თუ შევსწუხდებით ვისთვისმე, სწორედ ამისთანა კაცისათვის უნდა ვიწუხოთ. თუ ეს ასეა, მაშ ჩვენგან რამდენჯერმე წარმოთქმული მწუხარება მასზედ, რომ ბანკის კანონები სასტიკიაო, ნოტარიუსთან მეზარება მისვლაო და სხვა ამგვარი, – მეტია და სათაკილო ამისთანა კაცისათვისა. მეტყვიან, რომ თუ მართლა მარტო მაგისთანა კაცებს უნდა უხაროდესთ ბანკი, მაგისთანა კაცები ჩვენში ცოტანი არიანო, მაშ ბანკი რაღად გვინდოდაო? მეც სრულის ჩემის გულისტკივილით დაგეთანხმებით, რომ მაგისთანა კაცები ჩვენში ბევრნი არ არიან, მაგრამ ჩვენი უგულითადესი სურვილია, რომ მარტო მაგისთანანი გამრავლდნენ. სხვანი კი, ესე იგი, ისინი ვისაც ბანკი უხარიან მარტო იმისთვის, რომ ფულებს მალე ვისესხებო და იმ ფულებით ქეიფს გავსწევო, იმათთვის არამც თუ ჩვენი ბანკი, ყოველგვარი ბანკი წინადვე გათხრილი სამარეა. ჩვენი ბანკი, მართალია, ამისთანა კაცსაც ფულს ასესხებს, რადგანაც ჩვენი ბანკი კაცს კი არ ანდობს ფულს, არამედ მის უძრავს ქონებას, მაგრამ ეს სესხი მოუღებს კიდეც ბოლოს ამგვარს კაცსა.

სესხს მოშორება უნდა და ეგ მოშორება მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა კაცი ნასესხს ფულს ხეირიანად მოიხმარებს. თუ არა და გაეყიდება მამული და ამით უკანასკნელი ლუკმა გამოეცლება პირიდამა. ამგვარს კაცს არა ეშველება რა. ნურავის ნუ გვაქვს იმედი, რომ ამგვარს კაცს ბანკმა უშველოს რამე. ვინც თვისის ხელით წყლულს ხელახლად იწყლულებს, იმას ვერა მოარჩენს რა სიკვდილის მეტი.“

იმუშავეთ ჯგუფებში

- თქვენ რომ საკუთარი საწარმოს გახსნის იდეა გქონდეთ, როგორ დააფინანსებდით მას? რა იდეაა ეს?
- დაფინანსების ეს ფორმა აირჩიეთ იმიტომ, რომ რეალური შანსი გაქვთ, თუ იმიტომ, რომ უპირატესობას დაფინანსების ამ წყაროს ანიჭებთ?
- ჩამოწერეთ პირობები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეთ, რათა ბანკი დარწმუნებული იყოს, რომ კრედიტი არ გაიფლანგება და სესხის პატიოსანი გადამხდელი იქნებით.
- ზემოთ მოცემული კითხვების გამოყენებით მოამზადეთ პრეზენტაცია – ვქმნი ფირმას. *სამუშაო დრო 10 წთ-ია.*

რეკომენდაცია: წინასწარ მიაკითხეთ რამდენიმე ახლომდებარე ბანკს, წამოიღეთ საინფორმაციო ბუკლეტები და გაეცანით მოკლევადიანი და მიკროსესხების საპროცენტო განაკვეთებს, კომერციული კრედიტების პირობებს.

შეადარეთ და გაანალიზეთ:

- რომელ ბანკს აქვს ბიზნესისათვის საუკეთესო სასესხო პირობები?
- რომელ ბანკში ჯობს ფულის დაბანდება? რატომ?
- რატომ ჰგავს სხვადასხვა ბანკის პროდუქტი ერთმანეთს?
- შეადარეთ თქვენი მოთხოვნები ბანკის მოთხოვნებს, რომელი საკითხი ვერ გაითვალისწინეთ?

18 წლამდე მოზარდებს არ შეუძლიათ გახსნან საბანკო ანგარიში მშობლის თანხლების გარეშე. დეპოზიტის გახსნისას 14 წლიდან მოზარდს უნდა ჰქონდეს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა.

? როგორ შეუძლია მოსწავლეს გამოიყენოს საბანკო სერვისები?

მოსწავლის ბარათი

სკოლის მოსწავლეებისათვის შექმნილია პლასტიკური „მოსწავლის ბარათი.“ მისი აღება მოსწავლეებს უფასოდ შეუძლიათ. ბარათის მოქმედების ვადა სკოლის მოსწავლის ასაკიდან გამომდინარე განისაზღვრება. ბარათის უპირატესობებია:

- მოსწავლეები ბარათით უფასოდ იმგზავრებენ მუნიციპალური ტრანსპორტით;
- ბარათით გადახდა შესაძლებელია სხვადასხვა სავაჭრო და მომსახურების ობიექტში;
- სკოლის მოსწავლეები ადრეული ასაკიდანვე შეძლებენ, ისწავლონ თანამედროვე საბანკო პროდუქტებით სარგებლობა, ფულის რაციონალურად ხარჯვა და შეიძინონ ახალი უნარ-ჩვევები;
- თავის მხრივ, მშობელს შესაძლებლობა აქვს, შვილს აღარ გაატანოს სკოლაში ნაღდი ფული; გააკონტროლოს დღის განმავლობაში ბავშვის მიერ დახარჯული თანხის მიზნობრიობა და ოდენობა მიღებული SMS-ების საშუალებით.

dont copy

ყურადღება!

საკითხი: მომხმარებელთა უფლებები და პასუხისმგებლობები (საბანკო სექტორი)

კომპლექსური დავალება

კომპლექსური დავალების პირობა

წარმოიდგინე, რომ ეროვნულ ბანკში ხარ სტაჟირებაზე და ექსპერტის დამხმარის ფუნქციას ასრულებ. შენმა ხელმძღვანელმა გადმოგცა ქეისი (იხილეთ ქვემოთ), რომელიც ერთ-ერთი ბანკისა და მისი მომხმარებლის - თეონას ურთიერთობაში წამოჭრილ პრობლემებს ასახავს. შენ უნდა დაწერო **ანგარიში/დასკვნა** როდის და ვისი უფლებები და პასუხისმგებლობები არის დარღვეული ამ ისტორიაში.

ნაშრომში/ ნაშრომის წარდგენისას ხაზგასმით წარმოაჩინე:

- რამდენად არის ამ სიტუაციაში დაცული მომხმარებლის თავისუფალი არჩევანის გაკეთების უფლება? სხვა უფლებები? (დაასახელეთ კონკრეტული არგუმენტები);
- უფლებათა რომელი ჯგუფი დაირღვა ამ შემთხვევაში და რომელი სამართლებრივი დოკუმენტებით არის ეს უფლებები დაცული?
- როგორ იცავს (ან არღვევს) კონკრეტული ბანკი/თანამშრომელი მომხმარებლის უფლებებს; განმარტე უფლებების დაცვის საშუალებები/მექანიზმები;
- რამდენად არის დაცული კანონის უზენაესობა, როგორც დემოკრატიის ერთ-ერთი პრინციპი და რაში მდგომარეობს ამ პრინციპის არსი და მნიშვნელობა?

do not copy

პრეზენტაციის შემდეგ ისაუბრე:

რა სტრატეგიები გამოიყენე/რა ნაბიჯები გადადგი დავალებაზე მუშაობის სხვადასხვა ეტაპზე; რას გააკეთებდი განსხვავებულად, ხელახლა რომ იწყებდე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობას.

თეონას ისტორია

როდესაც თეონა 16 წლის გახდა, კომპიუტერის საყიდლად ფულის შეგროვება გადაწყვიტა. თეონამ დაიწყო შაბათ-კვირას სანაყინეში ნახევარ განაკვეთზე მუშაობა და ამ გზით ფულის გამომუშავება. სანამ მუშაობას დაიწყებდა, თეონას საკუთარი ფული არასოდეს ჰქონია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ჯიბის ფულს მშობლები აძლევდნენ, ან ახლობლები ჩუქნიდნენ მცირე თანხას დაბადების დღეზე. შესაბამისად, აქამდე თეონა ფულს ყოველთვის სახლში ინახავდა. მაგრამ ახლა, რადგანაც თეონამ მუშაობა დაიწყო, მას რეგულარული შემოსავალი გაუჩნდა და გაიაზრა, რომ ფულის სახლში შენახვას სჯობს მისი უფრო უსაფრთხო ადგილას დაგროვება და სარგებლის მიღება. სწორედ ამიტომ თეონამ დეპოზიტის გახსნა გადაწყვიტა და სთხოვა დედას, ბანკში გაჰყოლოდა.

თეონამ და დედამ გაისეირნეს ქალაქში და პირველივე ბანკში შევიდნენ, რომელიც გზად შემოხვდათ. „რა აზრი აქვს სხვა ბანკების მოძებნას?“ გაიფიქრა თეონამ, „ეს ბანკიც ზუსტად ისე გამოიყურება, როგორც ნებისმიერი სხვა ბანკი.“

თეონა ერთ—ერთ ოპერატორთან (კონსულტანტთან) მივიდა და უთხრა, რომ დეპოზიტის გახსნა სურდა. წარბშეკრულმა კონსულტანტმა ჯერ თეონას შეხედა, შემდეგ — თეონას დედას. „თუ დეპოზიტის გახსნა გინდოდა, შეგეძლო თავად არ მოსულიყავი და მარტო დედა გამოგეშვა. ასე ყველანი ნაკლებ დროს დაკარგავდით!“ — ამოიხვნეშა კონსულტანტმა და თეონას საჩვენებელი თითით სკამისაკენ მიუთითა: „აქ დაჯექი და არ იხმაურო. როდესაც რომელიმე თანამშრომელი გათავისუფლდება, დაგეხმარება.“ თეონა ისე მოიქცა, როგორც კონსულტანტმა უთხრა.

ერთი საათის შემდეგ მეორე კონსულტანტი მივიდა თეონასთან და თეონას დედასთან და მათ ხელით ანიშნა, კაბინეტში გამომყევითო. კაბინეტში, კვლავაც უსიტყვოდ, კონსულტანტმა თეონას და თეონას დედას სკამზე მიანიშნა, დასხედითო. ამის შემდეგ კონსულტანტმა ამოიღო უჯრიდან უამრავი ფორმა, თეონას დედას გახედა, და უთხრა: როგორც გავიგე, გოგონასთვის დეპოზიტის გახსნა გსურთ. ძალიან კარგი. მოდი, თეონას სახელზე 1-წლიანი დეპოზიტი გავხსნათ. მე თქვენგან თეონას შესახებ გარკვეული ინფორმაცია დამჭირდება. გთხოვთ, სწრაფ—სწრაფად მიპასუხოთ, ძალიან დაკავებული ვარ. კონსულტანტმა ფორმები მაგიდაზე დაალაგა და მათი შევსება დაიწყო. პერიოდულად იგი მარტივ შეკითხვებს უსვამდა თეონას დედას — გოგონას სახელი? ასაკი? მისამართი? რა თანხით გსურთ გოგონას დეპოზიტის გახსნა? ტელეფონის ნომერი?

მიუხედავად იმისა, რომ თეონა ძალიან დაბნეული და მორიდებული იყო, მაინც მოუხმო სიმამაცეს და ჰკითხა კონსულტანტს: „უკაცრავად, ჩემს დეპოზიტზე რა საპროცენტო განაკვეთი მეკუთვნის? ყოველ კვირას შემიძლია დავამატო დეპოზიტზე თანხა თუ ყოვ-

Draft copy

ელ თვე?“ ამ შეკითხვებზე კონსულტანტმა უპასუხა: „გთხოვ, ნუ მაწყვეტინებ. ვიცი, რასაც ვაკეთებ; ზუსტად ისეთივე დეპოზიტს გაგიხსნი, როგორსაც სხვა არასრულწ-ლოვანს ვუხსნი. თანაც, შენ რა იცი საპროცენტო განაკვეთის და თანხის დამატების შესახებ? დეტალებს დედასთან გავივლი.“
თეონას აინტერესებდა, ბანკი აპირებდა თუ არა თეონას პერსონალური მონაცემების დაცვას, თუმცა მოერიდა კითხვის დასმა. როგორც იქნა, თეონამ მოიკრიბა მთელი თავისი გამბედაობა და იკითხა: „უკაცრავად, ჩემს დეპოზიტზე რა საპროცენტო გა-ნაკვეთი მეკუთვნის? ყოველ კვირას შემიძლია დავამატო დეპოზიტზე თანხა თუ ყოველ თვე?“ ამ შეკითხვებზე კონსულტანტმა უპასუხა: „გთხოვ, ნუ მაწყვეტინებ. ვიცი რასაც ვაკეთებ; ზუსტად ისეთივე დეპოზიტს გაგიხსნი, როგორსაც სხვა არასრულწლოვანს ვუხსნი. თანაც, შენ რა იცი საპროცენტო განაკვეთის და თანხის დამატების შესახებ? დეტალებს დედასთან გავივლი.“ ამაზე თეონას არაფერი უთქვამს.

ამის შემდეგ, კონსულტანტმა თეონას დედას ძალიან მოკლედ და რთული ტერმინებით აუხსნა დეპოზიტის რამდენიმე პირობა. როდესაც თეონას დედა მას კითხვებს უს-ვამდა, კონსულტანტი უკმაყოფილო სახით ძალიან მოკლე პასუხებს სცემდა. ბოლოს, კონსულტანტმა თეონას დედას უთხრა: „ყველა საბუთი შევსებულია. აქ მომიწერეთ ხელი, შემდეგ კი შეგიძლიათ მოლარესთან მიხვიდეთ და გადასცეთ თანხა, რომლის შეტანაც გსურთ დეპოზიტზე.“ თეონას დედისთვის, და მით უმეტეს თეონასთვის, ბევრი რამ კვლავაც ბუნდოვანი იყო; გოგონას სურდა კონსულტანტისთვის ეკითხა, თუ შეეძლო წაეკითხა იმ დოკუმენტი, რომელსაც დედა ხელს აწერდა, მაგრამ კონ-სულტანტმა ხელით ანიშნა, ამისთვის არ მცალიაო და დასძინა, მთავარია, დედას ძირითადი პირობები ესმისო. სალაროში თანხის გადახდის შემდეგ თეონა და თეონას დედა კონსულტანტთან დაბრუნდნენ, რომელმაც თეონას დედას უთხრა: „ახლა შე-გიძლიათ წახვიდეთ და იცოდეთ, რომ სანამ 1 წელი არ გავა, თანხა არ გამოიტანოთ ბავშვის დეპოზიტიდან!“

dont copy

ბანკიდან გასვლისას თეონას და თეონას დედას ფილიალის მმართველი შეხვდათ. ფილიალის მმართველი თავაზიანად მიესალმა მომხმარებლებს და შიმართა: „ძალიან მიხარია, რომ ახალგაზრდა მომხმარებლებს ვხედავ. იმედია, დღეს ჩვენს ბანკში კარგი მომსახურება მიიღეთ!“ „დიახ, ყველაფერმა კარგად ჩაიარა,“ — უპასუხა თეონამ. გოგონას არ სურდა საკუთარი უკმაყოფილების გამოხატვა

თეონა და თეონას დედა სახლში წავიდნენ. რამდენიმე თვეში თეონას უფროს დას, რომელიც 20 წლის არის, დაურეკეს და მოახსენეს, თუ რა თანხა დაგროვადა თეონას დეპოზიტზე.

საქართველოს ეროვნული ბანკი „ბანკთა ბანკია“ და მისი მთავარი მიზანია უზრუნველყოს ქვეყანაში ფასების სტაბილურობა. ეს ნიშნავს, რომ ეროვნული ბანკის ამოცანაა ქვეყანაში ინფლაცია (ფულის გაუფასურება), ანუ ფასების საერთო დონე იყოს ზომიერი და ძალიან მკვეთრად არ იცვლებოდეს. ამ ფასებში იმ პროდუქტების ფასებიც იგულისხმება, რომლებსაც ბაზარში ან სუპერმარკეტში ვყიდულობთ.

ეროვნული ბანკი და ფინანსური სტაბილურობა

ეროვნული ბანკი არის ამ სექტორის „მსაჯი“ და მის მონაწილეებს (მაგ., ბანკებს, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს და სხვა) უდგენს გარკვეულ წესებს. ეს წესები ფინანსური ორგანიზაციების უსაფრთხოდ და გამართულად მუშაობას უწყობს ხელს. წესების დარღვევის შემთხვევაში, ეროვნულ ბანკს შეუძლია ამ ორგანიზაციების გაფრთხილება, დაჯარიმება, ლიცენზიის გაუქმება ან სხვა სანქციების დაწესება.

ეროვნული ბანკი და ფულის ემისია (გამოშვება)

ეროვნული ბანკი ერთადერთი ორგანიზაციაა საქართველოში, რომელიც უშვებს ქართულ ბანკნოტებს (ანუ ქაღალდის ფულს) და მონეტებს. გარდა ამისა, ეროვნული ბანკი აქვეყნებს ოფიციალურ გაცვლით კურსს ქართულ ლარსა და სხვა ვალუტებს შორის, როგორიცაა დოლარი, ევრო და ა.შ.

ეროვნული ბანკი და მომხმარებელთა უფლებების დაცვა

ეროვნული ბანკი იცავს ჩვენს, როგორც საფინანსო სექტორის მომხმარებელთა, უფლებებს. ამ მიზნით ის ფინანსურ ორგანიზაციებს გარკვეულ წესებს უდგენს. ამასთან ერთად, ეროვნული ბანკი მუშაობს მოსახლეობის ფინანსურ განათლებაზე. სწორედ ფინანსური განათლება ეხმარება ადამიანებს, გახდნენ ინფორმირებული და პასუხისმგებლიანი მომხმარებლები, რომლებმაც იციან, თუ როგორ დაიცვან საკუთარი უფლებები და მიიღონ გონივრული ფინანსური გადაწყვეტილებები.

ეროვნული ბანკის სხვა ფუნქციები

ეროვნული ბანკი გასცემს სესხებს კომერციულ ბანკებზე და საბანკო მომსახურებას უწევს როგორც საქართველოს მთავრობას, ისე სხვა ქვეყნების მთავრობებს, ცენტრალურ (ეროვნულ) ბანკებს, საერთაშორისო ორგანიზაციებს და ა.შ.

don't copy

	საქართველოში ფინანსური ორგანიზაციების მომხმარებელთა უფლებებს, საქართველოს ეროვნული ბანკი იცავს	
აუცილებელი	მომხმარებლისთვის მიწოდებული ინფორმაცია უნდა იყოს:	გასაგები
სრული	უტყუარი	თავისდროული

მომხამრებლის უფლებები	მომხმარებლის მოვალეობები
მიიღოს სრული, ზუსტი, ადვილად გასაგები და თავისდროული ინფორმაცია	გაეცნოს იმ ფინანსური პროდუქტის ყველა პირობას, რომლის შეძენაც სურს
თავად გადაწყვიტოს, რომელი ფინანსური პროდუქტის შეძენა სურს	შეადაროს ერთმანეთს სხვადასხვა შემოთავაზება
მასთან ურთიერთობისას ფინანსურმა ორგანიზაციამ დაიცვას ეთიკის ნორმები	შეასრულოს მის მიერ შეძენილი პროდუქტის ყველა პირობა
მოითხოვოს ხელშეკრულების ნიმუში მასზე ხელმოწერამდე	ფინასნურ ორგანიზაციას მიაწოდოს ზუსტი და თავისდროული ინფორმაცია
დააფიქსიროს პრეტენზია (ზეპირად, წერილობით, ელექტრონულად)	გაუფრთხილდეს პერსონალურ მონაცემებს

სანქცია – ზემოქმედების ზომა კანონის დარღვევისათვის.

ბანკის მომხმარებელს რომ შემდგომში პრობლემა არ შეექმნას, მნიშვნელოვანია საგულდაგულოდ გაეცნოს კონტრაქტის პირობებს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს: საპროცენტო განაკვეთს, ფიქსირებული საპროცენტო შენატანს, ვადებს, ჯარიმების პირობებს კონტრაქტის დარღვევის შემთხვევაში.

მომხმარებლის უფლებები

ჩვენ გავეცანით ბანკის მომხმარებელთა უფლებებს. მაგრამ მომხმარებელებს უფლებები აქვთ ნებისმიერ სფეროში. **მომხმარებელთა უფლებების დარღვევა**, მთელ რიგ შემთხვევებში, **დასჯადია**. მაგალითად, რეკლამის დამკვეთის, მწარმოებლის ან გამავრცელებლის მიერ მომხმარებლის განზრახ შეცდომაში შეყვანისათვის გათვალისწინებულია **სანქციები**.

ბანკის მომხმარებლის პრეტენზიის დაფიქსირება შესაძლებელია საქართველოს ეროვნულ ბანკში“
(032) 2406406
cp@nbg.gov.ge

დასჯადია მომხმარებლის მოტყუება ზომაში, წონაში ან ანგარიშში, ან მისთვის მცდარი წარმოდგენის შექმნა საქონლის სამომხმარებლო თვისების ან ხარისხის შესახებ. ისჯება ასევე მწარმოებელი უხარისხო საქონლის გამოშვების ან გაყიდვის, ან უხარისხო მომსახურების გაწევისათვის, რაც არ შეესაბამება მომხმარებლის სიცოცხლის ან ჯანმრთელობის უსაფრთხოების მოთხოვნებს და ა.შ.

do not copy

კომპანიების უმეტესობა დიდ თანხებს ხარჯავს სწორედ იმაში, რომ გაიგოს, რა სურს მომხმარებელს და შემდგომში თავისი პროდუქცია თუ მომსახურება ამ მოთხოვნას მოარგოს, მიუსადაგოს.

? რას აკეთებს სახელმწიფო მომხმარებელთა უფლებების დასაცავად?

სახელმწიფო გვიცავს მომხმარებლებს იქ, სადაც არ გაგვაჩნია ცოდნა და საშუალება დავიცვათ ჩვენი უფლებები:

- სახელმწიფო აკონტროლებს იმ პროდუქტის ხარისხს და შესაბამისობას, რომელსაც საკვებად ვიყენებთ; მაგალითად, ხორცი, თევზი, ძეხვეული და ა.შ.

- სახელმწიფო აკონტროლებს იმ საქონლის უსაფრთხოებას, რომელიც შემოდის ჩვენს ქვეყანაში; მაგალითად, მარცვლეული, ბურღულეული, ბოსტნეული, გაყინული ხორცპროდუქტები და ა.შ.
- სახელმწიფო აწესებს სპეციალურ რეგულაციებს იმ სფეროებში, სადაც ბუნებრივი **მონოპოლიები** არსებობს ან რაც დაკავშირებულია სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მომეტებულ რისკებთან.

მონოპოლია – კომპანია, რომელსაც აქვს სრული კონტროლი ბაზრის მიწოდების ნაწილზე. მონოპოლისტმა შეიძლება ბაზარს მიაწოდოს დაბალი ხარისხის ნაწარმი. ასეთი ტიპის ბაზარზე მომხმარებლისთვის არჩევანი შეზღუდულია.

სამომხმარებლო პროდუქციიდან საქართველოში რეგულირდება ძირითადად სურსათი და ფარმაცევტული პროდუქცია. რაც შეეხება სხვა სფეროებს, როგორიცაა, მაგალითად, ავეჯი, ტანსაცმელი, ჭურჭელი, სათამაშოები და ასე შემდეგ, ყველაფერი, რასაც ყოველდღიურ ცხოვრებაში მოვიხმართ, ნაკლებად კონტროლდება. ამიტომ მომხმარებელი უნდა გაეცნოს ეტიკეტს.

საქართველოს ყველა მომხმარებელს უფლება აქვს მოითხოვოს:
- საქონლის, სამუშაოს, სავაჭრო და სხვა სახის მომსახურების სტანდარტთან შესაბამისი სათანადო ხარისხი;
- პროდუქციის უსაფრთხოება;
- სანდო ინფორმაცია პროდუქციის რაოდენობის, ხარისხისა და ასორტიმენტის შესახებ;
- არასათანადო ხარისხის მქონე და/ან მომხმარებლის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის/მისი ქონებისათვის საზიანო პროდუქციით მიყენებული ზარალის ანაზღაურება;
- საკუთარი უფლებების დაცვა სასამართლოსა და შესაბამისი რწმუნების მქონე სახელმწიფო ორგანოს მიერ;
- მომხმარებელთა კავშირებში და საზოგადობებში გაერთიანება.

საქართველოს კანონი „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ.“

dont copy

პასუხისმგებელი კომპანია ყოველთვის იცავს მომხმარებელთა უფლებებს.

იმუშავეთ წყვილებში

გაიხსენეთ, რა იყიდეთ ბოლო 3 დღის განმავლობაში.

- რა უფლებები გაქვს, როგორც მომხმარებელს?
- როგორც მომხმარებელმა, როგორ შეგიძლია დაიცვა საკუთარი უფლებები, თუ ისინი დაირღვა? გამოიყენე გაკვეთილზე ნასწავლი მასალა და მოამზადე მოკლე პრეზენტაცია საკუთარი (მომხმარებლის) უფლებების დაცვის შესახებ.

იმსჯელეთ

თქვენ წინაშეა მომხმარებელთა უფლებების დაცვის/დარღვევის მაგალითები. სწორედ მოიქცნენ თუ არა სიტუაციის გმირები? კომპანიები? რას ურჩევდით თითოეულს?

თითოეულ სიტუაციას ნომრების მიხედვით შეუსაბამეთ მომხმარებლის უფლებები ზემოთ მოცემული სქემიდან.

სიტუაცია 1

ნატომ დიდი ხნის ნაგროვები ფულით მობილური ტელეფონი შეიძინა. თუმცა ერთი წლის შემდეგ ტელეფონი დაზიანდა. ლაშამ ნატოს უთხრა, რომ ყველა სერიოზულ კომპანიას აქვს გაყიდვის შემდგომი მომსახურება და აუცილებლად უნდა მიმართოს მას. ნატო ასეც მოიქცა. გაყიდვის შემდგომი მომსახურება მომხმარებლის უფლებას იცავს და ნატოსაც გარკვეულ საფასურად ტელეფონი მცირე დროში შეუკეთეს.

სიტუაცია 2

დათომ მაღაზიაში ისე იყიდა კარაქი, რომ ეტიკეტი არ წაუკითხავს. ვახშმის დროს კი შენიშნა, რომ პროდუქტს განსხვავებული, უსიამოვნო გემო ჰქონდა. მეორე დილით მან კარაქი უკან, მაღაზიაში მიიტანა. დათოს მოუბოდიშეს დროის დაკარგვისა და დისკომფორტის გამო და თანხა უკან დაუბრუნეს.

სიტუაცია 3

სურსათის უვნებლობის სამსახურის წარმომადგენლებმა ქუჩაში თევზეულის გაყიდვა აკრძალეს. თუმცა ურჩი გამყიდველები მაინც განაგრძნობდნენ საქმიანობას. არაერთი გაფრთხილების შემდეგ სამსახურის წარმომადგენლებმა რეიდი მოაწყვეს და ყველა მათგანს პროდუქტი ჩამოართვეს.

სიტუაცია 4

პანდემიის პირობებში ძალიან გააქტიურდა ონლაინ ვაჭრობა. ადამიანები სახლიდან გაუსვლელად ყიდულობდნენ სასურველ პროდუქტსა და მომსახურებას. თინამ გადაწყვიტა სწორედ ამ მეთოდით შეეძინა პურის საცხობი. გამყიდველთან მიმოწერისა და სატელეფონო საუბრის მეორე დღეს თინას საცხობი უკვე სახლში ჰქონდა. როგორც შემდგომ გაირკვა, საცხობი 2-ჯერ უფრო პატარა იყო, ვიდრე შეთავაზებული. თინამ ვეღარ მოახერხა კომპანიასთან დაკავშირება, რადგან ყველა საკონტაქტო საშუალებიდან დაბლოკეს. თინა მიხვდა, რომ საქმე თაღლითებთან ჰქონდა, თუმცა ის მაინც შეძლო, სოციალურ ქსელში დაზარალებულ მომხმარებელთა ჯგუფში გაწევრიანდა და თავის პრეტენზია იქ განაცხადა. გაირკვა, რომ ამ ჯგუფში აღნიშნული კომპანიის არაკეთილსინდისიერებაზე უკვე იცოდნენ და და ბევრი ჩიოდა მათ თაღლითობაზე. საკითხით საგადასახადო ორგანო დაინტერესდა.

don't copy

სიტუაცია 5

კახამ გაიგო, რომ დიდ მაღაზიაში რძის პროდუქტებზე ფასდაკლება იყო და როგორც მრავალშვილიანი მამა, რომელსაც ამ პროდუქტებს შეძენა დიდი რაოდენობით უწევდა, მაშინვე მაღაზიისკენ გაეშურა. აღმოჩნდა, რომ ყველა სააქციო პროდუქტი ვადაგასული იყო. კახამ მენეჯერთან შეხვედრა მოითხოვა და მას სასამართლოში განაცხადის წარდგენას დაჰპირდა. მენეჯერმა აღიარა კანონდარღვევა და კახას სთხოვა, არ მიემართა სასამართლოსთვის და მაშინვე დაიწყო ვადაგასული პროდუქტების დახლიდან აღება.

სიტუაცია 6

მამა სამსახურებრივი ვიზიტით იყო უცხოეთში. მისი ბარგი დაიკარგა. მამა იძულებული გახდა

საკუთარი ფულით ეყიდა რამდენიმე ხელი ტანსაცმელი და ისე გაეგრძელებინა საქმიანი ვიზიტი. ავიაკომპანიამ ნაპოვნი ბარგი მას 5 დღის შემდეგ გადასცა, ბოდიში მოუხადა დისკომფორტისათვის და სთხოვა ტანსაცმლის შეძენის დამადასტურებელი ქვითრები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წარედგინა.. მამამ ეს თხოვნა შეასრულა. ზუსტად 1 თვის შემდეგ კომპანიამ მამას დახარჯული თანხა გადმოურიცხა და მიმართა თხოვნით, მომავალშიც გაეგრძელებინა მათი ავიაკომპანიით სარგებლობა.

მომხმარებლის უფლებების დარღვევაზე რეაგირების მაგალითები

1) თუ შეიძინეთ ვადაგასული პროდუქტი ან პროდუქტი, რომელსაც დაკარგული აქვს კვებითი ხარისხი.

ასეთ შემთხვევაში მომხმარებელს უნდა შეუცვალონ ახალი პროდუქტით ან დაუბრუნონ გადახდილი თანხა.

2) თუ მაღაზია არ იღებს სიტყვიერ პრეტენზიას.

ასეთ შემთხვევაში მომხმარებელმა წერილობით უნდა განაცხადოს პრეტენზიის შესახებ.

დარღვევების შესახებ დეტალური ინფორმაცია მიაწოდეთ

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნული სააგენტოს ცხელ ხაზს - **1501**

- დატოვეთ თქვენი მონაცემები (სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საკონტაქტო ტელეფონი) ცხელი ხაზის ოპერატორთან;
- გატარებული ღონისძიებების შესახებ მიიღებთ წერილობით პასუხს.

სასარგებლო რესურსები

- https://www.youtube.com/watch?v=hv4cimparVA
- https://www.ambebi.ge/article/237077-erovnuli-banki-mosaxleobas-internet-taglitobis-shesaxeb-aprtxilebs
- ფინანსური განათლების პორტალი: finedu.gov.ge
- საქართველოს ეროვნული ბანკი: www.nbg.gov.ge/cp
- საქართველოს კანონი მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ
- https://bit.ly/3qfHNj3

თემა 2. ეკონომიკა და სახელმწიფო

საკითხი: დაზღვევა

ყურადღება!

აირჩიე დავალება

კომპლექსური დავალება 1

კომპლექსური დავალების პირობა

წარმოიდგინე, რომ შენ სადაზღვევო აგენტი ხარ და ამჯერად აგროდაზღვევის მიმართულებით მუშაობ. მოამზადე **მიმართვის ტექსტი** (150+ სიტყვა), რომლითაც გლეხებს/ფერმერებს (აირჩიე, რომელიმე სამიზნე ჯგუფი —მევენახეები, მეხილეები, მეციტრუსეები და ასე შემდეგ) მიმართავ, რომ ისინი, მომავლის პერსპექტივის გათვალისწინებით, რისკების დაზღვევის სიკეთეში დაარწმუნო,

ნაშრომში/ნაშრომის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინე:

- რა ხარჯები და რისკები ახლავს გლეხების/ფერმერების საქმიანობას? როგორია რესურსების დაზოგვის სამომავლო პერსპექტივა?
- როგორ შეიძლება დღეს გაღებული მცირე დანახარჯებით დიდი ზარალის საფრთხის თავიდან აცილება/შემცირება?

პრეზენტაციის შემდეგ ისაუბრე:

რა სტრატეგიები გამოიყენე/რა ნაბიჯები გადადგი დავალებაზე მუშაობის სხვადასხვა ეტაპზე; რას გააკეთებდი განსხვავებულად, ხელახლა რომ იწყებდე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობას.

Dont copy

კომპლექსური დავალება 2

კომპლექსური დავალების პირობა

წარმოიდგინე, რომ სარეკლამო ბიურო გაქვს და სადაზღვევო კომპანიამ ჯანმრთელობის დაზღვევის პოპულარიზაციისათვის **4-5-სცენიანი კომიქსი** შეგიკვეთა. შენ შეგიძლია აირჩიო, ხელით შექმნი კომიქსს თუ რომელიმე ციფრული რესურსის (ვთქვათ, ,,ვსწავლობთ თამაშით“ ან Minecraft-ის გამოყენებით. შენ შეგიძლია გადადგა უფრო თამამი ნაბიჯიც და ანიმაცია მოამზადო. აუცილებელი მოთხოვნაა, რომ შენმა პროდუქტმა მომხმარებელს ჯანმრთელობის და მისი დაზღვევის სამომავლო სარგებლიანობა დაანახოს.

ნაშრომში/ნაშრომის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინე:

- რატომ უნდა იზრუნოს ადამიანმა საკუთარ ჯანმრთელობაზე / მის დაზღვევაზე პირადი და საზოგადოებრივ ინტერესებისა და მომავლის პერსპექტივის გათვალისწინებით?
- დღეს გაღებული მცირე ფინანსები, როგორ აგვარიდებს/ შეგვიმცირებს ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ რისკებს და დანახარჯებს სამომავლოდ?

don't copy

პრეზენტაციის შემდეგ ისაუბრე:

რა სტრატეგიები გამოიყენე/რა ნაბიჯები გადადგი დავალებაზე მუშაობის სხვადასხვა ეტაპზე; რას გააკეთებდი განსხვავებულად, ხელახლა რომ იწყებდე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობას.

დაზღვევა

დაზღვევა – შეთანხმება, რომლის თანახმადაც წინასწარ განსაზღვრული თანხის გადახდის სანაცვლოდ, სადაზღვევო ორგანიზაცია აგინაზღაურებთ შესაბამის ზიანს

ჩვენი ცხოვრება მოულოდნელობებით, შემთხვევითობებით არის სავსე. შემთხვევითობა, შემთხვევითი მოვლენა არის სავარაუდო, გაუთვალისწინებელი მოვლენა, რომელიც შეიძლება მოხდეს, ან შეიძლება არც მოხდეს. მაგალითად, მიწისძვრამ შეიძლება გაანადგუროს საცხოვრებელი სახლი, ავტოავარიამ განაპირობოს ადამიანის სხეულის დაზიანება. მაგრამ შესაძლებელია ეს გარემოებები არც მოხდეს. ეს მოულოდნელი, შემთხვევითი გარემოებები: სტიქიური უბედურებები, ავტოსაგზაო შემთხვევები, ქურდობა, ძარცვა, ავადმყოფობა, გარდაცვალება – წარმოადგენენ რისკებს.

რისკების რეალიზების შედეგი არის ზარალი. მიწისძვრა არის რისკი, ხოლო მიწისძვრის შედეგად შენობის დაზიანებით განპირობებული ფულადი დანაკარგი არის ზარალი, რომელიც მიადგა შენობის მეპატრონეს. რისკის აცილების ერთ-ერთი არსებითი გზა არის რისკის სხვაზე გადატანა-გადაცემა **დაზღვევის** საშუალებით. **სადაზღვევო პოლისის** შეძენით ადამიანი დიდი დანაკარგის ალბათობას ცვლის პატარა, მცირე დანაკარგზე, კერძოდ, სადაზღვევო გასამრჯელოზე.

დაზღვევა მინიმუმ ორი მხარის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ხორციელდება. ურთიერთშეთანხმების ერთ მხარეს წარმოადგენს მზღვეველი, ანუ სადაზღვეო კომპანია, რომელიც დაზღვევის პირობებს სთავაზობს დაიტერესებულ მომხმარებლებს, როგორც იურიდიულ, ასევე ფიზიკურ პირებს. შეთავაზებულ პირობებზე თანხმობის შემთხვევაში საჭიროა მზღვეველთან შეთანხმების გაფორმება. ანუ ორივე მხარე მზღვეველი და დამზღვევი ხელს აწერს სადაზღვეო ხელშეკრულებას, რომლის მიხედვითაც დამზღვევი ანუ მომხმარებელი იძენს დაზღვევას დროის შეთანხმებული პერიოდის განმავლობაში. დამზღვევი იძენს მომსახურებას, რომელიც დეტალურად არის გაწერილი ხელშეკრულებაში და რეგულარულად უხდის მზღვეველს შეძენილი მომსახურების ღირებულებას სადაზღვეო პრემიის სახით.

dont copy

? რაში გვეხმარება დაზღვევა?



დაზღვევა ხორციელდება, როგორც **სავალდებულო** ისე **ნებაყოფლობითი** ფორმით.

დაზღვევის ტიპები

პირადი ინტერესების დაზღვევა	ქონებრივი ინტერესების დაზღვევა	პასუხისმგებლობის დაზღვევა
• ჯანმრთელობის დაზღვევა • სამოგზაურო დაზღვევა • სიცოცხლის დაზღვევა	• აგროდაზღვევა • ტრანსპორტის დაზღვევა • სხვა სახის ქონების დაზღვევა	• პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა • სამოქალექო პასუხისმგებლობის დაზღვევა

შემთხვევითობა სამყაროს ერთადერთი კანონიერი მეუფეა.

ნაპოლეონ ბონაპარტე

პირადი დაზღვევის ძირითადი სახეებია: ჯანმრთელობის, სამოგზაურო და სიცოცხლის დაზღვევა.

ჯანმრთელობის დაზღვევა – ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების რისკის წინაშე ნებისმიერი ადამიანი შეიძლება დადგეს, სამედიცინო მომსახურება და მედიკამენტები კი, ხშირ შემთხვევაში, არცთუ ისე მცირე ფინანსურ დანახარჯებს უკავშირდება. ჯანმრთელობის დაზღვევა შესაძლებლობას მოგცემთ შეამციროთ ან სრულად აირიდოთ სამედიცინო მომსახურების ხარჯები. ჯანმრთელობის დაზღვევა შეიძლება იყოს როგორც კერძო, ისე სახელმწიფო (ამ შემთხვევაში, სახელმწიფო ანაზღაურებს მოსარგებლის სამედიცინო მომსახურების ხარჯებს).

სამოგზაურო დაზღვევა ფარავს საზღვარგარეთ ან ქვეყნის შიგნით მოგზაურობის რისკებთან დაკავშირებულ ხარჯებს, როგორიცაა, მაგალითად, სამედიცინო მომსახურებასთან, მოგზაურობის გაუქმებასთან, დაკარგულ ბარგთან თუ სხვა გაუთვალისწინებელ შემთხვევებთან დაკავშირებული ხარჯები.

სიცოცხლის დაზღვევა ძირითადად დაზღვეული პირის გარდაცვალების შემთხვევაში მისი ოჯახის/მემკვიდრის მიერ ფულადი კომპენსაციის მიღებას უზრუნველყოფს. მსოფლიოში გავრცელებულია სიცოცხლის დაზღვევის სხვადასხვა სახეობა. სიცოცხლის დაზღვევა შესაძლებელია გარდაცვალების რისკს არც უკავშირდებოდეს (მაგალითად, სადაზღვევო კომპენსაცია დამზღვევს კონკრეტული ასაკის მიღწევისას გადაეცეს). როგორც წესი, **სიცოცხლის დაზღვევის სახეობები გრძლევადიანია.**

ქონების დაზღვევა საშუალებას იძლევა თავიდან იქნეს აცილებული იმ რისკებიდან გამომდინარე ხარჯები, რომლებიც უძრავ ან მოძრავ ქონებას შეიძლება დაემუქროს.

ქონების დაზღვევის ძირითადი სახეებია:

სადაზღვევო პოლისი – მზღვეველის მიერ გაცემული ხელმოწერილი საბუთი–მოწმობა დაზღვევის ხელშეკრულების შესახებ

dont copy

სასოფლო-სამეურნეო დაზღვევა (აგროდაზღვევა) შეიძლება მოიცავდეს სოფლის მეურნეობის კულტურების, ცხოველების, ფრინველების, თევზის და სასოფლო-სამეურნეო საწარმოების სხვა ქონების დაზღვევას. აგროდაზღვევა კარგი საშუალებაა სოფლის მეურნეობის მიმართულებით ისეთი რისკებისგან თავის დასაცავად, როგორიცაა სტიქიური უბედურებები (მათ შორის სეტყვა, ხანძარი, წყალდიდობა, გვალვა, და ა.შ.) ან მღრღნელებისა და მწერების მიერ სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაზიანება. მაგალითად, კახელი მევენახე, რომელსაც დაზღვეული ჰქონდა ქონება, იოლად გადაურჩა იმ დიდ ზარალს, რაც მის ვენახებს სეტყვამ მიაყენა.

ტრანსპორტის დაზღვევა – მოიცავს სატრანსპორტო საშუალებების (მაგ. ავტომობილების, გემებისა და თვითმფრინავების) დაზღვევას და მინიმუმამდე დაჰყავს ავტოსაგზაო შემთხვევასთან დაკავშირებული, გაუთვალისწინებელი ფინანსური ხარჯები.

სხვა სახის ქონების დაზღვევა – ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შეუძლიათ დააზღვიონ საკუთარი ან ბიზნესის ქონება (მაგ. საცხოვრებელი თუ საოფისე შენობა-ნაგებობები, მანქანა-დანადგარები, შინაური ცხოველები, ავეჯი, ძვირფასეულობა) სხვადასხვა რისკისგან, როგორიცაა ქურდობა, ძარცვა-ყაჩაღობა, ვანდალიზმი, სტიქიური უბედურებები, და ა.შ. გაითვალისწინეთ, რომ დროთა განმავლობაში ქონების ცვეთისგან მიღებულ ზარალს დაზღვევა არ ანაზღაურებს. მაგალითად, მეწარმეები აზღვევენ საწარმოო პროცესის შეფერხებით გამოწვეულ დანაკარგებს. თუ მცირე საწარმო დაიხურება ხანძრის ან სხვა უბედური შემთხვევის გამო, მეწარმეს შეუძლია დაიცვას თავი საკუთრების დაკარგვისაგან. ამ ტიპის დაზღვევის მფლობელები გადარჩნენ თბილისში ბაზრობის დაწვით მიყენებული ზარალისაგან, მაშინ, როცა დანარჩენები კატასტროფულად დაზარალდნენ.

don't copy

შინაური ცხოველების დაზღვევა

დაზღვევას ექვემდებარება ის შინაური ცხოველები, რომლებიც არიან რეგისტრირებულნი და აქვთ პასპორტი. პოლისით დაზღვეულია მესამე პირთა წინაშე წარმოქმნილი სამოქალაქო პასუხისმგებ-ლობა. ანაზღაურებას ექვემდებარება შინაური ცხოველის ტრავმებთან დაკავშირებული დანახარჯები, მათ შორის, მომვლელის დაქირავების, ასევე, დაკარგული ცხოველის ძებნით გამოწვეული სარეკლამო ხარჯები. ანაზღაურდება მპოვნელის დასაჯილდოებლად გაღებული თანხაც.

პასუხისმგებლობის დაზღვევა ფიზიკურ და იურიდიულ პირებს საშუალებას აძლევს თავიდან აირიდონ ის ფინანსური ზარალი, რომელიც მათი საქმიანობის შედეგად მესამე პირის სიცოცხლისთვის, ჯანმრთელობისთვის ან ქონებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებასთანაა დაკავშირებული. მესამე პირების წინაშე პასუხისმგებლობების დაზღვევა შეიძლება შემგდეგნაირად დავაჯგუფოთ:

პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა – იგი დაზღვეულ პირებს იცავს ისეთი შემთხვევებისგან, როდესაც ისინი, საკუთარი პროფესიული საქმიანობის ფარგლებში, უნებლიედ აყენებენ ზიანს მესამე პირებს. პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევით ხშირად სარგებლობენ ექიმები, აუდიტორები, არქიტექტორები და სხვა პროფესიის წარმომადგენლები. მაგალითისთვის, საქართველოში ნოტარიუსების უმრავლესობა სარგებლობს პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევით, რაც გულისხმობს, ნოტარიუსის საქმიანობის პროცესში, ნოტარიუსის გაუფრთხილებლობის გამო, მესამე პირისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებას. ამას გარდა, მსოფლიოს მასშტაბით გავრცელებულია ექიმის მიერ პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევით სარგებლობაც, რაც ემსახურება სამედიცინო პროცედურებისა და კლინიკური კვლევების ჩატარებისას პაციენტისადმი მიყენებული ზიანით გამოწვეული ზარალის ანაზღაურებას.

სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა მოიცავს:

- დამსაქმებლის პასუხისმგებლობის დაზღვევას დასაქმებული პირის მიერ სამუშაო ადგილზე მიღებული დაზიანებისთვის;
- მესამე პირისადმი ავტოტრანსპორტის მფლობელთა პასუხისმგებლობის დაზღვევას (რომელსაც ზოგჯერ ავტოპასუხისმგებლობის დაზღვევასაც უწოდებენ), რომელიც დამზღვევს დაეხმარება იმ შემთხვევაში, თუ მისი ბრალეულობით ავტომობილის მართვის დროს დაზიანდება სხვისი ავტომობილი, მესამე პირი ან ქონება.

Don't Copy

სადაზღვევო ხელშეკრულება

სადაზღვევო კომპანია სადაზღვევო ხელშეკრულების საფუძველზე, რისკის შემთხვევაში, თავისთავზე იღებს პასუხისმგებლობას მომხმარებლის წინაშე, რომელიც დაიდო დამზღვევსა და მზღვეველს შორის. ამ ხელშეკრულებით სადაზღვევო კომპანია ცდილობს დააბრუნოს მომხმარებელი იმ მდგომარეობაში, რა მდგომარეობაშიც იმყოფებოდა ის ზარალამდე.

ემბარგო – ქვეყანაში განსაზღვრული სახის საქონლის შეზიდვის ან გაზიდვის აკრძალვა.

ეს საინტერესოა

- ყველა რისკი არ არის **დაზღვევადი**, ანუ რისკი შეიძლება იყოს **დაუზღვევადი** და **დაზღვევადი**. დაუზღვევადი რისკი ისეთია, რომელსაც არცერთი სადაზღვევო კომპანია არ აზღვევს, რადგან ამგვარ რისკებთან დაკავშირებული ზარალის სიდიდის განსაზღვრა თითქმის შეუძლებელია. ასეთ რისკებს მიეკუთვნება: **საბაზრო რისკები** (მაგალითად, ზარალი, რომელიც შეიძლება ფირმამ განიცადოს საქონელზე ფასების, მოდის, მოთხოვნის ცვლილების გამო); **პოლიტიკური რისკები** (მაგალითად, ზარალი, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს საომარი მოქმედებით ან მთავრობის მიერ დაწესებული სავაჭრო შეზღუდვებით – რუსეთის მიერ ქართულ ღვინოსა და „ბორჯომზე“ დაწესებული **ემბარგო**). **საწარმოო რისკი** (მაგალითად, რისკი, რომელიც დაკავშირებულია გაფიცვებთან, თანამშრომელთა მიერ სამსახურის გაცდენასთან, მოწყობილობა-დანადგარების არაეფექტიან მუშაობასთან, ნედლეულის უკმარისობასთან და ა. შ.). ზოგიერთი **პირადი რისკი** (მაგალითად, რისკი, რომელიც დაკავშირებულია სამუშაოს დაკარგვასთან).
- ზოგიერთი დაუზღვევადი რისკის დაზღვევაც შეიძლება, მაგრამ მხოლოდ ასტრონომიულ თანხებში. ერთ-ერთ ასეთია ლოიდის სადაზღვევო კომპანია. მაგალითად, აქ დაზღვეული იყო საყოველთაოდ ცნობილი გემი „ტიტანიკი“; აზღვევდნენ გემებს ირან-ერაყის კონფლიქტის დროს და ა.შ. ანუ აქ შეიძლებოდა ყველაფრის დაზღვევა, მაგრამ ბოლოდროინდელმა კრიზისმა თავისი დაღი დაასვა ასეთ ძლიერ კომპანიასაც და იძულებული შეიქნა უარი განეცხადებინა ზოგიერთ რისკზე პასუხისმგებლობის აღებაზე.
- უკანასკნელ პერიოდში საქართველოს მოქალაქეები ცდილობენ დააზღვიონ როგორც სამეწარმეო, ისე ყოფითი რისკები. 1989-1991 წლებში საქართველოში 4-5 სადაზღვევო ორგანიზაცია მოქმედებდა. 2020 წლისათვის მათი რიცხვი 17-ს შეადგენდა.

do not copy

იმუშავეთ ჯგუფებში

- თითოეულმა ჯგუფმა აირჩიეთ სხვადასხვა სცენარი და უპასუხეთ კითხვებს:
- რა შემთხვევა შეიძლება მოხდეს?
- ვის და რა ზარალი შეიძლება მიადგეს?
- რომელი ტიპის დაზღვევას შეიძენდით?

სცენარები

ა) ავტომობილის შეძენა; ბ) გადახვედით ახალ სახლში; გ) გაქვთ სასოფლო მეურნეობა, მაგალითად მიწის ნაკვეთზე მოგყავთ ხორბალი/მზესუმზირა/ყურძენი/თხილი/ვაშლი/ბოსტნეული/საზამთრო ან მიწის ნაკვეთზე გაქვთ საქონლის ფერმა; დ) მიდიხართ სამოგზაუროდ; ე) მუშაობთ და იღებთ სესხს საკუთარი ხელფასის საფუძველზე; ვ) გაჩუქეს ორი კნუტი.

ბოლო წლებში საქართველოში საკმაოდ განვითარდა **სამედიცინო დაზღვევა**. სამედიცინო მომსახურების ხარისხის ზრდასთან ერთად იზრდება ფასებიც, რაც საშუალო მომხმარებლისთვის მეტად სოლიდური დანახარჯია. სამედიცინო დაზღვევა კი საშუალო მომხმარებელს ამ პრობლემას თავიდან აცილებს. მრავალმა ფირმამ ეს ფაქტორი გააცნობიერა და შრომით კონტრაქტებში სამედიცინო დაზღვევაც ჩადეს. ამავდროულად თანდათან პოპულარული ხდება ქონების დაზღვევაც და სხვა.

dont copy

სადაზღვევო კომპანიების საქმიანობა კიდევ უფრო ფართო მასშტაბებს იძენს. იზრდება სადაზღვევო მომსახურების არეალი. თანდათან შემოდის სადაზღვევო მომსახურების ისეთი სახეები, რომლებიც მეწარმეებს ესაჭიროებათ. კერძოდ, ამ ბოლო დროს ძალზე პოპულარულია **ფინანსური რისკების დაზღვევა**. ამ შემთხვევაში ეზღვევა არა კრედიტი, არამედ მასში ჩადებული ქონება. ეს იგივე ქონების დაზღვევაა, მაგრამ მისგან იმიჯნება სხვადასხვა ფინანსური რისკის დაზღვევა.

მთელს მსოფლიოში და მათ შორის საქართველოშიც დაზღვევის ყველაზე გავრცელებული ტიპი ჯანმრთელობის დაზღვევაა. მას საქართველოში არსებული ყველა სადაზღვეო კომპანია სთავაზობს მოსახლეობას. თუმცა,

დაზღვევა საქართველოში

საყოველთაო დაზღვევა – ჯანდაცვის საყოველთაო დაზღვევა, რომელიც განკუთვნილია სხვადასხვა სტატუსის მქონე პირთათვის.

მათი უმრავლესობა მხოლოდ კორპორატიულ კლიენტებს ემსახურება. ჯანმრთელობის დაზღვევის პოლისები განსხვავდება ერთმანეთისაგან პირობებითა და ღირებულებით, ამიტომ მნიშვნელოვანია იცოდეთ, კონკრეტულად რას გთავაზობთ ესა თუ ის კომპანია. ამასთანავე, თითოეული კომპანია მსურველებს განსხვავებულ სადაზღვეო პოლისებს სთავაზობს მათი საჭირობებიდან, სურვილებიდან და ფინანსური შესაძლებლობიდან გამომდინარე. კერძო დაზღვევის გარდა, საქართველოს მოქალაქეებს შეუძლიათ ასევე საყოველთაო დაზღვევით სარგებლობა. აქაც მნიშვნელოვანია იცოდეთ, კონკრეტულად რა ტიპის საყოველთაო დაზღვევაა თქვენთვის ხელმისაწვდომი.

როდესაც ჯანმრთელობის დაზღვევა გაქვთ, ვალდებული ხართ ყოველი თვის განმავლობაში გადაიხადოთ სადაზღვეო პრემია იმ პოლისის შესაბამისად, რომელიც შეძენილი გაქვთ. ამის სანაცვლოდ შეგიძლიათ ისარგებლოთ ნაკლები ფასებით განსაზღვრულ კლინიკებში. ასევე შეგიძლიათ სრულად გადაიხადოთ ექიმის მომსახურების საფასური, რომლის წინასწარ განსაზღვრულ პროცენტსაც თქვენი სადაზღვეო კომპანია აგინაზღაურებთ დადგენილ ვადაში. ზოგიერთ პოლისში შედის სტომატოლოგიური მომსახურებაც, ზოგიერთი პოლისი კი ამას გამორიცხავს. ამასთანავე, თქვენ შეგიძლიათ შეიძინოთ ექიმის მიერ დანიშნული მედიკამენტები სადაზღვეო კომპანიის თანამონაწილეობით. მაგალითად, თუ მედიკამენტების შეძენისათვის სადაზღვეო კომპანიის თანამონაწილეობა 60 პროცენტია, ხოლო თქვენი კი 40 პროცენტი, იმ მედიკამენტში, რომელიც 100 ლარი ღირს თქვენ გადაიხდით 40 ლარს, ხოლო სადაზღვეო კომპანია დარჩენილ თანხას.

don't copy

საყოველთაო დაზღვევაში ჩართული პირები:

- სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში არსებული პირები, რომელთაც მინიჭებული აქვთ სარეიტინგო ქულა 70 000-დან 100 000 მდე;
- 6-დან 17 წლის ჩათვლით ასაკის პირები;
- წლიურად 40 000 ლარზე ნაკლები შემოსავლის მქონე პირები;
- თვიური 1000 ლარზე ნაკლები შემოსავლის მქონე პირები ან სხვა პირები.

თუ თქვენ საყოველთაო დაზღვევით სარგებლობთ, შეგიძლიათ დარეგისტრირდეთ იმ სამედიცინო დაწესებულებაში, რომელიც ჩართულია საყოველთაო დაზღვევის პროგრამაში. ამასთანავე, უნდა გაითვალისწინოთ, რომ თუ თქვენ სარგებლობთ ან გისარგებლიათ კერძო დაზღვევით და გსურთ ისარგებლოთ საყოველთაო დაზღვევით, მოგიწევთ ექვსი თვის მანძილზე მოცდა. ანუ საყოველთაო დაზღვევით სარგებლობა შეგეძლებათ მხოლოდ მას შემდეგ, რაც კერძო დაზღვევის გაუქმებიდან 6 სრული თვე გავა.

საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით მოსახლეობის ყველა ფენა თანაბრად არ სარგებლობს,

- სოციალურად დაუცველი მოსახლეობა, 0-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვები, პედაგოგები, სტუდენტები, პენსიონერები, იძულებით გადაადგილებულ პირები, შშმ პირები ჯანდაცვის სფეროში 100 %-ით ფინანსდებიან;
- პენსიონერები – 90%-ით,
- ხოლო მოსახლეობის საშუალო ფენა 70%-ით.
- მოქალაქეები, რომელთა შემოსავალი წელიწადში 40 000 ლარს აღემატება, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით ვერ ისარგებლებენ.

ასევე, მნიშვნელოვანია, რომ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა არ ვრცელდება მოსახლეობის იმ ნაწილზე, ვინც სარგებლობს კორპორატიული დაზღვევებით.

დავალება

წარმოიდგინეთ, რომ არ სარგებლობთ არცერთი დაზღვევით. გაკვეთილის მსვლელობისას შერჩეული დაზღვევის შეძენამდე დაფიქრდინეთ:

- სად შეიძლება შეიძინოთ დაზღვევა?
- შეისწავლეთ და ერთმანეთს შეადარეთ სხვადასხვა შემოთავაზება;
- გაიგეთ, რას არ ფარავს დაზღვევა;
- დაზღვევის შეძენის შემდეგ: დროულად გადაიხადეთ სადაზღვევო პრემია;
- სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას იმოქმედეთ ხელშეკრულების შესაბამისად;
- დააფიქსირეთ პრეტენზია არსებობის შემთხვევაში.

dont copy

სასარგებლო რესურსები

- ფინანსური განათლების ბროშურა დაზღვევა
- ფინასნური განათლების პორტალი: finedu.gov.ge კატეგორია დაზღვევა
- http://insurance.gov.ge/ka/Statistics/GetFile/38?type=4

III თემა

სამშვიდობო პროცესები

dont copy

თემა 3. სამშვიდობო პროცესები

საკითხი: გაერო

ყურადღება!

აირჩიე დავალება

კომპლექსური დავალება 1

კომპლექსური დავალების პირობა

წარმოიდგინე, რომ შენ გაეროს კეთილი ნების ელჩი ხარ და გაეროს წარმომადგენლობაში უნდა წარმოთქვა სიტყვა, რომელიც მდგრადი განვითარების რომელიმე მიზანთან (5;16;17–აირჩიე ერთი) იქნება დაკავშირებული და თანამოაზრეების შემოკრებაზე ორიენტირებული; თქვენ გეძლევათ შესაძლებლობა, გააგონოთ მსოფლიოს თქვენი ხმა და შეცვალოთ იგი.

მოამზადეთ **გამოსვლის ტექსტი** (150-200 სიტყვა)

ნაშრომში, ნაშრომის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინეთ:

- რომელი კონკრეტული საჭიროება დაედო საფუძვლად თქვენს გამოსვლას?
- საზოგადოებისთვის სასარგებლო რა იდეას ახმოვანებთ და როგორ მოაგვარებს ის პრობლემას?
- რა რესურსები (ადამიანური, ფინანსური, დროითი) მიგაჩნიათ საჭიროდ; როგორია მოსალოდნელი შედეგები, რისკები;
- რამდენად შეესაბამება თქვენი იდეა გაეროს სამართლებრივ და ზნეობრივ ნორმებს, მდგრადი განვითარების მიზნებს (კონკრეტულად)
- რამდენად გათვალისწინებულია საზოგადოების ინტერესები და სამომავლო პერსპექტივა;

dont copy

პრეზენტაციის შემდეგ ისაუბრე:

რა სტრატეგიები გამოიყენე/რა ნაბიჯები გადადგი დავალებაზე მუშაობის სხვადასხვა ეტაპზე; რას გააკეთებდი განსხვავებულად, ხელახლა რომ იწყებდე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობას.

კომპლექსური დავალება 2

კომპლექსური დავალების პირობა

წარმოიდგინე, რომ შენ და შენი მეგობრები ახორციელებთ პროექტს ,,რჩევები უმცროს მეგობრებს“, რომლის მიზანსაც საბავშო ბაღის 5-6 წლის ჯგუფის აღსაზრდელებისთვის მდგრადი განვითარების მიზნების შესაბამისი უნარების განვითარება წარმოადგენს. შეარჩიე მდგრადი განვითარების ერთი მიზანი, მოიფიქრე, როგორ შეგიძლია მუყაოს ბარათებზე შესრულებული მარტივი **ნახატებით** ან პატარა **მოთხრობით** ბავშვებს აუხსნა, რა უნდა გააკეთოს ან არ გააკეთოს, რომ მას და მის შვილებს უსაფრთხო მომავალი ჰქონდეთ.

ნაშრომში/ნაშრომის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინე:

- რომელი კონკრეტული საჭიროება დაედო საფუძვლად შენს პროდუქტს;
- რამდენად სასარგებლოა საზოგადოებისთვის შენი იდეა და როგორ შეუწყობს ხელს პრობლემის მოგვარების ეს ლოკალური მცდელობა გლობალურ შედეგებს?
- რა რესურსები (მატერიალური, დროითი) დაგჭირდა და კვლავ დაგჭირდება (თუ რეალურად მიხვალ ბავშვებთან); როგორია მოსალოდნელი შედეგები, რისკები; როგორ დააკვირდები შედეგებს?
- რამდენად შეესაბამება შენი იდეა სამართლებრივ და ზნეობრივ ნორმებს, (ბავშვებისთვის, თქვენთვის) ხომ არ არის ზიანის მომტანი; როგორ შეესაბამება მათ სამომავლო პერსპექტივას;

don't copy

პრეზენტაციის შემდეგ ისაუბრე:

რა სტრატეგიები გამოიყენე/რა ნაბიჯები გადადგი დავალებაზე მუშაობის სხვადასხვა ეტაპზე; რას გააკეთებდი განსხვავებულად, ხელახლა რომ იწყებდე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობას.

იმსჯელეთ

რა გსმენიათ გაეროს საქმიანობის შესახებ?

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (გაერო) საერთაშორისო ორგანიზაციაა, რომელიც შეიქმნა 1945 წელს და ამჟამად 193 წევრ ქვეყანას აერთიანებს. გაეროს მისია და საქმიანობა ეფუძნება მიზნებსა და პრინციპებს, რომლებიც გაცხადებულია მის დამფუძნებელ წესდებაში.

გაეროს მისია				
საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნება	მდგრადი განვითარების ხელშეწყობა	ადამიანის უფლებების დაცვა	საერთაშორისო კანონმდებლობის განვითარება და დაცვა	მსოფლიოში ჰუმანიტარულ დახმარების კოორდინირება

ამ მისიის მისაღწევად გაეროს წევრმა სახელმწიფოებმა უნდა იხელმძღვანელონ შემდეგი პრინციპებით:

- გაერო დაფუძნებულია ყველა სახელმწიფოს სუვერენულ თანასწორობაზე;
- ურთიერთშორის დავა მათ უნდა გადაწყვიტონ მხოლოდ მშვიდობიანი გზით, რათა საფრთხე არ შეექმნას საერთაშორისო მშვიდობასა და სამართლიანობას;
- საერთაშორისო ურთიერთობებში თავი უნდა შეიკავონ ძალისმიერი მუქარის ან ძალის გამოყენებისაგან ამა თუ იმ სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის ან პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ;
- ყოველნაირად უნდა დაეხმარონ გაეროს და თავი შეიკავონ იმ სახელმწიფოთათვის დახმარებისაგან, რომლის წინააღმდეგ გაერო პრევენციულ თუ იძულებით ღონისძიებებს ახორციელებს;
- გაერო ვერ ჩაერევა ისეთ საქმეში, რომელიც არსებითად სახელმწიფოს შიდა კომპეტენციაა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გაერო მოვალეა იძულების ზომები მიიღოს საერთაშორისო მშვიდობის დასაცავად ან აღსადგენად.

don't copy

გაეროს მთავარი ორგანოებია: გენერალური ასამბლეა, უშიშროების საბჭო, ეკონომიკური და სოციალური საბჭო, მეურვეობის საბჭო, ადამიანის უფლებათა (ჰააგის) საერთაშორისო სასამართლო და გაეროს სამდივნო.

საქართველო და გაერო

1992 წლის ივლისში საქართველო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 179-ე წევრი გახდა, რასაც 1993 წლის დასაწყისში საქართველოში გაეროს ოფისის გახსნა მოჰყვა. მას შემდეგ ქვეყანაში გაეროს ბევრი სააგენტო,

ფონდი და პროგრამა დამკვიდრდა. ისინი გუნდურად მუშაობენ, რათა ქვეყნის განვითარებასთან დაკავშირებულ გამოწვევებს უპასუხონ და ხელი შეუწყონ მოსახლეობის ეკონომიკური და სოციალური პირობების გაუმჯობესებას. საქართველოში მუდმივი წარმომადგენლობის მქონე სააგენტოები შედიან გაეროს სააგენტოთა ჯგუფში (UNCT), რომელსაც გაეროს მუდმივი კოორდინატორი ხელმძღვანელობს.

გაეროს სააგენტოები საქართველოში

- გაეროს სააგენტოთა ჯგუფი საქართველოში (UNCT)
- გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP)
- გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA)
- გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი (UNHCR)
- გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF)
- გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women)
- სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO)
- ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია (WHO)
- მსოფლიო შრომის ორგანიზაცია (ILO)
- ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლესი კომისარიატი (OHCHR)
- მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM)
- გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიურო (UNODC)
- გაეროს პროექტების მომსახურების ოფისი (UNOPS)
- გაეროს სამრეწველო განვითარების ორგანიზაცია (UNIDO)

dont copy

მშვიდობის გზა ადამიანის უფლებების დაცვაზე გადის

მშვიდობა ადამიანის უფლებების დაცვის შედეგია: რაც უფრო მეტად იცავს და ხელს უწყობს საზოგადოება მისი წევრების უფლებების რეალიზებას, მით უფრო მეტია ძალადობის აღკვეთისა და კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარების შანსი. თავად მშვიდობა ხშირად აღიარებულია, როგორც ადამიანის უფლება.

მშვიდობა – თანაცხოვრების ფორმა, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოების ყველა წევრის ძირითადი უფლებების რეალიზებას.

კავშირი ადამიანის საერთაშორისო უფლებებსა და მშვიდობის უფლებას შორის ძალზე მჭიდროა, რადგან მშვიდობის არარსებობა ადამიანის უფლებების მასშტაბური დარღვევის მთავარი გამომწვევი ფაქტორია. მაგალითად, **ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია** (რომელიც ერთგვარი პროტესტი იყო II მსოფლიო ომის საშინელებათა წინააღმდეგ) აღიარებს უსაფრთხოებისა და თავისუფლების უფლებას (მუხლი 3); კრძალავს წამებას, არაადამიანურ ან ღირსების შემლახავ მოპყრობას ან დასჯას (მუხლი 5) მოუწოდებს საერთაშორისო წესრიგისკენ, რომლის პირობებ-

შიც შესაძლებელია დეკლარირებული უფლებებისა და თავისუფლებების სრულად განხორციელება (მუხლი 28). სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ საერთაშორისო პაქტი კრძალავს ომის პროპაგანდას, ასევე „ეროვნული, რასობრივი ან რელიგიური შუღლის გაღვივებისკენ მიმართულ გამოსვლას, რაც წარმოადგენს დისკრიმინაციის, მტრობის ან ძალადობის წახალისებას“ (მუხლი 20).

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია შედგება პრეამბულისა და 30 მუხლისაგან, რომლებიც აყალიბებს ადამიანის უფლებებს და ძირითად თავისუფლებებს, რომლებიც აქვს ყველა ქალსა და კაცს მთელ დედამიწაზე რაიმე დისკრიმინაციის გარეშე. ის უზრუნველყოფს როგორც სამოქალაქო, ასევე პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ უფლებებს. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას ეყრდნობიან საერთაშორისო სასამართლოებში ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების განხილვისას.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია არ წარმოადგენს საერთაშორისო სავალდებულო ხელშეკრულებას, იგი მოიცავს ადამიანის ძირითადი უფლებების ჩამონათვალსა და განმარტებებს. მიუხედავად ამისა უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის გამო ეს უკანასკნელი, სავალდებულო აქტადაა აღქმული სახელმწიფოთა მიერ.

დეკლარაციაში გადმოცემულია ის ძირითადი უფლებები, რომლებიც აქვთ ადამიანებს მთელს მსოფლიოში, განურჩევლად მათი რასის, ეროვნების, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებებისა, სოციალური კუთვნილებისა.

dont copy

დეკლარაციაში აღნიშნულია, რომ ხელისუფლება ითვალისწინებს არა მარტო საკუთარი მოქალაქეების უფლებებს, არამედ სხვა ქვეყნის მოქალაქეების უფლებებსაც. კაცობრიობის ისტორიაში პირველად სწორედ დეკლარაციაში იყო ფორმულირებული და რეკომენდებული ყველა ქვეყნისათვის ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები.

? რატომ ინარჩუნებს დეკლარაცია თავის აქტუალობას თანამედროვე პირობებში?

დღეს დეკლარაციის პრინციების აქტუალობა დაკავშირებულია საერთაშორისო ტერორიზმის საფრთხეებთან, საერთაშორისო სამართლის ნორმების კრიზისთან, მრავალ ქვეყანაში სამოქალაქო საზოგადოების არარსებობასთან, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრობლემებთან.

იმუშავეთ წყვილებში

წაიკითხეთ სიტუაციები და უპასუხეთ კითხვებს: ადამიანის რომელი უფლებები შეიზღუდა და რისთვის?

სიტუაცია 1

გია კოლეჯის სტუდენტი გახდა. 6 თვის შემდეგ მას მოულოდნელად გამოუცხადეს, რომ მომდევნო სემინარზე 17 საათზე იქნება ჩათვლა. გია მთელი კვირა ემზადებოდა, მაგრამ მოხდა გაუთვალისწინებელი რამ: მოულედნელად მამა მივლინებით გაემგზავრა, დედა საავადმყოფოში აღმოჩნდა, პატარა და კი მხოლოდ ძმის იმედად დარჩა. ამიტომ გია ჩათვლაზე ვერ მივიდა. დათქმულ დროს მან დაიკო გამოიყვანა ბაღიდან და საღამო მასზე ზრუნვაში გაატარა.

სიტუაცია 2

ყოველ ადამიანს აქვს თავისუფლად აზრის გამოთქმის, გაერთიანების, ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება. მიუხედავად ამისა, ხელისუფლებამ დაშალა მიტინგი, რომელსაც უფროსკლასელები ატარებდნენ თემში ეკოლოგიური მდგომარეობის გამოსწორების მოთხოვნით. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ბავშვები მიტინგებს სტიქიურად აწყობდნენ ცენტრალურ ქუჩებში, ხელს უშლიდნენ ტრანსპორტის გადაადგილებას, ხმაური კი აღიზიანებდა ადგილობრივ მოსახლეობას.

> იყო ადამიანი – ნიშნავს გრძნობდე საკუთარ პასუხისმგებლობას.
>
> *ანტუან სენტ-ეგზიუპერი*

სიტუაცია 3

ყველას გვაქვს უფლება ვიყოთ საკუთარი რელიგიის აღმსარებელი. არის შემთხვევები, როცა ადამიანები დამოუკიდებლად ან სხვა ადამიანებთან ერთად ნებაყოფლობით იცვლიან რელიგიურ აღმსარებლობას. მიუხედავად ამისა, იაპონიის ხელისუფლებამ ახლახან შეაჩერა ერთი რელიგიური დაჯგუფების საქმიანობა. გაირკვა, რომ ამ დაჯგუფების წევრები ამზადებდნენ თავიანთ მიმდევრებს მრავალი ათასი იაპონელი მოქალაქის გასანადგურებლად (მომწამლავი ნივთიერებების გამოყენებით).

don't copy

სიტუაცია 4

წარმოიდგინეთ, რომ ჟურნალისტები ხართ, გაზეთისთვის რეპორტაჟებს ამზადებთ – პოლიტიკოსების, მსახიობებისა და ცნობილი ადამიანების პირადი ცხოვრების შესახებ. მაგრამ ერთხელაც კერძო კლინიკის დაცვამ შენობაში არ შეგიშვათ, რადგან ცდილობდით ფოტო გადაგეღოთ ცნობილი მსახიობისთვის, რომელიც კლინიკაში ალკოჰოლიზმისგან განკურნებას ცდილობდა.





ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია არის ადამიანების ერთმანეთთან დამოკიდებულების ეტალონი. ეს არის ის, რისკენაც უნდა მივისწრაფოდეთ. მნიშვნელოვანია, რომ ადამიანების გულებიდან გაქრეს სიძულვილი, რომ ვისწავლოთ ერთმანეთის პატივისცემა, რათა ყოველი ჩვენგანი ცხოვრობდეს სიკეთისა და თანასწორობის გარემოში. თუმცა ეს მაშინ იქნება შესაძლებელი, როცა ყველა ადამიანი და ყველა მთავრობა ეცდება იმას, რომ დეკლარაციაში ჩაწერილი წესები გახდეს ნორმა, მთავარი ფასეულობა ცხოვრებაში, როგორც ყოფით, პირად ურთიერთობებში, ასევე სახელმწიფო დონეზე. მაგრამ ეს უფლებები რომ ყველასათვის ფასეული იყოს, ის აუცილებლად უნდა გაიცნოს ყველა მოქალაქემ, დაწყებული სკოლის მოსწავლიდან. რადგან ის, ვინც ბავშვობაში გაიგო, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ადამიანის ღირსების დაფასება, ზრდასრულობაში არასდროს შელახავს სხვის ღირსებას, არასდროს აიღებს იარაღს, თუნდაც ყველაზე მწვავე პრობლემის გადასაწყვეტად და ქვეყნის სათავეში მყოფი ადამიანებიც ყოველთვის დაიცავენ თავიანთი მოქალაქეების უფლებებს.

dont copy

კონვენცია – საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელიც ავალდებულებს მასში შემავალ სახელმწიფოებს მიღებული შეთანხმების დაცვას.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია:

1. დეკლარაციის მუხლების კონსტიტუციასთან შესაბამისობა ანუ ადამიანის უფლებების გადაქცევა ქვეყნის მთავარ კანონად;
2. დეკლარაციაში ჩაწერილი წესების გაცნობა ყველა ქვეყნის მცხოვრებთათვის;
3. ადამიანებისთვის მოლაპარაკებების სწავლება, წამოჭრილი პრობლემების გადაჭრა მსჯელობითა და განხილვით.

გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტში ბავშვს უფროსებისაგან დამოუკიდებლად შეუძლია განცხადების გაგზავნა.

ბავშვის უფლებათა კონვენციას აქვს სამი დამატებითი ოქმი. პირველი

ორი ეხება შეირაღებულ კონფლიქტებში ბავშვთა ჩართვის პრევენციას და ბავშვთა ტრეფიკინგის, პროსტიტუციის და ბავშვთა პორნოგრაფიის აკრძალვას. მესამე ოქმი განსაზღვრავს, თუ როგორ შეიძლება მიმართონ ბავშვმა და მისმა დამცველებმა გაეროს სპეციალურ კომიტეტს ბავშვის უფლებების დაცვის მიზნით.

2011 წლიდან გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტს მიეცა შესაძლებლობა, ქვეყნებიდან მიეღო და განეხილა კონკრეტული საჩივრები, რომელთაც წარადგენდნენ ბავშვები და სხვა პირები ბავშვთა უფლებების დარღვევის საფუძველზე. საქართველომ მესამე დამატებით ოქმს ხელი მოაწერა და **რატიფიცირება** მოახდინა 2016 წლის დეკემბერში. შესაბამისად, აღნიშნული ოქმი საქართველოსთვის უკვე წარმოადგენს იურიდიულად სავალდებულო ძალის მქონე დოკუმენტს და უზრუნველყოფს კომიტეტში საქართველოდან საჩივრების გაგზავნას.

თითოეული ადამიანის უფლებების არსებობა შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობით, რომ ყოველი მათგანი საკუთარ მოვალეობად აღიარებს სხვების უფლებების დაცვას.

? შენ როგორ შეიძლება დაგეხმაროს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია?

რაც მეტ ადამიანს ეცოდინება ადამიანის უფლებების შესახებ და შეეცდება იცხოვროს იმ პრინციპებით, რომლებსაც ეს უფლებები მოიცავს, მით მეტია ალბათობა, რომ ადამიანის უფლებები მხოლოდ იდეალური მოდელი კი არ იყოს, არამედ – ყოველდღიური რეალობა. ადამიანების უფლებების დაცვის კუთხით დეკლარაცია უმთავრესი საერთაშორისო უფლებრივი აქტია და შეიქმნა იმისთვის, რომ:

- ადამიანებმა დაინახონ, როგორი შეიძლება გახდეს მათი ცხოვრება და ეცადნონ შეცვალონ ცხოვრება ისე, როგორც დეკლარაცია გვთავაზობს.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის შესწავლის მიზანია, თქვენ დაინახოთ, რა სახის მოთხოვნები აქვს ცივილიზებულ სამყაროს ადამიანის უფლებების მიმართ. შემდეგ კი იგრძნოთ მიღწევები და მარცხები ამ სფეროში, რაც მთავარია, გსურდეთ ცვლილებები უკეთესობისკენ.

don't copy

რატიფიცირება – პროცესი, რომლის მეშვეობით სახელმწიფოს საკანონმდებლო ორგანო ადასტურებს მთავრობის მიერ შეთანხმების ხელმოწერას.

დავალება

1 აირჩიე საქართველოში მოქმედი გაეროს სააგენტოებიდან ერთ-ერთი. მოამზადე პრეზენტაცია და წარუდგინე კლასს.

- მოიძიე ინფორმაცია მისი საქმიანობის შესახებ;
- ყურადღება გაამახვილე, რა სარგებელი ერგო ამ საქმიანობიდან ქვეყანას, თითოეულ მოქალაქეს? როგორ გიკავშირდება ეს საქმიანობა პირადად შენ?

2 გააგრძელე ჯაჭვი, რომელიც უფლებებისა და მოვალეობების კავშირს აჩვენებს: ჩემი უფლება ... შესახებ, მავალდებულებს, რომ... (დეკლარაციის მუხლი 3,12,17,19, 26 – საერთო მსჯელობა). გამოიყენეთ ბმული: https://bit.ly/3uevp5a

მდგრადი განვითარება – განვითარება, რომელიც პასუხობს ახლანდელი თაობის მოთხოვნილებებს ისე, რომ ზიანს არ აყენებდეს მომავალი თაობების შესაძლებლობას, დაიკმაყოფილონ თავიანთი მოთხოვნილებები.

ყოველდღე იღვიძებ, იხეხავ კბილებს, საუზმობ, შემდეგ მიდიხარ სკოლაში. გაქვს წვდომა ინტერნეტზე, შეგიძლია ტელეფონით გადმოწერო ახალი ფილმი, მგზავრობის დროს წაიკითხო წიგნი, მოუსმინო მუსიკას, დამოუკიდებლად დაგეგმო დღე, გქონდეს ჰობი. მაგრამ ამ დროს ყველა ვერ იღვიძებს იმ იმედით, რომ ექნება საკვები, ყველა არ იღვიძებს საკუთარ სახლში და ინტერნეტი კი არა, შეიძლება, თავზე ჭერი საერთოდაც არ ჰქონდეს.

მრავალ არსებულ პრობლემას შორის ეს კაცობრიობის ერთ-ერთი გლობალური პრობლემაა. მის გადასაჭრელად 2015 წლის 25 სექტემბერს მსოფლიოს სახელმწიფოთა ლიდერები შეიკრიბნენ მდგრადი განვითარების სამიტზე ნიუ-იორკში (აშშ) და შეთანხმდნენ მსოფლიოს განვითარების ახალი დღის წესრიგის – მდგრადი განვითარების მიზნების შესახებ, სადაც განისაზღვრა განვითარების 17 გლობალური მიზანი, რომლებმაც უნდა განსაზღვროს მსოფლიოს განვითარების პრიორიტეტები 15 წლის განმავლობაში, 2016 წლიდან 2030 წლამდე.

მდგრადი განვითარების მიზნების კონცეფცია წარმოიშვა 2012 წელს, გაერთიანებული ერების მდგრადი განვითარების კონფერენციაზე. მისი მიზანია, შესთავაზოს მსოფლიოს უნივერსალური დღის წესრიგი, რომელიც გაითვალისწინებს და გააწონასწორებს განვითარების სამ განზომილებას – გარემოსდაცვით, სოციალურ და ეკონომიკურ სფეროებს.

საქართველო იყო ერთ-ერთი პირველი სახელმწიფო, რომელმაც 2015 წელს მხარი დაუჭირა გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების დამტკიცებას და დაიწყო მათი დანერგვა ეროვნული პოლიტიკის დონეზე.

don't copy

მე მხარს ვუჭერ მდგრადი განვითარების მიზნებს

? შენ რის გაკეთება შეგიძლია მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად?

ყველაზე განვითარებულ ქვეყნებშიც კი არსებობენ გარკვეული რაოდენობის ადამიანები, რომლებიც იტანჯებიან სიღარიბის, შიმშილის, ეკოლოგიური პრობლემების, სოციალური უსამართლობის გამო. ამიტომ მსოფლიოში უამრავი აქტივისტი იჩენს ინიციატივას მდგარადი განვითარების მიზნების მხარდასაჭერად.

მდგრადი განვითარების მიზნები იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მას ითვალისწინებენ მთავრობები თავისი საქმიანობის ყველა სფეროში. თუმცა მარტო მთავრობა ვერას გახდება, თუ, მას არ გაიზიარებენ მოქალაქეები ყველგან და ყველაფერში. **მაგალითად:**

- თუ გეცოდინება, რომ თითქოსდა უწყინარი ქმედებით – საკუთარ ეზოში ძირს ჩამოყრილი ფოთლების დაწვით – გარემოში უამრავი მავნე ნივთიერება გამოიფრქვევა, არ დააბინძურებ გარემოს და შესაბამისად, საკუთარ თავს; აღარ მოისურვებ ამის გაკეთებას;
- თუ გეცოდინება, რომ კონკრეტული მასალისგან ავეჯის დამზადებით სახლში რადიაციულ ნივთიერებას შემოიტან, ამ მასალით მომუშავე სახელოსნოს აღარ შეუკვეთავ ავეჯს;
- თუ გეცოდინება, სახელმძღვანელოს მოფრთხილებით რამდენ ხეს გადაარჩენ, უფრო მეტად მოგინდება ამის გაკეთება;
- თუ გეცოდინება ადამიანის უფლებები, შეძლებ ადვოკატირება გაუწიო მას, ვისაც თავის დაცვა არ შეუძლია;
- თუ გეცოდინება, რა სარგებელი მოაქვს ენერგიის დაზოგვას, შეეცდები რაციონალურად მოიხმარო ელექტროენერგია და ამით გაუფრთხილდე გარემოს...

dont copy



გენდერული თანასწორობა მდგრადი განვითარების ერთ-ერთი მიზანია

გაეროს კეთილი ნების ელჩები – ხელოვნების, ლიტერატურის, მეცნიერებისა და სპორტის სფეროების წარმომადგენლებს შორის ირჩევენ. ელჩების მიზანი გაეროს მუშაობისადმი საერთაშორისო საზოგადოების ყურადღების მიპყრობა.

ქალის ადგილი არის ყველგან, სადაც გადაწყვეტილება მიიღება.

მოსამართლე რუთ ბეიდერ გინსბურგი

იმსჯელეთ

გაეროს განვითარების პროგრამის დაკვეთით ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოში მყარია ტრადიციული შეხედულებები გენდერულ როლებზე. გაეცანით ქვემოთ მოცემულ კვლევის შედეგებს და უპასუხეთ კითხვებს.

- კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, რა ცვლილებებს ისურვებდით?
- როგორ შეესაბამება ჩვენთვის სასურველი ცვლილებები მდგრადი განვითარების მიზნებს?
- რა გვიშლის ხელს, ვიყოთ თანასწორნი?
- პირადად შენ რა დამოკიდებულება გაქვს კვლევის სამი შედეგის მიმართ?

კვლევის შედეგები:

1. ქალის ფუნქციაა შვილების მოვლა და აღზრდა, საშინაო საქმეების კეთება, ხოლო კაცის – ოჯახის ეკონომიკური უზრუნველყოფა.
2. გამოკითხვებით აღმოჩნდა, რომ ბაზარში სიარული ქალსაც და კაცსაც თანაბრად მოეთხოვებათ, ხოლო საჭმლის მომზადება ყოველთვის ქალის მოვალეობაა.
3. სამსახური და მაღალი ანაზღაურება მამაკაცს უფრო სჭირდება, ვიდრე ქალს.

dont copy

იმუშავეთ წყვილებში (5 თითის დიაგრამა)

გაშლილად დაადეთ ხელი ფურცელს და შემოხაზეთ თქვენი მტევანი. ხელისგულზე ჩაწერეთ: „რა შეუძლიათ ქალებს მშვიდობისათვის?“ თითებზე ჩაწერეთ თანმიმდევრულად: ოჯახში, თემში, ქალაქში/სოფელში, სახელმწიფოში, გლობალურად; შემდეგ თითოეული თითის გასწვრივ აღნიშნეთ თქვენი მოსაზრებები, შეგიძლიათ ჩანაწერს ვიზუალური გამოსახულებებიც დაურთოთ (ნახატი, ფერი...).

ეს საინტერესოა!

მსახიობმა და გაეროს კეთილი ნების ელჩმა ემა უოტსონმა წამოიწყო კამპანია HeforShe, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა მამაკაცებისა და ქალების გაერთიანება ერთი მიზნისათვის – თანასწორობისთვის. 2014 წელ ს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შტაბ-ბინაში ემა სიტყვით წარდგა:

თუ არა მე, მაშინ ვინ? თუ არა ახლა, მაშინ როდის?

„ექვსი თვის წინ გავხდი გაეროს კეთილი ნების ელჩი. ვაცნობიერებდი, რომ ქალთა უფლებებისთვის ბრძოლა მამაკაცთმოძულეობასთან ასოცირდებოდა. უნდა აღინიშნოს, რომ გენდერული თანასწორობა წარმოადგენს მტკიცებულებას იმის შესახებ, რომ ქალებსა და მამაკაცებს ჰქონდეთ მსგავსი უფლებები და შესაძლებლობები. ეს არის თეორია სქესთა პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური თანასწორობის შესახებ.

მე ბრიტანელი ვარ და მივიჩნევ, რომ სწორია, როცა მეც ისევე მიხდიან ანალოგიურ სამუშაოში, როგორც ჩემს კოლეგა მამაკაცებს. სწორია, როცა მაქვს შესაძლებლობა, მივიღო გადაწყვეტილებები, რომლებიც მე შემეხება. სწორია, როცა ქალები ჩართულნი არიან იმ პოლიტიკურ პროცესებში, რომლებიც გავლენას ახდენს ჩემს ცხოვრებაზე. დღეს მსოფლიოს არცერთ ქვეყანას არ შეუძლია თქვას, რომ გენდერულ თანასწორობას მიაღწია.

მამაკაცებო, მე მინდა ვისარგებლო შესაძლებლობით და პირადად მოგიწვიოთ ჩაერთოთ კამპანიაში, რადგან გენდერული უთანასწორობა თქვენი პრობლემაცაა... ... მაგრამ არავის სთხოვდა დახმარებას, რათა არ გამოჩენილიყო სუსტი ან ნაკლებმამაკაცური. მინახავს მამაკაცები, რომლებიც მორალურად დათრგუნულები იყვნენ იმ სტერეოტიპული იდეით, რომელიც მამაკაცთა შესაძლებლობებზეა შექმნილი. გენდერული უთანასწორობა არ წარმოადგენს რაიმე პრივილეგიას მამაკაცისთვის. ჩვენ არასოდეს ვსაუბრობთ იმ სტერეოტიპთა ტყვეობაზე, რომელშიც მამაკაცები იმყოფებიან გენდერული უთანასწორობის წყალობით, მაგრამ ფაქტია, ისინი ამ მდგომარეობაში არიან. როცა მამაკაცები ამ ტყვეობიდან გათავისუფლდებიან, მდგომარეობა ქალებისთვისაც გაუმჯობესდება. როცა მამაკაცისთვის არ იქნება აუცილებელი, რომ იგი იყოს აგრესიული, ქალს არ მოუწევს იყოს ჩაგრული; თუ კაცისთვის არ იქნება სავალდებულო მოთხოვნა, რომ მან ყველაფერი აკონტროლოს, ქალი არ იქცევა იმად, ვისაც აკონტროლებენ.

dont copy

თქვენ ალბათ ფიქრობთ – ვინ არის ეს გოგო „ჰარი პოტერიდან“? რა უნდა მას გაეროში? პასუხია – მე ვარ ადამიანი, რომელსაც ეს პრობლემები ანაღვლებს და სურს ცვლილებები. გულწრფელად რომ ვთქვა, ძალიან ვნერვიულობდი და მქონდა ეჭვები, როცა თქვენ წინაშე სიტყვით უნდა გამოვსულიყავი. შემდეგ საკუთარ თავს ვკითხე – თუ მე არა, მაშინ ვინ? თუ არა ახლა, მაშინ როდის?

თუ მართლაც გჯერათ თანასწორობის, მაშინ სწორედ თქვენ ხართ თანასწორობის ის ელჩები, რომლებზეც უკვე ვისაუბრე. ამ კამპანიის სახელწოდება წარმოადგენს გამაერთიანებელ სიტყვას და ეს არის მოძრაობა, რომელიც იბრძვის გაერთიანებისთვის. კამპანიას სახელად დაერქვა „HEFORSHE“. მე მსურს, რომ თქვენ გადმოდგათ ნაბიჯი წინ, და თქვენს თავს ჰკითხოთ – თუ არა მე, მაშინ ვინ? თუ არა ახლა, მაშინ როდის?“

სხვა მიღწევების მიუხედავად, ქალები კვლავ დისკრიმინაციის პრობლემის წინაშე დგანან. ქალები იმსახურებენ შიშისგან თავისუფალ ცხოვრებას. აქ განხილულ არც ერთ საკითხს არ აქვს აზრი, თუ ქალი თავს არ გრძნობს უსაფრთხოდ: უსაფრთხოდ სამსახურში, უსაფრთხოდ სახლში, უსაფრთხოდ ქუჩაში. ეს ადამიანის მთავარი უფლებაა – უფლება, რომ იყოს უსაფრთხოდ. ქალთა მიმართ ძალადობის დასრულება ჩემი ცხოვრების მთავარი მიზანია.

ჯო ბაიდენი, აშშ პრეზიდენტი.

დისკუსია

დაიყავით 2 ჯგუფად: გაეროს საქმიანობის მომხრეთა და კრიტიკოსთა ჯგუფებად.

იმსჯელეთ, ქვემოთ მოცემული მოსაზრებების გათვალისწინებით, დაამატეთ თქვენი მოსაზრებაც.

I ჯგუფი	II ჯგუფი
გაეროს საქმიანობის დადებითად შემფასებლები	**გაეროს საქმიანობის კრიტიკოსები**
გაეროს ყველაზე კეთილშობილური მიზანი მშვიდობის შენარჩუნება და თითოეული ადამიანის უფლებების დაცვაა.	რეალურად გაეროს მიზნები ყოველთვის ეფექტიანად არ სრულდება.
გაერო (უშიშროების საბჭო) მშვიდობის შესანარჩუნებლად ახდენს სამშვიდობო მისიების ორგანიზებას.	თავისი საქმიანობის მანძილზე გაერომ ვერ შეძლო მრავალი სისხლიანი კონფლიქტის შეჩერება.
გაერო წესდებაში (პრეამბულაში) აღიარებს დიდ და პატარა სახელმწიფოთა თანასწორობას.	ზოგიერთ სახელმწიფოს მაინც აქვს გამორჩეულად დიდი გავლენა გადაწყვეტილების მიღებისას.
მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტისას გაერო ყველა მონაწილე ქვეყნის თანასწორობას ახმოვანებს.	ნებისმიერ გადაწყვეტილების უარყოფის უფლება უშიშროების საბჭოს მხოლოდ 5 მუდმივ წევრს (რუსეთი, აშშ, ინგლისი, საფრანგეთი, ჩინეთი) გააჩნია.

don't copy

კონვენციები, რომლებსაც გაერო იღებს, არის განსაკუთრებული მნიშვნელობის საერთაშორისო დოკუმენტები, რომლებიც არაა სავალდებულო. ისინი სარეკომენდაციოა გაეროს წევრი ქვეყნებისთვის. მაგალითად, ბავშვის უფლებათა კონვენციაში გამყარებულია უფასო საშუალო განათლების მიღების უფლება.

გაეროს მითითებებს მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათი აქვს და რეალურად ვერ ცვლის სიტუაციას.

გაერო აგვარებს სხვადასხვა გლობალურ პრობლემებს: ეხმარება ქვეყნებს განავითარონ დემოკრატიული ინსტიტუტები; ორგანიზებას უკეთებს ჰუმანიტარულ ოპერაციებს, რომელთა მიღმა ათასობით გადარჩენილი სიცოცხლეა.

ორგანიზაციას აკლია მოქნილობა: გაეროს სამშვიდობო კონტინგენტი ზოგჯერ ხანგრძლივი მოლაპარაკებების შემდეგ შეჰყავთ კონფლიქტის ზონაში. შედეგად ისინი ადგილზე ჩადიან ჩამქრალი საომარი კონფლიქტის შემდეგ, რომელმაც ათასობით სიცოცხლე შეიწირა.

dont copy

სასარგებლო რესურსები

- https://bit.ly/2M5CKCN
- IDFI – მდგრადი განვითარების მიზნები https://bit.ly/3bijESI
- მდგრადი განვითარების მიზნები https://uni.cf/3qFW74s

საკითხი: საქართველო და ევროპის კავშირი

ყურადღება!

კომპლექსური დავალება

კომპლექსური დავალების პირობა

თქვენმა კლასმა დაგეგმა კედლის/ელექტრონული გაზეთის მომზადება თემაზე „საქართველოს ევროპული არჩევანი“. შეთანხმებული გეგმის მიხედვით, გაზეთში უნდა განთავსდეს:

- **ინტერვიუ-გამოკითხვა** – „რა ვიცით ევროპულ ღირებულებებზე“ (წინასწარ მოამზადეთ 2 კითხვა და გამოკითხეთ 4-5 თანაკლასელი, თანასკოლელი);
- **სტატია** – „საქართველო-ევროკავშირის შეთანხმება ასოცირების შესახებ“(რა სარგებელს მიიღებს საქართველო მდგრადი განვითარებისა და სტაბილურობის გაზრდის კუთხით);
- **წერილი-გზამკვლევი** — „როდის და როგორ მივმართავთ სტრასბურგის სასამართლოს?“
- **წერილი** – „ევროპული განათლებისთვის“ — (რჩევები ევროპაში სწავლის მსურველებს ან ავტორის გეგმები ამ მიმართებით)

don't copy

აირჩიე, რომელიმე მათგანი. გაითვალისწინე, რომ სტატიაში მასალის მოცულობა დაახლოებით, 200 სიტყვა უნდა იყოს, სასურველია იზრუნო მის ვიზუალურ მხარეზეც (ფოტო, სქემა, ნახატი...)

ნაშრომში/ნაშრომის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინე:

- რამდენად არის გათვალისწინებული საზოგადოების ინტერესები და საერთაშორისო პერსპექტივა?
- საკითხი/პროცესი, რომელზეც წერთ, როგორ გავლენას იქონიებს მოქალაქეების სტაბილურობასა და უსაფრთხოებაზე?

პრეზენტაციის შემდეგ ისაუბრე:

რა სტრატეგიები გამოიყენეთ/რა ნაბიჯები გადადგით დავალებაზე მუშაობის სხვადასხვა ეტაპზე; რას გააკეთებდით განსხვავებულად, ხელახლა რომ იწყებდეთ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობას.

ევროპის კავშირი დემოკრატიული სახელმწიფოების უნიკალური პოლიტიკური და ეკონომიკური გაერთიანებაა, რომელიც მიზნად ისახავს თავისი მოქალაქეებისათვის მშვიდობის, კეთილდღეობისა და თავისუფლების უზრუნველყოფას. ევროკავშირი თავის მოქალაქეებს სთავაზობს თავისუფალ, უსაფრთხო და სამართლიან სივრცეში ცხოვრებას.

? რას გულისხმობს ევროპული ღირებულებები?

ევროკავშირის ფუნდამენტური ღირებულებებია:

- ადამიანის ღირსებისა და უფლებების პატივისცემა (მათ შორის, უმცირესობათა უფლებების დაცვა);
- ადამიანის უფლებების დაცვა;
- დემოკრატია;
- თანასწორობა;
- კანონის უზენაესობა.

ევროკავშირის ლისაბონის ხელშეკრულება, მუხლი 2

იმუშავეთ წყვილებში

შეარჩიეთ ევროპული ღირებულების ჩამონათვალიდან ერთ-ერთი, ახსენით, როგორ გესმით მისი არსი. დაასახელეთ ამ ღირებულების დაცვის ან შელახვის მაგალითი/მაგალითები საქართველოში.

dont copy

ევროკავშირის ქვეყნები

ეს საინტერესოა

ევროკავშირის ისტორია მე-20 საუკუნის 50-იან წლებში ევროპის ეკონომიკური გაერთიანების შექმნით დაიწყო, რომლის ერთ-ერთი მთავარი მიზანი დასავლეთ ევროპის ქვეყნების (ბელგია, გერმანია, ლუქსემბურგი, იტალია, ნიდერლანდები და საფრანგეთი) ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავება იყო. წლების განმავლობაში აღნიშნული ორგანიზაცია პოლიტიკურ-ეკონომიკურ გაერთიანებად იქცა და დღეს ევროპის კავშირის სახელითაა ცნობილი, რომელშიც 27 ქვეყანაა გაწევრიანებული.

2000 წლიდან ევროკავშირი ერთიან სავალუტო სისტემაზე გადავიდა, რამაც კიდევ უფრო გააღრმავა წევრი ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობა. 2009 წელს წევრი სახელმწიფოები შეთანხმდნენ სამხედრო სტრუქტურების სამომავლო ინტეგრაციაზეც.

საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები 1992 წლიდან იწყება. ორმხრივი ურთიერთობები უფრო ინტენსიური 2003 წლიდან ხდება, როცა საქართველო აქტიურად იწყებს პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების გატარებას.

იმსჯელეთ

ცხრილში მოცემულია ევროკავშირში კანდიდატი ქვეყნის მიღების კრიტერიუმები.

- თქვენი გადასახედიდან, ცხოვრებისეული გამოცდილებიდან, რომელი კრიტერიუმის დაკმაყოფილება შეუძლია საქართველოს ამჟამად?
- რა გაძლევთ ამის თქმის საფუძველს?

don't copy

პოლიტიკური	სტაბილური სიტუაციები, რომლებიც წარმოადგენს დემოკრატიის, კანონის უზენაესობის, ადამიანის უფლებების დაცვისა და უმცირესობათა პატივისცემის გარანტიას.
ეკონომიკური	მოქმედი საბაზრო ეკონომიკა და ქვეყნის უნარი, მონაწილეობა მიიღოს ევროგაერთიანებაში.
ინსტიტუციური	ქვეყნის უნარი, ეფექტიანად განახორციელოს წევრი სახელმწიფოს გამომდინარე ვალდებულებები: ევროპის კავშირის მიზნებისადმი ერთგულება, პოლიტიკური და ეკონომოკური კავშირის ჩათვლით.

საქართველო-ევროკავშირის შეთანხმება ასოცირების შესახებ

„ასოცირების შესახებ შეთანხმება“ ფორმდება ევროკავშირსა და ევროკავშირის არაწევრ ქვეყანას შორის და მიზნად ისახავს მხარეთა შორის თანამშრომლობის ჩარჩოს შექმნას. „ასოცირების შესახებ შეთანხმება“ სამართლებრივად სავალდებულოა. შეთანხმება 1000-მდე გვერდს მოიცავს და ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობის დაახლოებას ევროკავშირის 300-მდე სამართლებრივ აქტთან.

2014 წლის 27 ივნისს ქ. ბრიუსელში ხელი მოეწერა ხელშეკრულებას საქართველო-ევროკავშირის **შეთანხმებას ასოცირების შესახებ**. 2016 წლის 1-ლ ივლისს სრულად შევიდა ძალაში შეთანხმება ასოცირების შესახებ საქართველო-ევროკავშირს შორის. 2014 წლის ივნისიდან საქართველო აქტიურად და წარმატებით მონაწილეობს ევროკავშირის ეგიდით წარმოებულ მისიებში, რომელთაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს გლობალური უსაფრთხოების განმტკიცებაში.

ასოცირების შესახებ შეთანხმება მიზნად ისახავს ევროკავშირთან პოლიტიკურ ასოცირებასა და ეტაპობრივ ეკონომიკურ ინტეგრაციას.

შეთანხმებაში აღიარებულია საქართველოს ევროპული მისწრაფებები და ევროპული არჩევანი, აღნიშნულია ის საერთო ღირებულებები, რომლებსაც ევროკავშირი ეფუძნება: დემოკრატია, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვა, კანონის უზენაესობა.

დემოკრატიული რეფორმების განხორციელება

ასოცირების შესახებ შეთანხმება ადგენს იმ კონკრეტულ სფეროებს, რომლებშიც საქართველომ ევროკავშირის ხელშეწყობით უნდა გაატაროს პროგრესული რეფორმები, ესენია:

- სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის გაზრდა, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა და სამართლიანი სასამართლოს უფლების უზრუნველყოფა;
- მიგრაციის მართვა და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლა;
- ორგანიზებული დანაშაულისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა;
- უკანონო ნარკოტიკული საშუალებების ბრუნვის პრევენცია და მის წინააღმდეგ აქტიური ბრძოლა;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის უზრუნველყოფა;
- ტერორიზმის დაფინანსების პრევენცია.

don't copy

ასოცირების შესახებ შეთანხმება – საქართველოს ევროკავშირთან დაახლოების სამოქმედო გეგმა, რომელიც ქვეყნის პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ცხოვრების თითქმის ყველა სფეროსა და თავისუფალი ვაჭრობის სივრცის კომპონენტს მოიცავს, ითვალისწინებს ევროკავშირთან დაახლოების მნიშვნელოვან კონკრეტულ მექანიზმებს.

> მე ვარ ქართველი, მაშასადამე ვარ ევროპელი.
> *ზურაბ ჟვანია*

ასოცირების შესახებ შეთანხმება მოიცავს თითქმის ყველა მიმართულებას დაწყებული ეკონომიკური რეფორმებიდან, დამთავრებული სამოქალაქო სექტორის ჩართულობამდე.

შეთანხმების როლი კონფლიქტის მოგვარების პროცესში

შეთანხმებაში გამოხატულია სრული პატივისცემა საქართველოს დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ურღვევობის პრინციპების მიმართ და ასევე, აღნიშნულია ევროკავშირის ვალდებულება, მხარი დაუჭიროს კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებას. ამასთან, მითითებულია მხარეთა ვალდებულება, ევროკავშირთან საქართველოს მჭიდრო პოლიტიკური ასოცირებისა და ეკონომიკური ინტეგრაციის შედეგად მიღებული სარგებელი გაავრცელონ საქართველოს ყველა მოქალაქეზე, კონფლიქტის შედეგად დაშორიშორებული საზოგადოების ჩათვლით

ვიზა – დოკუმენტი, რომელიც ქვეყნის მიერ გაიცემა პირისთვის, რათა მან ფორმალურად მიიღოს ქვეყანაში შესვლის ნებართვა გარკვეული პერიოდის განმავლობაში და განსაზღვრული მიზნებისთვის. ის პასპორტში იკვრება ან ირტყმება, ან ზოგჯერ გაიცემა როგორც განცალკევებული საბუთი.

მიგრაცია და სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაცია

საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მოქალაქეთა მობილურობის ხელშეწყობას, მათ შორის, შესაბამის ეტაპზე **უვიზო რეჟიმის** შემოღებას. საქართველოსა და ევროკავშირს შორის უვიზო მიმოსვლა (ძალაში შევიდა 2017 წლის 28 მარტს), აღმოსავლეთ პარტნიორობის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი, ხალხთა შორის კონტაქტების გააქტიურების ძირითადი ინსტრუმენტი და ევროკავშირთან შემდგომი დაახლოების ეფექტური საშუალებაა.

dont copy

უვიზოდ მოგზაურობა მოიცავს შემდეგ 30 ქვეყანას		
ევროკავშირის წევრი შენგენის სივრცის ქვეყნები	ევროკავშირის არაწევრი ქვეყნები	ევროკავშირის წევრი შენგენის კანდიდატი ქვეყნები
ავსტრია, ბელგია, გერმანია, დანია, ესპანეთი, ესტონეთი, იტალია, ლატვია, ლიტვა, ლუქსემბურგი, მალტა, ნიდერლანდები, პოლონეთი, პორტუგალია, საბერძნეთი, საფრანგეთი, სლოვენია, სლოვაკეთი, უნგრეთი, ფინეთი, შვედეთი, ჩეხეთი, ბულგარეთი, რუმინეთი, ხორვატია, ლიხტენშტეინი	ისლანდია ნორვეგია შვეიცარია	კვიპროსი

გამონაკლისს წარმოადგენს ევროკავშირის 1 წევრი ქვეყანა: ირლანდია. ამ ქვეყნის ვიზის მისაღებად საქართველოს მოქალაქეებმა უნდა მიმართონ შესაბამის საკონსულო სამსახურს.

ევროკავშირთან უვიზო რეჟიმის პირობებში საქართველოს მოქალაქეებს ვიზის გარეშე შეუძლიათ გაემგზავრონ მხოლოდ მოკლევადიანი ვიზიტით ევროკავშირის/შენგენის წევრ ქვეყნებში. ნებისმიერი ასეთი ვიზიტის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 90 დღეს ნებისმიერი 180 დღის განმავლობაში. 90 დღის პერიოდით ყოფნის შემდეგ საქართველოს მოქალაქემ უნდა დატოვოს ამ ქვეყნის ტერიტორია.

უვიზო რეჟიმი არ შეეხება შენგენის ზონაში გრძელვადიან ვიზიტებს განათლების მიღების, მუშაობის ან სხვა მიზნით. ხანგრძლივი პერიოდით დასარჩენად საქართველოს მოქალაქეებმა ვიზის მისაღებად უნდა მიმართონ საქართველოში აკრედიტებულ შესაბამისი ქვეყნის საკონსულოს.

ევროკავშირის უვიზო რეჟიმის პირობები

იმსჯელეთ

განიხილეთ ნანას ისტორია. რატომ მოხვდა გოგონა ასეთ გაუგებრობაში, როცა წინასწარ ჰქონდა ინფორმაცია უვიზო რეჟიმის შესახებ? გულისხმობს თუ არა უვიზო რეჟიმი ევროპის ქვეყნებში შეუზღუდავ და უვადოდ ყოფნას, დასაქმებას? რა უნდა გაეთვალისწინებინა ნანას? რა შეიძლება გააკეთოს ნანამ სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, რომ სხვები მაინც დაიცვას მსგავსი შემთხვევებისაგან და დამნაშავეებს პასუხი მოეთხოვოთ?

ნანას ისტორია

ინტერნეტში გამოქვეყნებული განცხადების საფუძველზე ნანა დაუკავშირდა ე.წ. შუამავლებს, რომლებიც ევროპის ერთ ქვეყანაში, ოჯახში, ბავშვის მომვლელად მოწყობას დაჰპირდნენ. ნანამ ევროკავშირში უვიზოდ შესვლის უფლებით ისარგებლა და დათქმული ქვეყნის დედაქალაქში ჩავიდა. იქ, დაპირებულის ნაცვლად, სხვა სინამდვილეში აღმოჩნდა: იმდენად მცირე ანაზღაურებას იღებდა, რომ თავის შენახვას ძლივს ახერხებდა. ოთხ თვეში უკან დასაბრუნებელი ბილეთის ფულიც კი ვერ მოაგროვა. ერთხელ, საღამოს, სამუშაოდან დაბრუნებისას, ქუჩაში პოლიციის რეიდს გადაეყარა. ნანა დააკავეს და რადგანაც ევროკავშირში მისი უვიზოდ ყოფნის ვადა უკვე გასული იყო, სამშობლოში იძულებით დააბრუნეს.

dont copy

მიგრაცია – საერთაშორისო საზღვარზე ან ქვეყნის შიგნით გადაადგილების პროცესი, რომელიც გულისხმობს მოსახლეობის ნებისმიერი სახით გადაადგილებას, მიუხედავად ხანგრძლივობისა და გამომწვევი მიზეზებისა.

ევროპის კავშირის ოფიციალური ვალუტა და ფულადი ერთეული არის ევრო, რომელსაც კავშირის უმრავლეს ქვეყნებში იყენებენ. 9 ქვეყანა კი საკუთარ ვალუტას იყენებს. მაგ. ჩეხეთი, ბულგარეთი და სხვა.

უმცირესობათა უფლებების გათვალისწინება

ასოცირების შესახებ შეთანხმებით მხარეები ვალდებულებას იღებენ შემდგომში გააძლიერონ მხარეთა საერთო ღირებულებებზე დაფუძნებული ადამიანის უფლებების, დემოკრატიული პრინციპების, კანონის უზენაესობისა და კარგი მმართველობის პატივისცემა. განსაკუთრებით აღსანიშნავია იმ პირების უფლებების დაცვა და პატივისცემა, რომლებიც მიეკუთვნებიან უმცირესობებს.

თავისუფალი სავაჭრო სივრცის შექმნა

ევროკავშირის შიდა ბაზარი შედგება 27 წევრი სახელმწიფოსაგან. ევროკავშირის მოქმედების მთავარი საფუძველია მათ წინაშე მდგომი ბარიერების მოხსნა, მაღალი სტანდარტების დამკვიდრება და მომხმარებელთა უფლებების დაცვა. უმეტესობა თანხმდება, რომ შიდა ბაზრის შექმნამ მის წევრებს უზარმაზარი სარგებელი მოუტანა. თავისუფალი სავაჭრო სივრცე შეძლებისდაგვარად ხელს შეუწყობს საქართველოს თანდათანობით ინტეგრაციას ევროკავშირის შიდა ბაზარზე.

იმსჯელეთ

განიხილეთ ქვემოთ მოცემული ისტორია.

- რამდენად რეალურია ეს ამბავი დღეს?
- თუ იცნობთ მეწარმეს, რომელსაც ევროკავშირის ქვეყანაში გააქვს თავისი პროდუქტი?
- რატომაა სასიხარულო ევროკავშირის ქვეყანასთან/ქვეყნებთან თავისუფალი ვაჭრობა?
- თქვენი აზრით, რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს პროდუქტი, რომ ის ევროკავშირის ბაზარზე მიიღონ?

don't copy

მიხა პაპას ევროპული ბაზარი

მთელი ცხოვრება მიხა პაპა ვენახს უვლის და მამაპაპურ ქვევრის ღვინოს აყენებს. 4 წელია მისი ღვინო ევროპაში „მიემგზავრება“. მას შემდეგ, რაც საქართველოსა და ევროკავშირს შორის თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება ამოქმედდა და პროდუქტის გატანაზე საბაჟო გადასახადი გაუქმდა, მიხას შვილიშვილმა, მიშომ, პაპას ღვინის კლიენტები ინტერნეტით მოუძებნა. მერე ღვინის ნიმუშები გაუგზავნა და ერთ დღესაც გამოაცხადა, პაპა, ხელშეკრულებას უნდა მოაწერო ხელიო. მიხა პაპას ცოტა გული კი ეთანაღრებოდა, ამან ცხოვრების რა იცის, სულ ყურსასმენები უკეთია და კომპიუტერში იცქირება, არავინ მოატყუოსო. მაგრამ მიენდო

დასაქმება ან ცხოვრება შენგენის სივრცეში შესაბამისი ცხოვრების უფლების ან სამუშაო ნებართვის გარეშე უკანონოა.

შვილიშვილს, რაც იქნება, იქნება, თავს შემოევლოსო... და აჰა, უკვე მე-4 წელია ევროპის ერთ ქვეყანას ამარაგებს დალოცვილი ვაზის ნაჟურით. გასაყიდი ღვინის რაოდენობაც ნელ-ნელა იზრდება. პაპა შვილიშვილის რჩევას ითვალისწინებს და გაისად ახალი ვენახის ჩაყრას აპირებს. მიშო ევროპის ერთ-ერთი უნივერსიტეტის სტუდენტია. დიდი იმედი აქვს, რომ პაპას მემკვიდრეობით შეძენილ გამოცდილებას, ახალ ცოდნას შემატებს, თავის ქვეყანასაც მეტ ადამიანს გააცნობს და იქადნება – მერე ნახეთ თქვენ ევროპის ბაზრის „დაპყრობაო“.

2014 წლის პირველი სექტემბრიდან საქართველოში წარმოშობილი საქონლის იმპორტზე ევროკავშირში საბაჟო გადასახადი გაუქმდა.

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია საქართველოში

საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია არის სამოქალაქო მისია, რომელიც რუსეთს და საქართველოს შორის აგვისტოს ომის შემდეგ, 2008 წლის სექტემბერში, განლაგდა. ის ხელს უწყობს სტაბილიზაციას კონფლიქტის მხარეებს შორის. საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის შემადგენლობაში მყოფი 200-ზე მეტი ევროპელი სამოქალაქო დამკვირვებელი აფასებს მხარეთა ქმედებებს. მისია ასევე წარადგენს ფაქტებზე დაფუძნებულ ინფორმაციას და ანგარიშგებას ევროკავშირის პოლიტიკის შემქმნელი სტრუქტურებისთვის საქართველოსთვის მისაღები მდგრადი გადაწყვეტილების დასახმარებლად.

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიას აქვს სათავო ოფისი თბილისში და ასევე რეგიონული ოფისები გორში, მცხეთაში და ზუგდიდში. საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მანდატი 2022 წლის 14 დეკემბრამდე გრძელდება.

ევროკავშირი საქართველოს ყველაზე დიდი სავაჭრო პარტნიორია და ყოველწლიურად საქართველოს ტექნიკური და ფინანსური დახმარების სახით 100 მლნ ევროზე მეტ თანხას გამოყოფს.

Do not copy

დავალება

დაწერეთ ესე: „ჩემი ევროპული არჩევანი“.

- რა სიკეთე შეიძლება მოიტანოს ევროკავშირში გაწევრიანებამ?
- დაახასიათეთ თითოეული მათგანი.
- რატომ არის ის სასიკეთო საქართველოს მოქალაქეებისათვის?

სასარგებლო რესურსები

- რა არის თქვენთვის ცნობილი ევროკავშირის შესახებ?
  https://bit.ly/3ad9ZgE
- ასოცირების შესახებ შეთანხმება
  https://bit.ly/2NnukXC
- თავისუფალი ვაჭრობა ევროკავშირთან
  http://www.dcfta.gov.ge/#
- ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ვებგვერდი
  https://eumm.eu/ge/

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია – საერთაშორისო ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოები პირობას დებენ დაიცვან არა მარტო მათი მოქალაქეების, არამედ მათი იურისდიქციის ქვეშ მყოფი ყველა პირის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო (სტრასბურგის სასამართლო) არის საერთაშორისო სასამართლო, რომელიც შეიქმნა 1959 წელს. მას გადაწყვეტილებები გამოაქვს ინდივიდუალურ ან სახელმწიფოთა საჩივრებზე, რომლებიც ეხება **ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაში** მოცემულ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების სავარაუდო დარღვევებს.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია ძალაში შევიდა 1953 წელს.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მდებარეობს სტრასბურგში, სწორედ ამიტომ მას ხშირად სტრასბურგის სასამართლოს უწოდებენ.

სტრასბურგის სასამართლო ზედამხედველობას უწევს 830 მილიონი ევროპელის უფლებების პატივისცემას. ისინი ევროპის საბჭოს იმ 47 წევრი ქვეყნის მოქალაქეები არიან, რომელთაც რატიფიცირებული აქვთ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია.

ევროპის სასამართლოში აღძრული ნებისმიერი საქმის განხილვის დროს პროცედურა ასევე მოიცავს მეგობრული გადაწყვეტის შესაძლებლობას მხარეებს შორის მედიატორობის საფუძველზე.

? რა შემთხვევაში შეგვიძლია მივმართოთ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს?

სასამართლოს შეუძლია მიიღოს განაცხადები ნებისმიერი ფიზიკური პირისაგან, არასამთავრობო ორგანიზაციისაგან ან ცალკეულ პირთა ჯგუფისაგან, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ისინი არიან კონვენციით ან მისი ოქმებით გათვალისწინებული უფლებების დარღვევის მსხვერპლნი, თუ ეს დარღვევა ჩაიდინა იმ სახელმწიფომ, რომელმაც კონვენციით დადგენილი ვალდებულებები იკისრა.

don't copy

სტრასბურგის სასამართლოს შენობა

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია იცავს შემდეგ უფლებებს

- სიცოცხლის უფლება;
- სისხლის სამართლისა და სამოქალაქო ხასიათის საქმეების სამართლიანი განხილვის უფლება;
- პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება;
- აზრის გამოხატვის თავისუფლება;
- აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება;
- სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალების უფლება;
- საკუთრებით შეუფერხებელი სარგებლობის უფლება;
- არჩევნებში ხმის მიცემისა და საკუთარი კანდიდატურის წამოყენების უფლება.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია აწესებს შემდეგ აკრძალვებს

- ადამიანის წამება და არაადამიანური თუ დამამცირებელი დასჯა ან სხვა ამგვარი მოპყრობა;
- თვითნებური და უკანონო პატიმრობა;
- დისკრიმინაცია კონვენციით უზრუნველყოფილი უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობისას;
- საკუთარი მოქალაქეების სახელმწიფოს ტერიტორიიდან გაძევება ან მათი ამ ტერიტორიაზე შესვლის დაბრკოლება;
- სიკვდილით დასჯა;
- უცხოელების კოლექტიური გაძევება.

? რას შეიძლება ეხებოდეს საჩივარი?

საჩივარი აუცილებლად უნდა ეხებოდეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გათვალისწინებულ ერთ ან რამდენიმე უფლებას. აქედან გამომდინარე, საჩივრის საგანი შეიძლება იყოს მრავალგვარი.

• თქვენ ვერ იჩივლებთ სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებების დარღვევის შესახებ (ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, ძირითადი უფლებების ქარტია და სხვ.)

dont copy

? როგორ უნდა მივმართო სასამართლოს, თუ მიმაჩნია, რომ დაირღვა კონვენციით გათვალისწინებული ჩემი უფლებები?

ამისათვის სასამართლოს უნდა გაუგზავნოთ წერილი, რომელშიც ნათლად მიუთითებთ თქვენი საჩივრის საგანს. საჩივრის ფორმა განთავსებულია სასამართლოს ვებგვერდზე.

თუ სასამართლო დაადგენს, რომ კონვენცია დაირღვა, მას შეუძლია „სამართლიანი დაკმაყოფილების“ სახით ფულადი კომპენსაცია მოგანიჭოთ ზოგიერთი სახის ზიანის ასანაზღაურებლად. გარდა ამისა, სასამართლომ შეიძლება მოითხოვოს, რომ მოპასუხე სახელმწიფომ საქმის წარმოებასთან დაკავშირებული ხარჯები აგინაზღაუროთ. თუ სასამართლო დაადგენს, რომ მომჩივნის უფლებები არ დარღვეულა, თქვენ არ მოგიწევთ დამატებითი ხარჯების გაწევა (მაგალითად, მოპასუხე სახელმწიფოს მიერ საქმის წარმოებისათვის გაღებული ხარჯები).

დამატებითი ინფორმაცია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შესახებ შეგიძლიათ მოიძიოთ მის ვებგვერდზე: www.echr.coe.int

კერძო პირის განცხადება სასამართლოს ადმინისტრაციაში რეგ-ისტრაციის შემდეგ გადაეცემა მომხსენებელ მოსამართლეს, რომელსაც შეუძლია გამოიტანოს საბოლოო გადაწყვეტილება საჩივრის დაუშვებლობის შესახებ. მომხსენებელი მისამართლე არ უნდა იყოს არჩეული იმ სახელმწიფოდან, რომელიც მხარეა საჩივარ-ში. განცხადება შეიძლება გამოცხადდეს დაუშვებლად მაშინ, როცა იგი შემდეგ პირობებს არ აკმაყოფილებს:

- როცა აპლიკანტმა არ ამოწურა შიდასახელმწიფოებრივი დაცვის ყველა საშუალება;
- როცა გასულია 6 თვე საბოლოო შიდასახელმწიფოებრივი გადაწყვეტილების მიღების თარიღიდან;
- თუ განცხადება ანონიმურია ან ცილისმწამებლური;
- თუ განცხადება კონვეცნიასთან და მის ოქმებთან შეუთავსებელია, უკვე განხილულია სასამართლოს ან საერთაშორისო მოგვარების სხვა ორგანოს მიერ.

გასათვალისწინებელია:

- სასამართლო არ არის უფლებამოსილი, გააუქმოს ეროვნული გადაწყვეტილებები ან კანონები;
- სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულება სასამართლოს უფლებამოსილებაში არ შედის.
- გადაწყვეტილების აღსრულებაზე პასუხისმგებელია ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი, რომელიც აკონტროლებს მის შესრულებას და უზრუნველყოფს შესაბამისი ფულადი კომპენ-საციების გადახდას.

dont copy

სახელმწიფოთაშორისი საჩივრები

სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში სახ-ელმწიფოთაშორისი განაცხადის მაგალითია (საქმე I) – „საქართ-ველო რუსეთის წინააღმდეგ“. საქართველოს საჩივარი ეხებოდა მუხლს, რომელიც მეზობელი ქვეყნიდან უცხოელების კოლექტიურ გამოძევებას უკავშირდება 2006-2007 წლებში. ამ პროცესს საქა-ართველოს 3 მოქალაქის სიცოცხლე შეეწირა. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გადაწყვეტილება საქართველოს სახ-ელმწიფოს სასარგებლოდ მიიღო. რუსეთს დაეკისრა კომპენსაციის გადახდა.

საქართველომ სახელმწიფოთშორისი საჩივარი სტრასბურგში 2008 წლის 11 აგვისტოს წარადგინა. რუსეთ-საქართველოს ომის საქმე, რომელიც ნომერ მეორე საქმედაა ცნობილი. საქართველოს სახელმწიფომ რუსეთის სახელმწიფო დაადანაშაულა ევროპული კონვენციის 8 მუხლის დარღვევაში. სტრასბურგის სასამართლომ გადაწყვეტილება საქართველოს სასარგებლოდ მიიღო. ამასთან სა-

სამართლომ დაადგინა, რომ ცხინვალის რეგიონი და აფხაზეთი არის საქართველოს განუყოფელი ნაწილი და ოკუპირებულია რუსეთის მიერ.

იმუშავეთ ჯგუფებში

სტრასბურგის სასამართლოს მაგალითზე იმსჯელეთ:

- რატომ არის მართლმსაჯულება საზოგადოდ, ხოლო ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი - საერთაშორისო დონეზე - მშვიდობის წინაპირობა?
- დაასახელეთ მაგალითები, რეალური ან წარმოსახვითი სიტუაციები. მოამზადეთ პრეზენტაცია და წარუდგინეთ კლასს. მაგალითისთვის გამოიყენეთ: ადამიანის უფლებათა ევროპული კოვენციის სქემა (გვ. 165).

სასარგებლო რესურსები

- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო https://bit.ly/3aCid2l
- ევროპული კონვენცია ბავშვთა უფლებების დაცვის შესახებ https://bit.ly/2ZuYFXl
- ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია https://bit.ly/3pzbqKT
- (KAT) ECHR – სასამართლოში გამართული საჩივრის შემოტანა (Georgian Version) – https://bit.ly/3qEYpRl
- ქვეყნის პროფილი – საქართველო https://bit.ly/2ZuZ5wy
- საგანმანათლებლო თამაში „სასამართლო“ https://bit.ly/3pwt9ml

dont copy

საკითხი: ტრეფიკინგი –საერთაშორისო საფრთხეები

ყურადღება!

კომპლექსური დავალება

კომპლექსური დავალების პირობა

(შემაჯამებელი დავალება)

დაგეგმე საერთაშორისო საფრთხეების, კერძოდ, ტრეფიკინგის და მისი პრევენციის შესახებ ცნობიერების ამაღლებითი პროექტი. მოხალისეობრივად ჩაატარე კვლევა, მოამზადე და თემში გაავრცელე **საინფორმაციო ბუკლეტი**, რომელშიც ასახული იქნება ტრეფიკინგის რისკები და ფორმები, პრევენციის და სამართლებრივი რეგულაციის გზები და მექანიზმები; ტრეფიკინგის მსხვერპლთა რეაბილიტაციის შესაძლებლობები;

პროექტში/ პროექტის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინე:

- რა მიზანს ემსახურება შენი ინიციატივა და რატომ გადაწყვიტე მისი ქცევა მოხალისეობრივ სათემო პროექტად?
- როგორ დაგეგმე კვლევა და ბუკლეტი, რა რესურსები და ეტაპები შეუსაბამე დაგეგმილ ქმედებებს?
- ტრეფიკინგის პრევენციისთვის რომელი საკითხები და რა თანმიმდევრობით წარმოადგინე ბუკლეტში? რა შედეგს ელოდები მისი გავრცელების შემდეგ?
- ვისთან ითანამშრომლეთ (დირექციასთან, სკოლის თვითმმართველობასთან, თემთან...)? რატომ იყო მნიშვნელოვანი ეს თანამშრომლობა?

dont copy

პრეზენტაციის შემდეგ ისაუბრე:

რა სტრატეგიები გამოიყენე/რა ნაბიჯები გადადგი დავალებაზე მუშაობის სხვადასხვა ეტაპზე; რას გააკეთებდი განსხვავებულად, ხელახლა რომ იწყებდე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობას.

მსოფლიოში ყოველწლიურად ძალადობას და კონფლიქტს ეწირება 1,6 მილიონზე მეტი ადამიანი. ძალადობის თითოეული მსხვერპლის უკან დგანან ადამიანები, რომლებიც მსხვერპლის პარალელურად ზარალდებიან. მათ ექმნებათ ფიზიკური, სექსუალური, რეპროდუქციული და ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები.

ტერორიზმი – ძალადობის გამოყენება პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. შეიარაღებული თავდასხმა, რომლის მიზანია სამიზნე საზოგადოებრივი ჯგუფისათვის ზიანის მიყენება, შიშის დანერგვა ან შანტაჟი.

გლობალური მსოფლიო როგორც დიდი შესაძლებლობების, ასევე მთელი რიგი საფრთხეების და რისკების მატარებელიცაა. გარდა სახელმწიფოთაშორისი შეიარაღებული კონფლიქტებისა, მსოფლიოსთვის მნიშვნელოვან საფრთხედ იქცა **საერთაშორისო ტერორიზმი** და სხვადასხვა **ტრანსნაციონალური დანაშაულები** (ტრეფიკინგი, ორგანიზებული პროსტიტუცია, ადამიანის ორგანოებით ვაჭრობა და არალეგალური მიგრაცია). ტექნოლოგიური პროგრესის პირობებში სულ უფრო აქტუალური ხდება ისეთი გამოწვევები, როგორებიცაა სახელმწიფოთა კიბერსივრცის დაცვა და ზოგადად, კიბერ-უსაფრთხოების უზრუნველყოფა. გარდა ამისა, მსოფლიოში თავს იჩენს ეკონომიკური და სოციალური საფრთხეები, მაგალითად მსოფლიო ეკონომიკური კრიზისების და მიმდინარე პანდემიის დასახელებაც კმარა. სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს ბუნებრივი და ტექნოლოგიური კატასტროფები.

ტრანსნაციონალური დანაშაული – დანაშაული, რომელიც შეიძლება განხორციელდეს როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარს მიღმა.

ტერორიზმი

იმსჯელეთ

- რა იცით ტერორიზმის შესახებ?
- რომელი ტერორისტული აქტის შესახებ გსმენიათ?
- როგორია ტერორიზმის შედეგები?
- შეიძლება თუ არა ტერორიზმის გამართლება?

dont copy

ტერორიზმი, როგორც მოვლენა, საუკუნეების წინ გაჩნდა. მრავალმა სახელმწიფომ საკუთარ თავზე გამოსცადა ტერორისტული თავდასხმების სიმძიმე.

კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე დიდი ტერორისტული აქტი 2001 წლის 11 სექტემბრს მოხდა. ამ დღეს ტერორისტებმა ოთხი კომერციული სამგზავრო თვითმფრინავი გაიტაცეს და ორი მათგანი გამიზნულად დააჯახეს ნიუ-იორკში მსოფლიო სავაჭრო ცენტრის ორ ცათამბჯენს (ე.წ. „ტყუპებს“), რამაც შენობებში მყოფი ადამიანების დიდი ნაწილი იმსხვერპლა. ცათამბჯენები ორი საათის განმავლობაში ჩამოიქცა და აფეთქებამ და ნგრევამ ახლომდებარე შენობებიც ძლიერ დააზიანა. ოთხივე თვითმფრინავის ყველა მგზავრი დაიღუპა.

11 სექტემბრის ტერაქტს 2977 ადამიანი ემსხვერპლა. ტერაქტის

ექსტრემიზმი – დასახული მიზნებისა და ამოცანების მისაღწვად ყველაზე რადიკალური საშუალებების მოხმობა, მათ შორის ძალადობის, ტერორის გამოყენება.

ფუნდამენტალიზმი – რელიგიური პოზიცია, რომელიც კონკრეტული რელიგიის ძირითადი მცნებების უპირობო მხარდაჭერას ითხოვს.

ტრანზიტი – ტვირთის გადაზიდვა ან მგზავრთა გადაყვანა ერთი ქვეყნიდან მეორეში, მესამე სახელმწიფოს გავლით.

ეკოციდი – ქმედება, რასაც შეუძლია ეკოლოგიური კატასტროფის გამოწვევა.

შედეგად მიყენებულმა ზარალმა ყველაზე დაბალი შეფასებით, 500 მლრდ აშშ დოლარს მიაღწია. ეს შემთხვევა ტერორისტულ აქტთან ერთად იყო **ექსტრემიზმის** გამოვლინებაც.

ბოლო დროს მსოფლიოში განვითარებული მოვლენები ცხადყოფს, რაოდენ რთულია ამ ტიპის საფრთხეების წინააღმდეგ ბრძოლა ან მათი პრევენცია (თავიდან არიდება, გამაფრთხილებელი მოქმედებები).

ფუნდამენტალიზმი

ფუნდამენტალიზმი, როგორც წესი, არატოლერანტობის გამოვლინებაა განსხვავებული რწმენის ან შეხედულებების მხარდამჭერი ადამიანებისადმი, ან საკუთარი რწმენის იმ მიმდევართა მიმართ, ვინც არ იზიარებს რადიკალურ პოზიციას რწმენის საკითხში.

იმსჯელეთ

ა) რა კავშირს ხედავთ ფუნდამენტალიზმსა და ტერორიზმს შორის?

„საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის“ მე-14 კარი განსაზღვრავს სასჯელის ზომას კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების გამო, რომელთა შორის არის აგრესიის აქტების დაგეგმვა, მომზადება და წარმოება, მოწოდება ასეთი აქტების დაგეგმვისა და განხორციელებისაკენ, მასობრივი განადგურების იარაღის დამზადება, შეძენა, შენახვა, გასაღება, გადაზიდვა, **ტრანზიტი** ან გადაგზავნა, გენოციდი, დანაშაული ადამიანურობის წინააღმდეგ, **ეკოციდი**, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების დარღვევა და სხვა სახის დანაშაულები, რომლებიც საერთაშორისო სამართლით არის განსაზღვრული.

don't copy

ტოტალიტარიზმი

მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ტოტალიტარული მთავრობა აცხადებს, თითქოს, ხალხის ნებას წარმოადგენდეს, მათი უმრავლესობა ცდილობს, ხალხი მთავრობის ნებას დაუმორჩილოს. როგორც თავად ტერმინი გულისხმობს, ასეთი მთავრობები ძალაუფლების ტოტალურ კონცენტრაციას ახერხებენ. მათთვის მიუღებელი, დაუშვებელია ნებისმიერი სახის ოპოზიცია. იკრძალება მოსახლეობის პოლიტიკური მიზნებისთვის შეკრება, იზღუდება ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, ტოტალიტარიზმს მოქალაქეთა მიმართ დაუნ-

დობელი რეპრესიული ქმედებები ახასიათებს. აგრესიულია მისი საგარეო პოლიტიკაც, რის გამოც საფრთხეს ქმნის საერთაშორისო დემოკრატიული საზოგადოებისთვის.

ტოტალიტარიზმი – ისეთი პოლიტიკური სისტემა, რომელსაც ადამიანების ცხოვრების ფართო კონტროლი ახასიათებს.

ავტორიტარიზმი

ავტორიტარიზმი უარყოფს საყოველთაო მონაწილეობას ხელისუფლებაში. ავტორიტარული მთავრობა ადამიანების მოთხოვნილებებისადმი არა მხოლოდ გულგრილია, არამედ მას თანამდებობიდან ლიდერების გადაყენების კანონიერი საშუალებებიც კი არ აქვს და ხალხს საკუთარი შეხედულებების მხოლოდ შეზღუდულად გამოხატვის უფლებას თუ აძლევს.

დავალება

აირჩიეთ ერთ-ერთი

1. ნახეთ ფილმი „გზა თავისუფლებისაკენ“- https://bit.ly/3qiLvbv დაწერეთ ესე თემაზე: **მონობა დღეს უკანონოა, მაგრამ სრული თავისუფლებისათვის ბრძოლა ჯერ არ არის მოგებული** (შეადარეთ, რა გზა გაიარეს თავისუფლებისკენ ამერიკელმა სოლომონ ნორტაპმა მე-19 საუკუნეში და კამბოჯელმა ვანაკ ბრუმმა 21-ე საუკუნეში).
2. საერთაშორისო საფრთხეებთან დაკავშირებით სკოლაში ტარდება ადამიანთა ულებების შეზღუდვის წინააღმდეგ მიმართული აქცია. აქციაში მონაწილეობის მისაღებად ამ თემაზე წარადგინე შენი ნამუშევარი: თხზულების, ნახატის, პლაკატის, დასარიგებელი საინფორმაციო ფლაერების, ფოტოების, ვიდეორგოლის, კლიპის, მოთხრობის ან სხვა სახით.
3. თქვენი უფროსი თაობის გამოცდილება სწორედ ტოტალიტარულ სახელმწიფოში ცხოვრებას უკავშირდება. მოაწყვეთ ტოტალიტარიზმის მუზეუმი კლასში, შეგიძლიათ მოიწვიოთ საინტერესო ბიოგრაფიის მქონე ადამიანებიც.

- გამოკითხეთ უფროსები, როგორ ცხოვრობდნენ საბჭოთა სისტემაში? რა უფლებები ეზღუდებოდათ? რას ნიშნავდა კომუნისტური პარტიის წევრობა? რას წერდა მედია?
- მოიძიეთ სახლში ამ რეჟიმის ამსახველი სიმბოლოები – სხვადასხვა ნივთები (ჟურნალ-გაზეთები, ყელსახვევი, სასკოლო ფორმის ტანსაცმელი, ფოტოები ბელადების ძეგლებთან და ასე შემდეგ).

ავტორიტარიზმი – მმართველობის ფორმა, დემოკრატიის საწინააღმდეგო თეორია, რომელიც იცავს მმართველობის იმ ფორმას, რომლის დროსაც არ არის აუცილებელი თანხმობის არსებობა ხელისუფლებას, მის გადაწყვეტილებებსა და საზოგადოებას შორის.

dont copy

რა უნდა ვიცოდეთ ადამიანით ვაჭრობის შესახებ?*

ტრეფიკინგი – აკრძალული საქონლით ვაჭრობა.

ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) მონობის თანამედროვე ფორმაა, რომელშიც ადამიანებს მოტყუების, ძალადობის, მუქარის ან იძულების სხვა ფორმით ითრევენ.

ტრეფიკინგის დროს ადამიანებს ეზღუდებათ:

- დამოუკიდებლობა;
- თავისუფალი გადაადგილებისა და არჩევანის უფლება;
- ხდებიან ფიზიკური, ფსიქოლოგიური ან სექსუალური ძალადობის მსხვერპლნი.

dont copy

* მასალა მომზადებულია მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) მიერ. www: georgia.iom.int/ge

ტრეფიკინგის დანაშაული შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარს მიღმა, ამიტომაც მას **ტრანსნაციონალურ დანაშაულს** უწოდებენ.

იმუშავეთ ჯგუფებში

- გაინაწილეთ ქვემოთ მოცემული სიტუაციები. ჩამოთვალეთ ადამიანების მიმართ განხორციელებული დანაშაულის ნიშნები.
- განსაზღვრეთ, ასახავს თუ არა ეს ისტორიები ადამიანით ვაჭრობის ფაქტებს. რატომ?
- აირჩიეთ მომხსენებელი, რომელიც ჯგუფის ნამუშევარს წარმოადგენს კლასის წინაშე.

სიტუაცია 1

გიორგი ხალხს საზღვარგარეთ სამუშაოდ წასაყვანად აგროვებდა. ის თემურს უცხო ქვეყანაში ქვის დასამუშავებელ კარიერზე მუშაობას შეჰპირდა (თვეში 500 აშშ დოლარი ხალფასით), საცხოვრებლითა და კვებით. ასევე, შესთავაზა რომ მგზავრობის თანხას ასესხებდა. ვალს თემური ხელფასით დაუბრუნებდა. თემური დათანხმდა შეთავაზებულ პირობებს და ექვსკაციან ჯგუფთან ერთად ავტობუსით გაემგზავრა.

საზღვრის გადალახვისთანავე გიორგიმ ექვსივეს პასპორტები გამოართვა. დამსაქმებელმა ისინი შორს, მთიან ადგილას გადაიყვანა. ექვსივე მამაკაცი საცხოვრებლად ვაგონში მოათავსეს. რომ არ შეესვენათ, მთელი დღე ყველას ზედამხედველი აკონტროლებდა, დღეში ერთხელ მცირე ულუფით იკვებებოდნენ, არ ჰქონდათ ტელეფონი. უხელფასოდ მუშაობდნენ გაუსაძლის პირობებში. დამსაქმებელი პოლიციაში დასმენითა და დეპორტაციით იმუქრებოდა. 2 თვის შემდეგ დიდი გაჭირვებით მიაღწიეს პოლიციამდე. პოლიცია საქართველოს საელჩოს დაუკავშირდა. საელჩომ მამაკაცებს დროებითი სამგზავრო დოკუმენტები მოუმზადა და ისინი საქართველოში დააბრუნა.

დეპორტაცია – მიგრანტის გაძევება უცხო ქვეყნიდან სამშობლოში ან სხვა ქვეყანაში.

don't copy

სიტუაცია 2

ლია ბაზარში ცხელ ყავას ყიდდა. ვინმე ნატო მას დროებით სამუშაოსა და უკეთეს ანაზღაურებას შეჰპირდა. ლია შეთავაზებას დათანხმდა. ნატომ ლია საკუთარი მანქანით გადაიყვანა მაღალმთიან სოფელში თავის საცხოვრებელ სახლში. მან ახალგაზრდა ქალი ბოსელში გამოკეტა. სისტემატური ცემით იგი აიძულებდა ლიას, ყოველდღიურად უსასყიდლოდ შეესრულებინა სხვადასხვა სახის მძიმე ფიზიკური სამუშაო. ლიამ ოთხჯერ სცადა გაქცევა, მაგრამ უშედეგოდ. ლიას ექსპლუატაცია რამდენიმე წლის განმავლობაში გაგრძელდა. მისი გათავისუფლება მხოლოდ მაშინ გახდა შესაძლებელი, როცა მწყემსებმა შემთხვევით შეამჩნიეს, როგორ ამწყვდევდა ნატო ლიას ბოსელში, რის შესახებაც პოლიციას აცნობეს.

იმერეთის მეფე სოლომონ I

ეს საინტერესოა

დასავლეთ საქართველოს მთავართა და თავადთა „პირობის წიგნი“, მიცემული 1759 წელს იმერეთის მეფე სოლომონ პირველისადმი ტყვეების სყიდვაზე ხელის აღების შესახებ, არის საქართველოში ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ მიღებული პირველი საკანონმდებლო აქტი: „ესე მტკიცე, შეუცვალებელი... ხელით წერილი მოგართვით თქვენ მეფეს სოლომონს მე დადიანმა კაციამ... ასე რომ ახალციხის ფაშამ ასეთი საშინელი და საზარელი სიტყვა შემოგვითვალა... ტყვეს თუ არ გაყიდით, არ იქნებაო... ახლა ამაზე ასე ერთ-პირობით დაგვიმტკიცებია, რომ სანამდის სული გვიდგას, ეს საქმე ჩუენგან არ იქნების... და არც ამისთანა საშინელი ცოდვა ჩუენგან იქნების. ასე პირობა და სიტყვა მოგვირთმევია ღვთისა და კაცისათვის“...

იმსჯელეთ

- როგორ გგონიათ, როდესაც ტრეფიკინგის მსხვერპლი ქალი ან მამაკაცი ოჯახს და საზოგადოებას დაუბრუნდება, როგორ მიიღებენ მას?
- გაუჭირდება თუ არა მას საზოგადოებაში საკუთარი ადგილის დამკვიდრება? რატომ?
- არის თუ არა ამ მიმართებით განსხვავებული დამოკიდებულება ქალისა და მამაკაცის მიმართ? რატომ?

ტრეფიკინგი და მოდა

dont copy

შრომითი და ამავდროულად სექსუალური ექსპლუატაციის ფორმით გამოხატული ტრეფიკინგის დანაშაული ხშირია სამოდელო ინდუსტრიაში. ყველაზე გავრცელებულია ყალბი სამოდელო სააგენტოების გამოყენება მსხვერპლთა გადაბირებისა და შემდგომში სექსუალური ექსპლუატაციისთვის. ისინი მსხვერპლს იზიდავენ:

- ინტერნეტსივრცეში გავრცელებული მიმზიდველი სარეკლამო განცხადებებით;
- ისინი გადაჰყავთ ძირითადად აშშ-სა და არაბეთის ქვეყნებში და უწევენ სექსუალურ ექსპლუატაციას.

სამოდელო სააგენტოები ბევრ ქვეყანაში უშუალოდ თვითონ ეწევიან მოდელების, მათ შორის არასრულწლოვნების, ექსპლუატაციას. ისინი ასევე იზიდავენ თინეიჯერ გოგონებს, ათავსებენ მათ სააგენტოების კუთვნილ აპარტამენტებში და უზღუდავენ თავისუფლებას. მათი შემოსავალი ბევრად ნაკლებია მოდელის ანაზღაურებაზე. მიუხედავად იმისა, რომ მათ აქვთ თავისუფლება, ისინი შეზღუდულები არიან სააგენტოსთან დადებული ხელშეკრულებებით. ხელშეკრულება მათ სავალალო კაბალაში აქცევს და ისინი იძულებულნი ხდებიან, დაემორჩილონ სააგენტოებს.

მიღებულია ევროპის საბჭოს მიერ

2008 წლის 1 თებერვალს შევიდა ძალაში **„ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის ევროპის საბჭოს კონვენცია“,** რომელიც ავალდებულებს სახელმწიფოებს იმ ღონისძიებების გატარებას, რომლებიც თავიდან აგვაცილებს ადამიანებით ვაჭრობის შემთხვევებს, დაიცავს ტრეფიკინგის მსხვერპლს და უზრუნველყოფს ადამიანებით მოვაჭრეთა სამართლებრივ დევნას.

კონვენციაში ნათქვამია, რომ ტრეფიკინგი მთელს მსოფლიოში გავრცელებული მოვლენაა, რომელსაც არ გააჩნია საზღვრები. სწორედ ამიტომ, იგი აქტუალურია მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნისათვის და ნებისმიერ ქვეყანას შეუძლია მასთან შეერთება.

საქართველო ევროპის საბჭოს ამ დოკუმენტის რატიფიცირებით ევროპული კონვენციის მონაწილე რიგით მეხუთე სახელმწიფო გახდა.



dont copy

2007 წელს ევროპის საბჭომ მიიღო **ევროპის საბჭოს კონვენცია სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის შესახებ.** კონვენცია მიმართულია ბავშვთა პორნოგრაფიისა და პროსტიტუციის, ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის ყველა ფორმის წინააღმდეგ. გაცხადდა, რომ როგორც ბავშვთა, ისე დანაშაულის ჩამდენთა მხრიდან საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით გაძლიერებული სარგებლობის გამო აღნიშნული დანაშაულების პრევენცია და მის წინააღმდეგ ბრძოლა საერთაშორისო თანამშრომლობას მოითხოვს. საქართველომ ამ კონვენციის რატიფიცირება მოახდინა 2014 წელს და ძალაშია 2015 წლიდან.

მიღებულია საქართველოს მთავრობის მიერ

2006 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო **კანონი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ**, რომლის მიზანია, ხელი შეუწყოს ადამიანით ვაჭრობის თავიდან აცილებასა და მის წინააღმდეგ ბრძოლას ტრეფიკინგის მსხვერპლთა უფლებების დაცვით. განსაკუთრებით მკაცრია ჩვენი ქვეყნის კანონმდებლობა არასრულწლოვანთა მიმართ ტრეფიკინგის დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში.

? რას სთავაზობს სახელმწიფო ტრეფიკინგის მსხვერპლს?

საქართველოში ტრეფიკინგის მსხვერპლად და დაზარალებულად აღიარებული პირი სარგებლობს სახელმწიფოს განსაკუთრებული მფარველობით. საქართველოში შექმნილია სახელმწიფო ზრუნვის, ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო.

მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების მიზნით, საქართველოში შექმნილია სახელმწიფო ფონდი და გახსნილია თავშესაფრები. საქართველოში ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლა განსაზღვრულია ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის სამოქმედო გეგმით.

სახელმწიფო ტრეფიკინგის მსხვერპლს სთავაზობს:

- თავშესაფრის მომსახურებას (3 თვემდე ვადით);
- ფსიქოლოგიურ-სოციალური რეაბილიტაციას;
- სამედიცინო მომსახურების ორგანიზებას/მიღებას;
- სამართლებრივი დახმარებას;
- ერთჯერადი კომპენსაციას;
- საჭიროების შემთხვევაში, თარჯიმნის მომსახურებას.

don't copy

ხმა მიაწვდინე მათ! „სახელმწიფო ზრუნვის, ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო“ – ცხელი ხაზი 116 006

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის სამოქმედო გეგმა შემუშავდა საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციების გათვალისწინებით. სამოქმედო გეგმა ეყრდნობა იმ ძირითად პრინციპებს, რომლებიცაა, ადამიანით ვაჭრობის პრევენცია, მსხვერპლთა და დაზარალებულთა დაცვა და დახმარება, ტრეფიკინგის დანაშაულზე ეფექტური სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოება და სახელმწიფო ორგანოების თანამშრომლობა ადგილობრივ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან. სამოქმედო გეგმაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, ასევე, ტრეფიკინგის პოლიტიკის განვითარებასა და ტრეფიკინგთან ბრძოლის კუთხით მომუშავე პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებას.

იმსჯელეთ

გაეცანით ლენას ისტორიას. უპასუხეთ კითხვებს:

- რა ტიპის ძალადობა ხორციელდებოდა ლენას მიმართ?
- თქვენი აზრით, რადგანაც მას შრომით ექსპლუატაციას უწევდნენ, შეიძლება ლენა ჩაითვალოს ტრეფიკინგის მსვერპლად?
- რა საფრთხეები ელოდებოდა ლენას, თუ ის ღამით ქუჩაში ყოფნას გააგრძელებდა?
- ვინ და როგორ აარიდა ეს საფრთხეები ლენას?
- რა გააკეთა საზოგადოებამ? რა გააკეთა სახელმწიფომ?
- რა შედეგი დადგა ერთობლივი ზრუნვის პირობებში?

ლენას ისტორია

რვა წლის ლენა მარჯანიშვილის ქუჩაზე დახმარებას ითხოვდა. მამა გარდაცვლილი ჰყავდა, დედა ავად იყო. იმავე უბანში, იტალიურ ეზოში ერთი პაწაწინა ოთახი ჰქონდათ დაქირავებული. ლენას ყოველდღიურად ქირის, პურისა და დედის წამლის ფული უნდა ეშოვა. ზუსტად იცოდა, დღეში რამდენი სჭირდებოდა. თუ ცოტა მეტს მოაგროვებდა, პურს სხვა საჭმელსაც უმატებდა.

ლენას დედა გარდაეცვალა. მასზე მეურვეობა იმ ოჯახმა იკისრა, ვისგანაც ბინა ჰქონდათ ნაქირავები. ლენას გულშემატკივრებს გაუხარდათ, ბავშვს პატრონი გამოუჩნდაო. ამ პატარა გოგოს ახლომახლო ყველა იცნობდა და ყველას უყვარდა.

ერთ დღესაც იქვე მდებარე რედაქციაში, რომელმაც ლენაზე წერილიც გამოაქვეყნა, ორი შეწუხებული გარემოვაჭრე ქალბატონი მივიდა: – მეურვე ოჯახი ლენას ღამით რესტორნებთან მათხოვრობას აიძულებს და იქნებ უშველოთ რამე, სანამ უარესს არ დამართებენ და სულ დაღუპავენ ბავშვსო.

რედაქციამ შესაბამის სამსახურს მიაწოდა ინფორმაცია, იმათ გადაამოწმეს სიტუაცია, გოგონა „მზრუნველებისგან“ წამოიყვანეს და შესაბამისი პროცედურების გავლით სხვა მიმღებ ოჯახში დააბინავეს.

ლენა გაიზარდა, ხელობაც ისწავლა და ოჯახიც შექმნა. ის ახლა ძალიან ყურადღებიანი და მზრუნველი დედაა.

საფრთხე ერთი შეხედვით უხილავია

don't copy

შრომითი ექსპლუატაცია – პირის გამოყენება იძულებითი შრომისათვის ან მომსახურებისათვის, მისი დანაშაულებრივ და სხვა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში, ქუჩის მათხოვრობაში და/ან პროსტიტუციაში ჩაბმა, მონობის მსგავს მდგომარეობაში ან მონობის თანამედროვე პირობებში ჩაყენება.

ადამიანით ვაჭრობის საფრთხე მკვეთრად დიდია ეკონომიკურად და სოციალურად დაუცველი ადამიანებისათვის, როგორც საკუთარ სამშობლოში, ასევე ქვეყნის საზღვრებს გარეთ. უმუშევრობა, განათლების დაბალი დონე და საზღვარგარეთ უკანონოდ დამკვიდრებისათვის მზადყოფნა, ბუნებრივია, ზრდის ადამიანით ვაჭრობის საფრთხეს. სწორედ „კარგი ანაზღაურებისა“ და „უკეთესი ცხოვრების“, ასევე, სხვადასხვა სამუშაოს შეთავაზებით გაჰყავთ მოვაჭრეებს ადამიანები საზღვარგარეთ და ექსპლუატაციას უწევენ მათ.

იმუშავეთ ჯგუფებში

მითითებები I ჯგუფისთვის

შექმენით ადამიანთა ვაჭრობის მსხვერპლი მამაკაცის პორტრეტი. მიუთითეთ მისი ასაკი, განათლება, პროფესია, ოჯახური მდგომარეობა, საცხოვრებელი ადგილი, ხასიათის თვისებები.

მითითებები II ჯგუფისთვის

შექმენით ადამიანთა ვაჭრობის მსხვერპლი ქალის პორტრეტი. მიუთითეთ მისი ასაკი, განათლება, პროფესია, ოჯახური მდგომარეობა, საცხოვრებელი ადგილი, ხასიათის თვისებები.

მითითებები III ჯგუფისთვის

შექმენით ადამიანთა ვაჭრობის მსხვერპლი ბავშვის პორტრეტი. მიუთითეთ მისი ასაკი, განათლება, პროფესია, ოჯახური მდგომარეობა, საცხოვრებელი ადგილი, ხასიათის თვისებები (გაითვალისწინეთ, რომ ბავშვი ნიშნავს 18 წლამდე ასაკის პირს).

აირჩიეთ მომხსენებელი, რომელიც ჯგუფის ნამუშევარს წარადგენს კლასის წინაშე.

dont copy

ეს საინტერესოა

აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი სახელმწიფოების მიერ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) პრევენციის, მსხვერპლთა და დაზარალებულთა დაცვის, გამოძიების მაჩვენებლის, დამნაშავეთა სისხლის სამართლებრივი დევნის, მთავრობებსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის პარტნიორობის მიმართულებით შესრულებულ სამუშაოებს ყოველწლიურად 190 ქვეყანაში აფასებს. აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის 2020 წლის ანგარიშით, საქართველო კვლავ მოხვდა ტრეფიკინგის წინააღმდეგ მებრძოლი ქვეყნების შეფასების უმაღლეს საფეხურზე, რაც ნიშნავს, რომ საქართველოს მთავრობა სრულად აკმაყოფილებს ტრეფიკინგის აღმოფხვრისთვის დადგენილ მინიმალურ სტანდარტებს. საქართველოში ტრეფიკინგთან ბრძოლაში სახელმწიფო სტრუქტურებთან ერთად აქტიურად მონაწილეობენ საერთაშორისო ორგანიზაციები და სამოქალაქო საზოგადოება. მეტი ინფორმაციისთვის იხ. ბმული: https://georgia.iom.int/ge/

იმუშავეთ ჯგუფებში



დაფიქრდით, რა შეიძლება გააკეთოს ტრეფიკინგის პრევენციისა და შემცირებისთვის სამოქალაქო საზოგადოებამ, მოქალაქემ? რა შეგიძლია გააკეთო შენ?

ა) გადახაზეთ მოცემული სქემა რვეულში, შეავსეთ მისი სექტორები თქვენი მოსაზრებებით, სასურველია, ამ მოსაზრებებზე პიქტოგრამების დართვაც.

ბ) შეაჯერეთ თქვენი მოსაზრებები და წარუდგინეთ კლასს.

გ) შექმენით საკლასო სქემა, გააფორმეთ ვიზუალურად და გამოაკარით კლასში ან სკოლის დერეფანში.

პიქტოგრამა – პირობითი ნიშანი, ნახატი, აზრის გამოხატვის უძველესი საშუალება.

დავალება

აირჩიეთ ერთ-ერთი.

1 მოამზადეთ პლაკატი ტრეფიკინგის თემაზე. მოიფიქრეთ კონცეფცია:

- როგორი იქნება ამ პლაკატის ძირითადი საინფორმაციო გზავნილი – სლოგანი?
- როგორი იქნება ფოტოს ან ნახატის ძირითადი იდეა?

2 იხილეთ სასწავლო ფილმი: https://bit.ly/3jHx5iP

უპასუხეთ სასწავლო ფილმში გადაბირების თემაზე დასმულ შეკითხვებს. დაასრულე ფილმის რომელიმე გმირის ისტორია.

dont copy

სასარგებლო რესურსი

- https://bit.ly/3afaQ0D
- კანონი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ http://bit.ly/3saDiqA

საკითხი: მიგრაციის თანამედროვე გამოწვევები

ყურადღება!

კომპლექსური დავალება

კომპლექსური დავალების პირობა

შენს მეგობარს ძალიან სურს, რომ ოჯახს ფინანსური პრობლემების გადაწყვეტაში დაეხმაროს და ევროპაში სამუშაოდ წასვლა გადაწყვიტა. შენ იცი, რა რისკების შემცველია არალეგალური მიგრანტობა. ახსნამ და კამათმა მას აზრი ვერ შეაცვლევინა, მაგრამ შენთან შეხვედრებს თავს არიდებს.

შეიცვალე სტრატეგია, მოამზადე **წერილი/რამდენიმე სცენიანი კომიქსი**, რომელშიც სათქმელს მშვიდად და დამაჯერებლად აუხსნი.

კომიქსში/კომიქსის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინე:

- რა სირთულეებთან იქნება დაკავშირებული არალეგალის ყოფნა, როცა პრობლემების პირისპირ (ენის ბარიერი, ახლობლებისგან მოწყვეტა, შფოთვა, მძიმე სამუშაო...) აღმოჩნდება?
- რა რისკები შეიძლება შეექმნას მის ღირსებას, ღირებულებებს უკანონო მიგრაციაში და როგორ იმოქმედებს ეს მასზე, მის ოჯახზე?
- კანონიერ ინსტიტუციებთან (მიგრაციის თემაზე მომუშავე ორგანიზაციებთან) თანამშრომლობა, როგორც შესაძლებლობის გაზრდისა და რისკების შემცირების გზა.

dont copy

პრეზენტაციის შემდეგ ისაუბრე:

რა სტრატეგიები გამოიყენე/რა ნაბიჯები გადადგი დავალებაზე მუშაობის სხვადასხვა ეტაპზე; რას გააკეთებდი განსხვავებულად, ხელახლა რომ იწყებდე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობას.

მიგრაცია ლათინური სიტყვაა (Migratio) და ნიშნავს გადასახლებას. ადამიანები უხსოვარ დროშიც იცვლიდნენ საცხოვრებელ ადგილს. მიგრაციის ფორმები, საშუალებები, ხერხები იცვლებოდა და იღებდა განსხვავებულ სახეს. რაც დრო გადის, ქვეყნებს შორის საზღვრები უფრო და უფრო უხილავი ხდება. გლობალიზაციის ეპოქაში კი, თანდათან იზრდება მიგრაციის მოსურნეთა რიცხვი. ბოლო პერიოდის განმავლობაში მთელს მსოფლიოში საგრძნობლად გაიზარდა მიგრაცია.

კანონიერი (ლეგალური) **მიგრაცია** – უცხო ქვეყანაში შესვლა და ყოფნა კანონიერი არხებით.

არალეგალური მიგრაცია – ტრეფიკინგის საფუძველი

უკანონო (არალეგალური) მიგრაციის შემთხვევაში ტრეფიკინგის მსხვერპლად გახდომის საფრთხე უფრო მაღალია. უკანონო მიგრაცია, ტრეფიკინგი და მასთან დაკავშირებული სირთულეები გლობალური პრობლემაა, რომელიც საქართველოსთვისაც აქტუალურია. ძალიან ხშირად საზღვარგარეთ გამგზავრების მსურველები არ იცნობენ კანონიერი მიგრაციის მათთვის ხელმისაწვდომ შესაძლებლობებს და, მეტწილად, უკანონო გზებით ცდილობენ უცხოეთში დამკვიდრებას, რაც რისკებთან არის დაკავშირებული. საპასუხისმგებლო ნაბიჯია და ვინც გადაწყვეტს, გადადგას ეს ნაბიჯი, კარგად უნდა გაეცნოს მიმღებ ქვეყანაში შესვლის, ყოფნისა და, მიგრაციის მიზნებიდან გამომდინარე (სწავლა, მუშაობა, მუდმივად ცხოვრება), ყველა აუცილებელ წესს, რომ შეძლოს საკუთარი უფლებების დაცვა და მიაღწიოს წარმატებას. მნიშვნელოვანია დანიშნულების ქვეყნის ენის ცოდნა.

უკანონო (არალეგალური) **მიგრაცია** – გამგზავნ, ტრანზიტისა და მიმღებ ქვეყნებში გადაადგილება და ყოფნა კანონების დარღვევით.

? რა საფრთხე ახლავს უკანონო მიგრაციას?

don't copy

უკანონო მიგრანტებს უჭირთ დასაქმება; მათ აქვთ იმედგაცრუება, ფინანსური ზარალი; შეუსაბამო სამუშაო და საცხოვრებელი პირობები; დაბალი ხელფასი ან მუშაობა ანაზღაურების გარეშე; ადამიანით მოვაჭრეების ხელში ჩავარდნა; უკანონო მიგრანტები ვერ მიმართავენ საკანონმდებლო ორგანოებს; მიგრაცია დაკავებითა და დეპორტაციით სრულდება.

გახსოვდეს!

- უცხოეთში კანონიერად მუშაობისათვის სამუშაო ვიზა გჭირდება. ვიზის მისაღებად უცხოელმა დამსაქმებელმა შენთვის მუშაობის ნებართვა უნდა აიღოს თავისი ქვეყნის შესაბამის უწყებაში და გამოგიგზავნოს გამგზავრებამდე;
- ევროკავშირში უვიზოდ ან სხვა ქვეყნებში ტურისტული ვიზით შესვლა არ გაძლევს მუშაობის უფლებას!
- უვიზო მიმოსვლა გაძლევს შანსს აირჩიო უსაფრთხო, კანონიერი მიგრაციის გზები. რა მიზნითაც არ უნდა აპირებდე გამგზავრებას, დაგეგმე შენი მოგზაურობა და იყავი ინფორმირებული.

იმსჯელეთ

ქვემოთ ჩამოთვლილი რისკ-ფაქტორებიდან რომელია აქტუალური საქართველოში? რატომ? შეგიძლიათ დაამატოთ სხვა რისკ-ფაქტორები.

- საზღვარგარეთ სწავლის, მუშაობის, დამკვიდრების რეალური შესაძლებლობის შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა;
- რთული ეკონომიკური ვითარების ფონზე ახალგაზრდების მზარდი უმუშევრობა და პროფესიული განათლების მქონე ახალგაზრდების დასაქმების პრობლემა მცირე სამუშაო გამოცდილების გამო;
- წინააღმდეგობა ახალგაზრდების მოთხოვნებსა და მათ შესაძლებლობებს შორის. უცხოეთში ცხოვრებას ისე მიმზიდველად წარმოაჩენს, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება;
- ახალგაზრდობა ნაკლებადაა ინფორმირებული იმ საფრთხის შესახებ, რომელიც დაკავშირებულია საზღვარგარეთ სამუშაოდ უკანონოდ გამგზავრებასთან;
- მოქალაქეები ნაკლებად ერევიან სხვის საქმეში მაშინ, როდესაც სამართალდამცავ ორგანოებში განცხადებით შეუძლიათ დაიცვან ტრეფიკინგის მსხვერპლი.

dont copy

ლეგალური მიგრაცია

ახალგაზრდებისათვის საზღვარგარეთ სწავლის, გაცვლით პროგრამებში და სხვადასხვა პროექტში მონაწილეობა სულ უფრო ხელმისაწვდომი ხდება: საჯარო სკოლებში 12-წლიანმა სწავლებამ შესაძლებელი გახადა სკოლის დამთავრებისთანავე უცხოეთის კერძო თუ სახელმწიფო უნივერსიტეტებში, კოლეჯებში სწავლის გაგრძელება; ასევე ხელმისაწვდომია მაგისტრატურა, დოქტორანტურა; ენის შემსწავლელი კურსები; სხვადასხვა მიმართულებით სტაჟირება; სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისათვის პროგრამები; სასურველია ასეთი პროგრამები სხვადასხვა სტიპენდიის ხელშეწყობით განხორციელდეს.

გახსოვდეს

- ყველა უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე არის შესაძლებელი ინფორმაციის მოძიება უნივერსიტეტში ჩაბარების მსურველებისთვის. ამისთვის ასევე საჭიროა აპლიკაციის შევსებაც (ეს შესაძლებელია ონლაინფორმატშიც) და საკონტაქტო მონაცემების მითითებაც.
- ბევრი უნივერსიტეტი, საელჩო, ფონდი და საქართველოს მთავრობა სთავაზობს სწავლის მსურველებს სხვადასხვა სტიპენდიას. სასურველია უნივერსიტეტის შერჩევისას ასევე მოიძებნოს სტიპენდიის მიღების შესაძლებლობაც. ინფორმაციის მიღება სტიპენდიების შესახებ შესაძლებელია უცხო ქვეყნის საელჩოების ვებგვერდებზე, ასევე საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ვებგვერდზე.
- თუ საგრანტო პროგრამასა და სტიპენდიასთან ერთად დაგიფინანსებენ საცხოვრებელსაც, მაშინ მოახერხებ სრულად დაუთმოთ დრო სასწავლო პროცესს.

ევროკავშირის ქვეყნებში სამ თვეზე მეტი ხანგრძლივობით სწავლის შემთხვევაში სასწავლო ვიზაა საჭირო.

ლეგალური მიგრაციის მაგალითი.

„პროფესიონალი მზარეული ვარ. ინტერნეტის მეშვეობით ინგლისში ქართულ რესტორანში მზარეულის ვაკანსია ვიპოვე. დამსაქმებელს დავუკავშირდი, ჩემი კვალიფიკაციის და გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტები გადავუგზავნე. ნებართვის მოლოდინში ენას ვსწავლობდი. მართალია, 4 თვე დასჭირდა ჩემთვის სამუშაო ნებართვის მიღებას, რომელიც საელჩოში სხვა დოკუმენტებთან ერთად წარვადგინე. მაგრამ ვიზა მივიღე ჩემთვის, ცოლისა და შვილისათვის... კონტრაქტს ვაგრძელებ და უკვე მესამე წელია ვმუშაობ...“ ნიკოლოზი, 46 წლის.

როგორც შრომითი მიგრანტის ამ ისტორიიდან ჩანს, საქართველოს მოქალაქეს უცხოეთში კანონიერად დასაქმებისთვის ესაჭიროება სამუშაო ვიზა, რომელიც გაიცემა შესაბამისი ქვეყნის საელჩოში. ეს საკმაოდ რთული პროცესია და განაცხადის გაკეთება ამ ვიზაზე შესაძლებელია მაშინ, როცა სხვა აუცილებელ დოკუმენტებთან ერთად წარვადგენთ შრომის ნებართვას. პოტენციურ შრომით მიგრანტს სამუშაო კონტრაქტის შეთანხმების შემდეგ მიმღები ქვეყნის შესაბამის სახელმწიფო უწყებაში შრომის ნებართვის აღება მოეთხოვება. ეს საკმაოდ რთული პროცესია და, როგორც წესი, კვალიფიკაციური მუშახელის დასაქმებაზეა ორიენტირებული.

don't copy

? რა უნდა ვიცოდეთ საზღვარგარეთ გამგზავრებამდე?

თუ საზღვარგარეთ წასვლა გადაწყვიტე:
ობიექტურად განსაზღვრე შენი შესაძლებლობები. დარწმუნდი შემოთავაზების სანდოობაში. დათანხმდი მხოლოდ კანონიერ შემოთავაზებას. გამოიჩინე წინდახედულება, მიიღე სანდო ინფორმაცია კანონიერი შესაძლებლობების შესახებ.

კონსტიტუციის მიხედვით, „საქართველო მფარველობს თავის მოქალაქეს განურჩევლად მისი ადგილსამყოფლისა.“

რეადმისია – მხარეთა ვალდებულება დაიბრუნონ უცხო ქვეყანებში უკანონოდ მცხოვრები საკუთარი მოქალაქეები.

რეინტეგრაცია – მიგრანტების ხელახალ ჩართვა წარმოშობის ქვეყნის საზოგადოებაში.

თუ უცხო ქვეყანაში რთულ სიტუაციაში მოხვდი: ჩამოგართვეს პასპორტი, გიზღუდავენ გადაადგილებას და ოჯახთან კონტაქტს, მუქარით ან შანტაჟით გაიძულებენ რაიმეს კეთებას მცირე ანაზღაურების სანაცვლოდ ან ანაზღაურების გარეშე, გემუქრებიან, გაშინებენ პოლიციაში დასმენითა და დეპორტაციით, არ შეეგუო ღირსების შემლახველ მდგომარეობას! დახმარებისათვის მიმართე შენი ქვეყნის საელჩოს, საკონსულოს, ადგილობრივ ხელისუფლებას, პოლიციას, ეკლესიას, არასამთავრობო ორგანიზაციებს;

ინერტულობის, პასიურობის შემთხვევაში, ადამიანის უფლებათადამცველი ორგანიზაციების საქმიანობა არაეფექტურია. ხშირად მსხვერპლი თავად იჭრის დახმარების მიღების გზას, რითაც უხანგრძლივებს დამნაშავეს თავისი დანაშაულებრივი ქმედებების ვადას.

მსოფლიოში არაკანონიერ მიგრაციასთან ბრძოლა სულ უფრო აქტუალურს ხდის **რეადმისიის** მოთხოვნების აღსრულების პროცესს. ამ პროცესის პარალელურად, მოქმედებს სამშობლოში დაბრუნებულ უკანონო მიგრანტთა **რეინტეგრაციის** პროგრამები.

მიგრაცია – შესაძლებლობები და გამოწვევები საქართველოსთვის

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველომ დაიწყო ეტაპობრივი ინტეგრაცია მსოფლიო მიგრაციულ სისტემაში. დღეისათვის ქართველ მიგრანტთა ჯგუფები ცხოვრობენ და მიემართებიან მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში.

dont copy

მიგრაცია სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე გავლენას ახდენს სხვადასხვა დონეზე (ეროვნული/რეგიონული) და სხვადასხვა სფეროში (ბიზნესი, კულტურა, განათლება). მიგრაციის დადებითი ეფექტების გამოყენებისთვის სპეციფიკური სახელმწიფო პროგრამების და პოლიტიკის შემუშავება სულ უფრო აქტუალური ხდება საერთაშორისო დონეზე.

საერთაშორისო ორგანიზაციები და ფორუმები, როგორებიცაა გაერო, მსოფლიო ბანკი, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია, (IOM) მიგრაციის და განვითარების გლობალური ფორუმი, გაერო-ს გლობალური განვითარების დღის წესრიგი 2030 და სხვები, მოუწოდებენ და ეხმარებიან ქვეყნებს, რომ გაითვალისწინონ მიგრაციის პოტენციალი მიგრაციის თუ სხვა პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელებისას.

ეს საინტერესოა

2014 წლის აღწერის მონაცემების მიხედვით, საქართველოს მოსახლეობა 3 778.5 ადამიანს შეადგენს, აქედან 1 778.5 კაცია, 1 951.0 ქალი. არაოფიციალური სტატისტიკით, მიგრანტების რაოდენობა 1 200 000 ადამიანია, ამათგან 57% ქალია.

შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა კავშირის ქვეყნების გარდა ემიგრაციის პირველი „ნამდვილი" უცხო ქვეყანა თურქეთი იყო. თურქეთს შემდეგში საბერძნეთი მიემატა, მოგვიანებით – ევროპის სხვა ქვეყნები და ჩრდილო ამერიკა.

მსოფლიო ბანკის კვლევების მიხედვით (2017წ), ოფიციალური არხებით ემიგრანტების გამოგზავნილი თანხა მთლიანი გზავნილების მოცულობის 60-70%-ს შეადგენს. შესაბამისად, გზავნილების საერაუდო ჯამური მოცულობა 2 მლრდ. დოლარამდეც კი შეიძლება აღწევდეს.

ზემოთ ჩამოთვლილ ქვეყნებში ძალიან მცირეა პროფესიული საქმიანობით დაკავებულ ლეგალურად მომუშავე მიგრანტთა რიცხვი. ამის მიზეზი უცხოეთის ქვეყნების საკმაოდ მკაცრი შრომის კანონმდებლობაა სხვა მნიშვნელოვან მიზეზებთან ერთად. აღსანიშნავია, მაგალითად, ჩვენი მიგრანტების შეუსაბამო კალიფიკაცია, კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტების უქონლობა, ემიგრაციის ქვეყნის ენის უცოდინრობა, კანონიერი დასაქმების შესაძლებლობების შესახებ არასაკმარისი ინფორმაცია და სხვა. ამ მიზეზებით შეიძლება აიხსნას მიგრაციის უმეტესწილად არალეგალური ხასიათიც და ემიგრანტთა არალეგალური შრომითი საქმიანობაც.

don't copy

საქართველოს ხელისუფლების ერთ-ერთი პრიორიტეტია საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქეების დაბრუნების წახალისება და დაბრუნებული მიგრანტების რეინტეგრაციის ხელშეწყობა. დღეს საქართველოში მოქმედი რეინტეგრაციის სპეციალური პროგრამების დიდი ნაწილი მხოლოდ საზღვარგარეთ არალეგალურად მყოფი პირების საქართველოში დაბრუნებასა და მათ შემდგომ რეინტეგრაციაზეა ორიენტირებული. თუმცა, ქვეყნის განვითარებისთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია საზღვარგარეთ ლეგალურად მყოფი საქართველოს მოქალაქეების განათლების მიღების შემდეგ დაბრუნება და მათი რეინტეგრაცია.

ინტელექტის გადინება აფერხებს ქვეყნების განვითარებას. თუმცა, ემიგრანტების მიერ საზღვარგარეთ მიღებული განათლების და კვალიფიკაციის მიმღები ქვეყნისკენ მიმართვა და ამ პოტენციალის ეფექტიანი გამოყენება შეიძლება მნიშვნელოვანი წამახალისებელი ძალა იყოს ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის. ქვეყანაში შემოსული უცხოელები წარმოადგენენ მნიშვნელოვან ადამიანურ, ინტელექტუალურ თუ ფინანსურ რესურსს მიმღები ქვეყნის ეკონომიკისთვის.

დებატები

გაიყავით სამ ჯგუფად, ერთმა ჯგუფმა დაიცვას რეზოლუციის მტკიცებითი პოზიცია, მეორემ უარმყოფელი. მესამე ჯგუფი იქნება დამკვირვებლების.

რეზოლუცია „მიგრაციას საქართველოსთვის დადებით შედეგები მოაქვს.“

დებატების შემდეგ გამართეთ დისკუსია.

დავალება

თუ თქვენი ოჯახის წევრმა/ახლობელმა გადაწყვიტა საზღვარგარეთ მუშაობის დაწყება ან სწავლის გაგრძელება. მოიფიქრეთ და დაწერეთ ის ძირითადი რჩევები, რა უნდა გააკეთოს მან გამგზავრებამდე, რომ არ გახდეს არალეგალური მიგრანტი.

სასარგებლო რესურსები

- ტრეფიკინგის პრევენცია https://bit.ly/3ah7SZa
- ვიდეორგოლი რა არის მიგრაცია – უსაფრთხო მიგრაცია: https://bit.ly/3pem49J
- ლეგალური ემიგრაციის გზამკვლევი https://bit.ly/3tTdXmv
- ინფორმაცია სასწავლო პრობრამებისა და სტიპენდიების შესახებ: https://bit.ly/3pgyldC
- ინფორმაცია დაბრუნებული მიგრანტების შესახებ https://bit.ly/3pgz3aM
- მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის რესურცენტრების შესახებ IOM https://bit.ly/3tMAelU
- საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო https://bit.ly/3dfN5XQ

don't copy

დევნილები

საქართველოს კანონმდებლობით, დევნილად ცნობა, მისი სტატუსი და უფლება-მოვალეობანი განსაზღვრულია საქართველოს 1996 წლის 28 ივნისის კანონით „იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა შესახებ“. ამჟამად ქვეყანაში გვყავს აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან დევნილი 273411 ადამიანი.

დევნილი – ქვეყნის მოქალაქე ან საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც იძულებული გახდა დაეტოვებინა მუდმივი საცხოვრებელიადგილი და გადაადგილებულიყო ქვეყნის ფარგლებში იმ მიზნით, რომ საფრთხე შეექმნა მას ან მისი ოჯახის წევრების სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან თავისუფლებას უცხო ქვეყნის აგრესიის, შიდა კონფლიქტის ან ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის გამო.

დევნილობის სევდა

გამარჯობა, თედო. როგორ ხარ ბიჭო? სულ გეძებ, რაც სოფლიდან წამოვედით და აი, გიპოვე. ისე გაზრდილხარ, ვერც კი გიცნობდი სადმე რომ შემხვედროდი. სულ მახსოვხართ შენ და თათია. მომწერეთ თქვენი ამბები.

ჩვენ სახლი მოგვცეს და იქ ვცხოვრობთ. ჩემი სახლივით დიდი არ არის, მაგრამ ვეტევით. ყველაფერი გვაქვს თითქოს, მაგრამ მაინც ჩემი სახლი მენატრება. სულ თვალწინ მიდგას, ნოდარას ბაღიდან რომ დავდიოდით სკოლაში; რა ოინებს ვუწყობდით ხოლმე მიტო პაპას. გახსოვს, ზაზა ბიძია ცხენით რომ გვასეირნებდა? სიკვდილის შემდეგ გმირის წოდება მიანიჭეს. მის მოსახსენიებლად გმირთა სასაფლაოზე მივყავართ ხოლმე მამას მე და მისი შვილები. ცურვაზე სიარულის თანხას მე და ჩემს დას სახელმწიფო კი გვიხდის, მაგრამ მაინც ჩვენს მდინარეში ცურვა მირჩევნია. იქაური ყველაფერი ძალიან მენატრება. ხშირად ალში გახვეული ჩვენი სოფელი მესიზმრება და მრცხვენია თქმა, მაგრამ ტირილით ვიღვიძებ.

ვიცი, რომ ჩემი სახლიც გადარჩა და შენიც. მამა ამბობს, რომ აუცილებლად დავბრუნდებით და ყველაფერი დროის საკითხია. უკვე სტუდენტი ვარ. მშენებელი მინდა გამოვიდე. რომ ჩავალთ, მეზობლებს სულ ლამაზ-ლამაზი სახლები უნდა ავუშენო. მიტო პაპასაც ისეთი ლობე უნდა გავუკეთო, ბოჩოლები რომ ვეღარ გაეპაროს.

აღარ დაიკარგო, ბიჭო! კლასელებიდან ვინმე თუ მოძებნე? შენ რა პროფესია აირჩიე? მომიკითხე შენები. მიყვარხართ და მენატრებით. სანდა.

„...დევნილი, გაძევებული, გაგდებული... გაცილებით აუტანელი კი ის განცდა ყოფილა, მიცვალებული რომ ატარებს ამ სახელს, მიცვალებული-დევნილი, რომელსაც საიმედო და სანუგეშო არაფერი მიჰყვება თან, რომელსაც უმძიმესი ხვედრი: მშობლიური სახლ-კარისგან შორს, სხვის კარზე სულის ამოხდომა და ახლობელ-ნათესავთაგან დაუტირებლად საფლავში ჩასვლა არგუნა ბედისწერამ...

...დღეს ყველაფერი, რაც აფხაზეთს უკავშირდება, ტრაგიკულად აღიქმება, მაგრამ ამ ტრაგედიას უფრო ამძაფრებს გაზაფხული, რომელსაც სხვაგან ხვდები, როცა უსაშველოდ გენატრება შენს ბაღვენახსა თუ ბოსტანში მოსული გაზაფხული... აქ უკვე სხლავენ ვაზს, იქ კი შენი ვაზი გაუსხლავი დახვდება გაზაფხულს, აქ უკვე ბარავენ, იქ

წუხელ ბავშვი ვიყავ, კვლავ პატარა,
ეს რა ღამე იყო,
დალოცვილი,
ნეტა ჩემს ეზოში
გამატარა,
კედლებს სათითაოდ დავკოცნიდი!

დავით ახლოური,
ქსნის ხეობა

don't copy

კი შენს ეზოს უკვე მოედო სარეველები. აქ უკვე დათესვის სამზადისს შეუდგნენ, იქ კი შენი მიწა ამაოდ დაელოდება თესლს. იქ მალე თავის ბუდეს მოაკითხავს მერცხალი, შენს ბუდეს კი მოშლიან ან დაიჩემებენ...“

ნატო კორსანტია, წიგნიდან „წართმეული ხმები“

....აფხაზეთის ომმა, რომელიც 13 თვეს და 13 დღეს გაგრძელდა, სხვადასხვა მონაცემით, 10 ათასიდან 30 ათასამდე სამხედრო და სამოქალაქო პირის სიცოცხლე შეიწირა. დევნილად იქცა 300 ათასზე მეტი ადამიანი.

კვლევა ადასტურებს: 25 წლის შემდეგაც დაბრუნება სურთ!
აფხაზეთის კონფლიქტიდან 25 წლის შემდეგაც, იძულებით გადაადგილებული პირების დიდი უმრავლესობისთვის აფხაზეთში დაბრუნება ისევ დიდ ოცნებად რჩება. გაეროს ლტოლვილთა უმაღლესმა კომისარიატმა (UNHCR) 2014 წელს ორი ათასზე მეტი დევნილი გამოკითხა, დაბრუნდებოდნენ თუ არა საკუთარი ნებით აფხაზეთში. 90,9 %-მა დადებითად უპასუხა ამ შეკითხვას. მთავარ მიზეზებს შორის კი დასახელდა ემოციური კავშირი, კერძო საკუთრება, ნათესავებთან და მეგობრებთან ურთიერთობა და ახლობლების საფლავების მონახულების შესაძლებლობა.

საქართველოში დევნილთა საკითხებს არეგულირებს **იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმა** და საქართველოს კანონი **„საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა“** შესახებ. მთავრობის მიერ გათვალისწინებულია:

- დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფა, დევნილთათვის შემწეობის გაცემა;
- დევნილის სტატუსის მინიჭების პროცედურის გამარტივება;
- ოკუპირებულ ტერიტორიაზე დარჩენილი უძრავი ქონების დაბრუნების უფლება და მისი მემკვიდრეობით გადაცემა.

don't copy

2008 წლის აგვისტოს ომი 5 დღე გაგრძელდა. ევროკავშირის თავმჯდომარისა და მსოფლიო თანამეგობრობის შუამდგომლობით მიაღწეულ იქნა ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება. დაიღუპა 396 ადამიანი, დევნილთა რაოდენობა – 127 ათასი ადამიანი.

საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში

მეოცე საუკუნე გამორჩეული იყო მსოფლიოში მიმდინარე მკვეთრი კულტურული თუ საზოგადოებრივი ცვლილებებით, მცირე და ფართომასშტაბიანი საომარი მოქმედებებით და კონფლიქტებით. ამ უკანასკნელი გამოწვევების საპასუხოდ საერთაშორისო თანამეგობრობამ შეიმუშავა შესაბამისი მიდგომები, რის საფუძველზეც გაჩნდა ლტოლვილის და ჰუმანიტარული სტატუსები, ასევე თავშესაფრის ცნებაც.

ლტოლვილები საზოგადოების ისეთივე წევრები არიან, როგორიც ნებისმიერი სხვა. თავიანთ ქვეყანაში ისინი სწავლობდნენ, მუშაობდნენ, ვითარდებოდნენ და მათი ეს უფლება – განაგრძონ სრულყოფილი ცხოვრება, ისევეა აღიარებული და დაცული საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ, როგორც საზოგადოების ნებისმიერი სხვა წევრის.

ტერმინი **მიგრანტი** მოიაზრებს ყველა იმ შემთხვევას, როდესაც პირი მიგრაციის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს თავისუფლად, ძალდაუტანებლად, რაც ნაკარნახევია პირადი კეთილდღეობის მიზეზით და იძულებითი ფაქტორი არ აიძულებს მას.

ლტოლვილის სტატუსი ენიჭება პირს, ენიჭება უცხოელს ან მოქალაქეობის არმქონე პირს, რომელიც იმყოფება მშობლიური მიწა-წყლის გარეთ, აქვს საფუძვლიანი შიში, რომ იგი შეიძლება გახდეს დევნის მსხვერპლი: რასის; რელიგიის; ეროვნების; გარკვეული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილების; ან პოლიტიკური შეხედულებების გამო და ამ შიშიდან გამომდინარე, არ შეუძლია ან არ სურს, დაბრუნდეს თავისი წარმოშობის ქვეყანაში ან ისარგებლოს ამ ქვეყნის მფარველობით.

ტერმინებს „მიგრანტსა“ და „ლტოლვილს“ შორის გადამწყვეტი სამართლებრივი განსხვავებაა და მათმა აღრევამ შეიძლება პრობლემები შექმნას ლტოლვილებისა და თავშესაფრის მაძიებლებისთვის, ასევე შეუძლია წარმოშვას გაუგებრობები თავშესაფრისა და მიგრაციის საკითხების განხილვისას.

ჰუმანიტარული სტატუსი ენიჭება უცხოელს ან მოქალაქეობის არმქონე პირს, რომელიც ვერ აკმაყოფილებს ლტოლვილის სტატუსის მოთხოვნებს და არსებობს რეალური საშიშროება, რომ სამშობლოში დაბრუნებისას მას მიაყენონ ზაინი ან დაემუქროს სასიკვდილო საფრთხე: სიკვდილით დასჯა, წამება ან არაადამიანური და ღირსების შემლახველი მიპყრობა ან სასჯელი, ძალადობა, შეიარაღებული კონფლიქტის საფრთხე, ადამიანის უფლებების დარღვევის საფრთხე და ა.შ.

დროებითი დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსი ენიჭებათ ისეთ პირებს, რომლებიც საერთაშორისო დაცვას საჭიროებენ და არ შეუძლიათ საკუთარ სამშობლოში დაბრუნება განურჩევლად ძალადობის, აგრესიის, საერთაშორისო ან შიდა შეიარაღებული კონფლიქტის ან ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის გამო.

do not copy

თავშესაფრის მაძიებელი – პირი, რომელიც უცხო ქვეყანაში ითხოვს საერთაშორისო დაცვას.

იმსჯელეთ

სახელმძღვანელოში მოცემული განმარტებების მიხედვით, რა განსხვავებაა ტერმინებს შორის: დევნილი და ლტოლვილი?

გაეროს „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ კონვენციის შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობა განსაზღვრავს სოციალურ-ეკონომიკური გარანტიებითა და უფლებებით უზრუნველყოფას იმ პირებისთვის, რომლებიც საქართველოში ლტოლვილის ან ჰუმანიტარულ სტატუსს მიიღებენ. **„ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ“** საქართველოს კანონის მიხედვით, ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირები უფლებამოსილნი არიან: საქართველოს მოქალაქეების მსგავსად ისარგებლონ დასაქმებისა და განათლების უფლებით; სამედიცინო დახმარებით; გადაადგილების

თავისუფლებით როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის ფარგლებს გარეთ; უზრუნველყოფილნი არიან სოციალური დახმარებით; ყოველთვიური შემწეობით; ლტოლვილთა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთათვის მოქმედებს საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა.

საქართველო სრულად აღიარებს ლტოლვილისა და ჰუმანიტარულ სტატუსებთან მიმართებაში არსებულ საერთაშორისო მიდგომას და შესაბამისად, ავითარებს თავშესაფრის პოლიტიკას და სისტემას. თავშესაფრის საკითხებზე პასუხისმგებელია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო.

ლტოლვილთა უფლებები
1951 წლის ჟენევის კონვენციის მიხედვით

თავშესაფრის მაძიებელი პირებისთვის, რომლებმაც საკუთარი სახლკარი მიატოვეს და თავის გადასარჩენად უცხო ქვეყანას მიაშურეს, უპირველეს საზრუნავს საცხოვრებელი წარმოადგენს – უსაფრთხო ჭერი მათთვის და მათი ოჯახის წევრებისთვის უმთავრესი საჭიროებაა. საქართველო თავშესაფრის მაძიებელ პირებს უზრუნველყოფს დროებითი განთავსებით, სპეციალურად ამ მიზნით არსებულ ცენტრში, რომელიც სოფელ მარტყოფში მდებარეობს. თავშესაფრის მაძიებლებს, ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირებს აქვთ წვდომა საქართველოში არსებულ განათლებისა და ჯანდაცვის სერვისებზე, შეუძლიათ ჩაირიცხონ საქართველოს საჯარო სკოლებში და უფასოდ გაიარონ ქართული ენის ინტენსიური კურსი.

do not copy

> მოულოდნელად ლანდებს ვხედავ, შემდეგ კი ყველაფერი მეორდება, თითქოს კვლავ ხდება, შემდეგ შიშის გრძნობა მიპყრობს, სუნთქვა მიჭირს და მინდა გავიქცე. მართლაც ცუდი რამ არის. მერე მინდა, რომ უბრალოდ ყველაფერი შეწყდეს, ან მკვდარი ვიყო.
>
> *მიქაელა ა., 16 წლის, ჩეჩნეთიდან ავსტრიაში გაიქცა*

საქართველოს მოქალაქეები 90-იანი წლებიდან ინტენსიურად ცდილობდნენ თავშესაფრის ძიებას ევროპის არაერთ ქვეყანაში. მათი ზუსტი ციფრი ამ ეტაპზე არ არის ცნობილი.

ევროკავშირმა **ასოცირების ხელშეკრულების** გაფორმებით და უვიზო რეჟიმის შემოღებით საქართველოსთან ურთიერთობა აიყვანა განსხვავებულ საფეხურზე. ამ ნაბიჯებით აღიარებული იქნა ქვეყნის დემოკრატიული განვითარება, რაც გამორიცხავს სახელმწიფოს მიერ მისი მოქალაქეების დევნას რასობრივ, რელიგიურ, ეთნიკურ, ამა თუ იმ სოციალური ჯგუფების წევრობის ან პოლიტიკური შეხედულებების საფუძველზე. ამას გარდა, გერმანიამ და ავსტრიამ საქართველო უკვე აღიარეს, როგორც უსაფრთხო ქვეყანა.

აღნიშნული ნაბიჯების გადადგმით ფაქტობრივად შეწყდა საქართველოს მოქალაქეებისთვის ლტოლვილის სტატუსის მინიჭება. საქართველოს მოქალაქის მხრიდან გაკეთებული განაცხადი განიხილება მაქსიმუმ 3 დღის ვადაში და თითქმის გამორიცხულია დადებითი პასუხის მიღება. უარყოფითი პასუხი კი ავალდებულებს განმცხადებელს პასუხის მიღებიდან რამდენიმე დღეში დატოვოს ადგილსამყოფელი ქვეყანა.

ნატურალიზაცია – ფიზიკური პირისათვის პირადი თხოვნის (განცხადების) ან თანხმობის საფუძველზე უცხოეთის სახელმწიფოს მოქალაქეობის მინიჭება ამ სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოების მიერ.

ეს საინტერესოა

გამოჩენილი ლტოლვილები

მსოფლიოში ბევრი გამოჩენილი და წარმატებული ადამიანია, რომელსაც ცხოვრების გარკვეულ ეტაპზე მოუწია ლტოლვილობაში ცხოვრება და წარმატებას იმიტომ მიაღწია, რომ ახალი ცხოვრების დაწყება შეძლო. ქვემოთ მოყვანილია მათი მცირე ჩამონათვალი.

ვიქტორ ჰიუგო, ფრანგი მწერალი, რომელიც ნაპოლეონ III-ს მიერ მესამე რესპუბლიკის დამხობის შემდეგ წავიდა საფრანგეთიდან. ცხოვრების 20 წელი გაატარა ბრიტანეთში.

ბელა ბარტოკი, უნგრელი პიანისტი და კომპოზიტორი. ებრძოდა ფაშიზმს. 1940 წელს წავიდა აშშ-ში.

თომას მანი, გერმანელი მწერალი. 1933 წელს, როცა ფაშისტები ხელისუფლებაში მივიდნენ, თომას მანი მოგზაურობდა თავის ებრაელ მეუღლესთან ერთად ევროპაში. მას დამ შეატყობინა, რომ გერმანიაში მათი დაბრუნება საშიში იყო. თომას მანი დასახლდა შვეიცარიაში.

მადლენ ოლბრაიტი, აშშ-ის ყოფილი სახელმწიფო მდივანი. მისი ოჯახი 1948 წელს, ჩეხეთში კომუნისტების შესვლის შემდეგ გადასახლდა აშშ-ში.

მარია ფონ ტრაპი ავსტრიიდან ფაშისტების შემოტრის შემდეგ მეუღლესა და 9 შვილთან ერთად აშშ-ში გაიქცა. ცნობილი მიუზიკლი „მუსიკის ჰანგები“ მის ისტორიას ასახავს. ის წერდა: „ერთ დღეში სრულიად გავღატაკდით. ჩვენ გავხდით ლტოლვილები. ლტოლვილებს არა აქვთ არა მხოლოდ ქვეყანა, არამედ უფლებებიც. ეს ადამიანი არ არის თავის ადგილზე. ხანდახან თავი ამანათი გგონია, რომელიც გაგზავნეს ფოსტით და შემდეგ ერთი ადგილიდან მეორეზე აგზავნიან.“

ექვთიმე თაყაიშვილი, საქართველოს გასაბჭოებისას გაემგზავრა საფრანგეთს, სადაც საქართველოს ეროვნულ განძს იცავდა და პატრონობდა.

don't copy

მუხედავად იმისა, რომ ყველა ლტოლვილის ისტორია განსხვავებულია და მათი ტკივილები პერსონალური, ისინი ერთად არიან მონაწილენი უჩვეულო გამბედაობის საერთო იდეის – მამაცობის, არა მხოლოდ გადარჩენისათვის, არამედ ნამსხვრევებად ქცეული საკუთარი ცხოვრების აღსადგენად ბრძოლაში.

ანტონიო გუტიერესი, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარი 2005-2015 წლებში.

დისკუსია

- რა განცდას იწვევს ლტოლვილების მდგომარეობა თქვენში?
- როგორ შეიძლება გამოვხატოთ თანაგრძნობა და მხარდაჭერა მათ მიმართ?

სასარგებლო რესურსები

- თავშესაფრის მაძიებლები ევროკავშირში https://bit.ly/3aAmAe3
- თავშესაფრის მაძიებლები საქართველოში http://bit.ly/3bgmVSo

საკითხი: საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი

ყურადღება!

კომპლექსური დავალება

კომპლექსური დავალების პირობა

წარმოიდგინე, რომ ოცდამეერთე საუკუნიდან **წერილი** (200სიტყვა +) უნდა მისწეროთ **ანრი დიუნანს**, უამბეთ, რა ხდება იმ პრობლემების მიმართულებით, რისთვისაც მან წითელი ჯვრის საერთაშორისო მოძრაობას დაუდო სათავე. რა დარჩა უცვლელი, რა შეიცვალა. კიდევ რის შეცვლას ისურვებდი სამომავლოდ?

ნაშრომში/ ნაშრომის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინე:

- რას დაუდო სათავე დიუნანმა ომის დროს მშვიდობიანი მოსახლეობის, დაჭრილებისა და ტყვეების ღირსებისა და უფლებების დაცვის მიმართულებით და როგორ არიან დაცული ეს ჯგუფები დღეს;
- ვის და რომელ უფლებებს იცავს ჟენევის კონვენციები და რა მექანიზმები არსებობს მათი დაცვისთვის საერთაშორისო და სახელმწიფო დონეზე
- დემოკრატიის რომელი პრინციპის/ების დაცვას ემსახურება საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი, ამ პრიციპის არსი და მნიშვნელობა ომის დროსაც.

dont copy

პრეზენტაციის შემდეგ ისაუბრე:

რა სტრატეგიები გამოიყენე/რა ნაბიჯები გადადგი დავალებაზე მუშაობის სხვადასხვა ეტაპზე; რას გააკეთებდი განსხვავებულად, ხელახლა რომ იწყებდე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობას.

ეპიზოდი N...

2008 წლის აგვისტოა... გორი დაიბომბა, ცეცხლი უკიდია სახლებს...

ბორჯომში ტყეები იწვის... სადგერის ერთ სააგარაკო სახლში საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული ოჯახები ხან ხეობის გადაღმა აალებულ ტყეს გასცქერიან, ხან ტელევიზორს მისჩერებიან. თბილისიდან ჩამოსულ ორ გოგონას (4 და 5 წლისანი არიან) აღელვებული პაპა-ბებია შინ წაყვანას უპირებს. იბარგებიან. ვერ წყვეტენ, რომელი გზა უფრო უსაფრთხოა, მოკლე – გორის გავლით, რომელიც ახალი დაბომბილია, თუ შემოვლით – სამცხე-ჯავახეთიდან, სადაც არავინ იცის, რა იქნება...

ბორჯომში გზაგასაყართან მანქანა წამით შეყოვნდა... – ასე მალე აღარ დაბომბავენ, გორით წავიდეთ. – ბებიას გასაგონად ჩაილაპარაკა პაპამ და სიჩქარეს მოუმატა. მანქანები თითქმის არ მოძრაობს. პირველი საათია, მზე აჭერს. ხაშურში პატრულთან ჩერდებიან ამბის საკითხად. – აბა, რა გითხრათ, რა იქნება, მშვიდობით იმგზავრეთ... თვალს აყოლებს პატრული. ძალიან სწრაფად მიდის მანქანა... ბავშვებს ჩაეძინათ. ბებია გაფაციცებით გაჰყურებს ხან ცას, ხან გზას. გორის გვირაბთან ჯარისკაცები გადაუდგნენ, სამხედრო მანქანა გაატარეთო. ისევ აგრძელებენ გზას.

გორი... დამტვრეული ხეები... ალმოდებული კორპუსი... ხალხი იშვიათად მოძრაობს. ჯარისკაცები საკმაოდ ირევიან. გორიდან გამოსულ გზასაც ჯარისკაც-რეზერვისტები მოყვებიან... ბებია გორიდან მოყოლებული ტირის... ცეცხლწაკიდებული სახლების გამო, აფორიაქებული ქვეყნის გამო, ამ დაბნეული ბიჭების გამო, ტირის გაურკვევლობისა და შიშის გამო... გულში ომის მომგონს წყევლის...

don't copy

...გადის წლები... ბავშვები გაიზარდნენ. გორთან ყოველ გავლაზე ომზე იწყებენ ლაპარაკს... ომზე, რომელსაც არავისთვის მოაქვს სიკეთე და მაინც არსებობს.

იმსჯელეთ

გაეცანით ზემოთ მოცემულ ეპიზოდს, გაიხსენეთ გაგონილი, წაკითხული, ნანახი და იმსჯელეთ:

- როგორ და რატომ ესაჭიროება დაცვა შეიარაღებული კონფლიქტის დროს მშვიდობიან მოსახლეობას ან იმ ადამიანებს, რომლებსაც აღარ შეუძლიათ ბრძოლა (დაჭრილები, სამხედრო ტყვეები)?
- რა განცდები ჰქონდათ 2008 წლის ომის დროს მოქალაქეებს?
- გრძნობდა თუ არა თავს დაცულად მშვიდობიანი მოსახლეობა? რატომ?

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი ადგენს შეიარაღებულ კონფლიქტში მონაწილე ქვეყნების ქცევის წესებს, ზღუდავს ძალადობას და უზრუნველყოფს ომის მსხვერპლთა დაცვას. ის განსაზღვრავს ადამიანების კატეგორიებს, რომლებზეც ვრცელდება შეიარაღებული კონფლიქტის დროს უფლებრივი დაცვა.

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი

იცავს პირებს, რომლებიც:
- აღარ მონაწილეობენ საომარ მოქმედებებში
- დაჭრილ და ავადმყოფ ჯარისკაცებს
- გარდაცვლილ ჯარისკაცებს
- სამხედრო ტყვეებს
- საზღვაო შეიარაღებულ ძალებში დაჭრილებს, ავადმყოფებს და საზღვაო კატასტროფაში მოყოლილებს

იცავს პირებს, რომლებიც
- არ მონაწილეობენ საომარ მოქმედებებში
- მშვიდობიან მოსახლეობას
- სამხედრო სამედიცინო პერსონალს, ტრანსპორტს და შენობებს
- შეიარაღებულ ძალებში მყოფ სასულიერო პირებს;
- იცავს ობიექტებს, რომლებიც არ ემსახურებიან უშუალოდ საომარ მიზნებს (სახლებს, სკოლებს და სხვა)

კრძალავს ბრძოლის ისეთი მეთოდებისა და საშუალებების გამოყენებას, რომლებიც იწვევენ
- ჭარბ ზიანს და ტანჯვას (მაგალითად ქიმიური იარაღი, კასეტური ბომბები)
- ბუნების ფართომასშტაბიან დაზიანებას
- კულტურული ფასეულობების დაზიანებას

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი – სამართლებრივი ნორმების ერთობლიობა, რომელიც დამყარებულია ჰუმანურობის პრონციპებზე და მიმართულია შეიარაღებული კონფლიქტების შედეგების შეზღუდვაზე.

? რატომ შეიქმნა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი?

ბოლო 3400 წელიწადში მსოფლიოსთვის მშვიდობიანი მხოლოდ 250 წელი იყო. ნაპოლეონის ომებში 1801-1815 წლებში მილიონამდე ადამიანი დაიღუპა. I მსოფლიო ომში – 10 მილიონი (აქედან, 20 მებრძოლზე 1 მშვიდობიანი მოქალაქე). II მსოფლიო ომში – 62 მილიონი ადამიანი (აქედან 4 მებრძოლზე 1 მშვიდობიანი მოქალაქე). თანამედროვე ომებში, ექსპერტების პროგნოზით, 2 დაღუპულ სამხედროზე 1 მშვიდობიანი მოქალაქე მოდის.

dont copy

იმსჯელეთ

განიხილეთ ქვემოთ მოცემული სიტუაცია, თქვენი აზრით, რა მიმართებაა მასსა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მოთხოვნებს შორის? რა შეიცვალა ამ პერიოდის შემდეგ?

სიტუაცია

იაპონური ლეგენდის მიხედვით, ადამიანი, რომელიც 1000 ცალ წეროს გააკეთებს, წარმატებას და ბედნიერებას მოიპოვებს. ხიროსიმაში 1943 წელს დაბადებული ერთი იაპონელი გოგონა, რომელიც დაბომბვის შემდეგ დაობლდა, საავადმყოფოში მკურნალობდა. სიკვდილის წინ მან გამოჯანმრთელების იმედით ქაღალდისგან წეროების ფიგურების კეთება დაიწყო. გოგონა 1955 წელს გარდაიცვალა. მან მხოლოდ 644 წეროს გაკეთება მოასწრო... ხიროსიმაში მშვიდობის სკვერში მისი მონუმენტი დგას. აქ ბირთვული ტრაგედიის მსხვერპლთა ხსოვნას იაპონელები ქაღალდის წეროებს უძღვიან.

საომარი მოქმედებების არაადამიანური შედეგების შეზღუდვისათვის 1949 წელს მიიღეს ჟენევის კონვენცია „ომის დროს სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის შესახებ“, რომელიც წარმოადგენდა იმის დადასტურებას, რომ საერთაშორისო საზოგადოება შეძრწუნებული იყო II მსოფლიო ომში სამოქალაქო მოსახლეობის მიმართ ჩადენილი დანაშაულებების გამო. იმავდროულად შედგა უკვე არსებული 3 კონვენციის (დაჭრილი და გარდაცვლილი ჯარისკაცების, საზღვაო ძალებში დაზარალებულების და სამხედრო ტყვეების დაცვის) ახალი რედაქცია.

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალის ძირითადი დოკუმენტები

შეიარაღებული კონფლიქტის მსხვერპლს იცავს რიგი დოკუმენტებისა, რომელთაც აქვთ საერთაშორისო ხასიათი. განსაკუთრებით აღსანიშნავია ჟენევის 4 კონვენცია, რომელიც 1949 წელს მიიღეს. I კონვენცია უზრუნველყოფს ავადმყოფებისა და დაჭრილების სამართლებრივ დაცვას ჯარში; II კონვენცია იცავს დაჭრილებსა და ავადმყოფებს, რომლებმაც არიან სამხედრო გემების განადგურების მსხვრპლნი; III კონვენცია იცავს სამხედრო ტყვეებს; IV კონვენცია იცავს სამოქალაქო მოსახლეობას ომის დროს. ამ კონვენციებიდან პირველი სამი მეორე მსოფლიო ომამდეც არსებობდა და 1949 წელს მოხდა მათი რედაქტირება. 1977 წელს კონვენციებს დაემატა 2 ოქმი.

ეს და სხვა საერთაშორისო დოკუმენტები მრავალრიცხოვანი დამატებებით, ოქმებით შეიცავს სამართლებრივ ნორმებს, რომლებსაც ეწოდება საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი. გაეროს წესდება მხარს უჭერს ამ დოკუმენტებს და იმედოვნებს ახალი თაობის დაცვას ომის უბედურებისგან.

dont copy

იმ ადამიანებს, რომლებსაც აქვთ საომარ მოქმედებებში მონაწილეობის უფლება, საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალში უწოდებენ „**კომბატანტს**.“ საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალს აქვს გარკვეული მოთხოვნები მათ მიმართ საომარი მოქმედებების დროს:

- გამოიჩინონ ლმობიერება დაჭრილებისა და ავადმყოფების მიმართ;
- აკრძალულია ადამიანის ღირსების შელახვა, კერძოდ, შეურაცხმყოფელი და დამამცირებელი მოპყრობა;
- აკრძალულია სამოქალაქო პირის სიცოცხლისა და ფიზიკური ხელშეუხებლობის შელახვა;
- აკრძალულია მძევლების აყვანა;
- აკრძალულია გასამართლება და დასჯა სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე;
- გარკვეული ტიპის იარაღის გამოყენება, რომელიც გამოიწვევს ტანჯვას.

კომბატანტი – პირები, რომლებსაც აქვთ საომარ მოქმედებებში მონაწილეობის უფლება.

ეს საინტერესოა

ანრი დიუნანი

ომის მსხვერპლთა საერთაშორისო დაცვის იდეა ეკუთვნის შვეიცარიელ ბიზნესმენს და ჰუმანისტს ანრი დიუნანს; 1859 წელს დიუნანმა შეკრიბა მოხალისეთა რაზმი და ჩრდილოეთ იტალიაში, ლომბარდიაში, სადაც საომარ მოქმედებებში 160 000 ფრანკო-იტალიელი და ამდენივე ავსტრიელი ჯარისკაცი მონაწილეობდა, მოახერხა ბევრი დაჭრილის გადარჩენა. მათთვის ის შოულობდა საკვებს, წყალს და მომვლელებს. მან დაწერა წიგნი ამ ბრძოლის შესახებ, რომელმაც გამოიწვია ომის მსხვერპლთა მიმართ თანაგრძნობა. 1863 წელს ჟენევის საქველმოქმედო საზოგადოებამ შექნა კომიტეტი დიუნანის წინადადების განსახილველად, რომელიც ეხებოდა ომის მსხვერპლთა დახმარებას. ამ კომიტეტის ორგანიზებამ საფუძველი ჩაუყარა 1863 წელს წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის შექმნას, რომელსაც დღესაც უდიდესი როლი აქვს შეიარაღებული კონფლიქტების დროს დაზარალებულთა დახმარების გაწევასა და დაცვაში. ამის შემდეგ ქვეყნებში შეიქმნა წითელი ჯვრის ეროვნული საზოგადოებები, რომლებიც ეხმარებოდნენ დაჭრილებს ომის დროს.

„გამოკვებე შენი მტერი!“

- არქეოლოგებმა ძველ ეგვიპტეში აღმოაჩინეს ჯერ კიდევ ჩვ.წ.აღ-მდე მეორე ათასწლეულის წარწერა: „გამოკვებე შენი მტერი“.
- ფრიდრიხ დიდი (პრუსიის მეფე, XVII ს.) და ბენჟამინ ფრანკლინი (აშშ დამოუკიდებელი სახელმწიფოს ფუძემდებელი, XVIII ს.) თავიანთ შეთანხმებაში ვალდებულებას იღებდნენ ისევე ეზრუნათ და გამოეკვებათ სამხედრო ტყვეები, როგორც საკუთარი ჯარისკაცები.

ომის ჰუმანური კულტურა

- შოთა რუსთაველი პოემა „ვეფხისტყაოსანში“ თავის მთავარ გმირს ტარიელს, ხატაელებზე გამარჯვების შემდეგ ათქმევინებს: „ქვეყანა ჩავსხი ვუთხარი, იყვენით თქვენ უკრძალავად.“ რაც ნიშნავს, რომ ტარიელი მოსახლეობას ხელშეუხებლობას შეჰპირდა.
- აკაკი წერეთლის პოემა „თორნიკე ერისთავშიც“ მთავარი გმირი, თორნიკე, გამარჯვების შემდეგ თავისიანი და მოწინააღმდეგე მხარის დაჭრილების ერთნაირად მოვლას ითხოვს. ეს კი ნიშნავს, რომ ქართულ კულტურაში წარმოდგენილი იყო ომის შედარებით ჰუმანური კულტურა.

don't copy

? რამდენად უზრუნველყოფს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი ქალების განსაკუთრებულ დაცვას?

ზოგადად ქალებზე ვრცელდება ისეთივე უფლებები, როგორიც მამაკაცებზე, თუმცა ჟენევის კონვენციებში ნათქვამია, რომ „ქალებს უნდა მოეპყრონ მათი სქესის გათვალისწინებით“ (მუხლი 12, ჟენევის პირველი და მეორე კონვენციები; მუხლი 14, ჟენევის მესამე კონვენცია). სხვა სიტყვებით, იქმნება დაცვის დამატებითი გარანტიები ქალთა სქესთან დაკავშირებული ისეთი ფაქტორების გამო, როგორებიცაა: ღირსება, ორსულობა

და ბავშვის გაჩენა. მაგალითად, ქალი ტყვეები, ან დაკავებულები უნდა მოთავსდნენ მამაკაცებისაგან განცალკევებით, ქალების მეთვალყურეობის ქვეშ. ქალები უნდა იქნენ დაცულნი „გაუპატიურების, ძალადობრივი პროსტიტუციის და ყველა სხვა ფორმის შეურაცხყოფისაგან“ (ჟენევის მეოთხე კონვენცია, მუხლი 27, ასევე, მუხლები 75 – 76, პროტოკოლი I). საომარი მოქმედებების არეალიდან გარიდებისას პრიორიტეტი ყოველთვის უნდა მიენიჭოთ „ორსულებს, ახალნამშობიარებ ქალებსა და ჩვილი ბავშვების დედებს“ (მუხლი 70, პროტოკოლი I).

? როგორ უზრუნველყოფს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი ბავშვთა უფლებების დაცვას?

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი კრძალავს შეტევას სამოქალაქო პირებზე და განსაკუთრებულად იცავს ბავშვებს. სამოქალაქო პირები დაცულნი უნდა იყვნენ სიცოცხლის ხელყოფის, წამების, ძარცვის, რეპრესიებისა და ტყვეობისაგან. პატივი უნდა მიეგოს სამოქალაქო პირების ღირსებას, ოჯახურ უფლებებსა და რელიგიურ შეხედულებებს. ოკუპანტებმა უნდა უზრუნველყონ სამოქალაქო პირებისათვის საკვების და სამედიცინო დახმარების უსაფრთხო მიწოდება, საავადმყოფოებისა და უსაფრთხოების ზონების შექმნა დაჭრილების, ავადმყოფების, მოხუცებულების, ბავშვების, ორსულებისა და ჩვილ ბავშვთა დედებისათვის. განსაკუთრებული პირობები მოქმედებს იმ ბავშვებზე, რომლებიც ოჯახის მზრუნველობის გარეშე არიან დარჩენილნი, აქვთ ფსიქოლოგიური პრობლემები, ან ვერ უკავშირდებიან ოჯახის წევრებს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეთ 15 წლამდე ასაკის ბავშვებს, რომლებიც დაობლებულნი, ან მოწყვეტილნი არიან თავიანთ ოჯახებს; მათ უნდა ჰქონდეთ საშუალება, დაიცვან თავიანთი რელიგიური ადათ-წესები და მიიღონ განათლება.

dont copy

? საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მიხედვით იკრძალება თუ არა შეიარაღებული კონფლიქტები?

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი არ კრძალავს შეიარაღებულ კონფლიქტებს, ის მხოლოდ ცდილობს, დაიცვას მშვიდობიანი მოსახლეობისა და მწყობრიდან გამოსული კომბატანტების ინტერესები ასეთი კონფლიქტის პირობებში. შესაბამისად, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი აღიარებს, რომ ნებისმიერ საომარ მოქმედებებს თან ახლავს „ორმხრივი დანაკარგი“, რაც ზოგჯერ, სამწუხაროდ, სამოქალაქო პირების დანაკარგს გულისხმობს. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების დარღვევაზე პასუხისმგებელია, როგორც ბრძანების გამცემი, ისე მისი აღმსრულებელი.

სასარგებლო რესურსები

- საქართველოს წითელი ჯვარი https://bit.ly/3qg8ofV

საკითხი: საქართველოს სამშვიდობო და ჰუმანიტატულ მისიებში

ყურადღება!

კომპლექსური დავალება

კომპლექსური დავალების პირობა

წარმოიდგინე, შენ სამშვიდობო მისიის ჯარისკაცი ხარ და ჟურნალისტმა გადმოგიგზავნა კითხვები (დავალების ქვემოთ მოცემული კრიტერიუმები მიიჩნიე კითხვებად) **ინტერვიუსთვის**. პასუხი უნდა გაეცეს კითხვებს, რომლებიც ჩვენი ქვეყნის ჰუმანიტარულ მისიებში მონაწილეობა-არმონაწილეობის თემაზე საზოგადოებაში ტრიალებს. იმედია, საინტერესო და საქმიან ინტერვიუს წარმოადგენ.

დაწერე **მხოლოდ პასუხები** – სულ, 200 სიტყვა.

ინტერვიუში/ინტერვიუს წარდგენისას ხაზგასმით ისაუბრე:

- რა პირადი და საზოგადოებრივი საჭიროების გამო გადაწყვიტე მისიაში მონაწილეობა;
- რომელი გრძელვადიანი მიზნებით ახსნი შენს ოჯახიან გადაწყვეტილებას?
- როგორ დაგეგმე მისიაში წამოსვლა და რა დაგჭირდა ამისოდ (წვრთნა, ჯანმრთელობის პრევენცია, ოჯახის წევრების თანამოაზრეებად ქცევა, ემოციების მართვა)?
- როგორ ზრუნავ პირად და თანამებრძოლების უსაფრთხოებაზე, რა განსაკუთრებული მოქმედებები დაგეგმე?
- რამდენად კანონიერი და ზნეობრივია თქვენი სამშვიდობო მისია და შეუქვთ თუ არა წვლილი საერთაშორისო საფრთხეების შემცირებაში ?(დაასახელე არგუმენტები)

don't copy

პრეზენტაციის შემდეგ ისაუბრე:

რა სტრატეგიები გამოიყენე/რა ნაბიჯები გადადგი დავალებაზე მუშაობის სხვადასხვა ეტაპზე; რას გააკეთებდი განსხვავებულად, ხელახლა რომ იწყებდე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობას.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ბევრი ქვეყანა უამრავი პრობლემის წინაშე აღმოჩნდა, მათ შორის გახლდათ საქართველოც, რომლისთვისაც უმთავრეს ამოცანას უსაფრთხოების უზრუნველყოფა წარმოადგენდა. საქართველომ დამოუკიდებლობის მიღებისთანავე **ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან** თანამშრომლობის სურვილი გამოხატა.

ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაცია (ინგლ. North Atlantic Treaty Organisation, NATO) – ჩრდილოეთ ამერიკისა და ევროპის 28 სახელმწიფოსგან შემდგარი სამხედრო-პოლიტიკური ალიანსი. იგი 1949 წლის 4 აპრილს შეიქმნა.

ნატოს ძირითადი ამოცანები

ჩრდილოატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაციის მიზანია ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულებით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების შესრულება:

- წევრი ქვეყნების თავისუფლებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა როგორც პოლიტიკური, ისე სამხედრო თვალსაზრისით;
- მოკავშირეთა საერთო დემოკრატიული ღირებულებების, პიროვნების თავისუფლების, კანონის უზენაესობის დაცვა;
- კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარების უზრუნველყოფა.

ჩრდილოატლანტიკური ალიანსი წარმოადგენს სამთავრობათაშორისო ორგანიზაციას, სადაც წევრი ქვეყნები ინარჩუნებენ **სრულ დამოუკიდებლობას** და **სუვერენიტეტს**. ალიანსში ყველა გადაწყვეტილება მიიღება წევრი ქვეყნების მიერ კონსესუსის (შეთანხმების) საფუძველზე. ჩრდილოატლანტიკური ალიანსი არ ცდილობს ამ პრიორიტეტების შექმნას მხოლოდ წევრი სახელმწიფოებისათვის, არამედ ცდილობს შექმნას შესაძლებლობები პარტნიორი ქვეყნებისთვის, რომლებიც იზიარებენ ნატოს პოლიტიკურ მიზნებს.

ნატოს უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანოა **ჩრდილო ატლანტიკური** საბჭო. მასში ორგანიზაციის ყველა წევრია წარმოდგენილი ელჩების, მინისტრების ან სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების სახით. ნებისმიერ საკითხში გადაწყვეტილება ერთსულოვნად მიიღება. მნიშვნელობა არ აქვს წევრ-სახელმწიფოთა სიდიდესა თუ ეკონომიკურ პოტენციალს. წარმომადგენლები იკრიბებიან მინიმუმ კვირაში ერთხელ. საბჭო პერიოდულად ატარებს უფრო მაღალი დონის სხდომებს. საგარეო ან თავდაცვის მინისტრების დონეზე ჩატარებულ შეხვედრებს **მინისტერიალი** ეწოდება; სახელმწიფოს ან მთავრობის მეთაურების დონეზე შეხვედრებს – **ნატოს სამიტი**. მიუხედავად იმისა, თუ რა დონის წარმომადგენლები იღებენ მონაწილეობას საბჭოს საქმიანობაში, მათი გადაწყვეტილება თანაბარი სტატუსის და იურიდიული ძალისაა.

ნატოს შტაბ-ბინა არის ალიანსის პოლიტიკური და ადმინისტრაციული ცენტრი და ჩრდილოატლანტიკური საბჭოს მუდმივი ადგილსამყოფელი. აქ იკრიბებიან ყველა წევრი ქვეყნიდან სამოქალაქო და სამხედრო წარმომადგენლები. შტაბ-ბინა წარმოადგენს დიალოგისა და თანამშრომლობის წარმოების ადგილს პარტნიორ ქვეყნებსა და ნატოს წევრ ქვეყნებს

don't copy

ნატოს უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს წევრი ქვეყნების დაცვა აგრესიისაგან. ალიანსის ერთ წევრზე თავდასხმა განიხილება ყველა წევრზე თავდასხმად.

შორის, რომლებიც სტაბილურობისა და მშვიდობის დამყარების მიზნით მათ ერთობლივ მუშაობას უზრუნველყოფს.

ალიანსს არ ჰყავს სტაბილური სამხედრო ძალები. ყოველი წევრი სახელმწიფო, რომელიც მონაწილეობს ნატოს გაერთიანებულ სამხედრო სტრუქტურაში, ვალდებულია გამოყოს განსაზღვრული რაოდენობისა და სახეობის შეიარაღებული ძალები შეთანხმებული ამოცანებისა და ოპერაციების განსახორციელებლად. ნატოს ჯარების უდიდესი ნაწილი მშვიდობიან დროს თავისი ქვეყნის სარდლობას ექვემდებარება, სანამ ეს ძალები არ გადაეცემა ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს კონკრეტული ოპერაციის ჩატარების მიზნით, რომლის შესახებ გადაწყვეტილება პოლიტიკურ დონეზე მიიღება.

ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს გაერთიანებული შტაბების პერსონალი, ასევე ოპერატიული ძალები: ადრეული შეტყობინების ძალები, საჰაერო სივრცის კონტროლისა და მუდმივმოქმედი საზღვაო ძალები. ნატოს რეაგირების ძალები მუდმივ მზადყოფნაშია, 5 დღის ვადაში გადასხდეს ნებისმიერ წერტილში, მიღებული ბრძანების შესაბამისად.

მისია – ერთი ქვეყნის წარმომადგენლები, რომლებიც იგზავნებიან სხვა ქვეყანაში სპეციალური მიზნით.

ნატო და საქართველო

ნატოს და საქართველოს ურთიერთობები 1992 წლიდან იწყება. ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში და ევროკავშირში გაწევრიანება საქართველოს უსაფრთხოების პოლიტიკის უპირველეს პრიორიტეტს წარმოადგენს. საქართველო ნატოს განიხილავს, როგორც ევროატლანტიკური სივრცის კოლექტიური თავდაცვის ორგანიზაციას, რომლის წევრობა საქართველოს მიანიჭებს სამხედრო, პოლიტიკურ და ეკონომიკურ უსაფრთხოებას.

don't copy

იმსჯელეთ

დაფიქრდით და დაასრულეთ წინადადება: „ სახელმწიფოს მხრიდან აგრესიული/მილიტარისტული პოლიტიკის წარმოება საკუთარი მოქალაქეების უფლებების დარღვევაა, რადგან...“ (შეეცადეთ, არ გაიმეოროთ ვარიანტები).

მონაწილეობა საერთაშორისო მისიებში

სამშვიდობო მისიების ძირითადი მიზანია სამხედრო და ძალისმიერი ქმედებების თავიდან აცილება. დღევანდელი მსოფლიო გამოწვევების ფონზე ძალიან მნიშვნელოვანია, გარდა ალიანსის მიერ გატარებული ღონისძიებებისა (სამშვიდობო ოპერაციებისა, სამხედრო კამპანიებისა და ა.შ.). ნატოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, ჩართულიყო მოუგვარებელ კონფლიქტებში და სამშვიდობი მისიები გაეგზავნა ნებისმიერ რეგიონში, სადაც საჭიროება მოითხოვდა, განურჩევლად გეოგრაფიული ადგილმდებარეობისა.

სამხედრო ტექნიკის გამოყენება კი შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ თავდაცვის მიზნით. სამშვიდობო მისიების დასაწყებად აუცილებელია გაეროს მიერ გაცემული რეზოლუცია, მის გარეშე აკრძალულია ნებისმიერი სამშვიდობო ოპერაციის ჩატარება.

მისიებში მონაწილეობის დროს ჯარისკაცები საერთაშორისო პროფესიულ მომზადებას გადიან, მსოფლიოს სხვადასხვა „ცხელ წერტილში“ გადამზადებული ჯარისკაცები ამაღლებენ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას. ქართული ჯარის მომზადების სტანდარტი უფრო მეტად უახლოვდება ნატო-ს წევრი სახელმწიფოების ჯარების სტანდარტებს.

მეორე, აგრეთვე, მნიშვნელოვანი ასპექტი არის ე.წ. პოლიტიკური მხარდაჭერა. მისიებში მონაწილეობით საქართველო ამტკიცებს, რომ კარგი პარტნიორია და ნაბიჯებს დგამს დასავლეთთან ინტეგრაციისკენ. საიმედო პარტნიორის სახელი ამ მისიებით საქართველომ ნამდვილად მოიპოვა. რაც შეეხება ტერორიზმს, იგი არ არის რომელიმე ერთი კონკრეტული ქვეყნის პრობლემა, შესაბამისად, საქართველო ისევეა ვალდებული ჩაერთოს ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, როგორც მსოფლიოს სხვა ნებისმიერი ქვეყანა.

საქართველოსთვის, რომელმაც განვითარების დასავლური კურსი აირჩია ალიანსთან თანამშრომლობა და სამშვიდობო მისიებში ჩართულობა უმნიშვნელოვანესია. გარდა იმისა, რომ ქვეყანას დიდი როლი შეაქვს მსოფლიო უსაფრთხოების საქმეში, ასევე იზრდება ქართული სამშვიდობო ძალების გამოცდილება და თავსებადი ხდება ნატოსთან. ჩვენი სამხედროები გადიან მაღალი დონის მომზადებას, როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ საკითხებში. მისიებში მონაწილეობით ქართული არმიის პრესტიჟი მნიშვნელოვნად იზრდება საერთაშორისო არენაზე, რადგან ჩვენმა სამხედროებმა ბევრჯერ გამოიჩინეს თავი სიმამაცით და პროფესიონალიზმით, რისთვისაც უამრავი ჯილდო დაიმსახურეს.

don't copy

? **რატომ წარმოადგენს ამა თუ იმ ქვეყანაში მიმდინარე შეიარაღებული კონფლიქტი ყველა ქვეყნის პრობლემას?**

საქართველოს ალიანსის წინაშე აღებული აქვს გარკვეული ვალდებულებები, რომლის მიხედვითაც ის აუცილებლად უნდა ჩაერთოს მისიებში და ხაზი გაუსვას ნატოში გაწევრიანების სურვილს.

სამშვიდობო ოპერაციები – მოიცავს მშვიდობის შენარჩუნებისა და მშვიდობის იძულების ოპერაციებს, რომლებიც სრულდება მშვიდობის შესანარჩუნებლად ან დასამყარებლად გამიზნული დიპლომატიური ძალისხმევის მხარდასაჭერად.

ჰუმანიტარული დახმარება – სპეციფიკური დახმარების ფორმა, განსაზღვრული ან განსაკუთრებულად მძიმე მდგომარეობაში მყოფი მოსახლეობისთვის. ის, ძირითადად, პირველადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას გულისხმობს. ესენია: საკვები, სამედიცინო საშუალებები, თავშესაფარი, სატრანსპორტო საშუალებები და სხვ.

„უჭერთ თუ არა მხარს საქართველოს გაწევრიანებას ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში (ნატო)?" ამ კითხვაზე უნდა ეპასუხათ 2008 წლის 5 იანვარს პლებისციტზე მისულ საქართველოს მოქალქეებს. პლებისციტის შედეგები ასეთია: პლებისციტში მონაწილეთა 77%-მა მხარი დაუჭირა ნატოში გაწევრიანებას.

დღეს, როდესაც ტერორიზმი მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი გამოწვევაა, ჩვენს ქვეყანას აუცილებლად სჭირდება საერთაშორისო მხარდაჭერა, რათა თავიდან ავიცილოთ ტერორიზმი, სხვა მნიშვნელოვანი გამოწვევები. სამხედრო პოტენციალის განვითარებით ჩვენი ქვეყანა გვევლინება პატარა, მაგრამ ძლიერი არმიის მქონე საიმედო სახელმწიფოდ.

საქართველო ისეთ მისიებში ჩართულობით, როგორებიცაა: **კოსოვო, ერაყი, ავღანეთი, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა** და **მალის რესპუბლიკა**, წარმოჩნდა ერთ-ერთ მოწინავე ქვეყნად. წლების განმავლობაში მისიებში ჩართულობის დროს ქართველ ჯარისკაცებს უწევდათ ძალიან რთული და სარისკო დავალებების შესრულება, რასაც მათ წარმატებით გაართვეს თავი და მსოფლიოს წინაშე საქართველოს დაუმკვიდრეს საიმედო მოკავშირის სახელი.

მაშინ, როდესაც ჩვენი ქვეყნის დიდი ნაწილი ოკუპირებულია, ქართული სამშვიდობო ძალების ჩართულობა სამშვიდობო მისიებში აზრთა სხვადასხვაობას იწვევს, ამასთან ნათელია, რომ ალიანსში ინტეგრაციით მნიშვნელოვნად გაიზრდება ჩვენი ქვეყნის ვალდებულებები, მაგრამ, მეორე მხრივ, ალიანსის სახით საქართველო იძენს დიდ და საიმედო ძალას.

სამშვიდობო მისიებში ჩართულობით ჩვენი სამხედროები უდიდეს გამოცდილებას იძენენ და სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ისინი გამოცდილებას სხვა მშვიდობისმყოველებსაც უზიარებენ. ასევე ისინი თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას იძენენ კონტრტერორისტულ საკითხებთან დაკავშირებით. ქვეყნის იმიჯი მსოფლიოს თვალში მკვეთრად უმჯობესდება. ქართველ ჯარისკაცებს უკვე დამოუკიდებლად შეუძლიათ გაწვრთნან ავღანელი ჯარისკაცები.

don't copy

ქართველი ჯარისკაცები სამშვიდობო მისიებში

კოსოვო. საქართველოს მონაწილეობა სამშვიდობო მისიებში 1999 წლიდან დაიწყო. ნატო-მ პირველი სამშვიდობო მისია დასავლეთ ბალკანეთში, ყოფილ იუგოსლავიაში, შეასრულა. ოპერაცია „ერვალისწინებდა დასავლეთ ბალკანეთში საომარი მოქმედებების განახლების აღკვეთას, საერთაშორისო ჰუმანიტარული დახმარებისა და გაერო-ს დროებითი ადმინისტრაციული მუშაობის ხელშეწყობას. 2008 წელს ქვედანაყოფმა სრულად დატოვა ბალკანეთის ტერიტორია.

ერაყი – ოპერაცია „თავისუფლება ერაყს". 2003 წლიდან, ერაყში კოალიციის ჯარების შესვლისთანავე, ქართული ქვედანაყოფები მონაწილეობენ მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნება-აღდგენის ოპერაციაში „თავისუფლება ერაყს". მისი ძირითადი ამოცანები იყო: საკვანძო ობიექტების დაცვა, პატრულირება/ჩხრეკა, საკონტროლო-გამშვები პუნ-

ქტის ოპერაციები, საინჟინრო უსაფრთხოების ოპერაციები, სამხედრო ჰოსპიტლის დახმარება.

ავღანეთის ისლამური რესპუბლიკა – „საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდამჭერი ძალები ავღანეთში“. 2004 წლის აგვისტოდან ქართველთა ქვედანაყოფი, საერთაშორისო უსაფრთხოების ძალების შემადგენლობაში მყოფი გაძლიერებული ოცეული, კვლავ მონაწილეობს ქ. ქაბულში მიმდინარე სამშვიდობო ოპერაციაში, ამჯერად ამერიკელ სამშვიდობოებთან ერთად. ქვედანაყოფის მთავარი ამოცანა იყო ავღანეთში საპრეზიდენტო არჩევნების უსაფრთხოების უზრუნველყოფა. შემდგომში, მისიის მიმდინარე მოთხოვნების ზრდასთან ერთად, ეტაპობრივად იცვლებოდა ამოცანებიც და კონტინგენტის პირადი შემადგენლობის რაოდენობაც. ქართული ქვედანაყოფები იცავდნენ ბაზებს, პატრულირებდნენ, ასრულებდნენ ჩხრეკის, საკონტროლო-გამშვები პუნქტის ოპერაციებს; ამზადებდნენ ავღანური არმიის არტილერისტებს, ქირურგებით ეხმარებოდნენ სამხედრო ჰოსპიტალს.

ავღანეთის ისლამური რესპუბლიკა – „მტკიცე მხარდაჭერის მისია.“ ქართული ქვედანაყოფები 2015 წლიდან მონაწილეობენ ნატო-ს ახალ მისიაში – „მტკიცე მხარდაჭერის მისია“ (თითოეულ როტაციაზე ერთი ბატალიონისა და ორი ასეულის შემადგენლობით). სრულდებოდა ისეთი ძირითადი ამოცანები, როგორებიცაა: სწრაფი რეაგირება, ბაზების დაცვა, პატრულირება, ჩხრეკა, საკონტროლო-გამშვები პუნქტის ოპერაციები.

ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა – „ევროკავშირის ძალები აფრიკაში.“ 2014 წლის ივნისიდან საქართველო კვლავ ერთვება **ევროკავშირის ოპერაციაში** ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში, ამჯერად **გაერო-ს მანდატით**. ოპერაციის მთავარი მიზანი იყო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნება რეგიონში და ჰუმანიტარული დახმარებების ხელშეწყობა.

do not copy

ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა – ევროკავშირის სამხედრო მრჩეველთა მისია ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში. 2015 წლის სექტემბრიდან საქართველო ისევ **გაერო-ს მანდატით** ერთვება ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში **ევროკავშირის სამხედრო მრჩეველთა მისიაში**, სწრაფი რეაგირების ჯგუფში, ხოლო 2016 წლის იანვრიდან – მალის რესპუბლიკაში **ევროკავშირის საწვრთნელ მისიაში**.

ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა – „სამხედრო საწვრთნელი მისია“. 2017 წლის თებერვლიდან საქართველოს თავდაცვის ძალების ქვედანაყოფი იმყოფებოდა ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში მთავარი ამოცანით – სწრაფი რეაგირება და ესკორტირება.

ერაყის სამშვიდობო მისია – მრავალწლიანი კონფლიქტის ეპიზოდი*

აშშ-ს პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა 2003 წლის19 მარტს განაცხადა: „ჩემი ბრძანების თანახმად, კოალიციურმა ძალებმა დაიწყეს შეტევა წინასწარ შერჩეულ სამხედრო დანიშნულების ობიექტებზე, რათა სადამ ჰუსეინს (ერაყის პრეზიდენტი) ხელიდან გამოვგლიჯოთ ომის წარმოების შესაძლებლობა. ეს არის ფართო და შეთანხმებული სამხედრო კამპანიის საწყისი ფაზა“.

სამხედრო ოპერაციის დაწყებას წინ უძღოდა საინფორმაციო და დიპლომატიური კამპანია. სადამ ჰუსეინს ბრალს სდებდნენ მასობრივი განადგურების ბიოლოგიური იარაღის შექმნაში, რაზეც აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა კოლინ პაუელმა 2003 წლის 5 თებერვალს გაეროს უშიშროების საბჭოზე გამოსვლის დროს ისაუბრა:

ერაყის განთავისუფლების ოპერაცია მალე გაეროს მიერ ერაყის სტაბილურობის შენარჩუნების მრავალეროვნულ ოპერაციად გარდაიქმნა. ამ ოპერაციაში უკვე 2003 წლის აგვისტოში ჩაება საქართველოს ასეული. როგორც მაშინდელი საქართველოს თავდაცვის მინისტრი იხსენებს: „ერაყის ოპერაციაში ჩვენი მონაწილეობა საკმაოდ მოკრძალებული იყო და სავსებით შეესაბამებოდა საქართველოს პოლიტიკურ ამოცანებს. ეს გახლდათ სპეცდანიშნულების ასეული და საინჟინრო ოცეული“.

ხელისუფლების გადაწყვეტილებით ერაყში ქართული სამხედრო მისიის შემადგენლობა რამდენჯერმე გაიზარდა და 2008 წელს საქართველო 2000 კაციანი ბრიგადით იყო წარმოდგენილი. ამ მისიაში ყოფნისას საქართველოს არმიამ ხუთი ჯარისკაცი დაკარგა. ერაყიდან სამხედრო ქვედანაყოფის გაყვანის გადაწყვეტილება პრეზიდენტმა 2008 წლის აგვისტოში, საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის აგრესიის განხორციელების შემდეგ მიიღო. საერთაშორისო სამხედრო ოპერაცია ერაყში, რომელიც თითქმის 8 წელიწადს გრძელდებოდა, ოფიციალურად 2011 წლის დეკემბერში დასრულდა.

dont copy

ერაყის მოვლენების დაწყებამდეც და დღესაც ამ პროცესებს ჰყავდა და ჰყავს მომხრეები და კრიტიკოსები, რომლებიც კონფლიქტის გაცხადებულ მიზეზების საპირისპიროდ ნავთობთან დაკავშირებულ ინტერესებზე, პოლიტიკოსთა „შიშებსა“ და იმედებზე, ვერდადასტურებულ ბიოლოგიურ იარაღზე საუბრობენ.

დისკუსია

ქართველი სამხედროების მონაწილეობა სამშვიდობო მისიებში საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობას იწვევს.

დაიყავით 2 ჯგუფად: საქართველოს საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში მონაწილეობის მომხრეებად და მოწინააღმდეგეებად. გაეცანით ჯგუფში ქვემოთ მოცემულ მოსაზრებებს, იმსჯელეთ მათ საფუძველზე, დაამატეთ თქვენი მოსაზრება/მოსაზრებები, არგუმენტები და წარმოადგინეთ.

---

* ინფორმაცია მომზადებულია „რადიო თავისუფლების“ პუბლიკაციის მიხედვით. https://www.radiotavisupleba.ge/a/ten-years-from-iraq-war/24933452.html

I ჯგუფი

საქართველო საერთაშორისო სამხედრო ოპერაციებში უნდა მონაწილეობდეს!

1. საკუთარი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლება;
2. მისიაში გამგზავრებამდე ჯარისკაცები გადიან სპეციალურ წვრთნებს, რომლებიც ზრდის მათ გამოცდილებასა და სამხედრო უნარებს; შედარებით ამცირებს ჯარისკაცების სიცოცხლესთან დაკავშირებულ საფრთხეებს;
3. სამხედრო ძალების გამოცდილებისა და უნარების გაზრდა ქვეყანას საერთაშორისო სტანდარტებთან აახლოებს, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს საქართველოს დასავლური კურსით წინსვლას;
4. სამხედრო ოპერაციებში მონაწილეობით საქართველო ღიად გამოთქვამს სურვილს, იყოს ჩრდილო ატლანტიკური გაერთიანების წევრი და ამტკიცებს, რომ თავადაც შეუძლია პრგობლემის მოგვარების თანამონაწილე გახდეს;
5. საერთაშორისო უსაფრთხოებაზე ზრუნვა და აგრესიის, ძალადობისა და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა ნებისმიერი ქვეყნის პრიორიტეტს უნდა წარმოადგენდეს.
6. დღეს ტერორისტული დაჯგუფებები მსოფლიოსათვის უდიდეს საფრთხეს წარმოადგენენ. ,,თალიბანის, ალქაიდასა (ტერორისტული ორგანიზაციები) და მსგავსი დაჯგუფებების განადგურება დღეს თავისუფალი სამყაროსათვის ძალზე მნიშვნელოვანია. მოცემულ სიტუაციაში მთავარი სარგებელი არის არა ის, რომ ჩვენ მხარდაჭერას გამოვხატავთ მსოფლიო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, არამედ ის, რომ ამით ჩვენი ქვეყანა იმაღლებს პოზიციებს საერთაშორისო არენაზე და ამასთან, იზრდება ჩვენი სამხედრო შესაძლებლობები, რომელიც ისევ და ისევ ჩვენს თავდაცვას წაადგება სასიკეთოდ;
7. ამგვარი ქმედება უფრო გვაახლოებს იმ მიზანთან, რომელსაც საქართველოს ევროინტეგრაცია ჰქვია.

II ჯგუფი

საქართველო საერთაშორისო სამხედრო ოპერაციებში არ უნდა მონაწილეობდეს!

1. დიდი მსხვერპლი;
2. არაადეკვატურია საერთაშორისო სამხედრო ოპერაციებში საქართველოს მონაწილეობა ასეთი მასშტაბით მაშინ, როდესაც ქვეყნის 20% ოკუპირებულია და იქ უცხო სახელმწიფოს ჯარი დგას;
3. პროცენტული რაოდენობით საქართველოს სამხედრო კონტინგენტი მხოლოდ აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის სამხედრო კონტინგენტს ჩამოუვარდება და შესაბამისად, მსხვერპლიც პროცენტულად მაღალია.
4. 2008 წელს, როდესაც რუსეთმა საქართველოს ომი გამოუცხადა, 2000-მდე ქართველი სამხედრო ქვეყნიდან 1000 კილომეტრის დაშორებით, ერაყში იმყოფებოდა. მათ საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობა არ მიუღიათ. ეს ხალხი მაშინ საქართველოს თავდაცვას დააკლდა;
5. ჩვენი ქვეყნის მიმართ აგრესიის გაზრდა და შესაძლო ტერორისტული საფრთხე იმ დაჯგუფებებისაგან, რომელთა წინააღმდეგაც ქართველები იბრძვიან;
6. ტერორისტული თავდასხმის საშიშროებისა და კიდევ უამრავი მიზეზის გათვალისწინებით, საზოგადოების ნაწილი მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ შემცირდეს ქართული ჯარების კონტიგენტი სხვადასხვა სამხედრო ოპერაციებში, რადგან დიდი რაოდენობის შენაერთების ყოლის შემთხვევაში უფრო დიდია ქვეყანაზე თავდასხმის შესაძლებლობა, რაც საქართველოსთვის უეჭველად დიდი ზიანის მომტანი იქნება.

do not copy

სასარგებლო რესურსები

- დოკუმენტური ფილმი „საქართველო მსოფლიო მშვიდობისათვის“ https://bit.ly/2ZaReV1
- მსოფლიო ამბები ჰუმანიტარული მისია სირიაში https://bit.ly/3qhBeMX
- დოკუმენტური ფილმი: https://bit.ly/3aiGlqg
- ქართველი სამხედროები ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში https://bit.ly/2MZVIuY
- მისია ავღანეთში https://bit.ly/3quRRF3

IV თემა

გარემოს დაცვა

dont copy

dont copy

207

ყურადღება!

საკითხი: კლიმატის ცვლილება

კომპლექსური დავალება

გარემოს დამცველთა შორის დღეს აქტუალურია დევიზი: **შეამცირე, ხელახლა გამოიყენე, გადაამუშავე**. ამ დევიზის გათვალისწინებით, შეადგინე შენი პერსონალური/ოჯახური/ საკლასო **პროექტის სამოქმედო გეგმა**, რომელშიც კონკრეტულად აისახება, როდის, რას, რა რესურსების გამოყენებით გააკეთებთ, ვინ იქნებიან თანამოაზრეები და რა შედეგს ელოდები.

გეგმაში/გეგმის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინე:

- რომელ საჭიროებას უკავშირდება შენი არჩევანი და რით იქნება შენი პროექტი სასარგებლო შენთვის, საზოგადოებისთვის; როგორ შემოიკრებ თანამონაწილეებს (ოჯახიდან, სკოლიდან, თემიდან...)
- რა მიზნებს ემსახურება აქტივობები და რამდენად არის ორიენტირებული სამომავლო პერსპექტივაზე, როგორ გეგმავ რესურსების და ქმედებების გადანაწილებას დროში?
- რა მიმართება იკვეთება შენს პროექტსა და გლობალურ მიზნებს შორის? პროცესზე დაკვირვების/ მონიტორინგის რა ფორმას გამოიყენებ?
- როგორ შეესაბამება თქვენი ჩანაფიქრი კანონსა და ზნეობრივ ნორმებს, სხვა ადამიანების ინტერესებს?

dont copy

პრეზენტაციის შემდეგ ისაუბრე:

რა სტრატეგიები გამოიყენე/რა ნაბიჯები გადადგი დავალებაზე მუშაობის სხვადასხვა ეტაპზე; რას გააკეთებდი განსხვავებულად, ხელახლა რომ იწყებდე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობას.

გარემოს დაცვა, ბუნების დაცვისაგან განსხვავებით, ნიშნავს არა გარკვეული ლანდშაფტების ან ცალკეული, საფრთხეში მყოფი ცხოველებისა თუ მცენარეების დაცვას, არამედ ზრუნვას ბუნებრივი სასიცოცხლო საფუძვლების მთლიანობის შენარჩუნებაზე – ყველა ცოცხალი არსების კეთილდღეობისათვის. აქ უმთავრესი ყურადღება ადამიანის მიერ გამოწვეული ზიანის შემცირებაზეა გადატანილი.

გარემოს დაცვასთან დაკავშირებით უამრავი პრობლემა არსებობს, მათ შორის მნიშვნელოვანია: ტყეების გაჩეხვა, კლიმატის ცვლილება, რადიაქტიური ნარჩენები, ნაგავსაყრელები, ხმაური და სხვა. გარემოსადმი XX საუკუნის მცდარმა და უპასუხისმგებლო, მომხმარებლურმა მიდგომამ – დავიმორჩილოთ ბუნება და ჩავაყენოთ საზოგადოების სამსახურში – რისკები უკვე გაამჟღავნა. მოაზროვნე კაცობრიობა მივიდა დასკვნამდე, რომ ჩვენ კი არ უნდა დავიმორჩილოთ, არამედ უნდა შევიცნოთ და შევეწყოთ ბუნებასა და გარემოს.

გარემოს დაცვა – ყველა ის ღონისძიება, რომელიც მიზნად ისახავს ადამიანის და ბუნების სასიცოცხლო საფუძვლების მთლიანობის შენარჩუნებას და გარემოს არსებული დაზიანებების აღმოფხვრას.

იმსჯელეთ

- ეთანხმებით თუ არა ქვემოთ მოცემულ მოსაზრებას?
- რატომ დასჭირდა ავტორს საზოგადოების ყურადღების მისაქცევად მძაფრი ლექსიკის გამოყენება?
- რატომ არ ტეხს განგაშს თითოეული მოქალაქე კლიმატის ცვლილების გამო?

ბრიტანული გაზეთი „გარდიანის“ ერთ-ერთ სტატიაში წუხილია გამოთქმული იმის გამო, რომ საზოდაგოება და პოლიტიკოსები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ კლიმატის ცვლილებებს. აღნიშნულია ისიც, რომ „გარდიანი“ არსებული რეალობის სიმძიმის გამოსახატავად იყენებს სათანადო ლექსიკას: „კლიმატის ცვლილების“ ნაცვლად – „კლიმატის კრიზისს“, ხოლო „გლობალური დათბობის“ ნაცვლად – „გლობალურ სიმხურვალეს“.

don't copy

კლიმატის ცვლილება თავს იჩენს სხვადასხვა გზით, მათ შორისაა:



კლიმატის კრიზისი/ცვლილება ერთ-ერთი ყველაზე მწვავე საფრთხეა, რაც კაცობრიობის წინაშე დგას. თუკი გარემოს ადგილობრივი პრობლემები დროულად არ აღმოიფხვრება, ის გლობალურში გადაიზრდება და ადამიანების ყოფაზე დრამატულად აისახება. დღესდღეობით მსოფლიოში დიდი რაოდენობით საწვავს მოიხმარენ, რის გამოც ატმოსფეროში ნახშირორჟანგის შემცველობა იზრდება. ეს კი კლიმატის კრიზისის გამომწვევი ძირითადი ფაქტორია. არსებობს სხვა უამრავი ფაქტორიც:

მოსალოდნელი საფრთხეები

მსოფლიოში უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში ბუნებრივი კატასტროფების სიხშირე მნიშვნელოვნად გაიზარდა, რაც უმთავრესად კლიმატის ცვლილებებითაა გამოწვეული. გაეროს მონაცემებით,

- ყოველწლიურად მსოფლიოში 600-მდე სტიქიური უბედურება ხდება;
- 200 მილიონზე მეტი ადამიანი ზარალდება;
- ეკონომიკური დანაკარგები კი 100 მილიარდ დოლარს აღწევს;
- რაც შეეხებათ ეკომიგრანტებს, მათი რაოდენობა 25 მილიონს აღწევს, რაც ორჯერ მეტია, ვიდრე შეიარაღებული კონფლიქტების და პოლიტიკური რეპრესიების შედეგად ადგილნაცვალი პირების რაოდენობა ერთად აღებული;
- საერთაშორისო ორგანიზაციების პროგნოზით, კლიმატის ცვლილებების ფონზე 2050 წლისათვის ეკომიგრანტთა რაოდენობა 200 მილიონამდე გაიზრდება.

don't copy

ცნობილ ექსპერიმენტს – „ბაყაყის სინდრომს“ თუ გაიხსენებთ, როცა ბაყაყი მდუღარე წყალში ჩავარდება, იმ წუთას შეიგრძნობს საფრთხეს და თავის გადასარჩენად უკან ამოხტება. თუკი იგივე ბაყაყი თბილ წყალში აღმოჩნდა, რომელსაც ტემპერატურა ნელ-ნელა ემატება, ბაყაყი ვერ ამჩნევს ცვლილებას, რჩება წყალში და მის ადუღებასთან ერთად ამ წყალში იხარშება. სამწუხარო პარალელი შეიძლება გავავლოთ ადამიანებთან. გარემოში მიმდინარე უარყოფით ცვლილებებს ჩვენ დროულად ვერ შევიგრძნობთ, ეს ცვლილებები ნელა მიმდინარეობს, რაც ჩვენს ყურადღებას ადუნებს და არასწორი ქმედებების რისკს ზრდის.

საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების ფარგლებში განისაზღვრა ამოცანები, რომლებიც უნდა განხორციელდეს დადგენილ ვადებში შემდეგი მიმართულებებით: გარემოსდაცვითი მმართველობა; ჰაერის ხარისხი; წყლის ხარისხი და რესურსების მართვა, საზღვაო გარემოს ჩათვლით; ნარჩენების მართვა; ბუნების დაცვა; სამრეწველო დაბინძურება და სამრეწველო საფრთხეები; ქიმიური ნივთიერებების მართვა; კლიმატის ქმედება.
ტყის მდგრადი მართვა და თევზჭერასთან დაკავშირებული ასპექტები მოყვანილია ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) შესახებ ხელშეკრულებაში, რომელიც ასოცირების შესახებ შეთანხმების ნაწილია.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები (SDGs) მოიცავს გარემოსდაცვით ასპექტებს, რომლებსაც ქვეყნებმა უნდა მოარგონ თავიანთი პოლიტიკა. 2017 წლის 7 ივნისიდან საქართველოსთვის ოფიციალურად ძალაში შევიდა გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის „პარიზის შეთანხმება“. კონვენციის მოთხოვნის შესაბამისად, საქართველომ შეიმუშავა კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატეგია და 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმა, რომლებიც წარმოადგენს კლიმატის ცვლილების შერბილების მიმართულებით დასახული მიზნების მისაღწევ გეგმასა და განხორციელების მექანიზმს.

აღსანიშნავია, რომ საქართველო არის გლობალური და რეგიონული მრავალმხრივი გარემოსდაცვითი შეთანხმების, მათ შორის 18 კონვენციის, მათი ოქმების, დამატებების და შეთანხმებების მხარე. ერთ-ერთი ასეთი ხელშეკრულება, რომელიც გავლენას ახდენს მთელ გარემოსდაცვით მმართველობაზე ეროვნულ დონეზე და ხელს უწყობს საქართველოში უკეთესი გარემოსდაცვითი დემოკრატიის განვითარებას, არის ორჰუსის კონვენცია. იცავს რა მოსახლეობის გარემოსდაცვით უფლებებს, **ორჰუსის კონვენციამ** შექმნა მყარი საფუძველი გარემოსდაცვითი მმართველობის სფეროს შემდგომი გაუმჯობესებისთვის.

do not copy

ორჰუსის კონვენციის პრინციპები თანხვედრაშია საქართველოს კონსტიტუციასთან.

გარემოს დაცვის უფლება

1. ყველას აქვს უფლება ცხოვრობდეს ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი გარემოთი და საჯარო სივრცით. ყველას აქვს უფლება დროულად მიიღოს სრული ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ. ყველას აქვს უფლება ზრუნავდეს გარემოს დაცვაზე. გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის უფლება უზრუნველყოფილია კანონით.
2. ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსებით რაციონალური სარგებლობა უზრუნველყოფილია კანონით.

საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 29.

ნარჩენი – ნებისმიერი ნივთიერება ან ნივთი, რომელსაც მფლობელი იშორებს, განზრახული აქვს მოიშოროს ან ვალდებულია მოიშოროს.

გარემოს წინაშე მდგარი სირთულეების დასაძლევად უმნიშვნელოვანესია გარემოსდაცვით უფლებებსა და მოვალეობებში გაცნობიერებული სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება, რომელიც თავდაჯერებულად ისარგებლებს თავისი უფლებით – ფლობდეს ინფორმაციას საცხოვრებელ გარემოზე, აქტიურად ჩაერთვება გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში და ხელს შეუწყობს გარემოს მდგომარეობის გაუმჯობესებას. სწორედ ამ მიზნით შემუშავდა ორჰუსის კონვენცია, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს გარემოს დაცვას და ადამიანის გარემოსდაცვით უფლებებს და არეგულირებს მათთან დაკავშირებულ საკითხებს. ეს ზრუნვა უნდა იწყებოდეს ინდივიდის – მოქალაქის ყოველდღიური პასუხისმგებლობიანი ქმედებით (ცელოფანსა და პლასტმასზე უარის თქმა, ნარჩენების სწორად მართვა და ასე შემდეგ).

dont copy

ჰაერის დაბინძურება

ეს საინტერესოა

მეცნიერებმა დაადგინეს, რომ კორონავირუსის პანდემიის პერიოდში ატმოსფეროში ნახშირორჟანგის გაფრქვევა 17 %-ით შემცირდა. კვლევაში, რომელიც გამოცემაში Nature Climate Change გამოქვეყნდა, ამის მიზეზად სახელმწიფოთა დიდ ნაწილში დაწესებული საყოველთაო კარანტინი და სამრეწველო საქმიანობის შეჩერებაა დასახელებული. მეცნიერებმა 69 ქვეყნის მონაცემები გააანალიზეს, რომლებზეც მსოფლიო გამონაბოლქვის 97% მოდის. აღმოჩნდა, რომ ატმოსფეროს დაბინძურების შემცირებაში ყველაზე დიდი წვლილი სახმელეთო ტრანსპორტმა (43%) შეიტანა. ანალოგიური მაჩვენებელი დაფიქსირდა მრეწველობისა და ენერგეტიკის სფეროს (43%) შემთხვევაში. საჰაერო ტრანსპორტი კი ნახშირორჟანგის გაფქვევის შემცირების 10 %-ზეა პასუხისმგებელი. პანდემიის დროს დაწესებული შეზღუდვების გამო, ცალკეულ ქვეყნებში ატმოსფეროში ნახშირორჟანგის ემისიის მაჩვენებელი საშუალოდ 26%-ით შემცირდა.

ჰაერის დაბინძურების შემცირების სახელმწიფო პროგრამა 2017-2020, მოიცას ავტოტრანსპორტის სექტორს, სამშენებლო სექტორს, ქალაქის მწვანე საფარს, ჰაერის ხარისხის და მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის მონიტორინგს, საზოგადოების ინფორმირებას და ცნობიერების ამაღლებას.
სამინისტროს ვებგვერდზე ქვეყნდება ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების მონიტორინგის ავტომატური სადგურების მონაცემები, რომლებიც განთავსებულია ქალაქებში: თბილისი, რუსთავი, ბათუმი და ქუთაისი.

გაეცანით ქვემოთ მოცემული რუბრიკას „ეს საინტერესოა“, რომელიც ნათელი მაგალითია იმისა, რომ ყველაზე კეთილშობილური მიზანსაც კი შეიძლება ვერ მივაღწიოთ მოქალაქეობრივი გააზრებისა და მხარდაჭერის გარეშე.

ეს საინტერესოა

კობრის ეფექტი
„1989 წელს მექსიკაში ჰაერის გასუფთავების მიზნით კენტ და ლუწ ნომრიან მანქანებს სხვადასხვა დღეებში დაუწესეს გადაადგილება. თუმცა, სასურველის საწინააღმდეგო შედეგი (13%-ით გაზრდილი ჰაერის დაბინძურება) მიიღეს. რა მოხდა?! მექსიკელებმა გამოსავალი იპოვეს და დამატებითი მანქანები შეიძინეს; თუმცა დაუგეგმავ შესყიდვაზე ბევრ ფულს ვერ დახარჯავდნენ და ამიტომ ყველაზე იაფი და გაუმართავი მანქანები შეარჩიეს, რომლებიც ჰაერს უფრო აბინძურებდნენ. როცა კანონის ამოქმედების შემდეგ მიზნის საპირისპირო შედეგს იღებ, ამას „კობრის ეფექტი" ეწოდება. ზოგჯერ კანონი კეთილი მიზნისთვის მიიღება, მაგრამ შედეგი დაუგეგმავი და საზიანო აქვს“.

dont copy

ნარჩენების შემცირება და მათი მეორადი გადამუშავება

ნარჩენების გადამუშავების პრობლემა დღეს მთელ მსოფლიოშია აქტუალური. განვითარებულ სახელმწიფოებში დიდი ხანია იგი სახელმწიფო პოლიტიკის რანგში არის აყვანილი. ნარჩენების გადამუშავება ამცირებს ახალი ქაღალდის, პლასტიკური მასალის და მინის წარმოების

აუცილებლობას. ამ გზით იზოგება ახალი პროდუქციის დასამზადებლად საჭირო ენერგია. გადამუშავების შედეგად მიღებული პროდუქციის გამოყენება კი შეამცირებს ნაგავსაყრელებზე გასატანი მასალების (ბიოლოგიურად არადაშლად) მოცულობას, ასევე ნაგავსაყრელებზე არსებული ნარჩენების დაშლის შედეგად გამოყოფილი მეთანის კონცენტრაციას, რაც ძალიან მავნეა გარემოსთვის.

იმსჯელეთ

დღეს გარემოს დამცველთა შორის აქტუალურია დევიზი: **შეამცირე, ხელახლა გამოიყენე, გადაამუშავე**. თქვენ წინაშე მოცემული ინფოგრაფიკა სწორედ ამ დევიზის პოპულარიზაციას ემსახურება.
ინფოგრაფიკის დახმარებით, მოიფიქრეთ და დაასახელეთ მაგალითები ამ დევიზის მიხედვით – რას შეამცირებდით, რაზე იტყოდი უარს და რას გადაამუშავებდით.

ინერტული ნარჩენები – ნარჩენები, რომლებიც არ განიცდის მნიშვნელოვან ფიზიკურ, ქიმიურ ან ბიოლოგიურ ცვლილებებს – არ იხსნება, არ იწვის და არ შედის სხვაგვარ ქიმიურ ან ფიზიკურ რეაქციაში, არ განიცდის ბიოდეგრადაციას და სხვა მასალაზე არ ახდენს ისეთ გავლენას, რომელიც გამოიწვევს გარემოს დაბინძურებას ან ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანებას.

ნარჩენების მართვის 2016-2030 წლების ეროვნული სტრატეგია,

საქართველოს ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგია შემუშავებულია ნარჩენების მართვის კოდექსისა და ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული დირექტივების მოთხოვნების შესაბამისად.
სტრატეგიის მიზანია საქართველოში ნარჩენების მართვის განვითარების პროცესი შეესაბამებოდეს ევროპის ნარჩენების მართვის პოლიტიკას. სტრატეგია მოიცავს 15-წლიან პერიოდს (2016-2030 წწ.), რომელიც შესაძლოა პერიოდულად განახლდეს; სამოქმედო გეგმა კი შემუშავდება ყოველ 5 წელიწადში ერთხელ.
მუნიციპალური, მათ შორის საყოფაცხოვრებო ნარჩენის შეგროვება და ტრანსპორტირება მუნიციპალიტეტის პასუხისმგებლობაა. ნარჩენები ძირითადად დიდ ქალაქებში გროვდება.
ნარჩენების შეგროვების მუნიციპალური მომსახურება მთელი საქართველოს მასშტაბით არ წარმოებს. მცირე ზომის ქალაქებსა და სასოფლო დასახლებებში ნარჩენების შეგროვების საშუალებები, ასეთის არსებობის შემთხვევაში, მოძველებული და არასტანდარტულია; შეგროვების სისტემა არაეფექტურია.

ამჯერად საქართველოში მასშაბურად არ ხარისხდება ნარჩენები, თუმცა თითოეულ მოქალაქეს, თუმცა თითოულ მოქალაქეს შეუძლია დამოუკიდებლად მიიღოს ამ პროცესში მონაწილეობა.

dont copy

იმსჯელეთ

ქარხნის ნარჩენები, უპირველეს ყოვლისა, მდინარეში ჩაედინება, რის შედეგადაც თევზი გაწყდა, წყალი ბანაობისათვის და ბაღების მოსარწყავად გამოუსადეგარი გახდა. ეს განსაკუთრებით მდინარის ქვემო დინების მცხოვრებთ აწუხებთ. სწორედ ისინი მსჯელობენ ეკოლოგიური პრობლემის გადაჭრის სამ ვარიანტზე.

- მიიღეთ გადაწყვეტილება, აირჩიეთ ის ვარიანტი, რომელიც თქვენი აზრით საუკეთესოა. პასუხი დაასაბუთეთ:

ვარიანტი 1. რადგან დაბინძურების კონტროლი და ეკოლოგიური პრობლემის გადაჭრა პირველ რიგში, ქვემო დინების მცხოვრებლებისთვისაა სარგებლის მომტანი, მათ ქარხნისთვის გადახდა მოუწევთ, რათა ნარჩენები სხვა გზით გაიტანონ.

ვარიანტი 2. სახელმწიფომ ქარხანა უნდა დახუროს. ეს ერთადერთი გზაა დაბინძურების შესაჩერებლად. მოსახლეობა არ უნდა დაზარალდეს. ამ პრობლემის ნებისმიერი სხვაგვარი გადაწყვეტა წყალს მაინც დააბინძურებს.

ვარიანტი 3. კომპანია წარმოების ყველა დანახარჯს არ ითვალისწინებს. მდინარის წყლის დაცვა ერთ-ერთი ასეთი დანახარჯია. უნდა დაწესდეს ეკოლოგიური გადასახადი და იგი კომპანიას ყოველი კუბური ლიტრი წყლის დაბინძურებისთვის უნდა დაეკისროს. ეს კომპანიის დანახარჯების ზრდას და შესაბამისად, წარმოების შემცირებას გამოიწვევს. შედეგად, მდინარის წყალი ნაკლებად დაბინძურდება.

მოზარდები კლიმატის ცვლილების შესაჩერებლად.

გრეტა თუნბერგი შვედი მოზარდია – ბავშვი, რომელმაც საზოგადოების ყურადღება 15 წლის ასაკში, სტოკჰოლმში შვედეთის პარლამენტის შენობის წინ გამართული ყოველკვირეული (პარასკევობით) საპროტესტო აქციებით მიიპყრო (2018 წ.). ის ქვეყნის ხელისუფლებისგან კლიმატზე შეთანხმების შესრულებას ითხოვდა. გრეტას ქმედებას მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ათასობით მოსწავლე სასკოლო გაფიცვებით გამოეხმაურა. შეიქმნა საერთაშორისო გარემოსდაცვითი ორგანიზაცია „პარასკევი მომავლისთვის“, რომლის ლიდერიც გრეტა გახდა. 2019 წლის სექტემბერში კლიმატის ცვლილების საკითხებისადმი მიძღვნილ გაეროს სამიტზე წარმოთქმულ სიტყვაში, გრეტა თუნბერგმა მსოფლიო ლიდერები გარემოს დაცვითი პრობლემების უგულებელყოფასა და ახალი თაობის ღალატში დაადანაშაულა. თუნბერგს მიაჩნია, რომ გლობალური დათბობის გამო კაცობრიობა კრიზისს განიცდის, რაც პასუხისმგებლობის გრძნობას უნდა უზრდიდეს მოზრდილთა დღევანდელ თაობას. გოგონას ხშირად იწვევენ კონფერენციებსა და აქციებში მონაწილეობისთვის. 2019 წელს, ჟურნალმა „Time“ გრეტა დაასახელა წლის ადამიანად. გრეტა ასევე 2019 და 2020 წელს იყო ნომინირებული ნობელის პრემიაზე.

don't copy

კომპოსტირება – პროცესი, რომელიც მიმდინარეობს ორგანული ნარჩენების, მიკროორგანიზმების, ტენისა და ჟანგბადის ურთიერთზემოქმედების შედეგად და რომლის საშუალებითაც მყარი ორგანული ნარჩენები გარდაიქმნება ჰუმუსის (ნეშომპალის) მსგავს პროდუქტად.

იცით თუ არა, რომ საკვები ნარჩენების 95%, რომელიც შესაძლებელია გარდაიქმნას კომპოსტად და გამოვიყენოთ მცენარეების ზრდის ხელშესაწყობად, საბოლოოდ ნაგავსაყრელზე ხვდება.

დისკუსია

მოხუცი ცოლ-ქმრის ისტორია

მოხუც ცოლ-ქმარს დიდი შვილები ჰყავთ, რომლებიც შორს ცხოვრობენ, ესენი კი აქვე, ჩვენთან.

დილით ადრე იღვიძებენ და ბაღ-ბოსტანში მუშაობენ, ბაღის ბოლოს მოწყობილი აქვთ კომპოსტირების ორმო, ყველანაირ ორგანულ ნარჩენებს იქ უყრიან თავს და მერე ნიადაგს იმით ანოყიერებენ. არასდროს წვავენ ფოთლებს. ნაგავს ყოველთვის ახარისხებენ. ჩვენც გვთავაზობენ, თუ გინდათ აქ მოაგროვეთ და მერე ერთად ჩავაბაროთო.

იქვე მდინარე ჩამოდის, მას ყოველთვის მოსდევს ნაგავი, რომელსაც მდინარე რიყავს ნაპირზე. მოხუცები დროს პოულობენ და დროდადრო სანაპიროს ასუფთავებენ. ღუმელს მდინარის სანაპიროზე გამორიყული ხის ტოტებით ანთებენ. ყოველთვის სუფთად აცვიათ, მაგრამ დაგაინტერესებთ მათი ტანსაცმელი, რადგან საოცარ კომბინაციებს ნახავთ – ნაქსოვისა და ჯინსის, ფერადისა და სადას. ყოველთვის ნაჭრის ხელჩანთა დააქვთ. არ ყიდულობენ პლასტმასის ნივთებს, აგროვებენ წვიმის წყალს, ბებია ჩირებს მზეზე აშრობს, სხვადასხვა ბოსტნეულსაც მძივებივით ააბამს ხოლმე და აშრობს... როცა თენდება, უნდა გაიღვიძო და რომ დაღამდება – ძილის დროა, ასე დააწესა ბუნებამო – იტყვის ხოლმე ბებია.

- რა ტიპის ნარჩენების დახარისხებას აქვს აზრი?
- შესაძლებელია თუ არა სახელმწიფოს ჩარევის გარეშე ნარჩენების სწორი დახარისხება? ამ შემთხვევაში ყველა ნარჩენი ისევ ერთად ხომ არ მოიყრის თავს? შენ რის გაკეთება შეგიძლია ამ მიმართულებით?

don't copy

შენ შეგიძლია ნარჩენებიდან გამოიცალკევო ლითონის ნივთები და ნაგავსაყრელის ნაცვლად, ჩააბარო ჯართში.

შენ შეგიძლია გამოყენებული რვეულები, გაზეთები და სხვა ქაღალდები შეაგროვო და ჩააბარო მაკულატურაში, და ამით უამრავი ხე მოჭრას გადაარჩინო.

შენ შეგიძლია შეამცირო პლატმასის ნივთების გამოყენება, რადგან პლასტმასის ნარჩენები ძალიან ძნელად იშლება. მიწაში ჩამარხულ ან თუნდაც პლასტმასის გადაგდებულ ნარჩენს 700 წელი სჭირდება დასაშლელად. ამიტომ პლასტმასისაგან დამზადებული ნივთების გამოყენების დროს დაფიქრდით, თუ როგორ აბინძურებ გარემოს.

შენ შეგიძლია უარი თქვა ზოგი საგნის გამოყენებაზე და ეცადო ხელახლა გამოიყენო ზოგიერთი ნივთი. მაგალითად, ყოველთვის თან იქონიო საკუთარი ჩანთა შეძენილი საქონლის ჩასალაგებლად.

შენ შეგიძლია შეამცირო შესაძენი საქონლის რაოდენობა – რაც უფრო ნაკლებს ყიდულობ, მით უფრო შემცირდება ნაგავსაყრელზე გასატანი ნარჩენების მოცულობა და გამოყოფილი მეთანის რაოდენობა.

თუ სოფელში ცხოვრობ ან აგარაკი გაქვს, **შეგიძლია ეზოს განაპირა**

კუთხეში დაამზადო კომპოსტი. რომელიც შესანიშნავი სასუქია მცენარეებისათვის. ამით 3 საქმეს ერთად გააკეთებ: ნარჩენებს გამოიყენებ მეორეულად; ქიმიკატების მოხმარებასაც შეამცირებ და მცენარეებს ბუნებრივი სასუქით გამოკვებავ, რაც აუცილებლად მეტ მოსავალს მოგცემს.

კლიმატის ცვლილების პროგნოზი საიმედო არ არის, თუმცა, გააჩნია, როგორ მოვიქცევით, როგორ ვიზრუნებთ გარემოზე, რომელშიც ვცხოვრობთ, როგორი მომხმარებლები ვიქნებით, როგორ განვვითარდებით – ამაზეა დამოკიდებული კაცობრიობის მომავალი.

ეს საინტერესო

ერთი ჯინსის შარვლის საწარმოებლად საჭიროა 3,781 ლიტრი წყალი. წარმოიდგინეთ, მხოლოდ თქვენ და თქვენი ოჯახის წევრებს ჯინსის რამდენი ნივთი გქონიათ. არიან ადამიანები, რომლებიც გაცვეთილ, ხმარებისთვის გამოუსადეგარ ჯინსის შარვლებსა თუ სხვა ჩასაცმელს ახალ სიცოცხლეს აძლევს. ოთახის ჩუსტები, შალითები, წინსაფრები, ჩანთები, ხალიჩები და ვინ მოსთვლის კიდევ რა... მოკლედ, ღირს გადახედო ამ ნივთებს, ზოგიერთს დამზადების ვიდეოგაკვეთილებიც ახლავს...
ეს შენი შესაძლებლობაც არის, შეუერთდე გარემოსდამცველთა დევიზს „ხელახლა გამოიყენე!“ http://bit.ly/3qB0duN

dont copy

თუ ინგლისურ ენას ფლობ, მაშინ ეს აპლიკაცია შენთვისაა:

- გამოთვალეთ თქვენი სკოლის/სახლის ეკოლოგიური ნაკვალევი http://myfootprint.org/en/visitor_information/ ამ საიტზე მარტივ რჩევებსაც ამოიკითხავთ.
- იგი შემუშავებულია იმიტომ, რომ ადამიანი დააფიქროს გარემოზე საკვების უარყოფით გავლენაზე. საზომი უჩვენებს, თუ რა გზას გაივლის საკვები ჩვენს თეფშზე მოსახვედრად, ან ნარჩენი, ვიდრე ნაგავსაყრელზე მოხვდება. https://www.foodmiles.com/

სასარგებლო რესურსი

- ჩაერთეთ eTwinning-ის პროგრამაში, სადაც ევროპელ და საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებ თანატოლებთან ერთად შეძლებთ განახორციელოთ პროექტები კლიმატის ცვლილების მიმართულებით. https://twinspace.etwinning.net/about
- ჩაერთეთ ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემიის კონკურსში http://forestry.ge/ge/about
- კავკასიის გარემოსდაცვითი ცოდნის პორტალი http://environment.cenn.org/ge/

საკითხი: ენერგიის ალტერნატიული წყაროები

ყურადღება!

კომპლექსური დავალება

წარმოიდგინე, რომ შენ და შენი მეგობრები განახლებადი ენერგიის წყაროების შესახებ თემის ცნობიერების ასამაღლებელ პროექტს ახორციელებთ. შენ პრეზენტაციისთვის შერჩეული გაქვს ილუსტრაცია (იხილეთ წიგნში), მაგრამ საჭიროა ტექსტი, რომელიც ილუსტრაციაზე ასახულ ინფორმაციას ახსნის და შეავსებს. შეადგინე ეს **ტექსტი** (200 სიტყვა);

რჩევა: არ დაგავიწყდეს, ტექსტი პოპულარული/გასაგები ენით უნდა დაწერო, უცნობი სიტყვები კი განმარტო.

ნაშრომში/ ნაშრომის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინე:

- რამდენად მართებულია საზოგადოების ინტერესებისა და მომავლის პერსპექტივისთვის განახლებადი რესურსების მოხმარება? რატომ?
- რა მნიშვნელობა აქვს ენერგიის ალტერნატიულ წყაროებზე ცნობიერების ამაღლებას და
- როგორ აისახება მისი პრაქტიკაში გამოყენებაგლობალურ პროცესებზე?

პრეზენტაციის შემდეგ ისაუბრე:

რა სტრატეგიები გამოიყენე/რა ნაბიჯები გადადგი დავალებაზე მუშაობის ,ხვადასხვა ეტაპზე; რას გააკეთებდი განსხვავებულად ხელახლა რომ იწყებდე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობას.

dont copy



dont copy

ენერგიის ალტერნატიული წყაროები

ენერგიის ტრადიციული წყაროების საზიანო გავლენა გარემოზე

ადამიანის საქმიანობა მოითხოვს რესურსებს და ენერგიას. ენერგიის ტრადიციული წყაროების – წიაღისეული რესურსების წვა აჩქარებს გლობალური დათბობის პროცესს. საწვავის წვის დროს გამოიყოფა მავნე ნივთიერებები, სხვადასხვა გაზი, რომლებიც „სათბურის ეფექტს“ ქმნის, რაც დედამიწის ზედაპირის ტემპერატურას ზრდის.

ბიზნესის აჩქარებული ზრდის პარალელურად, საფრთხეების მოცულობაც გაიზარდა. ენერგორესურსების შეუზღუდავ ხარჯვას პასუხად ბუნებრივი კატასტროფების მატება და მათი რისკების ზრდა მოჰყვა. მეცნიერებისთვის თვალსაჩინო გახდა, რომ ამგვარი შეუზღუდავი მიდგომა უკვე და შემდგომშიც გარემოს და ადამიანებს დიდ პრობლემებს უქმნის. თუ არ შეიცვლება ბიზნესის დამოკიდებულება და არ დაინერგება ალტერნატიული ენერგიის წყაროები, ჭკვიანი, დამზოგი ეფექტური ტექნოლოგიები, დედამიწელების მომავალი გაურკვეველი იქნება.

? რა ალტერნატივა არსებობს?



don't copy

განახლებადი ენერგიის მთავარი უპირატესობა არის ის, რომ ის ამოუწურავია, განსხვავებით წიაღისეული რესურსებისგან (ნავთობი, ქვანახშირი და სხვა), ამავე დროს, განახლებადი ენერგიის მოპოვება გარემოს ნაკლებ ზიანს აყენებს, შესაბამისად, ასეთი სახის ენერგია გვაძლევს საშუალებას დავაკმაყოფილოთ გაზრდილი მოთხოვნა ენერგიაზე ისე, რომ გარემოს მინიმალური ზიანი მივაყენოთ.

დისკუსია

თქვენი აზრით, რატომ იწვევს არაგანახლებადი ენერგიის წყაროები გლობალურ დათბობას, ხოლო განახლებადი – არა?

ინდუსტრიული პროცესების გავლენა ეკოსისტემებზე დიდია, მისი ფუნქციონირებისთვის ელექტროგენერაციაა საჭირო. მზარდი მოთხოვნის პირობებში, საჭირო ხდება ენერგიის ალტერნატიულ წყაროებზე გადასვლა. თუკი ენერგია ბირთვული სადგურიდან, ან კიდევ უკეთესი, მზის, ქარის, გეოთერმული ან ჰიდროელექტროსადგურებიდან მიიღება, გამონაბოლქვი არ გვაქვს, ატმოსფეროზე ზემოქმედება ნულოვანია, გარემოზე გავლენა კი მხოლოდ მშენებლობის პროცეში თუ გვხვდება. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ თითოეულ ენერგიის წყაროს აქვს თავისი უარყოფითი გამოვლინებები, თუმცა არა ატმოსფერულ დაბინძურებასთან დაკავშირებული.

„სათბურის ეფექტის“ არსი: მზე ათბობს დედამიწის ზედაპირს და ატმოსფეროს. ამ სითბოს 70% უკან, კოსმოსში ბრუნდება. წიაღისეული საწვავის წვისას გაფრქვეული გაზები (ნახშირორჟანგი, მეთანი, ა.შ.) ატმოსფეროს გარს ეკვრის და მზისგან შემოსული სითბოს კოსმოსში დაბრუნებას ხელს უშლის, ინახავს. ანუ ქმნის „სათბურის ეფექტს“.

იმსჯელეთ

განიხილეთ ქვემოთ მოცემული სიტუაცია და უპასუხეთ კითხვებს:

- რა კავშირი აქვს ამ 2 სიტუაციას გარემოს დაცვის საკითხთან?
- რა საერთო აქვთ ამ სიტუაციებს ერთმანეთთან?
- ვის აქვს პასუხისმგებლობა გარემოს დაბინძურებაზე?
- რა შეუძლია გააკეთოს ქრისტინამ გარემოს დაბინძურების შესამცირებლად?
- რა შეუძლია გააკეთოს ამისთვის მარინამ?
- რა ხდება შენ გარემოში? რა შეგიძლია გააკეთო შენ?

dont copy

ბიომასა – ბიოლოგიური წარმოშობის ორგანული, არაწიაღისეული მასალა ქიმიური ენერგიის შემცველობით.

სიტუაცია

ქრისტინა ნორვეგიაში ცხოვრობს და სულაც არ ფიქრობს ელექტროენერგიის დაზოგვით გამოყენებაზე. მას კარგი შემოსავალი აქვს, ელექტროენერგია იაფი ღირს. ქრისტინას არ მიაჩნია, რომ ელექტროენერგიაზე ზრუნვა მნიშვნელოვანია. მეტიც, მის მიერ გამოყენებული ელექტროენერგია სხვა ადამიანების ჯანმრთელობასაც კი არ ვნებს, რადგან ჰიდროელექტროსადგურებში წარმოებული ენერგია არ აბინძურებს ბუნებას.

გოგონას მხოლოდ ის აღიზიანებს, რომ დაბინძურება ნორვეგიაში სხვა ქვეყნებიდან შემოდის. ის განსაკუთრებით შეწუხებულია მჟავე წვიმებით, რომლებიც აზიანებს ხეებს, ვნებს თევზს ნორვეგიის წყლებში. ქრისტინას მიაჩია, რომ მან გადამწყვეტი ნაბიჯები უნდა გადადგას, რომ ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა დაბინძურებას ბოლო მოეღოს.

მარინა მეზობელ ქვეყანაში ცხოვრობს, სადაც საწარმოსთვის ენერგიის მისაღებად ნახშირს იყენებენ. საწარმოს თავზე დიდი მილიდან კვამლი, გაზი და მომწამლავი ნივთიერებები ამოდის. ქარს ისინი საწარმოდან შორ მანძილზე გადააქვს. მარინამ გაზეთიდან შეიტყო, რომ ეს სახიფათოა და ამ საწარმოს იმდენი გამონაბოლქვი აქვს, რომ მეზობელ ქვეყებშიც კი აბინძურებს და აზიანებს ბუნებას.

ამასთან, საწარმოს დირექტორს მიაჩნია, რომ მათ არჩევანი არ აქვთ. სხვა წყაროებიდან მიღების შემთხვევაში ენერგია ძალიან გაუძვირდებათ და საამქროს დახურვა და ასობით თანამშრომლის დათხოვა მოუწევთ.

ქუთაისში ევროპის მასშტაბით მზის ყველაზე დიდი პანელების მწარმოებელი ქარხანა ფუნქციონირებს

ენერგიის დაზოგვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გზა არის განახლებადი ენერგიის წყაროების გამოყენება. იგი აქტუალურია, როგორც ეკოლოგიური, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით.

დღესდღეობით მსოფლიოში ეკონომიკის სხვადასხვა დარგში უფრო და უფრო მეტად იყენებენ ენერგიის არატრადიციულ ანუ ალტერნატიულ წყაროებს. ენერგიის ალტერნატიული წყარო უნდა იყოს განახლებადი, ნაკლებად აბინძურებდეს გარემოს და, რაც მთავარია, აგვარებდეს საწვავის პრობლემას, ამიტომ მსოფლიოს მრავალი ქვეყანა გარემოსდაცვითი და ამოწურვადი რესურსების შენარჩუნების მიზნით დიდ ყურადღებას აქცევს მზის, ქარის, წყლის, გეოთერმული ენერგიის გამოყენებას.

don't copy

მზის ენერგიის გამოყენება პირველად გასული საუკუნის 80-იან წლებში სცადეს. პირველი ჰელიოსადგურიც 1984 წელს აშენდა. დედამიწა 500-ჯერ მეტ ენერგიას იღებს მზისგან, ვიდრე მთელი მსოფლიოს ენერგოსისტემებში გამოიყენება.

მზის ელექტროენერგიისა და სითბოს ძირითადი უპირატესობებია: იმპორტირებულ საწვავზე დამოკიდებულების შემცირება, ენერგომომარაგების ნაირსახეობის გაუმჯობესება, დეფიციტური ბუნებრივი რესურსების დაზოგვა, CO_2-ის გამოყოფის შემცირება და ძალზე მცირე დანახარჯი, ურბანული დაბინძურების შემცირება, ენერგიის ულევი და მყისიერი წყაროს არსებობა, ასევე – ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმება და ეკონომიკის წახალისება.

მზის ენერგიის გამოყენებასთან დაკავშირებული პრობლემები:

მზის პანელების მაღალი თვითღირებულება და ფასი; ელექტროენერ-

გიის მისაღებად დღის სინათლის არსებობის აუცილებლობა; ამინდის გავლენა მზის ენერგიიდან სხვა ფორმის ენერგიის მისაღებად.

ქარის ენერგია

ქარის ენერგიას მექანიკური ენერგიის მისაღებად კაცობრიობა ჯერ კიდევ ჩვენს წელთააღრიცხვამდე იყენებდა, ხოლო ელექტროენერგიის მისაღებად მისი გამოყენება XIX საუკუნის ბოლოს დაიწყო.

მსოფლიოში ეკონომიკურად ეფექტური ქარის პოტენციალი 72000 გვტ-ს შეადგენს, რაც მნიშვნელოვნად აღემატება თანამედროვე მოთხოვნებს. ეკონომიკურად ეფექტურად ითვლება ქეს-ების (ქარის ელექტროსადგურები) გამოყენება, როდესაც ქარის საშუალო წლიური სიჩქარე 50 მ სიმაღლეზე 6,4 მ/წმ-ის ტოლია.

გეოთერმული ელექტროსადგურები მოქმედებს ისლანდიაში, იტალიაში, ესპანეთში, ახალ ზელანდიაში, რუსეთსა და იაპონიაში. საქართველოში გეოთერმულ ენერგიას იყენებენ პირდაპირი გათბობისთვის, სათევზე გუბურის გათბობისთვის, სამრეწველო აპლიკაციებისა და სათბურების გასათბობად.

ენერგიის ალტერნატიულ წყაროდ შეიძლება ჩაითვალოს ბიოგაზი. ბიო-ენერგია ბიომასის ხრწნის შედეგად მიღებული ენერგიაა. ბიოენერგიის მიღება შეიძლება ტემპერატურის, წნევისა და მოცულობის მუდმივობის პირობებში. ბიოგაზის მიღება ეკონომიურად გამართლებულია, თუკი ნედლეულის მოწოდება მუდმივად ხდება. მაგ: მეცხოველეობის ფერმებ-ში. ბიოგაზის ერთ-ერთი სახეობაა ლენდფილ-გაზი, რომელიც მიიღება მუნიციპალურ ნაგავსაყრელებზე.

dont copy

იმუშავეთ ჯგუფებში

დაიყავით 4 ჯგუფად, აირჩიეთ განახლებადი ენერგიის ერთ-ერთი წყარო და გააანალიზეთ თქვენს რეგიონში მისი განვითარების შესაძლებლობა. მოამზადეთ პრეზენტაცია. დამატებით, შეგიძლიათ იხილოთ https://bit.ly/37uYNKR

- რა პერსპექტივა და შეზღუდვა აქვს ამ განახლებად წყაროს თქვენს რეგიონში?
- რა იქნება მისგან მიღებული სარგებელი? ნაკლოვანება?
- რა გავლენას იქონიებს თქვენს ლოკალურ გარემოზე? საერთოდ, გარემოზე?

სასარგებლო რესურსები

- როგორ მუშაობს მზის ელექტროსადგური? https://bit.ly/3jPG1m7
- ოკეანეები და გლობალური დათბობა https://bit.ly/2ZeFnoU
- შეამცირე ნარჩენი https://bit.ly/37sGntS

საკითხი: ენერგოეფექტურობა

ყურადღება!

კომპლექსური დავალება

შენ სამუშაოს მაძიებელი ხარ და გსურს მუშაობის დაწყება იმ სამშენებლო კომპანიაში, რომელიც ენერგოეფექტურ სახლებს აშენებს. მათ გამოაცხადეს ვაკანსია სარეკლამო აგენტის პოზიციაზე და შენ განაცხადი გააკეთე. ზეპირ გასაუბრებაში შენ მაღალი შეფასება დაიმსახურე. ახლა ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ შეასრულებ პრაქტიკულ დავალებას; შეგიძლია ორი ტიპის პროდუქტიდან ერთ-ერთი აირჩიო: ენერგოეფექტური ბინების უპირატესობაზე მოამზადო **სარეკლამო ბანერი (ნახატი, აპლიკაცია, ელექტრონული) ან სარეკლამო ტექსტი** (200 სიტყვა).

ნაშრომში/ნაშრომის წარდგენისას ხაზგასმით წარმოაჩინე:

- რატომ არის საზოგადოებრივი ინტერესებისა და მომავლის პერსპექტივისთვის მნიშვნელოვანი ენერგოეფექტური ბინები?
- რამდენად სარგებლიანია ენერგოეფექტური ბინის შეძენა საოჯახო რესურსების დაზოგვის, კომფორტის შენარჩუნების თვალსაზრისით;
- როგორ და რატომ იქონიებს გავლენას კონკრეტული მომხმარებლის გადაწყვეტილება (ბინის შეძენა) გლობალურ შედეგებზე?

don't copy

პრეზენტაციის შემდეგ ისაუბრე:

რა სტრატეგიები გამოიყენე/რა ნაბიჯები გადადგი დავალებაზე მუშაობის სხვადასხვა ეტაპზე; რას გააკეთებდი განსხვავებულად, ხელახლა რომ იწყებდე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობას.

მდგარადი განვითრების ძირითადი მიზანი ისაა, რომ თანამედროვე საზოგადოების ყველა დონეზე – სახელმწიფოთაშორის, სახელმწიფო, ინდივიდუალურ დონეზე – მიიღონ სასწრაფო ზომები ეკოლოგიური კატასტროფის შესაჩერებლად, ანუ თითოეულმა ჩვენგანმა უნდა გაიაზროს საკუთარი პასუხისმგებლობა პლანეტის მომავლისათვის.

ენერგიის დაზოგვის ხერხები

don't copy

დედამიწაზე ეკოლოგიური კატასტროფის შესაჩერებლად და გარემოს დაბინძურების შესამცირებლად ყველაზე მარტივი საშუალება ენერგიის ხარჯვის შემცირებაა. ენერგიის გონივრული ხარჯვა მოიცავს ენერგოდაზოგვასა და ენერგოეფექტურობას.

ენერგოდაზოგვა გულისხმობს ენერგიის დაზოგვას მისი მოხმარების მინიმიზაციის გზით. ენერგოდაზოგვა ჩვენი ქცევებისა და საყოფაცხოვრებო ჩვევების შეცვლას გულისხმობს. ადამიანებმა უნდა იცოდნენ, როგორ მოიქცნენ ისე, რომ ენერგიის ხარჯვა შეამცირონ.

ენერგოეფექტურობა გულისხმობს უფრო მაღალი კლასის ტექნიკის შეძენასა და საცხოვრებელი სახლების შიდა თუ გარე დათბუნებას, კარ-ფანჯრის მოწესრიგებას და სხვა ღონისძიებებს. მაგალითი 1: ენერგოეფექტური 12 ვატიანი LED ნათურა იყენებს 75-80%-ით ნაკლებ ენერგიას, ვიდრე 60 ვატიანი ტრადიციული ნათურა, მაგრამ უზრუნველყოფს იმავე დონის სინათლეს და 10-ჯერ უფრო სიცოცხლისუნარიანია, ვიდრე ვარვარა ნათურები, რომლებსაც მასობრივად ვიყენებთ. ან

ენერგოეფექტურობა – ენერგიის მიზნობრივად, რაციონალურად ხარჯვა, როდესაც შესაძლებელია ნაკლები დანახარჯით მივიღოთ საჭირო ეფექტი.

ენერგოდაზოგვა – ნაკლები ენერგიისა და ენერგეტიკული მომსახურების გამოყენება.

მაგალითი 2: სახლში ტემპერატურის დაწევის სანაცვლოდ შეგიძლიათ დაამონტაჟოთ ენერგოეფექტური გამათბობელი მოწყობილობები. ენერგოეფექტურობა არ მოითხოვს თქვენი ქცევის შეცვლას კომუნალური გადასახადების შესამცირებლად.

იმსჯელეთ

სიტუაცია 1

მთავრობა რეკომენდაციას უწევს მოსახლეობას, შეიძინოს ენერგოეფექტური საოჯახო ტექნიკა. ამ მიზნით დიდი ხანია დაწყებულია საყოფაცხოვრებო ტექნიკის მოხმარებული ენერგიის მარკირება. თითოეულ მოწყობილობას (წყლის გამაცხელებელი, ტელევიზორი, მაცივარი და ა.შ.) აწერია რამდენად ენერგომომხმარებელია – A კლასის (ყველაზე ენერგოეფექტური) ტექნიკა, რომელიც 3-ჯერ ნაკლებ ელექტროენერგიას მოიხმარს, ვიდრე D კლასის. ამავდროულად, უფრო ძვირი ღირს, ვიდრე D კლასის.

- თქვენი აზრით, რატომ არის ფასებში სხვაობა სხვადასხვა ენერგომომხმარებელ ტექნიკას შორის?
- მომხმარებელმა უნდა გადაწყვიტოს, მეტის გადახდა ურჩევნია და შემდეგ დანაზოგის გაკეთება, თუ სამთავრებო რეგულაციებმა?

სიტუაცია 2

საწარმოებში, საწყობებში დიდი სითბო იკარგება სატვირთო ავტომობილების შესვლა-გამოსვლისას.

- თქვენი აზრით, მესაკუთრეებმა ენერგიის დასაზოგად შესასვლელში სპეციალური თანამშრომელი უნდა დააყენონ თუ მძღოლებს სთხოვონ, კარი თვითონ გააღონ და დახურონ ხოლმე?
- რას ურჩევდით საწყობის, საამქროს მეპატრონეებს?
- როგორ შეუწყობს თქვენი რჩევა ენერგოეფექტურობის გაუმჯობესებას?

dont copy

ინვესტიცია – მოგების მიზნით კაპიტალის (ფულის) გრძელვადიანი დაბანდება.

? რა არის ენერგოეფექტურობის მთავარი სარგებელი?

ენერგოეფექტურობის მთავარი სარგებელი შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ:

1. **მნიშვნელოვნად შევამციროთ კომუნალური გადასახადები.** ენერგოეფექტური საყოფაცხოვრებო ტექნიკა ხარჯავს ნაკლებ ენერგიას. თქვენ შეგიძლიათ დაზოგოთ კომუნალური გადასახადები 5-დან 30%-მდე.
2. **მივიღოთ ინვესტიცია.** თუ იყიდით ენერგოეფექტურ სახლს, ის უნდა განიხილოთ, როგორც ინვესტიცია, რადგან ხარჯს აუცილებლად ამოიღებთ კომუნალური ხარჯების შემცირებით.
3. **გავზარდოთ ქონების ღირებულება.** ენერგოეფექტური სახლები

უფრო ძვირად იყიდება, ვიდრე სტანდარტული სახლები.

4. **გავზარდოთ ცხოვრების ხარისხი.** ენერგოეფექტური ღონისძიებების ჩატარებით თქვენი სახლი იქნება უფრო თბილი, მშრალი და სათანადო ვენტილაციით, რაც ამცირებს დაავადებების რისკს, ობის ზრდას (ობის სოკო ჩნდება კედლებზე არასასურველი კლიმატის გამო). ენერგოეფექტურობა ასევე ხელს უშლის შიდა დამაბინძურებლების დაგროვებას.
5. **ვიცავთ გარემოს.** ენერგოეფექტურობის გაზრდით ამცირებთ ენერგიაზე მოთხოვნას, რის შედეგად ნაკლებად დაბინძურდება გარემო.
6. **ელექტროენერგიაზე ფასის ზრდა** (რომელიც შეიძლება მომდევნო წლებში მოხდეს) **თქვენ ნაკლებად შეგეხებათ.**

იმუშავეთ წყვილებში

ყოველდღიურად სხვადასხვა მიზნით ვიყენებთ ენერგიას. სახლის გასათბობად, გასანათებლად, ტრანსპორტისთვის. გადაიტანეთ ცხრილი ფურცელზე და შეავსეთ: პირველ სვეტში ჩამოწერეთ, რისთვის დახარჯეთ ენერგია ბოლო 24 საათის განმავლობაში; მეორე სვეტში ახსენით, როგორ შეგიძლიათ ენერგიის მოხმარების შემცირება მომდევნო დღეს; ჯერ წყვილებში განიხილეთ საკითხები, შემდეგ კი – კლასთან ერთად.

ჩემ მიერ გამოყენებული ენერგია	როგორ შემიძლია შევამცირო ჩემ მიერ ენერგიის გამოყენება

ევროკავშირის ელჩი სკოლაში. ლაშა შარაძე დაბა ქედის საჯარო სკოლის მოსწავლეა. თანატოლებთან ერთად თემში ენერგოეფექტურობის ცნობადობის გაზრდისთვის მუშაობს, სახლშიც და სკოლაშიც ენერგიის რაციონალურად გამოყენება ჩვევად ექცა. მისი აზრით, თუ ყველა ასე მოიქცევა, ენერგოეფექტურობის შედეგი თვალსაჩინო გახდება. ეკოკლუბმა, „კოინდარი“ და „პროგრესი“ რომლის წევრი ლაშაცაა, რამდენიმე კონკურსში გაიმარჯვა. ამ პროექტებით მოსწავლეებმა სკოლის საკონფერენციო დარბაზი A კლასის ენერგოეფექტური ტექნიკით აღჭურვეს, სკოლის სახურავს კი მზის პანელები ამშვენებს, შედეგად სკოლა ცხელი წყლით არის უზრუნველყოფილი. ახლახან ევროკავშირის ელჩი ეწვიათ, რათა ენახა, როგორ იყენებდნენ მოსწავლეები პროექტის შედეგად მიღებულ სიკეთეებს. ელჩთან შეხვედრა საინტერესო და მნიშვნელოვანი იყო, თანაც სათავე დაედო ახალ იდეებსა და პროექტებს.

don't copy

დავალება

მოამზადეთ ესე: ენერგია და ჩვენ.

- თქვენ რას აკეთებთ კონკრეტულად ენერგიის დაზოგვისათვის?
- როგორ აუხსნით მიზეზებს ახლობლებსა და მშობლებს, რატომ არის აუცილებელი ენერგიის დაზოგვა?

სასარგებლო რესურსები

- ენერგოეფექტური ნათურა – https://bit.ly/2Zk47Mh
- დაათბუნე და დაზოგე ელექტროენერგია – https://bit.ly/3tUuAy6
- ენერგოეფექტურობა – რეგიონის მთავარი გამოწვევა – https://bit.ly/3b6CpbH

ქვეყნების მთავრობებს კარგად აქვთ გაცნობიერებული, რომ ენერგოდაზოგვა და ენერგოეფექტურობა არის სწრაფად განსახორციელებელი, იაფფასიანი, ეკოლოგიურად სუფთა ენერგიის წყარო. რესურსების გეგმაზომიერი, რაციონალური გამოყენება ენერგოეფექტურობის შენარჩუნების ერთადერთი გარანტიაა. ენერგოეფექტური ღონისძიებების განხორციელება შესაძლებელია როგორც საყოფაცხოვრებო, ისე სამრეწველო სექტორში.

dont copy

იმსჯელეთ

განიხილეთ ქვემოთ მოცემული სიტუაციები.

- თქვენი აზრით, კიდევ რისი გაკეთება შეიძლება ენერგოეფექტურობის გასაზრდელად?
- თქვენ რას შესთავაზებდით სიტუაციის გმირებს?

სიტუაცია 1

ღამით ქალაქებში შუქნიშნები ჩვეულებრივად მუშაობის ნაცვლად, მხოლოდ ყვითლად ციმციმებენ. ერთი შუქნიშნის სიმძლავრე მცირეა, მაგრამ დიდ ქალაქებში ბევრი შუქნიშანია და მთლიანობაში საკმაოდ დიდი ენერგია იხარჯება. მეორე მხრივ (ენერგოდაზოგვის მიზნით), შუქნიშნის გამორთვა არ შეიძლება, რადგან ის ღამით მოსიარულე მცირერიცხოვან მძღოლებს აფრთხილებს, რომ წინ გზაჯვარედინია.

- სწორად მიგაჩნიათ გადაწყვეტილება ღამით ყვითელი შუქნიშნის მუშაობის შესახებ? რატომ?
- რას ურჩევდით მთავრობას?

სიტუაცია 2

მთავრობამ შექმნა რეგულაციები, რომელთა საფუძველზე მშენებლებმა სპეციალური მასალების გამოყენებით, ხელი უნდა შეუწყონ ენერგოეფექტური ბინების მშენებლობას. ბინის ყიდვის მსურველებს ურჩევნიათ დღეს ნაკლები გადაიხადონ, ვიდრე ძვირად იყიდონ ენერგოეფექტური სახლები. მშენებლები კი ამბობენ, რომ თანამდროვე შენობებში ენერგოეფექტური სამუშაოების ჩატარება სამშენებლო ხარჯებს ზრდის, გაყიდვას კი – აფერხებს. მათი აზრით, პროექტირებისას ენერგოეფექტურობას იმიტომ არ ითვალისწინებენ, რომ მომხმარებლებში ის ნაკლებად პოპულარულია, რასაც მშენებლები მოსახლეობის არაინფორმირებულობას უკავშირებენ.

- რამდენად საჭიროდ და სავალდებულოდ მიგაჩნიათ მთავრობის ეს რეგულაციები?
- რა რეკომენდაციას მისცემდით მომავალ ბინათმფლობელებს საკუთარი ბიუჯეტის დაზოგვის თვალსაზრისით? გარემოს დაცვის კუთხით?
- რას ურჩევდით ბინათმშენებლებს?
- თავად ენერგოეფეტური სახლის შეძენას მიანიჭებდით უპირატესობას თუ ტრადიციულის?
- რას ურჩევდით მთავრობას ენერგოეფექტური სახლების მშენებლების მხარდასაჭერად/წასახალისებლად?

საცხოვრებელი სახლები. საქართველოში საცხოვრებელი სახლის გათბობას 2-3-ჯერ მეტი ენერგია სჭირდება, ვიდრე ანალოგიურ კლიმატურ პირობებში არსებული სახლის გათბობას განვითარებულ ქვეყნებში. რადგან არსებული საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობები ძირითადად აგებულია საბჭოთა პერიოდში, როდესაც ენერგიაზე ხელოვნურად დაწეული ფასების გამო საერთოდ უგულებელყოფილი იყო სითბოს დამცავი ღონისძიებები. ასეთი შენობების თბომომარაგება მოითხოვს დიდი რაოდენობის თბორენერგიას. თითქმის ნახევარი ენერგია შენობების სითბოს შეუკავებლობის გამო იკარგება.

do not copy

ავტოტრანსპორტი. ჩვენს ქუჩებში მოძრავი ავტომობილების ასაკი 8-10 წელს აღემატება, რაც მათ მაღალ ენერგომოხმარებას განაპირობებს. ამ ორ მნიშვნელოვან სექტორში ძალიან მაღალია ენერგიის მოხმარებაც და პოტენციალიც შესაბამისად. ორივე მიმართულებით გარკვეული ნაბიჯები იდგმება და ეს, უპირველეს ყოვლისა, გამოწვეულია ჩვენი სვლით ევროკავშირისკენ, ასოცირების ხელშეკრულებით, რაც გარკვეულ ვალდებულებას აკისრებს ქვეყანას და ამ ვალდებულებების შესრულება დროშია გაწერილი.

ენერგოეფექტურობაზე ზრუნვა თავისი არსით სახელმწიფო სექტორში კარგი მმართველობის შემადგენელია. ეს არის ერთ-ერთი კრიტერიუმი, რომლითაც ხდება ქვეყნის მართვის შეფასება. იმის მიხედვით, თუ რამდენად სწორად განკარგავს ხელისუფლება საბიუჯეტო სახსრებს, განისაზღვრება, რამდენად უფრთხილდება გადასახადების გადამხდელთა ფულს ქვეყნის მთავრობა.

? რას აკეთებს ხელისუფლება დღეს ქვეყანაში ენერგოეფექტურობის ხელშესაწყობად და გასაზრდელად?

საქართველოს ენერგეტიკის განვითარების სტრატეგია

ევროკავშირის რეგულაციის მოთხოვნების შესაბამისად შეიქმნა ენერგოეფექტურობის სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობა – **საქართველოს ენერგეტიკის განვითარების სტრატეგია 2016-2025.** კანონმდებლობის თანახმად, შენობა-ნაგებობების შემომზღუდავი კონსტრუქციები და მასში განთავსებული აღჭურვილობა-დანადგარები, რომლებიც განკუთვნილია გათბობის, კონდიცირების, განათების, ვენტილაციის და თბოიზოლაციისთვის, უნდა ხასიათდებოდეს ისეთი თავისებურებით, რომ ერთობლიობაში მოხმარებული ენერგია, რაც შეიძლება ნაკლებ დანახარჯს იწვევდეს.

საქართველოს ხელისუფლებას აქვს ვალდებულება:

- ყველა ახალი შენობა შეესაბამებოდეს ენერგოეფეტურობის სტანდარტებს;
- ძველი შენობების ენერგოეფექტურობის საკითხი კი მათი რეკონსტრუქციის დროს უნდა მოგვარდეს.

don't copy

სტრატეგიის თანახმად, შენობა-ნაგებობებზე გაიცემა **ენერგოეფექტურობის დამადასტურებელი პასპორტი,** თუ იგი მთავრობის შესაბამისი დადგენილებით განსაზღვრულ ნორმებს დაექვემდებარება. ვალდებულება თავდაპირველად სამთავრობო და მუნიციპალურ შენობებს, მოგვიანებით კი კერძო სექტორს შეეხება.

ენერგოეფექტურობის ეროვნული სამოქმედო გეგმა.

ენერგოეფექტურობის სამოქმედო გეგმა შემუშავდა იმ მიზნით, რომ ხელი შეეწყოს საქართველოს რიგი სტრატეგიული მიზნების განხორციელებას. აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს საქართველოს ენერგეტიკული სექტორის განვითარების ხედვას და მოიცავს დარგის ყველა ძირითად მიმართულებას. ესენია: ელექტროენერგია, ბუნებრივი გაზი, ნავთობი, ენერგოეფექტურობა, ალტერნატიული ენერგიის წყაროები. დოკუმენტში განხილულია თითოეული ეს მიმართულება და ასახავს არსებულ მდგომარეობას, გამოწვევებს, მათი გადაჭრის ხედვებსა და გზებს. ენერგოეფექტურობის ეროვნული სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს ქვეყნის

მიერ ევროკავშირში ინტეგრაციის კუთხით დასახულ მიზნებს. ეს ნიშნავს საქართველოს კანონმდებლობის დაახლოებას ევროკავშირის ენერგეტიკულ კანონმდებლობასთან/სტანდარტებთან ეტაპობრივ.

მერების შეთანხმება

სამოქმედო გეგმის ერთ-ერთი მიმართულებაა მერების შეთანხმება. მერების შეთანხმება არის ევროკავშირის ფართომასშტაბიანი ინიციატივა. იგი აერთიანებს ადგილობრივ და რეგიონულ მთავრობებს, რომლებმაც ნებაყოფლობით აიღეს ენერგოეფექტურობის გაზრდისა და განახლებადი ენერგიის წყაროების გამოყენების ვალდებულება თავიანთ დაქვემდებარებაში მყოფ ტერიტორიებზე.

შეთანხმების ხელმომწერნი მიზნად ისახავენ თავიანთი წვლილი შეიტანონ მწვანე, ეკოლოგიურად ორიენტირებული ეკონომიკის განვითარებასა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებაში. შეთანხმებაში აღწერილია ენერგოეფექტურობის კუთხით იქ მიმდინარე პროცესები, განხორციელებული და დაგეგმილი ღონისძიებები და მოსალოდნელი შედეგებიც.

დღეის მდგომარეობით მერების შეთანხმებას საქართველოდან მიუერთდნენ შემდეგი ქალაქები და მუნიციპალიტეტები: ახალციხის მუნიციპალიტეტი, ახმეტის მუნიციპალიტეტი, ბათუმი, ბაღდათის მუნიციპალიტეტი, ბოლნისის მუნიციპალიტეტი, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი, გორის მუნიციპალიტეტი, გურჯაანის მუნიციპალიტეტი, ქუთაისი, ყაზბეგის მუნიციპალიტეტი, ყვარელის მუნიციპალიტეტი, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, მცხეთა, ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, ფოთი, რუსთავი, საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, სიღნაღის მუნიციპალიტეტი, თბილისი, თელავის მუნიციპალიტეტი, თიანეთის მუნიციპალიტეტი,ზუგდიდის მუნიციპალიტეტი

don't copy

განვიხილოთ მერების შეთანხმების ერთ-ერთი მონაწილის, ქუთაისის მერიის მაგალითი. მერების შეთანხმების ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებებიდან უმეტესობა შესრულდა. ამის მაგალითია ქალაქის ცენტრალურ უბანში ენერგოეფეტური სკვერი, საფეხბურთო კლუბ „ტორპედოს“ საწვრთნელ ბაზაზე დამონტაჟებული მზის ენერგიის სისტემა და 10000 კვ.მ. მწვანე საფარი. ქალაქში ყველაზე მეტ ენერგიას გარე განათების სისტემა მოიხმარს, რომლის სრულად შეცვლა 2020 წლისთვის დასრულდა. ასევე, ქუთაისის მერიამ იმუშავა ტექნიკური კადრების მომზადების, მოსახლეობის ინფორმირებულობის, მათი ცნობიერების ამაღლების მიმართულებით. რაც შეეხება საცხოვრებელი და მუნიციპალური შენობების სექ-

ტორს, ქუთაისში მოქმედი სამშენებლო კომპანიების მხრიდან ენერგოეფექტურობის გათვალისწინება მხოლოდ ახალი მშენებლობისას გარე კედლის სისქის ზომის დაცვით შემოიფარგლება, რომელიც სამშენებლო ნორმების მიხედვით 30 სმ-ზე ნაკლები არ უნდა იყოს.

გარდა იმისა, რომ ენერგოეფექტურობა თითოეულ ჩვენგანს საკუთარი ჯიბიდან ენერგოგადასახადების დაზოგვის საშუალებას აძლევს, უფრო მნიშვნელოვანია ქვეყნისთვის განსაზღვრული მასშტაბური სარგებელი. საქართველო ენერგოდამოკიდებული ქვეყანაა.

ენერგიის დაზოგვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სწორედ ჩვენი მსგავსი ქვეყნისთვისაა, როდესაც მოხმარებული ენერგიის 60-65%-ს იმპორტირებული ენერგია შეადგენს.

ცნობიერების ამაღლებაზე მუშაობს არასამთავრებო და დონორი ორგანიზაციები. თუმცა სამომავლო სამოქმედო გეგმაში ერთ-ერთი მთავარი ის იქნება, რომ გრძელვადიან პერიოდში და უწყვეტად ხელისუფლების სხვადასხვა ორგანომ და მედიასაშუალებამ ამ ტიპის საქმიანობას ხელი შეუწყოს.

თითოეულმა თავად უნდა გაიაზროს, ურჩევნია თუ არა ენერგოდამზოგავ სახლებში ცხოვრება და ისეთი ტრანსპორტით გადაადგილება, რომელიც კომფორტთან ერთად თავისთავად, ხარისხსაც მოიაზრებს.

აქტიური ღონისძიებების გატარებას მოსახლეობის ნება რომ არ შეეწინააღმდეგოს, სწორი ინფორმაციის გავრცელების აუცილებლობლობის წინაშე ვდგავართ. ერთი კი ცხადია, დაზოგილი ენერგიით და ეფექტური მუშაობით სარგებლის მიღება ცალსახად შესაძლებელია.

dont copy

დავალება

აირჩიეთ ერთ-ერთი

1. ჩვენ გავარკვიეთ, რომ მთავრობა მუშაობს ენერგოეფეტურობის ასამაღლებლად და ამისთვის შეიმუშავებს რეგულაციებს, მაგრამ რა უნდა გავაკეთოთ იმ სახლების მცხოვრებლებმა, რომელთა ბინებშიც არ არის გათვალისწინებული ეს რეგულაციები? მათი რაოდენობა კი ძალიან დიდია.

მოამზადეთ ესე: ენერგოეფეტურობა ჩემს სახლში ან სკოლაში

დამხმარე რესურსად გამოიყენეთ ბროშურები:

- https://bit.ly/37sQhfp
- ენერგომენეჯმენტი საზოგადოებრივ შენობაში
- https://bit.ly/3pjBRE6

2. მოამზადეთ სიუჟეტი, ინტერნეტ-ბლოგი ან საგაზეთო რეპორტაჟი ენერგოეფექტურობის თემაზე.

   თქვენი მიზანია მდგრადი ენერგეტიკული ტექნოლოგიების (ენერგოეფექტური, განახლებადი და სხვა ეკოლოგიურად სუფთა ენერგოტექნოლოგიები) გამოყენებისა და დანერგვის პოპულარიზაცია საზოგადოების ფართო ფენებში.

3. საკონკურსო რეპორტაჟის თემა: ენერგოდამზოგი ღონისძიებებისა (ენერგოეფექტურიობა მრეწველობაში, სხვადასხვა დანიშნულების შენობის დათბუნება, კარ-ფანჯრის შეცვლა/დათბუნება, ენერგოდამზოგი ნათურები, ენერგოეფექტური ღუმელები და სხვა) და ეკოლოგიურად სუფთა ენერგოტექნოლოგიების დანერგვა.

4. თუ ხართ მერების შეთანხმების მონაწილე მუნიციპალიტეტის მცხოვრები, მოამზადეთ პრეზენტაცია, რა ვალდებულება აქვს აღებული შეთანხმების თანახმად თქვენს მუნიციპალიტეტს. რა შესრულდა და რა – არა ნაკისრი ვალდებულებებიდან? როგორია მოქალაქეების განწყობა აღნიშნულ აქტივობებთან დაკავშირებით? თქვენ რას გააკეთებდით მოქალაქეთა ცნობიერების ასამაღლებლად?

5. როგორ მონაწილეობს არასამთავრობო სექტორი მოქალაქეთა ენერგოეფექტურობის ცნობიერების ასამაღლებელ კამპანიებში?

dont copy

სასარგებლო რესურსები

- ევროკავშირის „მერების შეთანხმების“ ინიციატივა https://bit.ly/2NsniRp
- ენერგოეფექტური კახეთი https://bit.ly/2N2hz58
- ენერგოეფექტურობა – რეგიონის მთავარი გამოწვევა https://bit.ly/2ZfdQDS
- მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის ენერგოეფექტურობის ცენტრი (EE) – https://bit.ly/37eebuW
- http://www.eecgeo.org

საკითხი: მწვანეთა მოძრაობა

ყურადღება!

კომპლექსური დავალება

წარმოიდგინე, რომ შენ ,,მომავლის არქიტექტორი" ხარ, შექმენი მომავლის იდეალური **გეგმა/მონახაზი/ნახატი/მაკეტი**. დაფიქრდი, რა გახდიდა შენს უბანს/ქალაქს/სოფელს გარემოსადმი უფრო მეგობრულად განწყობილს და რა გააუმჯობესებდა ეკოკლიმატს. სრული თავისუფლება გაქვს, ნუ შეზღუდავ ფანტაზიას!

ნაშრომში/ნაშრომის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინე:

- რა გაითვალისწინე პროექტში მოქალაქეთა პიროვნული განვითარებისთვის ხელსაყრელი გარემოს შესაქმნელად? რა მისწრაფება გამოძრავებდა თავად, როცა ამ ნაშრომს ქმნიდი?
- როგორ არის უზრუნველყოფილი პროექტში მომავლის უბნის/ქალაქის/სოფლის მცხოვრებთა უსაფრთხოების მოთხოვნილება ეკოლოგიური თვალსაზრისით? არის თუ არა ეს გარემო ინკლუზიური?
- რომელი ინსტიტუციები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები გაითვალისწინე ეკოლოგიის საკითხებზე ზრუნვისათვის? როგორ ითანამშრომლებენ მათთან მოქალაქეები? როგორ იზრუნებენ რესურსების დაზოგვაზე ?
- როგორი ურთიერთობები ექნებათ ამ უბნის/ქალაქის/სოფლის მცხოვრებლებს? რა გიქმნით მოლოდინს, რომ მათ ერთმანეთისა და გარემოს მიმართ მზრუნელი დამოკიდებულება ექნებათ?

dont copy

პრეზენტაციის შემდეგ ისაუბრე:

რა სტრატეგიები გამოიყენე/რა ნაბიჯები გადადგი დავალებაზე მუშაობის სხვადასხვა ეტაპზე; რას გააკეთებდი განსხვავებულად, ხელახლა რომ იწყებდე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობას.

რა მიზნებს ისახავს „მწვანეთა მოძრაობა“?

მწვანეთა მოძრაობა აერთიანებს სხვადასხვა საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ორგანიზაციას, რომლებიც მუშაობენ ეკოლოგიის მიმართულებით. ის მიზნად ისახავს სამყაროს მიმართ ეკოლოგიური ხედვის შექმნას. ის ეხმარება ადამიანებს გააცნობიერონ, შეაჩერონ ბუნების და მისი რესურსების შემდგომი დეგრადაცია და გაუარესება.

მწვანეთა მოძრაობა ამაღლებს ადამიანის ცნობიერებას. მოძრაობის მიზანია შთააგონოს ადამიანებს, რომ ჩვენ მხოლოდ პარტნიორები ვართ დედამიწაზე, რომლებიც ამ პლანეტის მკვიდრნი ვართ სხვა ცოცხალ ორგანიზმებთან ერთად. მწვანეთა მოძრაობა ხელს უწყობს მსოფლიო გახდეს უკეთესი. მოძრაობის მიზანია წყლის სისუფთავესა და ენერგიის სიუხვეზე ზრუნვა, ნახშირბადის ნაკვალევისა და ნარჩენების შემცირება.

> ჩვენ ვისწავლეთ წყალში ცურვა, როგორც თევზებმა, ცაში ფრენა, როგორც ჩიტებმა, ახლა უნდა ვისწავლოთ ცხოვრება დედამიწაზე, როგორც ადამიანებმა.
>
> *ბერნარდ შოუ*

1970 წელს შეიქმნა აშშ-ს გარემოს დაცვის სააგენტო (EPA). ამ დროს უკვე აშკარა იყო გარემოს დაცვის მზარდი საჭიროება. 1972 წელს კი ახალ ზელანდიაში დაარსდა მსოფლიოში პირველი ქვეყნის მწვანეთა პარტია. მწვანე მოძრაობა დაფუძნებულია უსაფრთხო, ჯანსაღი გარემოს დაცვით პრინციპებზე. ხოლო რამდენად მნიშვნელოვანია გარემოს დაცვა, ამაზე კლიმატის ცვლილებები მეტყველებს.

XX საუკუნის 60-იანი წლებიდან მწვანეთა მოძრაობა გაძლიერდა, რადგან მასში ჩაერთნენ მოხალისეები, არასამთავრობო ორგანიზაციები და გარემოსდაცვითი პოლიტიკური პარტიები. მწვანეთა მოძრაობის მნიშვნელობას ადარებენ კოპერნიკის რევოლუციურ იდეებს (კოპერნიკმა XVI საუკუნეში ასწავლა კაცობრიობას, რომ დედამიწა და სხვა პლანეტები მზის გარშემო ბრუნავდნენ). მწვანე მოძრაობა იბრძის ეკოლოგიის, გადარჩენისთვის, რაც ადამიანის გადარჩენას ნიშნავს.

dont copy

? რა მიზნებს ისახავს „მწვანეთა მოძრაობა“?

1. საზოგადოებაში მდგრადი განვითარების პრინციპების დანერგვა და სოციალური სამართლიანობის დამკვიდრება;
2. ბუნებრივი რესურსების მდგრადი რაციონალური გამოყენების უზრუნველყოფა და გარემოს დეგრადაციის შეჩერება;
3. ადამიანის და საზოგადოების უფლებების დაცვა და გადაწყვიტელების მიღების პროცესში მათი მონაწილეობის უზრუნველყოფა;
4. კულტურული მემკვიდრეობისა და ტრადიციების მრავალფეროვნების დაცვა და შენარჩუნება;
5. დედამიწაზე მიმდინარე ნეგატიური გლობალური ცვლილებების წინააღმდეგ კაცობრიობის ძალისხმევაში აქტიური თანამონაწილეობა.

„მწვანეთა მოძრაობა“ არის ორგანიზაცია, რომელიც საქართველოშიც და საერთაშორისო დონეზეც სამოქალაქო აქტივიზმის თანმიმდევრულ ისტორიას ქმნის; ფართოდ თანამშრომლობს სხვადასხვა სექტორთან – ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ. ორგანიზაცია მიზნებისაკენ მიმავალ პროცესში იყენებს სამოქალაქო მონაწილეობის სხვადასხვა ფორმასა და ინსტრუმენტს.

იმუშავეთ ჯგუფებში

დაიყავით ჯგუფებად, აირჩიეთ „მწვანეთა მოძრაობის“ ერთი მიზანი, იმსჯელეთ ამ მიზნის არსზე, მის აქტუალურობაზე თქვენს გარემოში (სკოლაში, თემში) და თქვენს შესაძლო მონაწილეობაზე/ქმედებებზე მიზანთან მიმართებით. საპრეზენტაციოდ გადაიხაზეთ ცხრილი (სათაურად დააწერეთ არჩეული მიზანი) და შეავსეთ მიზნის მისაღწევი ქმედებები ოჯახის, სკოლისა, საზოგადოების დონეზე;

საზოგადოება	სკოლა	ოჯახი

პრეზენტაციისას დაასაბუთეთ თქვენი ჩანიშნული ქმედებების მიზნობრიობა და რეალისტურობა.

> დედამიწა არ გადმოგვეცა მემკვიდრეობით წინაპრებისაგან, ის შვილებისგან გვაქვს ვალად აღებული.
>
> *ამერიკული ანდაზა.*

მწვანე ეკონომიკა

მწვანეთა მოძრაობის იდეებს ეხმაურება მწვანე ეკონომიკა. მწვანე ეკონომიკა არის ეკონომიკური განვითარების ის მოდელი, რომელიც დამყარებულია მდგრად განვითარებასა და ეკოლოგიური ეკონომიკის ცოდნაზე. ის ეკონომიკის სხვა დარგებისაგან იმით განსხვავდება, რომ პირდაპირ აფასებს ქვეყნის ბუნებრივ კაპიტალს, რომელსაც აქვს ეკონომიკური ღირებულება. მწვანე ეკონომიკის განვითარება ხელს უწყობს ბუნებრივი რესურსების გონივრულ გამოყენებას და ამცირებს გარემოზე უარყოფით ზემოქმედებას, მოიზიდავს მწვანე ინვესტიციებს და შექმნის ახალ მწვანე სამუშაო ადგილებს. ასევე ის შეაფერხებს გარემოს დეგრადირებას და ნატურალური ბუნებრივი რესურსების გამოფიტვას,

dont copy

რაც ხელს შეუწყობს მოსახლეობის კეთილდღეობას.

მწვანე ეკონომიკა მიჩნეულია ეკონომიკური თეორიის იმ კომპონენტად, რომელიც ეკოსისტემის ნაწილად მოიაზრება. მწვანე ეკონომიკა სახელმწიფო და კერძო სექტორს ერთმანეთისაგან არ მიჯნავს. იგი ცდილობს მოძებნოს ეკონომიკური გადაწყვეტილების პოზიტიური ალტერნატივა. მწვანე ეკონომიკის მთავარი წარმმართველი არა სახელმწიფო ან კერძო ბიზნესია, არამედ საზოგადოება, რომელიც ირჩევს და თავად მართავს მას.

მწვანე ეკონომიკის ძირითადი სექტორებია:

1. განახლებადი ენერგია (მზის, ქარის, გეოთერმული, საზღვაო, მათ შორის: ტალღების, ბიოგაზის და სითბური უჯრედების ენერგია);
2. მწვანე შენობები (ენერგიის შექმნის მწვანე წყაროები, მწვანე პროდუქტები და მასალები);
3. სუფთა ტრანსპორტი (ალტერნატიული საწვავი, საზოგადოებრივი ტრანსპორტი, ჰიბრიდული და ელექტრო სატრანსპორტო საშუალებები);
4. წყლის მართვა (წყლის და წვიმის გამწმენდი სისტემები, შიდა წყლის ლანდშაფტი, წყლის გამოყენება);
5. ნარჩენების მართვა (უტილიზაცია, მუნიციპალური ნარჩენი, მასალების გამოყენება, ნიადაგის ნაყოფიერების გაუმჯობესება, გაწმენდა);
6. მიწის მართვა (ორგანული სოფლის მეურნეობა, ურბანული ტყეები და პარკები, ტყეების განაშენიანება).

dont copy

კლიმატის ცვლილების გამოწვევებთან გამკლავება შეუძლებელია საზოგადოებისა და მთლიანად მოსახლეობის აქტიური მხარდაჭერის გარეშე. ასეთი მხარდაჭერის გარეშე, ნებისმიერი სამთავრობო გადაწვეტილების რეალიზაციისათვის საჭიროზე 2-ჯერ და 3-ჯერ მეტი რესურსის მობილიზების შემთხვევაშიც კი შეუძლებელი იქნება სასურველი შედეგების მიღწევა.

- გარემო
- საზოგადოება
- სახელმწიფო

? რა როლი აქვს მოქალაქეთა აქტიურ მონაწილეობას გარემოსდაცვითი პრობლემების შემცირებაში?

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ქსელი ,,კლიმატის ცვლილების კოალიცია“ აერთიანებს საქართველოში მოქმედ 200-მდე ორგანიზაციას, ექსპერტსა და დაინტერესებულ პირს.

გარემოსდაცვით საკითხებში საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, განათლების დონის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება და საზოგადოების, თითოეული მოქალაქის მობილიზებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს გლობალური მიზნების მისაღწევად. ამიტომაც უმნიშვნელოვანესია, თითოეულმა ჩვენთაგანმა ნათლად დავინახოთ გარემოს პრობლემები, მათი უარყოფითი გავლენა ჩვენსა და ჩვენიანების, ჩვენი მომავალი თაობის ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე. და რაც მთავარია, ვიმოქმედოთ: ჩავერთოთ მთავრობისა თუ არასამთავრობოთა ინიციატივებში, ჩვენ თავად გავხდეთ ასეთი ინიციატივების ავტორები. თუ ნათლად დავინახავთ ჩვენს როლსა და ადგილს გარემოსდაცვით საკითხებში, მაშინ ყოველდღიური ცხოვრების წესად ვაქცევთ აუცილებელ ქმედებებს და იმ შეზღუდვებს, რომლებიც გარემოს პრობლემების შესამცირებლად მიზანშეწონილია.

საქართველოში გარემოს დაცვა და კლიმატის პრობლემები უკვე იქცა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ზრუნვის სფეროდ. ამ მიმართებით მოქმედ ორგანიზაციების არასრული ჩამონათვალი ასეთია:

- საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები საქართველო;
- საზოგადოებრივი განვითარების ახალციხის ცენტრი;
- ფონდი „კავკასიის ეკოლოგია“;
- „ელკანა“;
- „მწვანე ალტერნატივა“;
- მოძრაობა საქართველოს მდგრადი განვითარებისათვის;
- იმერეთის მეცნიერთა კავშირი „სპექტრი“;
- საქართველოს ეკოლოგიურ მიწათმოქმედთა ასოციაცია „სემა“;
- „მწვანე რეგიონები“ და ასე შემდეგ.

don't copy

ამას ემატება რეგიონებში მოქმედი ქსელური თუ დამოუკიდებელი ორგანიზაციები და საინიციატივო ჯგუფები, რომლებიც ეძებნენ გარემოზე პასუხისმგებლობას და ერთიანდებიან მასზე ზრუნვისთვის.

ბუნებაზესთან ურთიერთობისას არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება შეცდომის დაშვება.

ციცერონ მარკ ტული.

გასახარია, რომ საქართველოს ბევრ საჯარო სკოლაში მოსწავლეები ქმნიან ეკოკლუბებს, ატარებენ სხვადასხვა აქტივობებს ამ მიმართებით. ზემოთ დასახელებული ორგანიზაციები მხარს უჭერენ ასეთ წამოწყებებს სხვადასხვა რესურსებით; თქვენც შეგიძლიათ მოიძიოთ ადგილობრივი თუ ეროვნული ორგანიზაციები და მიიღოთ მათგან კონსულტაციები, ჩაერთოთ მათ აქტივობებში, კონკურსებში, რომელიც სწორედ მოზარდებზეა ორიენტირებული.

ეს საინტერესოა

საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები – საქართველო – არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც მდგრადი განვითარების პრინციპებიდან გამომდინარე, მიზნად ისახავს გარემოს დაცვას, ბრძოლას ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, ეკოლოგიური ცოდნის პროპაგანდასა და ცნობიერების ამაღლებას საზოგადოების ფართო ფენებში, საზოგადოებრივი თვალსაზრისით მდგრადი საზოგადოების ფორმირებას.

don't copy

საქართველოს მწვანეთა მოძრაობა დაარსდა 1989 წელს. ის ახორციელებს კონკრეტულ გარემოსდაცვით პროექტებს. ორგანიზაცია შეიმუშავებს სატყეო მეურნეობის, ეკოლოგიური არქიტექტურის, ეკოგანათლებისა და სხვა სფერობის განვითარების ალტერნატიულ მოდელებს; ეწყობა მათი საჯარო განხილვები, ლობირების კამპანიები, ხორციელდება პრაქტიკული გარემოსდაცვითი საქმიანობები, საკანონმდებლო ინიციატივები და სხვა.

1995 წელს მწვანეთა მოძრაობის მცდელობის შედეგად საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლს დამატა მე-3 პუნქტი: „ადამიანს უფლება აქვს მიიღოს სრული, ობიექტური და დროული ინფორმაცია მისი სამუშაო და საცხოვრებელი გარემოს მდგომარეობის შესახებ“. (2020 წლის კონსტიტუციის მდგომარეობით ეს პუნქტი წარმოდგენილია მეორე თავში, მუხლი 29.1.)

მოქალაქეების მიერ გარემოს დაცვის მაგალითები.

რვა მილიონი ხე

ფელიქს ფინკბაინერი 22 წლის გერმანელი აქტივისტია, კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ახალგაზრდული მოძრაობის კიდევ ერთი წევრი. ის ცხრა წლის ბიჭი იყო, როდესაც გარემოს დაცვის კამპანიაში ჩაერთო. თავდაპირველად იგი შეძრა შიმშილისგან გამოფიტული თეთრი დათვების ამსახველი ფოტოების ნახვამ, რომლებიც არქტიკაში ყინულის საფარის გაქრობის გამო ნადირობას ვეღარ ახერხებდნენ საკვების მოსაპოვებლად. ფინკბაინერს დიდი სურვილი გაუჩნდა, ემოქმედა და თავისივე სკოლის ეზოში დარგო ხე. დღეს იგი კლიმატის ცვლილებისა და ეკოლოგიის თაობაზე სადოქტორო ნაშრომს იცავს და ხელმძღვანელობს არასამთავრობო ორგანიზაციას, რომელიც 2007 წელს დააარსა. ინიციატივა „დარგე პლანეტისთვის“ ფარგლებში უკვე რვა მილიონი ხე დაირგა 73 ქვეყანაში. ინიციატივაში მთელი მსოფლიო ჩაერთო, საბოლოო მიზანი ერთი ტრილიონი ხის დარგვაა.

მოძრაობა „დაიცავი ბათუმის ბულვარი“ პეტიციას ავრცელებს ბულვარში დაგეგმილი 16-სართულიანი სამშენებლო პროექტის წინააღმდეგ.

ბათუმის ძველ ბულვარს, რომლის განაშენიანება ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში დაიწყო კულტურული მემკვიდრეობის საბაღე-საპარკო ხელოვნების ძეგლის სტატუსი აქვს მინიჭებული. ბულვარის ტერიტორიაზე ერთ-ერთი კომპანია 16-სართულიანი სასტუმროს მშენებლობას გეგმავს. 16-სართულიანი სასტუმრო სრულიად შეუსაბამოა ბულვართან და პირდაპირ ეწინააღმდეგება კანონს, საფრთხეს უქმნის და ამცირებს ბულვარის კულტურულ და ისტორიულ ღირებულებას, აზიანებს უნიკალურ გარემოს.

dont copy

? რატომ აწყდებიან დაბრკოლებებს გარემოს დამცველი საერთაშორისო ორგანიზაციები მუშაობის პროცესში?

ჰაერის, წყლების დაბინძურება და ა.შ. მხოლოდ ნაციონალური საზღვრებით არ შემოიფარგლება. გლობალური მასშტაბით ნივთიერებათა ცვლა და რესურსების დაზიანება – გარემოს მზარდი პრობლემების გადაჭრაში ერთობლივ საერთაშორისო ძალისხმევას მოითხოვს. საჭიროა საყოველთაოდ მიღებული ნორმებისა და სტანდარტების საფუძველზე მოქმედება, მაგრამ ამავე დროს, გარემოს დაცვის საერთაშორისო პოლიტიკის სუსტ მხარეს სწორედ ეს წარმოადგენს.

საერთაშორისო მასშტაბით არ არსებობს გარემოს დაცვის პოლიტიკის გამტარებელი, რომელსაც კომპეტენციასთან ერთად გარემოს დაცვის გლობალური პოლიტიკის დამკვიდრების ძალაუფლებაც ექნება. მართალია, გარემოს დაცვის საკითხებზე 180-ზე მეტი საერთაშორისო ხელშეკრულება არსებობს, მაგრამ მათი ქმედუნარიანობა ძალზე დაბალია. მათ სუსტ მხარეებად მიიჩნევა ძალისხმევის მიმართვა შერჩეული ასპექტებისაკენ, ინტეგრაციული წინაპირობის არარსებობა, გარემოს დაცვის სტანდარტების „შერბილების“ ტენდენცია (დაბალი სტანდარტები, სპეციალური დადგენილებები, გამონაკლისების რეგულირება) და სხვა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ გარემოს დაცვის სფეროში დარღვევები ან არ ისჯება სანქციებით, ან ეს უმნიშვნელოდ ხდება. ამდენად, შეთანხმებათა ქმედითუნარიანობა ცალკეული ქვეყნების მთავრობათა ნებაზეა დამოკიდებული.

ეს ყველაფერი საზოგადოების ცნობიერების არასათანადო დონესთან, მოგებაზე ორიენტირებულ და გარემოს მიმართ უპასუხისმგებლო სამეწარმეო ინტერესებთან ერთად წარმოადგენს იმ დაბრკოლებებს, რომლებიც საერთაშორისო ორგანიზაციების მცდელობებს აფერხებს და ხელს უშლის.

dont copy

ქვეყანაში შემუშავდა გარემოს დაცვის მოქმედებათა მესამე ეროვნული პროგრამა შემდეგი სამი ძირითადი პოლიტიკური ტენდენციის გათვალისწინებით:

- „საქართველო-ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება“;
- „გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები“ და ის გარემოსდაცვითი საერთაშორისო შეთანხმებები, რომელთა მხარესაც საქართველო წარმოადგენს.
- გარემოს დაცვასთან და ბუნებრივი რესურსების მართვასთან დაკავშირებული ეროვნული და დარგობრივი სტრატეგიები;

ცენტრალური ხელისუფლების დონეზე გარემოს დაცვის სფეროზე პასუხისმგებელია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, რომელიც ამ ფორმატით 2017 წელს ჩამოყალიბდა.

მთავარი კანონი, რომელიც გარემოსდაცვით საკანონმდებლო ჩარჩოს წარმოადგენს, არის **საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ** (1996).

იმსჯელეთ

- რა პრობლემებს ხედავთ თქვენს გარემოში, რომელიც კლიმატურ ცვლილებებს უკავშირდება?
- საიდან იღებს სათავეს ეს პრობლემები ?
- რა უნდა შეიცვალოს და როგორ?
- რას შეცვლით თქვენ? სახელმწიფო? საერთაშორისო თანამეგობრობა?
- დაასრულე წინადადება: მე გარემოზე ზრუნვისთვის შემიძლია გავაკეთო ა) ერთ თვეში... ბ) ერთ წელიწადში... გ) საერთოდ...

დავალება

dont copy

აირჩიე ერთ-ერთი

1. ეწვიეთ „მწვანე ალტერნატივის“ ვებგვერდს http://greenalt.org/aboutusgeo/. გაეცანით მთავარ გვერდზე განთავსებულ ერთ სიახლეს, რომელიც გამორჩეულად დაგაინტერესებთ, შემდეგ კლასს უამბეთ ამ ინფორმაციის შესახებ, ისაუბრეთ მის მნიშვნელობასა და მიზანზე.
2. (ინდივიდუალურად) ეწვიეთ „მწვანეთა მოძრაობის“ ვებგვერდს https://www.greens.ge/.

I ეტაპი. გაეცანით მის მთავარ „მოძრავ ბანერზე“ განთავსებულ გარემოს დაცვის კალენდარს. შეარჩიე შენთვის საინტერესო, ან მასწავლებლის მიერ მითითებული საერთაშორისო დღე და მის შესახებ ამავე გვერდზე მოძიებული ინფორმაციის გამოყენებით მოამზადე ინფორმაცია ამ დღის დაწესების, მნიშვნელობისა და არსის შესახებ. გააცანი თანაკლასელებს.

II ეტაპი. ჯგუფში გაამთლიანეთ თქვენი ინფორმაცია და შექმენით გარემოს დამცველთა კალენდარი თქვენი კლასისთვის. თითოეული საერთაშორისო დღის შესაბამისად დაგეგმეთ აქტივობა, რომელსაც თანაკ-

ლასელებთან ერთად განახორციელებთ. მაგალითად: მცირე ტრენინგი უმცროსკლასელებისთვის; გამწვანების აქცია; მდინარის სანაპიროს დასუფთავება ადგილობრივ ხელისუფლებასთან თანამშრომლობით; ქოთნის ყვავილების გამოყვანა, გადარგვა, საქველმოქმედო აქცია; ვიზიტი ისტორიული ძეგლის მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავებისთვის; ფლაერის მომზადება და გავრცელება საყოფაცხოვრებო ნარჩენების დახარისხების თემაზე და ასე შემდეგ.

III ეტაპი. ჯგუფებმა წარმოადგინეთ თქვენი კალენდრები, რომლებიც ფაქტობრივად საკლასო პროექტის აქტივობათა გეგმაა. მთელმა კლასმა განიხილეთ აქტივობები და კენჭისყრით გადაწყვიტეთ, რომელი აქტივობების შესრულებას ისურვებთ და შეძლებთ.

გაამთლიანეთ უმრავლესობისგან მოწონებული აქტივობები და გააფორმეთ საკლასო კალენდარი, რომელსაც კლასში გამოაკრავთ და მთელი წლის განმავლობაში განახორციელებთ.

3 ნახეთ ფილმი „ადამიანი, რომელიც ხეებს რგავდა“ – https://bit.ly/2S0BnbH ფილმის ყურების შემდეგ გამოთქვით თქვენი მოსაზრება, გაუზიარეთ მეგობრებს თქვენი შთაბეჭდილება. უპასუხეთ კითხვებს: რამ განაპირობა იმ გარემოს გაუდაბურება, სადაც მოხუცი ცხოვრობდა? მოსახლეობა დღევანდელი საჭიროებების დაკმაყოფილებისას ფიქრობდა ხვალინდელ დღეზე? როგორ შეძლო ელზეარდ ბუფიემ გაემწვანებინა უდაბური ადგილები? რა ამოძრავებდა მოხუცს? შეუძლია თუ არა ერთ ადამიანს, შეცვალოს გარემო უკეთესობის ან უარესობისაკენ? შეგიძლია კავშირი გაავლო ფილმსა და ჩვენს სინამდვილეს შორის?

dont copy

სასარგებლო რესურსები

- გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი http://bit.ly/3beYZyA
- გარემოს ქმნი შენ https://bit.ly/2ZtztAi
- ატმოსფერული ჰაერის ხარისხის პორტალი https://bit.ly/3pCBrsT
- გაიგეთ მეტი ნარჩენების მართვაზე – GD pedia https://bit.ly/3s9J2k9

თემა 4. გარემოს დაცვა

ყურადღება!

საკითხი: იუნესკო - მსოფლიო კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დასაცავად

კომპლექსური დავალება

წარმოიდგინე, რომ შენს ქალაქში არსებული ისტორიული ძეგლი მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის სიაშია შეტანილი და შესაბამის დაცვას საჭიროებს. ისტორიულ ძეგლთან ახლოს მდებარე რესტორნები ძალზე ხშირად ფოიერვერკებს უშვებენ და მათი ხმა ძეგლს საშიშროებას უქმნის. მოქალაქეების პროტესტს ადგილობრივი ხელისუფლება არ ეხმაურება.

მოამზადე **წერილი**, რომლითაც აღნიშნულ პრობლემაზე რეაგირებისათვის იუნესკოს საქმეთა ეროვნულ კომისიას მიმართავ.

წერილში, წერილის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინე:

- დაცულია თუ არა თანასწორობა და თავისუფლება, როცა მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის მიმართ ასეთი დამოკიდებულება იჩენს თავს და მოქალაქეები ვერ ახორციელებენ თავიანთ უფლებასა და მოვალეობას დაიცვან ისტორიული მემკვიდრეობა?
- რამდენად ირღვევა დემოკრატიის პრინციპი — კანონის უზენაესობა და როგორია ამ პრინციპის არსი და მნიშვნელობა?
- ამ სიტუაციაში, რამდენად არის გათვალისწინებული საერთაშორისო საზოგადოების ინტერესები და მომავლის პერსპექტივა;
- მდგრადი განვითარების მიზნებთან მიმართებით, რა საფრთხეები მოჰყვება ამ ლოკალურ ქმედებებს,?

dont copy

პრეზენტაციის შემდეგ ისაუბრე:

რა სტრატეგიები გამოიყენე/რა ნაბიჯები გადადგი დავალებაზე მუშაობის სხვადასხვა ეტაპზე; რას გააკეთებდი განსხვავებულად, ხელახლა რომ იწყებდე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობას.

იუნესკო არის გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია (United Nations Educational, Scientific and Cultural Organization – UNESCO) დაარსდა 1945 წელს. იუნესკოს შტაბ-ბინა მდებარეობს ქ. პარიზში (საფრანგეთი). ორგანიზაციას ოფისები და წარმომადგენლობები აქვს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. ამჟამად UNESCO-ს ჰყავს 193 წევრი და 11 ასოცირებული ქვეყანა (2020 წ.).

UNESCO-ს ძირითადი მიზანია:

- მსოფლიოში მშვიდობისა და უსაფრთხოების დამკვიდრება ქვეყნებს შორის განათლების, სოციალური და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, კულტურისა და კომუნიკაციის სფეროებში თანამშრომლობის გზით;
- ხელსაყრელი პირობების შექმნა ცივილიზაციათა, კულტურათა და ხალხთა შორის დიალოგისათვის, რომელიც დაფუძნებული იქნება ზოგადი ფასეულობების პატივისცემაზე, რის მიღწევასაც ორგანიზაცია ცდილობს სხვადასხვა გზით, მათ შორის, მემკვიდრეობისა და კულტურული მრავალფეროვნების დაცვის, კულტურათაშორისი ურთიერთგაგების მიღწევის გზით.

ნებისმიერი კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაზიანება ან გაქრობა მსოფლიოს ყველა ხალხის მიღწევის დამღუპველ გაღარიბებას ნიშნავს.

მსოფლიო კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვის შესახებ კონვენციის პრეამბულა.

მსოფლიო კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობა

1972 წელს UNESCO-მ მიიღო „მსოფლიო კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვის კონვენცია“. აღნიშნული კონვენციის **რატიფიცირება** (იხ. გვ 149) საქართველომ 1992 წელს მოახდინა. კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვას განსაკუთრებული ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა აქვს ანუ კულტურული ან/და ბუნებრივი მემკვიდრეობის მნიშვნელობა იმდენად გამორჩეულია, რომ სცდება ეროვნულ საზღვრებს და თანაბრად მნიშვნელოვანია მთელი კაცობრიობის აწმყო და მომავალი თაობებისათვის.

don't copy

კულტურა UNESCO-ს მანდატის ყველაზე პოპულარული სფეროა და ორგანიზაციის მხრიდანაც კულტურა პრიორიტეტულ პროგრამად არის მიჩნეული. მატერიალური კულტურა მოიცავს ყველაფერს, რაც ადამიანის ხელითაა შექმნილი, დაწყებული არქიტექტურული ნაგებობებიდან, დამთავრებული საყოფაცხოვრებო ნივთებით: სამოსი, ნებისმიერი სახის ტრანსპორტი, ავეჯი, სამკაული და სხვ.

საქართველოს კანონი „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ განმარტავს, რომ არსებობს ორი სახის კულტურული მემკვიდრეობა – მატერიალური და არამატერიალური.

კულტურული მემკვიდრეობა

მატერიალური

ადამიანის მიერ ან ადამიანის ბუნებაზე ზემოქმედების შედეგად შექმნილი ნებისმიერი სახის მხატვრული, ისტორიული, მემორიალური ღირებულების მქონე ნივთი, როგორიცაა: ნაგებობა, ქანდაკება, მხატვრობის ნიმუში, ხელნაწერი წიგნი და სხვა.

არამატერიალური

ზეპირი გადმოცემები, ტრადიციული მუსიკა, ცეკვა, ლიტერატურა, თეატრი, ზღაპრები, ენები, რიტუალები, ფესტივალები, ხალხური რეწვა და სხვა.

გაიხსენეთ

- ჩამოწერეთ თქვენთვის ცნობილი მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები;
- დაახარისხეთ ისინი მოძრავ და უძრავ ძეგლებად; წარუდგინეთ კლასს. თუ რომელიმე ძეგლზე არ გაქვთ პასუხი, კულტურული მემკვიდრეობის რომელ ნაწილს მიეკუთვნება იგი, იმსჯელეთ თანაკლასელებთან ერთად.

? რატომ, როგორ და ვინ უნდა დაიცვას არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი?

2003 წელს გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციამ (UNESCO) გენერალური კონფერენციის 32-ე სესიაზე მიიღო არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კონვენცია. კონვენციის მიხედვით, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვა ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე ხორციელდება. ეროვნულ დონეზე კონვენციის წევრი ქვეყანა უზრუნველყოფს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის შემადგენელი ელემენტების იდენტიფიცირებას; საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის, ინსტიტუციის, არასამთავრობო ორგანიზაციის ჩართულობას არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვასა და აღორძინებაში.

don't copy

იმუშავეთ ჯგუფებში

არამატერიალური კულტურის ძეგლს არ ემუქრება ნგრევა, ეროზია, დაშლა, გახუნება... მაშ, რა საფრთხეები განაპირობებს მასზე ზრუნვის აუცილებლობას?

დაიყავით 4 ჯგუფად: საერთაშორისო დონე; ეროვნული დონე; საზოგადოებრივი დონე; ინდივიდუალური დონე.

ჯგუფში, თქვენი დონის შესაბამისად, იმსჯელეთ ქვემოთ მოცემულ კითხვებზე და მოამზადეთ პრეზენტაცია, რომელშიც დასკვნის სახით უნდა წარმოადგინოთ თქვენი დონის ჩართულობა დაცვის პროცესში და სხვა დონეებისაგან მხარდაჭერის საჭიროებები (თუ ეს მიგაჩნიათ საჭიროდ).

- რისგან და რატომ სჭირდება დაცვა არამატერიალური კულტურის ძეგლებს (საფრთხეები)?
- რა საჭიროებები იკვეთება თქვენს დონეზე?
- რას გააკეთებთ თქვენ?
- ვისგან და რა მხარდაჭერა გჭირდებათ?

მარტვილის კანიონი

ბუნებრივ მემკვიდრეობას განეკუთვნება:

- თვითნაბადი ლანდშაფტები;
- სამეცნიერო ან ესთეტიკური ღირებულების ეკოლოგიური და ფიზიკური წარმონაქმნები (მაგალითად კაცხის სვეტი);
- ტერიტორიები, სადაც გადაშენების საფრთხის მქონე ცხოველები და მცენარეებია (მაგალითად, ნაკრძალები, მღვიმეები).

ძამას ხეობა

ხადას ხეობა

Do not copy

1992 წელს საქართველო გახდა UNESCO-ს სრულუფლებიანი წევრი. ამავე წელს შეიქმნა იუნესკოს საქმეთა ეროვნული კომისია და სამდივნო, რომელიც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ბაზაზე ფუნქციონირებს. კომისიას ევალება UNESCO-სა და საქართველოს შორის თანამშრომლობის კოორდინაცია (იხ. https://bit.ly/3dlU0ip).

კომისიის შემადგენლობაში არიან იუნესკოს კომპეტენციის სფეროების მიხედვით საქართველოს სახელმწიფო უწყებებისა თუ ორგანოების,

ასოციაციებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და დამოუკიდებელი ექსპერტები. კომისიის პრეზიდენტი არის საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი. სამდივნო ეროვნული კომისიისა და იუნესკოს ძირითადი დამაკავშირებელი ორგანოა. მისი ძირითადი ფუნქციაა სისტემატიური მონაწილეობა მიიღოს როგორც იუნესკოს, ასევე ეროვნული კომისიის მიერ ინიცირებული სხვადასხვა საკითხის მოგვარებაში და კოორდინირება გაუწიოს იუნესკოს პროექტებისა და ღონისძიებების განხორციელებას.

მსოფლიო კულტურულ და ბუნებრივ ღირებულებათა დაცვის შესახებ 1972 წლის კონვენციის ფარგლებში შეიქმნა იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის სია. სიაში დღეისათვის წარმოდგენილია 1073 ძეგლი, მათ შორის საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის 3 ძეგლი:



სვეტიცხოველი

ჯვრის მონასტერი

გელათის სამონასტრო კომპლექსი



1. მცხეთის ისტორიული ძეგლები. შეტანილია სიაში 1994 წელს.
2. გელათის სამონასტრო კომპლექსი. შეტანილია სიაში 1994 წელს.
3. ზემო სვანეთი. შეტანილია სიაში 1996 წლიდან.

dont copy

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ კონვენციის ფარგლებში შექმნილია არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობითი სია, რომელშიც წარმოდგენილია 4 ქართული ნომინაცია:

1. ქართული მრავალხმიანობა – 2001 წელს ქართული მრავალხმიანობა იუნესკოს მიერ აღიარებულია, როგორც კაცობრიობის ზეპირსიტყვიერი და არამატერიალური მემკვიდრეობის შედევრი, ხოლო 2008 წელს, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ კონვენციაზე საქართველოს მიერთების შემდეგ, ქართული მრავალხმიანობა შეტანილია არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით სიაში.
2. ქვევრის ღვინის დაყენების უძველესი ქართული ტრადიციული მეთოდი – შეტანილია 2013 წელს.
3. ქართული ანბანის სამი სახეობის ცოცხალი კულტურა – შეტანილია 2016 წელს.
4. ქართული ჭიდაობა – შეტანილია 2018 წელს.

საქართველოში საომარი მოქმედებების დროს დაზიანებული ძეგლები

ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის ტერიტორიაზე ისტორიული ძეგლები ნადგურდება. სულ ცხინვალის რეგიონში 600-მდე ისტორიულ ძეგლია, მათი ნაწილი 1991 წლის მიწისძვრის დროს, ნაწილი 2008 წლის ომის შედეგად დაზიანდა და აღდგენას საჭიროებს.
2008 წლის ომის შემდეგ დაზიანდა ხეითის მთავარანგელოზის მე-18-მე-19 საუკუნის ეკლესია, რომელსაც ჭურვი მოხვდა და შედეგად გუმბათი და სამრეკლო დაზიანდა. ასევე ერედვის წმ.გიორგის სახელობის ეკლესია, რომელსაც საომარი მოქმედებების დროს გალავანზე მოხვდა ჭურვი და დაზიანდა...
აფხაზეთში ოკუპირებულ ტერიტორიაზე მდებარე კულტურული მემკვიდრეობის უნიკალური ძეგლების უმრავლესობას სერიოზული საფრთხე ემუქრება, იქ ქართულ ისტორიულ კვალს მიზანმიმართულად შლიან. ესენია: ილორი, ბედია, დრანდა, წმინდა სვიმონ კანანელის სახელობის ახალი ათონის ტაძარი, ლიხნის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი, რომლებსაც ე.წ. რესტავრაცია ჩაუტარდათ და რომლებმაც მთლიანად დაკარგა პირვანდელი სახე. 1997 წლის ივნისში, საქართველოს ხელისუფლების მოთხოვნით, აფხაზეთში იუნესკოს ექსპერტთა ჯგუფი იმყოფებოდა, მაგრამ იუნესკომ ბოლო წლებში პრაქტიკულად ვერ მოახერხა აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე შესვლა. იუნესკოს დელეგაციას ისინი მხოლოდ რუსეთის ტერიტორიიდან შესვლის შემთხვევაში მიიღებენ.

ხეითის მთავარანგელოზის (XVIII-IXXს.) ეკლესია

იმსჯელეთ

მართებულად მიგაჩნიათ თუ არა, რომ კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის განზრახ დაზიანება მიჩნეულია კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულად და ისჯება კანონით? რატომ? დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება.

dont copy

ზემო სვანეთი, სოფელი ჩაჟაში

კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის ძეგლების განზრახ დაზიანება კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულია და ისჯება კანონით.

ახალი ათონის მონასტერი (განახლებული)

ბედიის ტაძარი (X ს.)

ანაკოფიის ციხე სიმაგრე (VII-VIII ს)

რესტავრაცია – ლათინური სიტყვაა და აღდგენას ნიშნავს.

კონსერვაცია – არსებულის, თუნდაც დაზიანებული ძეგლის შენარჩუნება.

? ვინ უნდა იზრუნოს ძეგლთა დაცვაზე?

dont copy

პირველად 1931 წელს მიღებულ ათენის ქარტიაში ჩამოყალიბდა ძეგლთა დაცვის ძირითადი პრინციპები. მოგვიანებით აუცილებელი გახდა ძეგლების რესტავრაციასთან დაკავშირებით ძირითადი პრინციპების ახლიდან შემუშავება და 1964 წელს გამოიცა ე.წ. **ვენეციის ქარტია**, რომელიც წარმოადგენს ძეგლთა დაცვასთან დაკავშირებულ საერთაშორისოდ აღიარებულ ძირითად დოკუმენტს. ეს დოკუმენტი ადგენს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა კონსერვაციისა და რესტავრაციის მთავარ ღირებულებებს და მეთოდებს.

არსებობს საგანგებო პროფესია – **რესტავრატორი**. რესტავრატორები მუშაობენ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების აღდგენა-შენარჩუნებაზე.

რესტავრატორები არქიტექტურის, კედლის მხატვრობის, ტილოსა თუ ქაღალდზე შესრულებული სურათების, გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშების დაცვის სფეროში მოღვაწე ადამიანები, ფაქტობრივად ამ ძეგლების „მკურნალები“ არიან. რესტავრაცია მეცნიერების დარგია. ეს პროფესია მოითხოვს ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის და ასევე ხელოვნების ისტორიის ცოდნას. არქიტექტორ-რესტავრატორები ჩვენამდე მოღწეულ ისტორიულ წყაროებში იძიებენ მასალას კონკრეტული

ძეგლის შესახებ, ასევე იძიებენ ძველ ფოტოებს, რაც მათ საშუალებას აძლევს, ზუსტად აღადგინონ დაზიანებული ნაწილები და ამით ავთენტურობა შეუნარჩონონ ძეგლს.

ყოველი ერის კულტურული ფასეულობებისთვის მიყენებული ზარალი არის ზარალი მთელი კაცობრიობის კულტურული მემკვიდრეობისთვის, რადგან ყოველ ერს თავისი წვლილი შეაქვს მსოფლიო კულტურაში; კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებას დიდი მნიშვნელობა აქვს მსოფლიოს ყველა ერისათვის და მნიშვნელოვანია ამ მემკვიდრეობის საერთაშორისო დაცვის უზრუნველყოფა.

მაღალმა **ხელშემკვრელმა მხარეებმა**, რომლებმაც სხვა მაღალი ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიის მთლიანი ან ნაწილობრივი ოკუპაცია მოახდინეს, შესაძლებლობის ფარგლებში მხარი უნდა დაუჭირონ ოკუპირებული ტერიტორიის ეროვნული ხელისუფლების ძალისხმევას მისი კულტურული ფასეულობების დაცვისა და შენარჩუნების უზრუნველსაყოფად. იმ შემთხვევაში, თუ ოკუპირებულ ტერიტორიაზე განლაგებული და საბრძოლო ოპერაციების შედეგად დაზიანებული კულტურული ფასეულობების შესანარჩუნებლად აუცილებელია სასწრაფო ჩარევა და თუ კომპეტენტურ ეროვნულ ხელისუფლებას არ შეუძლია ამის უზრუნველყოფა, ოკუპანტი სახელმწიფო, რამდენადაც ეს შესაძლებელია, აღნიშნულ ხელისუფლებასთან მჭიდრო თანამშრომლობით იღებს ყველაზე აუცილებელ ზომებს ამ ფასეულობათა დაცვისათვის.

კონვენცია შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვევაში კულტურული ფასეულობების დაცვის შესახებ; მუხლი 5

ხელშემკვრელი მხარე – ხელშეკრულების მონაწილე, დამდები მხარე.

dont copy

ძეგლთა დაცვაზე, რა თქმა უნდა, სახელმწიფომ უნდა იზრუნოს, რადგან რიგით მოქალაქეს არ შეუძლია იყოს რესტავრატორი ან იცოდეს, მაგალითად, ძეგლის გადახურვის ფაქიზი ტექნიკა. თუმცა, „კულტურულ ფასეულობათა დაცვა მოიცავს ამ ფასეულობათა მოფრთხილებასა და პატივისცემას“. მაგრამ თითოეულ მოქალაქეს შეუძლია, იყოს მოხალისე, დამხმარე ძალა სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობისას, შესაძლებელია, აგრეთვე, მოხალისეობრივად თანხის მობილიზება, პროტესტის გამოხატვა, თუ სახელმწიფოს მხრიდან უყურადღებობა დაინახე კონკრეტული ძეგლის მიმართ და რაც მთავარია, ძეგლის დაცვა ყოველგვარი მექანიკური დაზიანებისგან, თანატოლებში ცნობიერების ამაღლების მიზნით აქტივობების წამოწყება.
სასწავლო პროგრამაში მსოფლიო კულტურული და ბუნების მემეკვიდრეობის ჩართვის მნიშვნელობა ხაზს უსვამს კონვენცია, რომელიც მოუწოდებს სახელმწიფოებს – კონვენციის მხარეებს ყველა შესაბამისი საშუალების გამოყენებით, კერძოდ, საგანმანათლებლო და ინფორმაცი-

ული პროგრამებით, გაამყაროს თავისი ხალხის პატივისცემა და მზრუნ-ველობა ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის მიმართ.

მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში წარსადგენად ობიექტი უნდა აკმაყო-ფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

1. უნდა წარმოადგენდეს ადამიანის გენიის შემოქმედებით ნიმუშს;
2. უნდა მიუთითებდეს დროის გარკვეულ მონაკვეთში, ან მსოფლიო რომელიმე კულტურული არეალის ფარგლებში არქიტექტურის, მონუმენტური ხელოვნების, ქალაქგეგმარების ან ლანდშაფტური არქიტექტურის განვითარების სფეროში ადამიანურ ფასეულობათა მნიშვნელოვან ურთიერთგაცვლაზე;
3. უნდა წარმოადგენდეს რომელიმე კულტურული ტრადიციის ან, დღესაც არსებული ან გამქრალი ცივილიზაციის ამსახველ უნი-კალურ ან განსაკუთრებულ ნიმუშს;
4. უნდა წარმოადგენდეს ნაგებობის, არქიტექტურული ანსამბლის ან ლანდშაფტის ღირსშესანიშნავ მაგალითს, რომელიც ასახავს კაცო-ბრიობის ისტორიის მნიშვნელოვან ეტაპს(ებს);
5. უნდა იყოს ტრადიციული საცხოვრისის ან მიწათმოქმედების გამორ-ჩეული მაგალითი, რომელიც წარმოადგენს რომელიმე კულტურას (კულტურებს), განსაკუთრებით მაშინ, თუ ეს კულტურა საფრთხის წინაშეა შეუქცევადი ცვლილებების გამო;
6. უნდა იყოს უშუალოდ ან თვალსაჩინოდ დაკავშირებული განსა-კუთრებული ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის მქონე მოვლენებთ-ან, ყოფით ტრადიციებთან, იდეებთან, რწმენასთან, მხატვრულ და ლიტერატურულ ნაწარმოებებთან.

ბაგრატის ტაძარი რეკონ-სტრუქციამდე

dont copy

იმსჯელეთ

ბაგრატის ტაძარი იუნესკომ მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხიდან ამოიღო. ეს გადაწყვეტილება 2017 წელს იუნესკოს მსოფლიო მემკვი-დრეობის კომიტეტის 41-ე სესიაზე მიიღეს. ბაგრატის ტაძარიც და გე-ლათიც კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში ერთ ნომინაციაში იყვნენ, 2010 წელს გადაიყვანეს საფრთხის ქვეშ მყოფი ძეგლების ნუსხაში. საბ-ოლოოდ, კომიტეტის ყველა წევრმა ერთხმად განაცხადა, რომ ბაგრატის ტაძარმა ჩატარებული რესკონსტრუქციის შემდეგ დაკარგა ზოგად-საკაცობრიო ღირებულება. რეკონსტრუქცია მოიცავდა ტაძრის საერო ნაწილში მინის კონსტრუქციისა და ლიფტის დამატებას.



ბაგრატის ტაძარი რეკონ-სტრუქციის შემდეგ

- უნდა მომხდარიყო თუ არა ბაგრატის ტაძრის რესტავრაცია?
- რამდენად სწორი იყო იუნესკოს გადაწყვეტილება ბაგრატის ტაძ-რის მსოფლიო მატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სიიდან ამოღების შესახებ?

- რომელ კრიტერიუმს/კრიტერიუმებს აღარ აკმაყოფილებდა ბაგრატის ტაძარი რესტავრაციის შემდეგ?
- თქვენი აზრით, რა შემთხვევაში იქნება შესაძლებელი ბაგრატის ტაძრის დაბრუნება იუნესკოს მსოფლიო მატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სიაში?

გახსოვდეს!

საეკლესიო მხატვრობის დასაცავად გაითვალისწინეთ შემდეგი რჩევები:

1. არასდროს მიაწებოთ სანთელი ტაძრის კედელს, მით უმეტეს, თუ ტაძარი მოხატულია;
2. არ გააკეთოთ წარწერები მოხატულობის ზედაპირზე (და საერთოდ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე). ეს ვანდალიზმია;
3. ხელით არ შეეხოთ მხატვრობას;
4. არ ცადოთ მოხატულობის ზედაპირის თავად გაწმენდა.

> არ მინდა ჩემი სახლი ყველა მხრიდან ჩარაზული იყოს. მინდა, რომ ნიავი თავისუფლად შემოაქროლებდეს სხვადასხვა კულტურას ჩემს სახლში.
>
> *მახათმა განდი*

იმუშავეთ ჯგუფებში

დაიყავით ჯგუფებად და მოამზადეთ „რადიოპროგრამა“ მსოფლიო მემკვიდრეობის შესახებ.

პროგრამა შეიძლება მოიცავდეს:

- დიალოგს შერჩეული ობიექტის მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში მოხვედრის მომხრე და მოწინააღმდეგე მოსწავლეებს შორის;
- ობიექტის მნიშვნელობის, ადგილმდებარეობის და სილამაზის აღწერას;
- ლექსებს, გამონათქვამებს, რომლებიც მიეძღვნა მოცემულ ობიექტს;
- მუსიკასა და ხმებს (ბუნების, ცხოველების, ზარების, ადგილობლების...), რომელიც ამ ობიეტს მოგაგონებთ;
- წარუდგინეთ პროგრამა კლასს.

don't copy

ტურიზმი და მსოფლიო მემკვიდრეობა

ტურიზმს აქვს უამრავი ხილული უპირატესობა. ქვეყნებში, სადაც არის მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლები, ქალაქებსა და ისტორიულ ადგილებში, ტურიზმს მოაქვს ადამიანებისთვის სამუშაო ადგილები, შემოსავალი, ხელს უწყობს ადგილობრივი ინფრასტრუქტურის (გზები, კომუნიკაციები, სამედიცინო მომსახურება) განვითარებას. ტურისტებს შეუძლიათ დატკბნენ ამქვეყნიური საოცრებებით, გაიცნონ უცხო ქალაქები, გარემო, კულტურა, სხვადასხვა ქვეყნის ფასეულობები და ცხოვრების სტილი, რაც ხელს უწყობს საერთაშორისო ურთიერთობებს და სოლიდარობას.

ტურიზმს შეუძლია იყოს ტოლერანტობის სკოლა, სადაც თითოეული ადამიანი შეიძლება შეეჯახოს სამყაროს, რომლიც უნიკალური და მრავალფეროვანია.

იუნესკოს დადგენილება კულტურის, ტურიზმისა და განვითარების შესახებ, 1996 წ.

თუმცა, ტურიზმს აქვს ნეგატიური მხარეებიც. მაგალითად, უამრავი ტურისტი მიემგზავრება სამონასტრო კომპლექსების დასათვალიერებლად დასავლეთ საქართველოში, სადაც ნოტიო კლიმატია. ტურისტებისთვის კომფორტის შექმნის მიზნით, მათი დაბრუნების მოლოდინში, მძღოლები ავტობუსის ძრავას და კონდიციონერს ჩართულს ტოვებენ. გამონაბოლქვი გაზი აზიანებს ტაძრებს.

საავტომობილო მოძრაობა მთავარი საფრთხეა სხვა მემკვიდრეობის ძეგლებისთვისაც. ტურისტების გაზრდილი ნაკადების გამო გზების გაფართოება აზიანებს მემკვიდრეობის ძეგლებს. მაგალითად, ცნობილი ფაქტია, რომ იუნესკომ პირამიდებთან ახლოს გზატკეცილის მშენებლობის შეჩერების თხოვნით მიმართა ეგვიპტის მთავრობას. მსოფლიო მემკვიდრეობის დაცვის კონვენციაში, სადაც საუბარია საფრთხის ქვეშ მყოფი მსოფლიო მემკვიდრეობის დაცვაზე, სერიოზული საფრთხეებს შორის ნახსენებია ქალაქებისა და ტურიზმის სწრაფ განვითარებასთან დაკავშირებული საფრთხეები.

დისკუსია

„ტურიზმი და მსოფლიო მემკვიდრეობა“

ქვეყნებს, სადაც არის მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლები, ძალიან ბევრი ტურისტი სტუმრობს, რასაც კარგი შემოსავალი მოაქვს ადგილობრივი მოსახლეობისათვის, იზრდება დასაქმება, ვითარდება ინფრასტრუქტურა, მედიცინა, სასტუმრო და სარესტორნო ქსელი, კავშირგაბმულობა და სხვ. ტურისტები ეცნობიან ქვეყანას, მის კულტურას, ისტორიულ ღირებულებებს, ტრადიციებს. ეს ყველაფერი ხელს უწყობს საერთაშორისო თანამშრომლობასა და ურთიერთგაგებას.

- ჩამოთვალეთ ტურიზმის დადებითი ზეგავლენა კულტურისა და ბუნების ძეგლებზე;
- ჩამოთვალეთ ტურიზმის უარყოფითი ზეგავლენა კულტურისა და ბუნების ძეგლებზე;
- იმსჯელეთ იმ ქმედებების შესახებ, რომლებიც, თქვენი აზრით, შეამცირებს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლებზე ტურიზმის უარყოფით გავლენას?

dont copy

ვირტუალური ტურიზმი და მსოფლიო მემკვიდრეობა

დღეს, კომპიუტერული ტექნოლოგიების განვითარების ეპოქაში, შესაძლებელია სახლიდან გაუსვლელად მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში მდებარე იუნესკოს 100-ზე მეტი კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის ძეგლის მონახულება – https://en.unesco.org/ , https://bit.ly/37oksUS , https://bit.ly/37mJhR3

დავალება

აირჩიე ერთ-ერთი

1 აირჩიე შენს სოფელში/ქალაქში/მუნიციპალიტეტში არსებული ერთი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი, შეისწავლე და აღწერე ქვემოთ მოცემული ჩარჩოს მიხედვით. აღწერას შეგიძლია დაურთო ძეგლის ფოტოები, ესკიზები, ვიდეო. კლასში მოაწყვეთ გამოფენა, სადაც თქვენს ვიზუალურ მასალას განათავსებთ. შესაძლებელია წინასწარ შექმნილ ბლოგზე ატვირთოთ თქვენი ნაშრომები.

ობიექტის სახელწოდება და ტიპი (არქიტექტურა, მხატვრობა, ქანდაკება, გამოყენებითი ხელოვნება, მოძრავი, უძრავი, რესპუბლიკური თუ რეგიონული მასშტაბის და ა.შ.); მდებარეობა (გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშის შემთხვევაში – რომელ მუზეუმში ინახება, არამატერიალური კულტურის ძეგლის შემთხვევაში – გავრცელების არეალი, გეოგრაფიული კოორდინატები და ა.შ.); თარიღები (როდის შეიქმნა, განახლდა, ჩაუტარდა რესტავრაცია და ა.შ.); ძეგლთან დაკავშირებული პიროვნებები (არქიტექტორი, მშენებელი ან მხატვარი, არქიტექტორი და ა.შ.); ძეგლის აღწერა, რითია გამორჩეული; სხვა მონაცემები (ისტორიული ცნობები, თქმულება, ზეპირი გადმოცემა და ა.შ.); ძეგლზე არსებული წარწერები (თუკი ამგვარი არსებობს); დაზიანებების აღწერა (ასეთების არსებობის შემთხვევაში).

ნიმუშებს შეგიძლიათ გაეცნოთ ვებგვერდზე: ვისაუბროთ კულტურულ მემკვიდრეობაზე (ინტერაქტიური რუკა). https://bit.ly/3ptFsjk

2 „წარმოგიდგენთ საქართველო“ – აირჩიეთ მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში საქართველოდან შეტანილი ერთი ძეგლი ან ნომინაცია და მის შესახებ მოამზადეთ სარეკლამო ტექსტი, ბანერი, პლაკატი; გამოფინეთ კლასში და წარადგინეთ. თუ ბლოგი გაქვთ, ატვირთეთ ეს ინფორმაცია.

dont copy

სასარგებლო რესურსები

- ანიმაციური ფილმები https://bit.ly/3s33WS5
- იუნესკოს საქართველოს ვებგვერდი https://unesco.ge/
- იკომოსი, https://bit.ly/3u6qwuQ
- იუნესკოს ოფიციალური ვებგვერდი https://en.unesco.org/
- ევროპული კულტურული მემკვიდრეობის სტრატეგია 21-ე საუკუნისთვის https://bit.ly/3apRbuN
- ვენეციის ქარტია https://bit.ly/3au0PMV
- ვისაუბროთ კულტურულ მემკვიდრეობაზე (ინტერაქტიური რუქა) https://bit.ly/37npqB0
- არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ქართული ძეგლები https://bit.ly/3apRNk5

საქართველოს კონსტიტუცია

(დოკუმენტი წარმოდგენილია 2020 წლის მდგომარეობით)

თავი მეორე. ადამიანის ძირითადი უფლებები

მუხლი 9. ადამიანის ღირსების ხელშეუვალობა

1. ადამიანის ღირსება ხელშეუვალია და მას იცავს სახელმწიფო.
2. დაუშვებელია ადამიანის წამება, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა, არაადამიანური ან დამამცირებელი სასჯელის გამოყენება.

მუხლი 10. სიცოცხლისა და ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლებები

1. ადამიანის სიცოცხლე დაცულია. სიკვდილით დასჯა აკრძალულია.
2. ადამიანის ფიზიკური ხელშეუხებლობა დაცულია.

მუხლი 11. თანასწორობის უფლება

1. ყველა ადამიანი სამართლის წინაშე თანასწორია. აკრძალულია დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ნიშნის მიხედვით.
2. საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს მოქალაქეებს, განურჩევლად მათი ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილებისა, უფლება აქვთ ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე შეინარჩუნონ და განავითარონ თავიანთი კულტურა, ისარგებლონ დედაენით პირად ცხოვრებაში ან საჯაროდ.
3. სახელმწიფო უზრუნველყოფს თანაბარ უფლებებსა და შესაძლებლობებს მამაკაცებისა და ქალებისათვის. სახელმწიფო იღებს განსაკუთრებულ ზომებს მამაკაცებისა და ქალების არსებითი თანასწორობის უზრუნველსაყოფად და უთანასწორობის აღმოსაფხვრელად.
4. სახელმწიფო ქმნის განსაკუთრებულ პირობებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისა და ინტერესების რეალიზებისათვის.

don't copy

მუხლი 12. პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება

ყველას აქვს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება.

მუხლი 13. ადამიანის თავისუფლება

1. ადამიანის თავისუფლება დაცულია.
2. თავისუფლების აღკვეთის ან თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვის შეფარდება დასაშვებია მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით.
3. ადამიანის დაკავება დასაშვებია კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში კანონით უფლებამოსილი პირის მიერ. დაკავებული პირი უნდა წარედგინოს სასამართლოს განსჯადობის მიხედვით არაუგვიანეს 48 საათისა. თუ მომდევნო 24 საათის განმავლობაში სასამართლო არ მიიღებს გადაწყვეტილებას დაპატიმრების ან თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვის შესახებ, პირი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.
4. პირს დაკავებისთანავე უნდა განემარტოს მისი უფლებები და დაკავების საფუძველი. პირს დაკავებისთანავე შეუძლია მოითხოვოს ადვოკატის დახმარება, რაც უნდა დაკმაყოფილდეს.
5. ბრალდებულის პატიმრობის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 9 თვეს.

6. ამ მუხლის მოთხოვნათა დარღვევა ისჯება კანონით. უკანონოდ თავისუფლებაშეზღუდულ პირს აქვს კომპენსაციის მიღების უფლება.

მუხლი 14. მიმოსვლის თავისუფლება

1. ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება საქართველოში, აქვს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თავისუფალი მიმოსვლის, საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევისა და საქართველოდან თავისუფლად გასვლის უფლება.
2. ამ უფლებათა შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის დაცვის ან მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით.
3. საქართველოს მოქალაქეს შეუძლია თავისუფლად შემოვიდეს საქართველოში.

მუხლი 15. პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებები

1. ადამიანის პირადი და ოჯახური ცხოვრება ხელშეუხებელია. ამ უფლების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ან სხვათა უფლებების დაცვის მიზნით.
2. ადამიანის პირადი სივრცე და კომუნიკაცია ხელშეუხებელია. არავის აქვს უფლება შევიდეს საცხოვრებელ ან სხვა მფლობელობაში მფლობელი პირის ნების საწინააღმდეგოდ, აგრეთვე ჩაატაროს ჩხრეკა. ამ უფლებათა შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ან სხვათა უფლებების დაცვის მიზნით, სასამართლოს გადაწყვეტილებით ან მის გარეშეც, კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას. გადაუდებელი აუცილებლობისას უფლების შეზღუდვის შესახებ არაუგვიანეს 24 საათისა უნდა ეცნობოს სასამართლოს, რომელიც შეზღუდვის კანონიერებას ადასტურებს მიმართვიდან არაუგვიანეს 24 საათისა.

do not copy

მუხლი 16. რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლებები

1. ყოველ ადამიანს აქვს რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლება.
2. ამ უფლებათა შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის ან სხვათა უფლებების დაცვის მიზნით.
3. დაუშვებელია ადამიანის დევნა რწმენის, აღმსარებლობის ან სინდისის გამო, აგრეთვე მისი იძულება გამოთქვას თავისი შეხედულება მათ შესახებ.

მუხლი 17. აზრის, ინფორმაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და ინტერნეტის თავისუფლების უფლებები

1. აზრისა და მისი გამოხატვის თავისუფლება დაცულია. დაუშვებელია ადამიანის დევნა აზრისა და მისი გამოხატვის გამო.
2. ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია.
3. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თავისუფალია. ცენზურა დაუშვებელია. სახელმწიფოს ან ცალკეულ პირებს არა აქვთ მასობრივი ინფორმაციის ან მისი გავრცელების საშუალებათა მონოპოლიზაციის უფლება.
4. ყველას აქვს ინტერნეტზე წვდომისა და ინტერნეტით თავისუფლად სარგებლობის

უფლება.

5. ამ უფლებათა შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველსაყოფად, სხვათა უფლებების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.
6. კანონი უზრუნველყოფს საზოგადოებრივი მაუწყებლის დამოუკიდებლობას სახელმწიფო უწყებებისაგან და თავისუფლებას პოლიტიკური და არსებითი კომერციული გავლენისაგან.
7. მედიაპლურალიზმის დაცვის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში აზრის გამოხატვის თავისუფლების რეალიზების, მასობრივი ინფორმაციის ან მისი გავრცელების საშუალებათა მონოპოლიზაციის თავიდან აცილების უზრუნველსაყოფად, აგრეთვე მაუწყებლობისა და ელექტრონული კომუნიკაციის სფეროში მომხმარებელთა და მეწარმეთა უფლებების დასაცავად შექმნილი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს ინსტიტუციური და ფინანსური დამოუკიდებლობა გარანტირებულია კანონით.

მუხლი 18. სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოების, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, ინფორმაციული თვითგამორკვევისა და საჯარო ხელისუფლების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების უფლებები

1. ყველას აქვს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მასთან დაკავშირებული საქმის გონივრულ ვადაში სამართლიანად განხილვის უფლება.
2. ყველას აქვს უფლება კანონით დადგენილი წესით გაეცნოს საჯარო დაწესებულებაში მასზე არსებულ ან სხვა ინფორმაციას ან ოფიციალურ დოკუმენტს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი შეიცავს კომერციულ ან პროფესიულ საიდუმლოებას ან დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან სამართალწარმოების ინტერესების დასაცავად კანონით ან კანონით დადგენილი წესით აღიარებული სახელმწიფო საიდუმლოებად.
3. ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობასთან, ფინანსებთან ან სხვა პირად საკითხებთან, არავისთვის უნდა იყოს ხელმისაწვდომი თვით ამ ადამიანის თანხმობის გარეშე, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, საჯარო ინტერესების, ჯანმრთელობის ან სხვათა უფლებების დასაცავად.
4. ყველასთვის გარანტირებულია სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსაგან ან მოსამსახურისაგან უკანონოდ მიყენებული ზიანის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება შესაბამისად სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის სახსრებიდან.

don't copy

მუხლი 19. საკუთრების უფლება

1. საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია.
2. საჯარო ინტერესებისათვის დასაშვებია ამ უფლების შეზღუდვა კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.
3. აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევა დასაშვებია კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში, სასამართლოს გადაწყვეტილებით ან ორგანული კანონით დადგენილი გადაუდებელი აუცილებლობისას, წინასწარი, სრული და სამართლიანი ანაზღაურებით. ანაზღაურება

თავისუფლდება ყოველგვარი გადასახადისა და მოსაკრებლისაგან.

4. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, როგორც განსაკუთრებული მნიშვნელობის რესურსი, შეიძლება იყოს მხოლოდ სახელმწიფოს, თვითმმართველი ერთეულის, საქართველოს მოქალაქის ან საქართველოს მოქალაქეთა გაერთიანების საკუთრებაში. გამონაკლისი შემთხვევები შეიძლება დადგინდეს ორგანული კანონით, რომელიც მიიღება პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედის უმრავლესობით.

მუხლი 20. შემოქმედების თავისუფლება, კულტურული მემკვიდრეობა

1. შემოქმედების თავისუფლება უზრუნველყოფილია. ინტელექტუალური საკუთრების უფლება დაცულია.
2. შემოქმედებით პროცესში ჩარევა, შემოქმედებითი საქმიანობის სფეროში ცენზურა დაუშვებელია.
3. შემოქმედებითი ნაწარმოების გავრცელების აკრძალვა დასაშვებია მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით, თუ ნაწარმოების გავრცელება ლახავს სხვათა უფლებებს.
4. ყველას აქვს უფლება ზრუნავდეს კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე. კულტურული მემკვიდრეობა დაცულია კანონით.

მუხლი 21. შეკრების თავისუფლება

1. ყველას, გარდა იმ პირებისა, რომლებიც არიან თავდაცვის ძალების ან სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი ორგანოს შემადგენლობაში, აქვს წინასწარი ნებართვის გარეშე საჯაროდ და უიარაღოდ შეკრების უფლება.
2. კანონით შეიძლება დაწესდეს ხელისუფლების წინასწარი გაფრთხილების აუცილებლობა, თუ შეკრება ხალხის ან ტრანსპორტის სამოძრაო ადგილას იმართება.
3. ხელისუფლებას შეუძლია შეკრების შეწყვეტა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან კანონსაწინააღმდეგო ხასიათი მიიღო.

don't copy

მუხლი 22. გაერთიანების თავისუფლება

1. გაერთიანების თავისუფლება უზრუნველყოფილია.
2. გაერთიანების ლიკვიდაცია შეიძლება მხოლოდ ამავე გაერთიანების ან სასამართლოს გადაწყვეტილებით, კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.

მუხლი 23. პოლიტიკური პარტიების თავისუფლება

1. საქართველოს მოქალაქეებს უფლება აქვთ ორგანული კანონის შესაბამისად შექმნან პოლიტიკური პარტია და მონაწილეობა მიიღონ მის საქმიანობაში.
2. პირს, რომელიც ჩაირიცხება თავდაცვის ძალების ან სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი ორგანოს შემადგენლობაში, განწესდება მოსამართლედ, უწყდება პოლიტიკური პარტიის წევრობა.
3. დაუშვებელია ისეთი პოლიტიკური პარტიის შექმნა და საქმიანობა, რომლის მიზანია საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობა ან ძალადობით შეცვლა, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფა, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა ან რომელიც ეწევა ომის ან ძალადობის პროპაგანდას, აღვივებს ეროვნულ, ეთნიკურ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს. დაუშვებელია პოლიტიკური პარტიის შექმნა ტერიტორიული ნიშნით.
4. პოლიტიკური პარტიის აკრძალვა შეიძლება მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ორგანული კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და

დადგენილი წესით.

მუხლი 24. საარჩევნო უფლება

1. საქართველოს ყოველ მოქალაქეს 18 წლის ასაკიდან აქვს რეფერენდუმში, სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში მონაწილეობის უფლება. უზრუნველყოფილია ამომრჩევლის ნების თავისუფალი გამოვლენა.
2. არჩევნებსა და რეფერენდუმში მონაწილეობის უფლება არა აქვს მოქალაქეს, რომელიც სასამართლოს განაჩენით განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის იმყოფება სასჯელის აღსრულების დაწესებულებაში ან სასამართლოს გადაწყვეტილებით ცნობილია მხარდაჭერის მიმღებად და მოთავსებულია შესაბამის სტაციონარულ სამედიცინო დაწესებულებაში.

მუხლი 25. საჯარო თანამდებობის დაკავების უფლება

1. საქართველოს ყოველ მოქალაქეს აქვს უფლება დაიკავოს ნებისმიერი საჯარო თანამდებობა, თუ იგი აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. საჯარო სამსახურის პირობები განისაზღვრება კანონით.
2. საქართველოს პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრის ან პარლამენტის თავმჯდომარის თანამდებობა არ შეიძლება ეკავოს საქართველოს მოქალაქეს, რომელიც იმავდროულად სხვა სახელმწიფოს მოქალაქეა.

მუხლი 26. შრომის თავისუფლება, პროფესიული კავშირების თავისუფლება, გაფიცვის უფლება და მეწარმეობის თავისუფლება

1. შრომის თავისუფლება უზრუნველყოფილია. ყველას აქვს სამუშაოს თავისუფალი არჩევის უფლება. უფლება შრომის უსაფრთხო პირობებზე და სხვა შრომითი უფლებები დაცულია ორგანული კანონით.
2. ყველას აქვს ორგანული კანონის შესაბამისად პროფესიული კავშირის შექმნისა და მასში გაერთიანების უფლება.
3. გაფიცვის უფლება აღიარებულია. ამ უფლების განხორციელების პირობები და წესი განისაზღვრება ორგანული კანონით.
4. მეწარმეობის თავისუფლება უზრუნველყოფილია. აკრძალულია მონოპოლიური საქმიანობა, გარდა კანონით დაშვებული შემთხვევებისა. მომხმარებელთა უფლებები დაცულია კანონით.

don't copy

მუხლი 27. განათლების უფლება და აკადემიური თავისუფლება

1. ყველას აქვს განათლების მიღებისა და მისი ფორმის არჩევის უფლება.
2. სკოლამდელი აღზრდა და განათლება უზრუნველყოფილია კანონით დადგენილი წესით. დაწყებითი და საბაზო განათლება სავალდებულოა. ზოგადი განათლებას კანონით დადგენილი წესით სრულად აფინანსებს სახელმწიფო. მოქალაქეებს უფლება აქვთ კანონით დადგენილი წესით სახელმწიფოს დაფინანსებით მიიღონ პროფესიული და უმაღლესი განათლება.
3. აკადემიური თავისუფლება და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტონომია უზრუნველყოფილია.

მუხლი 28. ჯანმრთელობის დაცვის უფლება

1. მოქალაქის უფლება ხელმისაწვდომ და ხარისხიან ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებაზე უზრუნველყოფილია კანონით.
2. სახელმწიფო აკონტროლებს ჯანმრთელობის დაცვის ყველა დაწესებულებას და სამედიცინო მომსახურების ხარისხს, არეგულირებს ფარმაცევტულ წარმოებას და

ფარმაცევტული საშუალებების მიმოქცევას.

მუხლი 29. გარემოს დაცვის უფლება

1. ყველას აქვს უფლება ცხოვრობდეს ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი გარემოთი და საჯარო სივრცით. ყველას აქვს უფლება დროულად მიიღოს სრული ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ. ყველას აქვს უფლება ზრუნავდეს გარემოს დაცვაზე. გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის უფლება უზრუნველყოფილია კანონით.
2. ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსებით რაციონალური სარგებლობა უზრუნველყოფილია კანონით.

მუხლი 30. ქორწინების უფლება, დედათა და ბავშვთა უფლებები

1. ქორწინება, როგორც ქალისა და მამაკაცის კავშირი ოჯახის შექმნის მიზნით, ემყარება მეუღლეთა უფლებრივ თანასწორობასა და ნებაყოფლობას.
2. დედათა და ბავშვთა უფლებები დაცულია კანონით.

მუხლი 31. საპროცესო უფლებები

1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავის უფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს. საქმის სამართლიანი და დროული განხილვის უფლება უზრუნველყოფილია.
2. ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე.
3. დაცვის უფლება გარანტირებულია. ყველას აქვს უფლება სასამართლოში დაიცვას თავისი უფლებები პირადად ან ადვოკატის მეშვეობით, აგრეთვე კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში – წარმომადგენლის მეშვეობით. ადვოკატის უფლებების შეუფერხებელი განხორციელება და ადვოკატთა თვითორგანიზების უფლება გარანტირებულია კანონით.
4. ბრალდებულს უფლება აქვს მოითხოვოს თავისი მოწმეების გამოძახება და ისეთივე პირობებში დაკითხვა, როგორიც აქვთ ბრალდების მოწმეებს.
5. ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით, კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით.
6. არავინ არის ვალდებული ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. ბრალდების მტკიცების მოვალეობა ეკისრება ბრალმდებელს.
7. დადგენილება ბრალდებულის სახით პირის პასუხისგებაში მიცემის შესახებ უნდა ემყარებოდეს დასაბუთებულ ვარაუდს, ხოლო გამამტყუნებელი განაჩენი – უტყუარ მტკიცებულებებს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ.
8. არავის დაედება განმეორებით მსჯავრი ერთი და იმავე დანაშაულისათვის.
9. არავინ აგებს პასუხს ქმედებისათვის, რომელიც მისი ჩადენის დროს სამართალდარღვევად არ ითვლებოდა. კანონს, თუ იგი არ ამსუბუქებს ან არ აუქმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არა აქვს.
10. კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებას იურიდიული ძალა არა აქვს.
11. არავინ არის ვალდებული მისცეს თავისი ან იმ ახლობელთა საწინააღმდეგო ჩვენება, რომელთა წრე განისაზღვრება კანონით.

don't copy

მუხლი 32. საქართველოს მოქალაქეობა

1. საქართველო მფარველობს თავის მოქალაქეს განურჩევლად მისი ადგილსა-

მყოფლისა.

2. საქართველოს მოქალაქეობა მოიპოვება დაბადებით ან ნატურალიზაციით. საქართველოს მოქალაქეობის მოპოვებისა და დაკარგვის წესი, სხვა სახელმწიფოს მოქალაქისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების პირობები და წესი და საქართველოს მოქალაქის მიერ სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობის ფლობის პირობები განისაზღვრება ორგანული კანონით.
3. მოქალაქეობის ჩამორთმევა დაუშვებელია.
4. საქართველოდან საქართველოს მოქალაქის გაძევება დაუშვებელია.
5. საქართველოს მოქალაქის სხვა სახელმწიფოსათვის გადაცემა დაუშვებელია, გარდა საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევებისა. გადაწყვეტილება მოქალაქის გადაცემის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

მუხლი 33. უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლებები

1. საქართველოში მცხოვრებ სხვა სახელმწიფოს მოქალაქეებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს საქართველოს მოქალაქის თანაბარი უფლებანი და მოვალეობანი აქვთ, გარდა კონსტიტუციითა და კანონით გათვალისწინებული გამონაკლისებისა.
2. სახელმწიფო უფლებამოსილია კანონით დააწესოს სხვა სახელმწიფოს მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა პოლიტიკური საქმიანობის შეზღუდვა.
3. საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმების შესაბამისად, კანონით დადგენილი წესით საქართველო თავშესაფარს აძლევს სხვა სახელმწიფოს მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს.
4. დაუშვებელია საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების წინააღმდეგ პირის საქართველოდან გაძევება ან ექსტრადიცია.

მუხლი 34. ადამიანის ძირითადი უფლებების უზრუნველყოფის ზოგადი პრინციპები

1. კონსტიტუციაში მითითებული ადამიანის ძირითადი უფლებები, მათი შინაარსის გათვალისწინებით, ვრცელდება აგრეთვე იურიდიულ პირებზე.
2. ადამიანის ძირითადი უფლებების განხორციელებამ არ უნდა დაარღვიოს სხვათა უფლებები.
3. ადამიანის ძირითადი უფლების შეზღუდვა უნდა შეესაბამებოდეს იმ ლეგიტიმური მიზნის მნიშვნელობას, რომლის მიღწევასაც იგი ემსახურება.

don't copy

მუხლი 35. საქართველოს სახალხო დამცველი

1. საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანის უფლებების დაცვას ზედამხედველობს საქართველოს სახალხო დამცველი, რომელსაც 6 წლის ვადით სრული შემადგენლობის არანაკლებ სამი მეხუთედის უმრავლესობით ირჩევს პარლამენტი. სახალხო დამცველად ერთი და იმავე პირის ზედიზედ ორჯერ არჩევა დაუშვებელია.
2. სახალხო დამცველის საქმიანობისათვის დაბრკოლებათა შექმნა ისჯება კანონით.
3. სახალხო დამცველის დაკავება ან დაპატიმრება, მისი საცხოვრებელი ან სამუშაო ადგილის, მანქანის ან პირადი გაჩხრეკა შეიძლება მხოლოდ პარლამენტის თანხმობით. გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პარლამენტს. თუ პარლამენტი არ მისცემს თანხმობას, სახალხო დამცველი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.
4. სახალხო დამცველის უფლებამოსილება განისაზღვრება ორგანული კანონით.

თავი მესამე. საქართველოს პარლამენტი

მუხლი 36. პარლამენტის სტატუსი და უფლებამოსილება

1. საქართველოს პარლამენტი არის ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც ახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლებას, განსაზღვრავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში კონტროლს უწევს მთავრობის საქმიანობას და ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს.
2. პარლამენტის მუშაობის წესი განისაზღვრება პარლამენტის რეგლამენტით, რომელსაც პარლამენტის წევრის, კომიტეტის ან საპარლამენტო ფრაქციის ინიციატივის საფუძველზე სრული შემადგენლობის უმრავლესობით იღებს პარლამენტი. რეგლამენტს აქვს კანონის ძალა და მას ხელს აწერს და აქვეყნებს პარლამენტის თავმჯდომარე.

მუხლი 37. პარლამენტის არჩევნები

1. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენის შემდეგ პარლამენტის შემადგენლობაში იქნება ორი პალატა: რესპუბლიკის საბჭო და სენატი. რესპუბლიკის საბჭო შედგება პროპორციული წესით არჩეული წევრებისაგან. სენატი შედგება აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკასა და საქართველოს სხვა ტერიტორიულ ერთეულებში არჩეული წევრებისა და საქართველოს პრეზიდენტის მიერ დანიშნული 5 წევრისაგან. პალატების შემადგენლობას, უფლებამოსილებასა და არჩევის წესს განსაზღვრავს ორგანული კანონი.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირობის შექმნამდე პარლამენტი შედგება საყოველთაო, თავისუფალი, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით 4 წლის ვადით ერთიან მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქში პროპორციული სისტემით არჩეული 150 პარლამენტის წევრისაგან.
3. პარლამენტის მორიგი არჩევნები ტარდება პარლამენტის უფლებამოსილების ვადის ამოწურვის კალენდარული წლის ოქტომბრის ბოლო შაბათს. პარლამენტის დათხოვნის შემთხვევაში არჩევნები ტარდება პარლამენტის დათხოვნიდან არაუადრეს 45-ე და არაუგვიანეს მე-60 დღისა. თუ არჩევნების თარიღი ემთხვევა საგანგებო ან საომარ მდგომარეობას, არჩევნები ტარდება ამ მდგომარეობის გაუქმებიდან არაუადრეს 45-ე და არაუგვიანეს მე-60 დღისა.
4. პარლამენტის წევრად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 25 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში უცხოვრია 10 წელს მაინც. პარლამენტის წევრად არ შეიძლება აირჩეს პირი, რომელსაც სასამართლოს განაჩენით შეფარდებული აქვს თავისუფლების აღკვეთა.
5. პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებულ პოლიტიკურ პარტიას, რომელსაც ჰყავს მისი წარდგენით არჩეული პარლამენტის წევრი არჩევნების დანიშვნის დროისათვის ან რომლის მხარდაჭერა ორგანული კანონით დადგენილი წესით დადასტურებულია არანაკლებ 25000 ამომრჩევლის ხელმოწერით.
6. პარლამენტის წევრთა მანდატები განაწილდება იმ პოლიტიკურ პარტიებზე, რომლებმაც არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ნამდვილი ხმების 5 პროცენტი მაინც მიიღეს. პოლიტიკური პარტიის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობის დასადგენად მის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა მრავლდება 150-ზე და იყოფა ყველა იმ პოლიტიკური პარტიის მიერ მიღებული ხმების ჯამზე, რომლებმაც არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ნამდვილი ხმების 5 პროცენტი მაინც

don't copy

მიიღეს. მიღებული რიცხვის მთელი ნაწილი არის პოლიტიკური პარტიის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობა. თუ პოლიტიკური პარტიების მიერ მიღებული მანდატების რაოდენობათა ჯამი 150-ზე ნაკლებია, გაუნაწილებელ მანდატებს თანმიმდევრობით მიიღებენ უკეთესი შედეგის მქონე პოლიტიკური პარტიები.

7. პარლამენტის არჩევის წესი განისაზღვრება ორგანული კანონით.

მუხლი 38. პარლამენტის პირველი სხდომა და უფლებამოსილების შეწყვეტა

ახალარჩეული პარლამენტის პირველი სხდომა იმართება პარლამენტის არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადებიდან არაუგვიანეს მე-10 დღისა. პირველ სხდომას ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი. პარლამენტი პირველ სხდომაზე უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას, თუ სხდომას ესწრება პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობა. პარლამენტი სრულ უფლებამოსილებას იძენს პარლამენტის წევრთა ორი მესამედის უფლებამოსილების ცნობის მომენტიდან. ამ მომენტიდან უფლებამოსილება უწყდება წინა მოწვევის პარლამენტს.

მუხლი 39. საქართველოს პარლამენტის წევრი

1. საქართველოს პარლამენტის წევრი არის სრულიად საქართველოს წარმომადგენელი, სარგებლობს თავისუფალი მანდატით და მისი გაწვევა დაუშვებელია.
2. პარლამენტის წევრის დაკავება ან დაპატიმრება, მისი საცხოვრებელი ან სამუშაო ადგილის, მანქანის ან პირადი გაჩხრეკა შეიძლება მხოლოდ პარლამენტის წინასწარი თანხმობით. გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პარლამენტს. თუ პარლამენტი 48 საათის განმავლობაში არ მისცემს თანხმობას, პარლამენტის დაკავებული ან დაპატიმრებული წევრი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.
3. პარლამენტის წევრს უფლება აქვს ჩვენება არ მისცეს იმ ფაქტის გამო, რომელიც მას გაანდეს, როგორც პარლამენტის წევრს. დაუშვებელია ამ საკითხთან დაკავშირებული წერილობითი მასალის დაყადაღება ან ამოღება. ეს უფლება პარლამენტის წევრს უნარჩუნდება მისი უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგაც. პარლამენტის წევრს სამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაეკისრება თავისი მოვალეობის შესრულებისას პარლამენტში თუ მის გარეთ გამოთქმული შეხედულებებისათვის. უზრუნველყოფილია პარლამენტის წევრის უფლებამოსილებათა შეუფერხებელი განხორციელების პირობები. პარლამენტის წევრი იღებს საკანონმდებლო აქტით დადგენილ გასამრჯელოს. პარლამენტის წევრის განცხადების საფუძველზე შესაბამისი სახელმწიფო ორგანოები უზრუნველყოფენ მის პირად უსაფრთხოებას. პარლამენტის წევრის უფლებამოსილებათა განხორციელებისათვის დაბრკოლებათა შექმნა ისჯება კანონით.
4. პარლამენტის წევრს უფლება არა აქვს ეკავოს რაიმე თანამდებობა საჯარო სამსახურში ან ეწეოდეს სამეწარმეო საქმიანობას. პარლამენტის წევრი შეიძლება ეწეოდეს საზოგადოებრივ საქმიანობას. პარლამენტის წევრი შეიძლება ეწეოდეს სამეცნიერო, პედაგოგიურ და სახელოვნებო საქმიანობას, თუ ეს საქმიანობა არ ითვალისწინებს ადმინისტრაციული ფუნქციების შესრულებას. შეუთავსებლობის შემთხვევებს განსაზღვრავს პარლამენტის რეგლამენტი.
5. პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან ვადამდე შეწყვეტის საკითხს წყვეტს პარლამენტი. პარლამენტის ეს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საკონსტიტუციო სასამართლოში. პარლამენტის წევრს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება, თუ იგი:

ა) პარლამენტს მიმართავს პირადი განცხადებით უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ;

ბ) იკავებს სტატუსთან შეუთავსებელ თანამდებობას ან ეწევა შეუთავსებელ საქმი-

do not copy

ანობას;

გ) მორიგი სესიის განმავლობაში არასაპატიო მიზეზით არ დაესწრო მორიგი სხდომების ნახევარზე მეტს;

დ) კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენით ცნობილია დამნაშავედ;

ე) სასამართლოს გადაწყვეტილებით ცნობილია მხარდაჭერის მიმღებად და მოთავსებულია შესაბამის სტაციონარულ სამედიცინო დაწესებულებაში, სასამართლომ აღიარა უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გამოაცხადა გარდაცვლილად;

ვ) გარდაიცვალა;

ზ) დაკარგავს საქართველოს მოქალაქეობას;

თ) ექვემდებარება უფლებამოსილების შეწყვეტას საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით.

მუხლი 40. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე და თავმჯდომარის მოადგილეები

1. პარლამენტი თავისი უფლებამოსილების ვადით რეგლამენტით დადგენილი წესით ფარული კენჭისყრით სრული შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს. პარლამენტის თავმჯდომარე უძღვება პარლამენტის მუშაობას, უზრუნველყოფს აზრის თავისუფალ გამოხატვას, ხელს აწერს პარლამენტის მიერ მიღებულ აქტებს, ახორციელებს რეგლამენტით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს. პარლამენტის თავმჯდომარე რეგლამენტით დადგენილი წესით ასრულებს სრულ ადმინისტრაციულ ფუნქციებს პარლამენტის სასახლეში.
2. პარლამენტი თავისი უფლებამოსილების ვადით რეგლამენტით დადგენილი წესით სრული შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს პარლამენტის თავმჯდომარის პირველ მოადგილეს და მოადგილეებს.

მუხლი 41. პარლამენტის ბიურო, კომიტეტები და ფრაქციები

1. პარლამენტის მუშაობის ორგანიზებისათვის იქმნება პარლამენტის ბიურო, რომლის შემადგენლობაში შედიან პარლამენტის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილეები, პარლამენტის კომიტეტებისა და საპარლამენტო ფრაქციების თავმჯდომარეები.
2. საკანონმდებლო საკითხების წინასწარი მომზადების, გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობის, პარლამენტის მიერ მთავრობის და პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული სხვა ორგანოების საქმიანობის კონტროლის მიზნით პარლამენტში იქმნება კომიტეტები.
3. პარლამენტის წევრები შეიძლება გაერთიანდნენ საპარლამენტო ფრაქციაში რეგლამენტით დადგენილი წესით. ფრაქციის წევრთა რაოდენობა არ უნდა იყოს შვიდზე ნაკლები. ერთი პოლიტიკური პარტიის წარდგენით არჩეულ პარლამენტის წევრებს უფლება არა აქვთ შექმნან ერთზე მეტი ფრაქცია. ფრაქციის შექმნისა და საქმიანობის წესი, მისი უფლებები განისაზღვრება პარლამენტის რეგლამენტით.

do not copy

მუხლი 42. პარლამენტის საგამოძიებო და სხვა დროებითი კომისიები

1. რეგლამენტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, აგრეთვე პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედის ინიციატივით პარლამენტში იქმნება საგამოძიებო და სხვა დროებითი კომისიები.
2. დროებითი კომისიის შექმნის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პარლამენტი რეგლამენტით დადგენილი წესით. გადაწყვეტილება დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის შესახებ მიიღება პარლამენტის სრული შემადგენლობის ერთი მესამედის მხარდაჭერით. დროებით კომისიაში საპარლამენტო ფრაქციები წარმოდგენილი უნდა იყვნენ თითო წევრით მაინც. დროებით კომისიაში ოპოზიციის

წარმომადგენლობა არ უნდა იყოს კომისიის წევრთა საერთო რაოდენობის ნახევარზე ნაკლები.

3. საგამოძიებო კომისიის მოთხოვნით მის სხდომაზე გამოცხადება, აგრეთვე საკითხის გამოკვლევისათვის აუცილებელი საბუთებისა და ინფორმაციის წარდგენა სავალდებულოა.

მუხლი 43. პარლამენტის წევრის კითხვა და ინტერპელაცია

1. 1. პარლამენტის წევრი უფლებამოსილია კითხვით მიმართოს მთავრობას, პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ სხვა ორგანოს, მთავრობის წევრს, ყველა დონის ტერიტორიული ერთეულის ხელისუფლების ორგანოს, სახელმწიფო დაწესებულებას. პარლამენტის წევრის კითხვაზე დროული და სრული პასუხის გაცემა სავალდებულოა.
2. საპარლამენტო ფრაქციას, პარლამენტის წევრთა არანაკლებ შვიდკაციან ჯგუფს უფლება აქვს ინტერპელაციის წესით შეკითხვით მიმართოს მთავრობას, პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ სხვა ორგანოს, მთავრობის წევრს, რომელიც ვალდებულია უპასუხოს დასმულ შეკითხვას პარლამენტის სხდომაზე. პასუხი შეიძლება გახდეს პარლამენტის განხილვის საგანი.

მუხლი 44. პარლამენტის სესია და სხდომა

1. პარლამენტი თავისი უფლებით იკრიბება მორიგ სესიაზე წელიწადში ორჯერ. საშემოდგომო სესია იხსნება სექტემბრის პირველ სამშაბათს და იხურება დეკემბრის მესამე პარასკევს, ხოლო საგაზაფხულო სესია იხსნება თებერვლის პირველ სამშაბათს და იხურება ივნისის ბოლო პარასკევს.
2. საქართველოს პრეზიდენტი პარლამენტის თავმჯდომარის, პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეოთხედის ან მთავრობის მოთხოვნით პარლამენტის სესიებს შორის პერიოდში იწვევს რიგგარეშე სესიას, ხოლო მორიგი სესიის მიმდინარეობისას — რიგგარეშე სხდომას. თუ წერილობითი მოთხოვნის წარდგენიდან 48 საათის განმავლობაში მოწვევის აქტი არ გამოიცა, პარლამენტი თავისი რეგლამენტის თანახმად იკრიბება მომდევნო 48 საათის განმავლობაში. პარლამენტის რიგგარეშე სხდომა ტარდება მხოლოდ ინიციატორის მიერ განსაზღვრული დღის წესრიგით და იხურება მისი ამოწურვისთანავე.
3. საქართველოს პრეზიდენტის მიერ საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გამოცხადებისთანავე პარლამენტი იკრიბება საგანგებო სესიაზე. საგანგებო სესია გრძელდება ამ მდგომარეობის გაუქმებამდე.
4. პარლამენტის სხდომები საჯაროა. პარლამენტი დამსწრეთა უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ სრული შემადგენლობის ერთი მესამედისა, იღებს გადაწყვეტილებას ცალკეული საკითხების განხილვისას სხდომის ან სხდომის ნაწილის დახურულად გამოცხადების შესახებ. გადაწყვეტილება სხდომის ან მისი ნაწილის დახურვის შესახებ განიხილება და მიიღება დახურული წესით. პარლამენტის ღია სხდომის ოქმი საჯაროა.
5. პარლამენტის სხდომაზე კენჭისყრა არის ღია ან ფარული. კენჭისყრა ღიაა, გარდა კონსტიტუციით ან კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
6. მთავრობის წევრი, პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული თანამდებობის პირი, პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოს ხელმძღვანელი უფლებამოსილია, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში – ვალდებულია დაესწროს პარლამენტის, მისი კომიტეტისა და კომისიის სხდომებს, პასუხი გასცეს სხდომებზე დასმულ შეკითხვებს და წარმოადგინოს გაწეული საქმიანობის ანგარიში. ასეთ თანამდებობის პირს მოთხოვნისთანავე უნდა მოუსმინოს პარლამენტმა, კომიტეტმა ან კომისიამ.

don't copy

მუხლი 45. კანონშემოქმედება და გადაწყვეტილებების მიღების წესი

1. საკანონმდებლო ინიციატივის უფლება აქვთ: მთავრობას, პარლამენტის წევრს, საპარლამენტო ფრაქციას, პარლამენტის კომიტეტს, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოებს, არანაკლებ 25000 ამომრჩეველს. მთავრობის მიერ წარდგენილ კანონპროექტს მისივე მოთხოვნით პარლამენტი განიხილავს რიგგარეშე.
2. კანონი მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს დამსწრეთა უმრავლესობა, მაგრამ არანაკლებ პარლამენტის სრული შემადგენლობის ერთი მესამედისა, თუ კონსტიტუციით არ არის განსაზღვრული კანონის მიღების სხვა წესი. ორგანული კანონი მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობა, თუ კონსტიტუციით არ არის განსაზღვრული ორგანული კანონის მიღების სხვა წესი.
3. პარლამენტის სხვა გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს დამსწრეთა უმრავლესობა, მაგრამ არანაკლებ პარლამენტის სრული შემადგენლობის ერთი მესამედისა, თუ კონსტიტუციით ან კანონით არ არის განსაზღვრული გადაწყვეტილების მიღების სხვა წესი. გადაწყვეტილება კონსტიტუციური შეთანხმების დამტკიცების შესახებ მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ სამი მეხუთედი.

მუხლი 46. კანონის ხელმოწერა და გამოქვეყნება

1. პარლამენტის მიერ მიღებული კანონი 10 დღის ვადაში გადაეცემა საქართველოს პრეზიდენტს.
2. საქართველოს პრეზიდენტი 2 კვირის ვადაში ხელს აწერს და აქვეყნებს კანონს ან მოტივირებული შენიშვნებით უბრუნებს პარლამენტს.
3. თუ საქართველოს პრეზიდენტი დააბრუნებს კანონს, პარლამენტი კენჭს უყრის საქართველოს პრეზიდენტის შენიშვნებს. შენიშვნათა მისაღებად საკმარისია ხმათა იგივე რაოდენობა, რაც ამ სახის კანონის პირვანდელი მიღებისათვის არის დადგენილი. თუ შენიშვნები მიღებულია, კანონის საბოლოო რედაქცია 5 დღის ვადაში გადაეცემა საქართველოს პრეზიდენტს, რომელიც 5 დღის ვადაში ხელს აწერს და აქვეყნებს მას.
4. თუ პარლამენტმა არ მიიღო საქართველოს პრეზიდენტის შენიშვნები, კენჭი ეყრება კანონის პირვანდელ რედაქციას. ორგანული კანონი ან კანონი მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობა, გარდა კონსტიტუციის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ორგანული კანონისა, რომელიც მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედი. კონსტიტუციური კანონი მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ სამი მეოთხედი. კანონი 3 დღის ვადაში გადაეცემა საქართველოს პრეზიდენტს, რომელიც 5 დღის ვადაში ხელს აწერს და აქვეყნებს მას.
5. კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ კონსტიტუციურ კანონს, რომელიც პარლამენტმა მიიღო სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედის უმრავლესობით, საქართველოს პრეზიდენტი ხელს აწერს და აქვეყნებს გადაცემიდან 5 დღის ვადაში, პარლამენტისთვის შენიშვნებით დაბრუნების უფლების გარეშე.
6. თუ საქართველოს პრეზიდენტმა ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილ ვადაში არ გამოაქვეყნა კანონი და არც მოტივირებული შენიშვნებით დაუბრუნა პარლამენტს ან ამ მუხლის მე-3, მე-4 ან მე-5 პუნქტით დადგენილ ვადაში არ გამოაქვეყნა კანონი, მას ვადის ამოწურვიდან 5 დღის ვადაში ხელს აწერს და აქვეყნებს პარ-

dont copy

ლამენტის თავმჯდომარე.
7. კანონი ძალაში შედის ოფიციალურ ორგანოში მისი გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს, თუ იმავე კანონით სხვა ვადა არ არის დადგენილი.

მუხლი 47. საერთაშორისო ხელშეკრულებები

1. პარლამენტი სრული შემადგენლობის უმრავლესობით ახორციელებს საერთაშორისო ხელშეკრულებების რატიფიცირებას, დენონსირებას და გაუქმებას. პარლამენტი ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიცირებას, დენონსირებას და გაუქმებას ახორციელებს სრული შემადგენლობის არანაკლებ სამი მეოთხედის უმრავლესობით.
2. იმ საერთაშორისო ხელშეკრულების გარდა, რომელიც ითვალისწინებს რატიფიცირებას, სავალდებულოა აგრეთვე ისეთი საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიცირება, რომელიც:

ა) ითვალისწინებს საერთაშორისო ორგანიზაციაში ან სახელმწიფოთაშორის კავშირში საქართველოს შესვლას;
ბ) სამხედრო ხასიათისაა;
გ) ეხება სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობას ან სახელმწიფო საზღვრის შეცვლას;
დ) დაკავშირებულია სახელმწიფოს მიერ სესხის აღებასთან ან გაცემასთან;
ე) მოითხოვს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შეცვლას, ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებათა შესასრულებლად აუცილებელი კანონების მიღებას.

3. პარლამენტს უნდა გადაეცეს სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებები.
4. საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური სარჩელის ან წარდგინების შეტანის შემთხვევაში დაუშვებელია შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიცირება საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე.

მუხლი 48. იმპიჩმენტი

1. კონსტიტუციის დარღვევის ან ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობის საფუძვლით საქართველოს პრეზიდენტის, მთავრობის წევრის, უზენაესი სასამართლოს მოსამართლის, გენერალური პროკურორის, გენერალური აუდიტორის ან ეროვნული ბანკის საბჭოს წევრის იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების საკითხის აღძვრის უფლება აქვს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთ მესამედს. საკითხი გადაეცემა საკონსტიტუციო სასამართლოს, რომელიც მას განიხილავს და პარლამენტს დასკვნას წარუდგენს ერთი თვის ვადაში.
2. თუ საკონსტიტუციო სასამართლომ თავისი დასკვნით დაადასტურა თანამდებობის პირის მიერ კონსტიტუციის დარღვევა ან მის ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობა, პარლამენტი დასკვნის წარდგენიდან 2 კვირის ვადაში განიხილავს და კენჭს უყრის იმპიჩმენტის წესით მისი თანამდებობიდან გადაყენების საკითხს.
3. საქართველოს პრეზიდენტი იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენებულად ჩაითვლება, თუ ამ გადაწყვეტილებას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედი. მთავრობის წევრი, უზენაესი სასამართლოს მოსამართლე, გენერალური პროკურორი, გენერალური აუდიტორი ან ეროვნული ბანკის საბჭოს წევრი იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენებულად ჩაითვლება, თუ ამ გადაწყვეტილებას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობა.
4. თუ პარლამენტმა ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილ ვადაში არ მიიღო გადაწყვეტილება თანამდებობის პირის იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების შესახებ, იმავე საფუძვლით იმპიჩმენტის პროცედურის დაწყება დაუშ-

do not copy

ვებელია.
5. ამ მუხლში ჩამოთვლილ თანამდებობის პირთა თანამდებობიდან გადაყენება, გარდა მთავრობის წევრისა, შეიძლება მხოლოდ იმპიჩმენტის წესით.
6. დაუშვებელია საქართველოს პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურის განხორციელება საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს.

თავი მეოთხე. საქართველოს პრეზიდენტი

მუხლი 49. საქართველოს პრეზიდენტის სტატუსი
1. საქართველოს პრეზიდენტი არის საქართველოს სახელმწიფოს მეთაური, ქვეყნის ერთიანობისა და ეროვნული დამოუკიდებლობის გარანტი.
2. საქართველოს პრეზიდენტი არის საქართველოს თავდაცვის ძალების უმაღლესი მთავარსარდალი.
3. საქართველოს პრეზიდენტი წარმოადგენს საქართველოს საგარეო ურთიერთობებში.

მუხლი 50. საქართველოს პრეზიდენტის არჩევის წესი
1. საქართველოს პრეზიდენტს 5 წლის ვადით დებატების გარეშე ღია კენჭისყრით ირჩევს საარჩევნო კოლეგია. ერთი და იგივე პირი საქართველოს პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს მხოლოდ ორჯერ.
2. საქართველოს პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 40 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში უცხოვრია 15 წელს მაინც.
3. საარჩევნო კოლეგიის შემადგენლობაში შედის 300 წევრი, მათ შორის საქართველოს პარლამენტის და აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების ყველა წევრი. საარჩევნო კოლეგიის სხვა წევრებს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ ორგანული კანონის საფუძველზე განსაზღვრული კვოტების შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების შემადგენლობიდან ასახელებენ შესაბამისი პოლიტიკური პარტიები. კვოტები განისაზღვრება პროპორციული გეოგრაფიული წარმომადგენლობის პრინციპის დაცვითა და ადგილობრივი თვითმმართველობის პროპორციული წესით ჩატარებული არჩევნების შედეგების პროპორციის მიხედვით. საარჩევნო კოლეგიის შემადგენლობას ამტკიცებს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია.
4. საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები იმართება პარლამენტის სასახლეში. საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის წარდგენის უფლება აქვს საარჩევნო კოლეგიის არანაკლებ 30 წევრს. საარჩევნო კოლეგიის ერთ წევრს შეუძლია მხარი დაუჭიროს მხოლოდ ერთი კანდიდატის წარდგენას. საარჩევნო კოლეგიის ერთ წევრს უფლება აქვს ხმა მისცეს მხოლოდ ერთ კანდიდატს. არჩევნების პირველ ტურში არჩეულად ჩაითვლება კანდიდატი, რომელიც მიიღებს საარჩევნო კოლეგიის სრული შემადგენლობის ხმების ორ მესამედს მაინც. თუ პირველ ტურში საქართველოს პრეზიდენტი არ აირჩა, მეორე ტურში კენჭი ეყრება პირველ ტურში საუკეთესო შედეგის მქონე 2 კანდიდატს. მეორე ტურში არჩეულად ჩაითვლება კანდიდატი, რომელიც მეტ ხმას მიიღებს. არჩევნების პირველი ან მეორე ტური შემდგარად ჩაითვლება, თუ მასში მონაწილეობას მიიღებს საარჩევნო კოლეგიის სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თუ არჩევნები არ შედგა ან საარჩევნო კოლეგიამ საქართველოს პრეზიდენტი არ აირჩია, 30 დღის ვადაში იმართება საქართველოს პრეზიდენტის ხელახალი არჩევნები.
5. საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები იმართება საქართველოს პრეზიდენტის

do not copy

უფლებამოსილების ვადის ამოწურვის კალენდარული წლის ოქტომბერში. საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები იმართება უფლებამოსილების შეწყვეტიდან 45 დღის ვადაში. თუ არჩევის თარიღი ემთხვევა საგანგებო ან საომარ მდგომარეობას, საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები იმართება ამ მდგომარეობის გაუქმებიდან 45 დღის ვადაში. თუ საქართველოს პრეზიდენტის არჩევის თარიღი ემთხვევა პარლამენტის არჩევნების ან მის წინა თვეს, საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები იმართება ახალარჩეული პარლამენტის პირველი სხდომის გამართვიდან 45 დღის განმავლობაში.

6. საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებს ნიშნავს პარლამენტი, გარდა ხელახალი არჩევნებისა, რომელსაც ნიშნავს პარლამენტის თავმჯდომარე.
7. საქართველოს პრეზიდენტის არჩევის წესი და პირობები განისაზღვრება ორგანული კანონით.

მუხლი 51. საქართველოს პრეზიდენტის ფიცი, უფლებამოსილების შეწყვეტა, იმუნიტეტი, შეუთავსებლობა და უფლებამონაცვლეობა

1. თანამდებობის დაკავების წინ, არჩევის დღიდან მესამე კვირა დღეს საქართველოს ახალარჩეული პრეზიდენტი მიმართავს ხალხს და დებს ფიცს: „მე, საქართველოს პრეზიდენტი, ღვთისა და ერის წინაშე ვფიცავ, რომ დავიცავ საქართველოს კონსტიტუციას, ქვეყნის დამოუკიდებლობას, ერთიანობასა და განუყოფლობას, კეთილსინდისიერად აღვასრულებ პრეზიდენტის მოვალეობას, ვიზრუნებ ჩემი ქვეყნის მოქალაქეთა უსაფრთხოებისა და კეთილდღეობისათვის, ჩემი ხალხისა და მამულის აღორძინებისა და ძლევამოსილებისათვის“.
2. საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილება წყდება და საქართველოს ახალარჩეული პრეზიდენტის უფლებამოსილება იწყება საქართველოს ახალარჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებისთანავე.
3. საქართველოს პრეზიდენტი ხელშეუვალია. თანამდებობაზე ყოფნის დროს არ შეიძლება მისი დაპატიმრება ან სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა.
4. საქართველოს პრეზიდენტს უფლება არა აქვს ეკავოს სხვა თანამდებობა, ეწეოდეს სამეწარმეო საქმიანობას, იღებდეს ხელფასს ან სხვაგვარ მუდმივ ანაზღაურებას რაიმე სხვა საქმიანობისათვის. საქართველოს პრეზიდენტი არ შეიძლება იყოს პოლიტიკური პარტიის წევრი.
5. საქართველოს პრეზიდენტის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის ან საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებს პარლამენტის თავმჯდომარე.

don't copy

მუხლი 52. საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილებები

1. საქართველოს პრეზიდენტი:

ა) მთავრობის თანხმობით ახორციელებს წარმომადგენლობით უფლებამოსილებებს საგარეო ურთიერთობებში, აწარმოებს მოლაპარაკებებს სხვა სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, დებს საერთაშორისო ხელშეკრულებებს, იღებს სხვა სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ელჩების და სხვა დიპლომატიური წარმომადგენლების აკრედიტაციას; მთავრობის წარდგინებით ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს ელჩებს და დიპლომატიური წარმომადგენლობების ხელმძღვანელებს;

ბ) საქართველოს სახელმწიფოს სახელით დებს კონსტიტუციურ შეთანხმებას საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიასთან;

გ) კონსტიტუციითა და ორგანული კანონით დადგენილი წესით ნიშნავს პარლამენ-

ტისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებს;

დ) მთავრობის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს თავდაცვის ძალების მეთაურს; ნიშნავს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ერთ წევრს; ორგანული კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით მონაწილეობს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და წევრების თანამდებობაზე განწესებაში; მთავრობის წარდგინებით პარლამენტს ასარჩევად წარუდგენს ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების წევრობის კანდიდატებს;

ე) ორგანული კანონით დადგენილი წესით წყვეტს მოქალაქეობის საკითხებს;

ვ) შეიწყალებს მსჯავრდებულებს;

ზ) კანონით დადგენილი წესით ანიჭებს სახელმწიფო ჯილდოებსა და პრემიებს, უმაღლეს სამხედრო, სპეციალურ და საპატიო წოდებებს, უმაღლეს დიპლომატიურ რანგებს;

თ) უფლებამოსილია მთავრობის წარდგინებითა და პარლამენტის თანხმობით შეაჩეროს ტერიტორიული ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანოს საქმიანობა ან დაითხოვოს იგი, თუ მისი მოქმედებით საფრთხე შეექმნა ქვეყნის სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობას, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა კონსტიტუციური უფლებამოსილებების განხორციელებას;

ი) ახორციელებს კონსტიტუციით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

2. საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია პარლამენტის, მთავრობის ან არანაკლებ 200000 ამომრჩევლის მოთხოვნით დანიშნოს რეფერენდუმი კონსტიტუციითა და კანონით განსაზღვრულ საკითხებზე, მისი დანიშვნის მოთხოვნის მიღებიდან 30 დღის განმავლობაში. არ შეიძლება რეფერენდუმის ჩატარება კანონის მისაღებად ან გასაუქმებლად, ამნისტიის ან შეწყალების გამო, საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიცირების ან დენონსირების შესახებ, აგრეთვე ისეთ საკითხზე, რომელიც ითვალისწინებს ადამიანის ძირითადი კონსტიტუციური უფლების შეზღუდვას. რეფერენდუმის დანიშვნასა და ჩატარებასთან დაკავშირებული საკითხები განისაზღვრება ორგანული კანონით.

3. საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია მიმართოს ხალხს. წელიწადში ერთხელ იგი პარლამენტს წარუდგენს მოხსენებას ქვეყნის მდგომარეობის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე.

don't copy

მუხლი 53. თანახელმოწერა

1. საქართველოს პრეზიდენტის სამართლებრივი აქტი საჭიროებს პრემიერ-მინისტრის თანახელმოწერას. სამართლებრივი აქტი, რომელიც საჭიროებს თანახელმოწერას, ქვეყნდება და სამართლებრივ შედეგებს წარმოშობს მხოლოდ თანახელმოწერის შემდეგ. თანახელმოწერილ სამართლებრივ აქტზე პოლიტიკური პასუხისმგებლობა ეკისრება მთავრობას.

2. თანახელმოწერას არ საჭიროებს საქართველოს პრეზიდენტის სამართლებრივი აქტი, რომელიც უკავშირდება:

ა) პარლამენტის არჩევნების დანიშვნას, პარლამენტის დათხოვნას, პარლამენტის სესიის ან სხდომის მოწვევას;

ბ) კონსტიტუციური შეთანხმების დადებას;

გ) კანონის ხელმოწერას და გამოქვეყნებას, პარლამენტისთვის კანონის შენიშვნებით დაბრუნებას;

დ) პრემიერ-მინისტრის დანიშვნას; იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის დანიშვნას; ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და წევრის თანამდებობაზე განწესებას; ეროვნული ბანკის საბჭოს წევრის წარდგენას, ეროვნული ბანკის პრეზიდენტის დანიშვნას; საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის დანიშვნას;

ე) სახელმწიფო ჯილდოებისა და პრემიების, საპატიო წოდებების მინიჭებას;
ვ) მოქალაქეობის საკითხთა გადაწყვეტას;
ზ) მსჯავრდებულთა შეწყალებას;
თ) საკონსტიტუციო სასამართლოსათვის ან სასამართლოსათვის მიმართვას;
ი) საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილებების განხორციელების ორგანიზებას.

თავი მეხუთე. საქართველოს მთავრობა

მუხლი 54. მთავრობა

1. საქართველოს მთავრობა არის აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანო, რომელიც ახორციელებს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკას.
2. მთავრობა ანგარიშვალდებული და პასუხისმგებელია პარლამენტის წინაშე.
3. მთავრობა შედგება პრემიერ-მინისტრისა და მინისტრებისაგან.
4. სამინისტრო იქმნება მთავრობის უფლებამოსილების განსაზღვრულ სფეროში სახელმწიფო პოლიტიკისა და მმართველობის განხორციელების უზრუნველსაყოფად და მას ხელმძღვანელობს მინისტრი.
5. მთავრობის შემადგენლობაში შეიძლება იყოს ერთი ან რამდენიმე სახელმწიფო მინისტრი. სახელმწიფო მინისტრის თანამდებობა შეიძლება შემოღებულ იქნეს კანონით, განსაკუთრებული მნიშვნელობის სახელმწიფოებრივი ამოცანების შესასრულებლად.
6. მთავრობის წევრს უფლება არა აქვს ეკავოს სხვა თანამდებობა, გარდა პარტიულისა, ეწეოდეს სამეწარმეო საქმიანობას, იღებდეს ანაზღაურებას სხვა საქმიანობისათვის, გარდა სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობისა.
7. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ტერიტორიაზე მთავრობის წარმომადგენლობის უზრუნველსაყოფად მთავრობა უფლებამოსილია დანიშნოს სახელმწიფო რწმუნებულები. სახელმწიფო რწმუნებულის უფლებამოსილება განისაზღვრება კანონით.
8. მთავრობის სტრუქტურა და საქმიანობის წესი განისაზღვრება კანონით, რომლის პროექტს პარლამენტს წარუდგენს მთავრობა.

dont copy

მუხლი 55. საქართველოს პრემიერ-მინისტრი

1. მთავრობის მეთაურია საქართველოს პრემიერ-მინისტრი.
2. პრემიერ-მინისტრი განსაზღვრავს მთავრობის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, ორგანიზებას უწევს მთავრობის საქმიანობას, ახორციელებს მინისტრების საქმიანობის კოორდინაციასა და კონტროლს, ხელს აწერს მთავრობის სამართლებრივ აქტებს.
3. პრემიერ-მინისტრი წარმოადგენს საქართველოს საგარეო ურთიერთობებში, დებს საერთაშორისო ხელშეკრულებებს საქართველოს სახელით.
4. პრემიერ-მინისტრი ნიშნავს და ათავისუფლებს მინისტრებს. იგი უფლებამოსილია ერთ-ერთ მინისტრს დააკისროს პირველი ვიცე-პრემიერის, აგრეთვე ერთ ან რამდენიმე მინისტრს – ვიცე-პრემიერის მოვალეობა.
5. პრემიერ-მინისტრი მთავრობის საქმიანობისთვის ანგარიშვალდებულია პარლამენტის წინაშე. წელიწადში ერთხელ იგი პარლამენტს წარუდგენს მოხსენებას სამთავრობო პროგრამის შესრულების მიმდინარეობის შესახებ, აგრეთვე პარლამენტის მოთხოვნით – სამთავრობო პროგრამის ცალკეული ნაწილის შესრულების მიმდინარეობის ანგარიშს.

მუხლი 56. ნდობის გამოცხადება

1. ახალარჩეული პარლამენტის მიერ სრული უფლებამოსილების შეძენისთანავე მთავრობა იხსნის უფლებამოსილებას პარლამენტის წინაშე და განაგრძობს მოვალეობის შესრულებას ახალი პრემიერ-მინისტრის დანიშვნამდე. პრემიერ-მინისტრის გადადგომის შემთხვევაში პრემიერ-მინისტრს უფლებამოსილება უწყდება გადადგომისთანავე. პრემიერ-მინისტრის გადადგომის ან მისი უფლებამოსილების სხვაგვარად შეწყვეტის შემთხვევაში მთავრობა განაგრძობს მოვალეობის შესრულებას ახალი პრემიერ-მინისტრის დანიშვნამდე.
2. პარლამენტი მთავრობის უფლებამოსილების მოხსნიდან, აგრეთვე პრემიერ-მინისტრის გადადგომიდან ან უფლებამოსილების სხვაგვარად შეწყვეტიდან 2 კვირის ვადაში ნდობას უცხადებს პარლამენტის არჩევნებში საუკეთესო შედეგის მქონე პოლიტიკური პარტიის მიერ წამოყენებული პრემიერმინისტრობის კანდიდატის მიერ წარდგენილ მთავრობას. მთავრობის შემადგენლობასთან ერთად პარლამენტს წარედგინება სამთავრობო პროგრამა. ნდობის მისაღებად საჭიროა პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობის მხარდაჭერა.
3. თუ პარლამენტმა მთავრობას დადგენილ ვადაში ნდობა არ გამოუცხადა, საქართველოს პრეზიდენტი შესაბამისი ვადის ამოწურვიდან არაუადრეს 2 და არაუგვიანეს 3 კვირისა დაითხოვს პარლამენტს და დანიშნავს პარლამენტის რიგგარეშე არჩევნებს.
4. საქართველოს პრეზიდენტი არ დაითხოვს პარლამენტს და არ დანიშნავს პარლამენტის რიგგარეშე არჩევნებს, თუ პარლამენტი ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ვადის ამოწურვიდან 2 კვირის ვადაში სრული შემადგენლობის უმრავლესობით ნდობას გამოუცხადებს პარლამენტის სრული შემადგენლობის ერთ მესამედზე მეტის მიერ წამოყენებული პრემიერმინისტრობის კანდიდატის მიერ წარდგენილ მთავრობას.
5. მთავრობისთვის ნდობის გამოცხადებიდან 2 დღის ვადაში საქართველოს პრეზიდენტი თანამდებობაზე ნიშნავს პრემიერ-მინისტრს, ხოლო პრემიერ-მინისტრი მისი დანიშვნიდან 2 დღის ვადაში – მინისტრებს. თუ საქართველოს პრეზიდენტი დადგენილ ვადაში არ დანიშნავს პრემიერ-მინისტრს, იგი დანიშნულად ჩაითვლება.

dont copy

მუხლი 57. უნდობლობის გამოცხადება

1. პარლამენტი უფლებამოსილია უნდობლობა გამოუცხადოს მთავრობას.
2. უნდობლობის საკითხის აღძვრის უფლება აქვს პარლამენტის სრული შემადგენლობის ერთ მესამედზე მეტს. უნდობლობის საკითხის აღძვრასთან ერთად ინიციატორები წამოაყენებენ პრემიერმინისტრობის კანდიდატს, ხოლო პრემიერმინისტრობის კანდიდატი პარლამენტს წარუდგენს მთავრობის ახალ შემადგენლობას. მთავრობის შემადგენლობასთან ერთად პარლამენტს წარედგინება სამთავრობო პროგრამა.
3. თუ პარლამენტი საკითხის აღძვრიდან არაუადრეს 7 და არაუგვიანეს 14 დღისა სრული შემადგენლობის უმრავლესობით ნდობას გამოუცხადებს ახალ მთავრობას, უნდობლობა გამოცხადებულად ჩაითვლება. ახალი მთავრობისთვის ნდობის გამოცხადებიდან 2 დღის ვადაში საქართველოს პრეზიდენტი თანამდებობაზე დანიშნავს პრემიერ-მინისტრს, ხოლო პრემიერ-მინისტრი მისი დანიშვნიდან 2 დღის ვადაში – მინისტრებს. თუ საქართველოს პრეზიდენტი დადგენილ ვადაში არ დანიშნავს პრემიერ-მინისტრს, იგი დანიშნულად ჩაითვლება. მთავრობას უფლებამოსილება უწყდება ახალი პრემიერ-მინისტრის დანიშვნის მომენტიდან.
4. თუ პარლამენტი უნდობლობის საკითხის აღძვრის შემდეგ არ გამოუცხადებს მთავრობას უნდობლობას, დაუშვებელია პარლამენტის იმავე წევრთა მიერ მომდევნო 6 თვის განმავლობაში უნდობლობის საკითხის აღძვრა.

მუხლი 58. ნდობის გამოცხადება პრემიერ-მინისტრის ინიციატივით

1. პრემიერ-მინისტრი უფლებამოსილია პარლამენტის წინაშე დასვას მთავრობის ნდობის საკითხი.
2. ნდობის საკითხს კენჭი ეყრება მისი დასმიდან არაუადრეს მე-7 და არაუგვიანეს მე-14 დღისა. თუ პარლამენტი ნდობას არ გამოუცხადებს მთავრობას, საქართველოს პრეზიდენტი ნდობის არგამოცხადებიდან არაუადრეს მე-8 და არაუგვიანეს მე-14 დღისა დაითხოვს პარლამენტს და დანიშნავს პარლამენტის რიგგარეშე არჩევნებს.
3. საქართველოს პრეზიდენტი არ დაითხოვს პარლამენტს, თუ პარლამენტი მთავრობისთვის ნდობის არგამოცხადებიდან 7 დღის ვადაში სრული შემადგენლობის უმრავლესობით ნდობას გამოუცხადებს პარლამენტის სრული შემადგენლობის ერთ მესამედზე მეტის მიერ წამოყენებული პრემიერმინისტრობის კანდიდატის მიერ წარდგენილ მთავრობას. მთავრობის შემადგენლობასთან ერთად პარლამენტს წარედგინება სამთავრობო პროგრამა. ახალი მთავრობისთვის ნდობის გამოცხადებიდან 2 დღის ვადაში საქართველოს პრეზიდენტი თანამდებობაზე დანიშნავს პრემიერ-მინისტრს, ხოლო პრემიერ-მინისტრი მისი დანიშვნიდან 2 დღის ვადაში – მინისტრებს. თუ საქართველოს პრეზიდენტი დადგენილ ვადაში არ დანიშნავს პრემიერ-მინისტრს, იგი დანიშნულად ჩაითვლება. მთავრობას უფლებამოსილება უწყდება ახალი პრემიერ-მინისტრის დანიშვნის მომენტიდან.

dont copy

dont copy

ლექსიკონი

ა

ასოცირების შესახებ შეთანხმება – საქართველოს ევროკავშირთან დაახლოების სამოქმედო გეგმა, რომელიც ქვეყნის პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ცხოვრების თითქმის ყველა სფეროსა და თავისუფალი ვაჭრობის სივრცის კომპონენტს მოიცავს, ითვალის წინებს ევროკავშირთან დაახლოების მნიშვნელოვან კონკრეტულ მექანიზმებს.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია – საერთაშორისო ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოები პირობას დებენ დაიცვან არა მარტო მათი მოქალაქეების, არამედ მათი იურისდიქციის ქვეშ მყოფი ყველა პირის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები.

ავტორიტარიზმი – მმართველობის ფორმა, დემოკრატიის საწინააღმდეგო თეორია, რომელიც იცავს მმართველობის იმ ფორმას, რომლის დროსაც არ არის აუცილებელი თანხმობის არსებობა ხელისუფლებას, მის გადაწყვეტილებებსა და საზოგადოებას შორის.

აპელაცია – გასაჩივრება. აპელაციას მიმართავენ, როდესაც მხარეს ან მხარეებს არ აკმაყოფილებთ პირველი ინსტანციის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება. რომელსაც აქვს უფლება არსებითად გადასინჯოს საქმე და გამოიტანოს თავისი გადაწყვეტილება.

არბიტრი – არასასამართლო სახის დავებში შუამავალი, მომრიგებელი მოსამართლე.

არჩევნები – მოქალაქეთა შესაძლებლობა გარკვეული ვადით მათი წარმომადგენლობის უფლება მიანიჭონ ისეთ ადამიანებსა და პოლიტი კურ პარტიებს, რომლებიც უკეთ გამოხატავენ ხალხის ნებას და უკეთ შეძლებენ მოქალაქეთა უსაფრთხო ების, კეთილდღეობისა და ქვეყნის განვითარების უზრუნველყოფას.

dont copy

ბ

ბანკი – ფინანსური ორგანიზაცია, რომელიც ინახავს მომხმარებლების ფულს, გასცემს სესხებს, ახორციელებს გადახდებს, ფულად გადარიცხვებს და გზავნილებს, ახდენს ვალუტის კონვერტაციას და ასრულებს სხვა ფინანსურ მომსახურებებს.

ბანკომატი – ბანკის სალარო-ავტომატი, რომლის დახმარებითაც, პინ-კოდის სწორად მითითების შემთხვევაში, ხდება ანგარიშიდან სასურველი თანხის გამოტანა, ანუ განაღდება.

ბიომასა – ბიოლოგიური წარმოშობის ორგანული, არაწიაღისეული მასალა ქიმიური ენერგიის შემცველობით. ბიომასას ტყეების და სასოფლო-სამეურნეო ნარჩენების

ბიუჯეტი – მომავალ პერიოდში მოსალოდნელი შემოსავლებისა და სავარაუდო ხარჯების დაგეგმვა. ბიუჯეტი შემოსავლებისა და გასავლების ფინანსური გეგმაა.

ბარომეტრი – ატმოსფერული წნევის საზომი მოწყობილობა. აქ: დემოკრატიის შეფასების გამომხატველი საზომი.

გ

გადასახადები – ბიუჯეტში აუცილებელი გადარიცხვები, რომელსაც იხდიან როგორც

ფიზიკური, ასევე იურიდიული პირები იმისათვის, რომ სახელმწიფომ შეძლოს თავისი ფუნ-ქციების შესრულება.

გამჭვირვალობა – საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.

გარემოს დაცვა – ყველა ის ღონისძიება, რომელიც მიზნად ისახავს ადამიანის და ბუნების სასიცოცხლო საფუძვლების მთლიანობის შენარჩუნებას და გარემოს არსे-ბული დაზიანებების აღმოფხვრას.

გაეროს კეთილი ნების ელჩები – ხელოვნების, ლიტერატურის, მეცნიერებისა და სპორ-ტის სფეროების წარმომადგენლებს შორის ირჩევენ. ელჩების მიზანი გაეროს მუშაო-ბისადმი საერთაშორისო საზოგადოების ყურადღების მიპყრობა.

გრანტი – მეორე მხარისადმი უსასყიდლოდ გადაცემული ნებისმიერი ფასეულობა ან ბიუ-ჯეტის შემოსავლების შევსების ერთ-ერთი წყარო, რომელიც არ ექვემდებარება დაბრუნე-ბას.

დ

დანაზოგი – შემოსავლების ნაწილი, რომელიც არ იქნა დახარჯული გადასახა დებისა და საყიდლებისათვის.

დახურული ინფორმაცია რომელიც შეიცავს სახელმწიფო, კომერციულ ან პირად საიდუმ-ლოებას.

დაზღვევა – შეთანხმება, რომლის თანახმადაც წინასწარ განსაზღვრული თანხის გადახდის სანაცვლოდ, სადაზღვევო ორგანიზაცია აგინაზღაურებთ შესაბამის ზიანს.

დემოკრატია –პოლიტიკური სისტემა, რომლის დროსაც ქვეყანას მართავს ხალხი.

დევნილი – ქვეყნის მოქალაქე ან საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც იძულებული გახდა დატოვებინა მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და გადაადგილებულიყო ქვეყნის ფარგლებში იმ მიზნით, რომ საფრთხე შეექმნა მას ან მისი ოჯახის წევრების სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან თავისუფლე-ბას უცხო ქვეყნის აგრესიის, შიდა კონფლიქტის ან ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის გამო.

დეპოზიტი – თანხა, რომელსაც ბანკში გარკვეული პერიოდით ვინახავთ და რომელზეც ბანკი საპროცენტო სარგებელს გვიხდის.

დეპორტაცია – მიგრანტის გაძევება უცხო ქვეყნიდან სამშობლოში ან სხვა ქვეყანაში.

ე

ეკომიგრანტი – სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ადამიანი.

ეკოციდი – ქმედება, რასაც შეუძლია ეკოლოგიური კატასტროფის გამოწვევა.

ენერგოეფექტურობა – ენერგიის მიზნობრივად, რაციონალურად ხარჯვა, როდესაც შესა-ძლებელია ნაკლები დანახარჯით მივიღოთ საჭირო ეფექტი.

ენერგოდაზოგვა – ნაკლები ენერგიისა და ენერგეტიკული მომსახურების გამოყენება.

ემბარგო – საქონლის შეზიდვის ან გაზიდვის აკრძალვა რომელიმე სახელმწიფოში),

don't copy

რომელმაც დიდი ზარალი მიაყენა მის მწარმოებელ ფირმებს.

ექსტრემიზმი – დასახული მიზნებისა და ამოცანების მისაღწვად ყველაზე რადიკალური საშუალებების მოხმობა, მათ შორის ძალადობის, ტერორის გამოყენება.

ექსპორტი – ქვეყანაში წარმოებული საქონელი ან მომსახურება, რომელიც გაიყიდება სხვა ქვეყანაში.

ვ

ვალუტა – ფულადი ერთეული, რომელიც კონკრეტულ ქვეყანაში ან კონკრეტულ ტერიტორიაზე გამოიყენება. მაგალითად, როგორც საქართველოში გამოიყენება ლარი.

ვალუტის კონვერტაცია – ერთი ვალუტის (მაგ., ლარის) სხვა ქვეყნის ვალუტაში (მაგ., აშშ დოლარში) გადაცვლა.

ვიზა – დოკუმენტი, რომელიც ქვეყნის მიერ გაიცემა პირისთვის, რათა მან ფორმალურად მიიღოს ქვეყანაში შესვლის ნებართვა გარკვეული პერიოდის განმავლობაში და განსაზღვრული მიზნებისთვის. ის პასპორტში იკვრება ან ირტყმება, ან ზოგჯერ გაიცემა როგორც განცალკევებული საბუთი.

თ

თავდები – პირი, რომელიც საკუთარ თავზე იღებს ვალდებულებას დაფაროს სესხი იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელი ვეღარ ფარავს მას.

თავშესაფრის მაძიებელი – პირი, რომელიც უცხო ქვეყანაში ითხოვს საერთაშორისო დაცვას.

ი

ინერტული ნარჩენები – ნარჩენები, რომლებიც არ განიცდის მნიშვნელოვან ფიზიკურ, ქიმიურ ან ბიოლოგიურ ცვლილებებს — არ იხსნება, არ იწვის და არ შედის სხვაგვარ ქიმიურ ან ფიზიკურ რეაქციაში, არ განიცდის ბიოდეგრადაციას და სხვა მასალაზე არ ახდენს ისეთ გავლენას, რომელიც გამოიწვევს გარემოს დაბინძურებას ან ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანებას.

ინვესტიცია – მოგების მიზნით კაპიტალის (ფულის) გრძელვადიანი დაბანდება.

ინკლუზია – (ინგლ. ჩართვა) განსხვავებული ნიშნის მქონე ბავშვების რაიმე ფორმით ჩართვა სასწავლო პროცესში სხვა თანატოლებთან ერთად.

იმპიჩმენტი – კონსტიტუციური კანონმდებლობით გათვალისწინებული უმაღლესი თანამდებობის პირების პასუხისგებაში მიცემის, კონსტიტუციის დარღვევისა და დანაშაულის ჩადენის ბრალდებით მათი საქმეების პარლამენტში სასამართლო განხილვის განსაკუთრებული წესი – პროცედურა.

იმპორტი – სხვა ქვეყანაში წარმოებული საქონელის ან მომსახურების ქვეყანაში გასაყიდად შემოტანა.

კ

კანონის უზენაესობა – ვითარება, როცა: საზოგადოების ყველა წევრს აქვს კანონის შექმნასა და დახვეწაში მონაწილეობის უფლება; კანონის წინაშე ყველა თანასწორია

don't copy

(კანონი ყველაზე ერთნაირად ვრცელდება); კანონი იცავს როგორც პიროვნების, ისე საზოგადოების ინტერესებს.

კანონიერი (ლეგალური) **მიგრაცია** – უცხო ქვეყანაში შესვლა და ყოფნა კანონიერი არხებით.

კეთილდღეობა – მდგომარეობა, როცა ადამიანს აქვს მოთხოვნილებები, რომელთა დასაკმაყოფილებლად ხელი მიუწვდება რესურსებზე, აქვს არჩევანი, იღებს გადაწყვეტილებას, იღებს სარგებელს, რითაც კმაყოფილია. კეთილდღეობის მიღწევის წინაპი რობებს ქმნის საკუთრება, შრომის დანაწილება და გაცვლა.

კენჭისყრა – რაიმე გადაწყვეტილების მისაღებად ხმის მიცემა, რაიმე საკითხთან დაკავშირებით საკუთარი აზრის ოფიციალურად დაფიქსირება.

კონვენცია – საერთაშორისო მავალდებულებელი ხელშეკრულება, რომელიც ვრცელდება მასზე მიერთებულ ყველა სახელმწიფოზე.

კონსერვაცია – არსებულის, თუნდაც დაზიანებული ძეგლის შენარჩუნება.

კონსტიტუცია – ქვეყნის ძირითადი კანონი და უმაღლესი იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტი. ყველა სხვა კანონი მას უნდა შეესაბამებოდეს.

კორუფცია – საჯარო ხელისუფლების ბოროტად გამოყენება პირადი ან ჯგუფური გამორჩენის მიზნით.

კომბატანტი – პირები, რომლებსაც აქვთ საომარ მოქმედებებში მონაწილეობის უფლება.

კომპოსტირება – პროცესი, რომელიც მიმდინარეობს ორგანული ნარჩენების, მიკროორგანიზმების, ტენისა და ჟანგბადის ურთიერთზემოქმედების შედეგად და რომლის საშუალებითაც მყარი ორგანული ნარჩენები გარდაიქმნებიან ჰუმუსის (ნეშომპალის) მსგავს პროდუქტად.

dont copy

ლ

ლეგიტიმური ხელისუფლება – რომელსაც საზოგადოება თავისუფალ არჩევნებზე უცხადებს ნდობას, აღიარებს და მხარს უჭერს.

მ

მდგრადი განვითა რება – განვითარება, რომელიც პასუხობს ახლანდელი თაობის მოთხოვნილებებს ისე, რომ ზიანს არ აყენებდეს მომავალი თაობების შესაძლებლობას, დაიკმაყო ფილონ თავიანთი მოთხოვნილებები.

მეანაბრე – ადამიანი, რომელიც ბანკში დანაზოგს ინახავს.

მევახშე – კერძო პირი, რომელიც გაასესხებს საკუთარ ფულს კონკრეტული პირობით.

მედია – (ლათ. medium) კომუნიკაციის არხი, რომლის მეშვეობითაც საზოგადოებაში სხვადასხვა ტიპის ინფორმაცია ვრცელდება.

მედიაცია – პროცესი, რომელიც ხელს უწყობს კონფლიქ ტის მონაწილე მხარეებს თავად აღმოფხვრან სადავო საკითხები.

მოდერატორი – ფოკუს-ჯგუფის წამყვანი, რომელიც შეიძლება იყოს როგორც თავად მკვლევარი, ასევე მოწვეული პირი

მოხალისე – ადამიანი, რომელიც გასცემს თავის დროსა და უნარებს ანაზღაურების გარეშე.

მიგრანტი – პირი, რომელიც ტოვებს თავისი მოქალაქეობის ან მუდმივი საცხოვრებელი ადგილის ქვეყანას და საცხოვრებლად მიემგზავრება სხვა სახელმწიფოში.

მიგრაცია – საერთაშორისო საზღვარზე ან ქვეყნის შიგნით გადაადგილების პროცესი, რომელიც გულისხმობს მოსახლეობის ნებისმიერი სახით გადაადგილებას, მიუხედავად ხანგრძლივობისა და გამომწვევი მიზეზებისა.

მისია – ერთი ქვეყნის წარმომადგენლები, რომლებიც იგზავნებიან სხვა ქვეყანაში სპეციალური მიზნით.

მონოპოლისტი – ფასის დამდგენი და აქვს სრული კონტროლი ბაზრის მიწოდების ნაწილზე. მონოპოლისტმა შეიძლება ბაზარს მიაწოდოს დაბალი ხარისხის ნაწარმი. ასეთი ტიპის ბაზარზე მომხმარებლისთვის არჩევანი შეზღუდულია.

მშვიდობა – თანაცხოვრების ფორმა, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოების ყველა წევრის ძირითადი უფლებების რეალიზებას.

ნ

ნარჩენი – ნებისმიერი ნივთიერება ან ნივთი, რომელსაც მფლობელი იშორებს, განზრახული აქვს მოიშოროს ან ვალდებულია მოიშოროს.

ნატურალიზაცია – ფიზიკური პირისათვის პირადი თხოვნის (განცხადების) ან თანხმობის საფუძველზე უცხოეთის სახელმწიფოს მოქალაქეობის მინიჭება ამ სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოების მიერ.

ნაფიცი მსაჯული – სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვის ერთ-ერთი მონაწილე, რომელსაც სხდომის სხვა მონაწილეთაგან (პროკურორი, ადვოკატი, მოსამართლე) განსხვავებით, არ აქვს იურიდიული განათლება და მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას პირის გამართლების ან დამნაშავედ ცნობის შესახებ, გამოაქვს გამამართლებელი ან გამამტყუნებელი ვერდიქტი.

პ

პეტიცია – წერილობითი კოლექტიური თხოვნა ხელისუფლების უმაღლესი ორგანოებისადმი; მთავრობის მეთაურისადმი; კოლექტიური შუამდგომლობით.

პირველი ინსტანცია – სასამართლოს ყველაზე ქვედა რგოლი, სადაც იწყება დავის განხილვა.

პიქტოგრამა – პირობითი ნიშანი, ნახატი, აზრის გამოხატვის უძველესი საშუალება.

პლებისციტი – განსაკუთრებული მნიშვნელობის სახელმწიფოებრივ საკითხზე მოქალაქეთა გამოკითხვა. პლებისციტის შედეგები სარეკომენდაციო ხასიათისაა.

პრივატიზაცია – სახელმწიფო საკუთრების კერძო საკუთრებაში გადაცემა.

რ

რასიზმი – გააზრებული ან გაუაზრებელი რწმენა ერთი რასის აღმატებულობის შესახებ მეორის მიმართ.

dont copy

რატიფიცირება – პროცესი, რომლის მეშვეობით სახელმწიფოს საკანონმდებლო ორგანო ადასტურებს მთავრობის მიერ შეთანხმების ხელმოწერას.

რატიფიცირება -პროცესი, რომლის თანახმად სახელმწიფო კისრულობს ხელშეკრულების შესრულების ვალდებულებას.

რეადმისია – მხარეთა ვალდებულება დაიბრუნონ უცხო ქვეყანებში უკანონოდ მცხოვრები საკუთარი მოქალაქეები.

რეინტეგრაცია – მიგრანტების ხელახალ ჩართვა წარმოშობის ქვეყნის საზოგადოებაში.

რესტავრაცია – ლათინური სიტყვაა და აღდგენას ნიშნავს.

რეფერენდუმი – ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ჩატარებული საერთო-სახალხო კენჭისყრა განსაკუთრებით მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საკითხზე. რეფერენდუმის შედეგს ენიჭება კანონის ძალა.

ს

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი – სამართლებრივი ნორმების ერთობლიობა, რომელიც დამყარებულია ჰუმანურობის პრონციპებზე და მიმართულია შეიარაღებული კონფლიქტების შედეგების შეზღუდვაზე.

სანქცია – ზემოქმედების ზომა კანონის დარღვევისათვის.

საკომისიო – თანხა, რომელსაც ვუხდით ბანკს ამა თუ იმ პროდუქტითა და მომსახურებით სარგებლობის სანაცვლოდ.

სამართლებრივი სახელმწიფო – მჭიდროდაა დაკავშირებული კანონის უზენაესობასთან. რაც გარანტიორია იმისა, რომ სახელმწიფო ხელისუფლება შებოჭილი იქნება მოქმედი კანონებითა და ადამიანის უფლებებით და არ ექნება თვითნებობის, ადამიანის უფლებებში გაუმართლებელი ჩარევის შესაძლებლობა.

სახალხო დამცველი (ომბუდსმენი) – კონსტიტუციური ინსტიტუტი, რომელიც ზედამხედველობას უწევს საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას, ავლენს მათი დარღვევის ფაქტებს, ხელს უწყობს დარღვეული უფლებების აღდგენას.

სადაზღვევო პოლისი – მზღვეველის მიერ გაცემული ხელმოწერილი საბუთი–მოწმობა დაზღვევის ხელშეკრულების შესახებ.

სარგებელი – გადასახადი სხვისი ფულით სარგებლობისათვის (ხშირად მას პროცენტს უწოდებენ).

სამშვიდობო ოპერაციები – მოიცავს მშვიდობის შენარჩუნებისა და მშვიდობის იძულების ოპერაციებს, რომლებიც სრულდება მშვიდობის შესანარჩუნებლად ან დასამყარებლად გამიზნული დიპლომატიური ძალისხმევის მხარდასაჭერად.

საპროცენტო განაკვეთი (პროცენტი) – სარგებელი, რომელსაც მომხმარებელი მიიღებს ბანკში ფულის დაზოგვისათვის, და თანხა, რომელსაც მომხმარებელი გადაიხდის ბანკისგან ფულის სესხებისათვის.

საზოგადოებრივი საქონელი/მომსახურება – საქონელი, რომლით სარგებლობაც ყველასთვის უფასოა და რომლის გამოყენება ერთი ადამიანის მიერ არ გამორიცხავს მეორე ადამიანის მიერ მის გამოყენებას.

don't copy

სახელმწიფო ბიუჯეტი – 1 წლის განმავლობაში სახელმწიფოს ყველა შემოსავლისა და ხარჯის ერთობ ლიობა. სხვაგვარად, ფულადი სახსრების მობილიზაციისა და გამოყენების ძირითა დი ფინანსური გეგმა.

სახელმწიფო ბაჟი – შენატანი სახელმწიფო ბიუჯეტში, რომელსაც კერძო პირები და ფირმები იხდიან სახელმწიფოს მიერ მათი ინტერესების შესაბამისი მოქმედებების შესრულებისათვის და სათანადო საბუთების გაცემისათვის.

საყოველთაო დაზღვევა – ჯანდაცვის საყოველთაო დაზღვევა, რომელიც განკუთვნილია სხვადასხვა სტატუსის მქონე პირთათვის.

სესხი – თანხა, რომელსაც ვიღებთ ვალის სახით.

სოციალური მედია ინფორმაცია, რომელიც გადაიცემა სოციალური ქსელების საშუალებით.

სოციალური სახელმწიფო – რომლის მიზანსაც მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება/მისი სტაბილურად შენარჩუნება, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა და რეალიზება, ჯანდაცვის, განათლების, სოციალური უზრუნველყოფის თანამედროვე სისტემების შექმნა და ა.შ. წარმოადგენს.

სტაჟირება – მიღებული აკადემიური ცოდნის გამოყენება პრაქტიკაში ანაზრაურების გარეშე.

ტ

ტერორიზმი – ძალადობის გამოყენება პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. შეიარაღებული თავდასხმა, რომლის მიზანია სამიზნე საზოგადოებრივი ჯგუფისათვის ზიანის მიყენება, შიშის დანერგვა ან შანტაჟი.

ტრანსნაციონალური დანაშაული – დანაშაული, რომელიც შეიძლება განხორციელდეს როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარს მიღმა.

ტრანზიტი – ტვირთის გადაზიდვა ან მგზავრთა გადაყვანა ერთი ქვეყნიდან II-ში, მესამე სახელმწიფოს გავლით.

ტოტალიტარიზმი – ისეთი პოლიტიკური სისტემა, რომელსაც ადამიანების ცხოვრების ფართო კონტროლი ახასიათებს.

ტრეფიკინგი –აკრძალული საქონლით ვაჭრობა.

უ

უდანაშაულობისპრეზუმპცია – დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი და ბრალდებული არ ჩაითვლება დამნაშავედ მანამ, სანამ სასამართლო არ დაადგენს ამას.

უკანონო (არალეგალური) **მიგრაცია** – გამგზავნ, ტრანზიტისა და მიმღებ ქვეყნებში გადაადგილება და ყოფნა კანონების დარღვევით.

უკონტაქტო პატრული – საგზაო მოძრაობის რეგულირების ერთ-ერთი თანამედროვე საშუალება, რომლის დროსაც მძღოლის შეჩერების გარეშე ხდება დარღვევის დაფიქსირება და დაჯარიმება.

ფ

ფაქტი – ის, რისი გადამოწმებაც შეიძლება. შესაძლებელია ფაქტის უტყუარობა ან მცდა-

dont copy

რობა მტკიცებულებებზე დაყრდნობით გადამოწმდეს.

ფუნდამენტალიზმი – რელიგიური პოზიცია, რომელიც კონკრეტული რელიგიის ძირითადი მცნებების უპირობო მხარდაჭერას ითხოვს და მათ პირდაპირ რეალიზაციას ისახავს.

ქ

ქსენოფობია – შიში უცხოელების ან უცხო კულტურის მიმართ..

ღ

ღია ინფორმაცია – ინფორმაცია, რომელიც კანონით გათვალისწინებული წესით არ არის გასაიდუმლოებული.

შ

შეგროვებადი ანაბარი – ბანკში გახსნილი ანაბარი, რომელზეც ნებისმიერ დროს შეიძლება თანხის დამატება.

შრომითი ურთიერთობა – დასაქმებულისა და დამსაქმებლის ურთიერთობა.

შრომითი ხელშეკრულება – შეთანხმება დამსაქმებელს და დასაქმებულს შორის, რომლის მიხედვითაც, დასაქმებელი კისრულობს სამუშაოს შესრულების ვალდებულებას, ხოლო დამსაქმებელი შეთანხმებული ანაზღაურების გადახდის ვალდებულებას.

შრომითი ექსპლუატაცია – პირის გამოყენება იძულებითი შრომისათვის ან მომსახურებისათვის, მისი დანაშაულებრივ და სხვა ანტისაზოგადოებრივ ქმედება ში, ქუჩის მათხოვრობაში და/ან პროსტიტუციაში ჩაბმა, მონობის მსგავს მდგომარეობაში ან მონობის თანამედროვე პირობებში ჩაყენება.

ჩ

ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაცია (ინგლ. North Atlantic Treaty Organisation, NATO) – ჩრდილოეთ ამერიკისა და ევროპის 28 სახელმწიფოსგან შემდგარი სამხედრო-პოლიტიკური ალიანსი. იგი 1949 წლის 4 აპრილს შეიქმნა.

ხ

ხაზინა – ორგანო, რომელიც იცავს და განაგებს სახელმწიფო ქონებას.

don't copy

dont copy

სახელმძღვანელოს ელექტრონული რესურსი იხილეთ ბმულზე:
www.ceed.ge